

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ინგლისური ფილოლოგია

ილონა ქენქაძე

ირონიის აღქმისა და დეკოდირების
ფსიქოლინგვისტური და პრაგმატიკული პარამეტრები

ფილოლოგიის დოქტორის (PhD) აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი:
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი მანანა რუსიეშვილი



უნივერსიტეტის
გამომცემლობა

თბილისი

2014

სარჩევი

წინასიტყვაობა	3
შესავალი	13
თავი პირველი - ირონიის განმარტებები	19
1.1. ირონიის როგორც ენობრივი მოვლენის ევოლუციის ისტორიული მიმოხილვა	20
1.2. ირონია და გრაისის თეორია	23
1.3. ირონია და კონტექსტი	26
1.4. ირონიის წარმოშობის მიზეზები	30
1.5 ირონია სპერბერის და უილსონის თეორიის თვალსაზრისით	32
1.6 ირონია და ენანტიოსემია	37
1.7 ირონიის თანამედროვე განმარტებები	39
1.8 ირონიის ნაირსახეობები - „ცოცხალი ირონია“	51
1.9 ირონია და იუმორი; ირონია და სარკაზმი; ირონია და ტყუილი	58
1.10 ირონია და ასთეიზმი	62
თავი მეორე - ირონიის დეკოდირება ინტერკომუნიკაციის პროცესში	65
2.1. ირონიის ანალიზი მეტყველების აქტების თეორიაში	65
2.2. პროსოდიული და პარალინგვისტური ელემენტები ირონიის ინტერპრეტაციის პროცესში	82
2.3. ირონიის დეკოდირება რელევანტურობის თეორიის თვალთახედვით	85
2.4. ირონიის დეკოდირების 2 ძირითადი თეორია	91
2.5. ირონიის ინტერპრეტაციის სპეციფიკა	99
2.6 ირონიის ანალიზი პრაგმატიკის ცნებების ჭრილში	103
2.7 კვლევის შედეგად გამოკვეთილი ირონიის განმარტება და ანალიზი	111
თავი მესამე - ირონიის დეკოდირების ლინგვო-პრაგმატიკული ექსპერიმენტი	120
3.1 ირონიის წარმატებული დეკოდირების პირობები	120
3.1.1 ჰაიმის „SPEAKING“ მოდელი და ფართო გაგებით კონტექსტი	120
3.1.2 ირონიის ექსპერიმენტული კვლევის ინტერდისციპლინარული ხასიათი	122
3.1.3 ირონიის კვლევის ლინგვო-პრაგმატიკული და ფსიქო-ლინგვისტური საფუძვლები	123
3.1.4 ენათა-შორისი პრაგმატიკის როლი ირონიის ინტერპრეტაციაში	128
3.1.5 გონებრივი შესაძლებლობების თეორია და ირონიის დეკოდირების პროცესი	131

3.1.6 ირონიის აღქმის დამხმარე სტრატეგიები -----	132
3.2 ექსპერიმენტის მიზანი და ჰიპოთეზა-----	134
3.2.1 ექსპერიმენტის მიზანი -----	134
3.2.2 ექსპერიმენტის ჰიპოთეზა-----	136
3.3 ექსპერიმენტის აგებულება და პროცედურა-----	139
3.4 ექსპერიმენტში გამოყენებული მასალა -----	143
3.5 მონაცემთა შეგროვება, დამუშავება და ანალიზი-----	146
3.6 კვლევის შედეგები -----	153
3.7 განხილვა-----	161
დასკვნა -----	165
დანართები -----	171
გამოყენებული ლიტერატურა -----	174

წინასიტყვაობა

რა არის ირონია? ეს დილემა თეორეტიკოსებს, რომლებიც დაინტერესებულნი იყვნენ ამ უნიკალური ფენომენით, თავსატეხს უჩენდა. გიბსისა და კოლსტონის აზრით, ირონიის განსაზღვრება მისი კვლევის ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტია და „ის პრობლემაა, რომელიც ირონიისადმი მიძღვნილი ლიტერატურის ზედაპირზე ძევს.“ ((One problem that surfaces in the irony literature concerns the definition of irony.) (გიბსი და კოლსტონი 2007:584)).

ირონია მოსაუბრისთვის მსმენელზე ეფექტური გავლენის მოსახდენი ძლიერი ენობრივი იარაღია, რაც საშუალებას აძლევს მას, დაარწმუნოს მსმენელი თავისი ნათქვამის ჭეშმარიტებაში. ამ მიზნის მისაღწევად, როგორც აღვნიშნეთ, მოსაუბრის მიერ ემოციურად და ექსპრესიულად შეფერილი ენის გამოყენება მსმენელზე ყველაზე მძლავრი ზეგავლენის ინსტრუმენტს წარმოადგენს, რადგან მოსაუბრეს სურს არა მხოლოდ გარკვეული მოცულობის ფაქტობრივი ინფორმაციის გადაცემა მსმენელისათვის, არამედ სამყაროს მოვლენების მისეული, კრიტიკული ხედვის გამომქლავება და ამ გზით მსმენელის მიერ სამეტყველო სიტუაციის აღქმასა და სამყაროს მოდელზე გავლენის მოხდენა. მაშასადამე, თუ ირონია კვალიფიციური მოსაუბრის მიერ ეფექტურად გამოიყენება, ის დიდ ძალასა და დატვირთვას იძენს. მოსაუბრის მეტყველება უფრო ექსპრესიული და ემოციურად დატვირთული ხდება და მას კომუნიკაციის აქტის მთავარი მიზნის მიღწევა შეუძლია - მოახდინოს ზეგავლენა მსმენელის შემდგომ საქციელზე და/ან შეცვალოს იგი.

რა თქმა უნდა, ირონიის აღქმა კონკრეტულ მსმენელზე, კონკრეტულ კონტექსტსა და საზოგადოებაში გამეფებულ კონკრეტულ ეთიკურ ნორმებზეა დამოკიდებული. ირონიის წარმატებული ინტერპრეტაციისთვის მსმენელი კომუნიკაციის იმავე ფართო სპექტრს (ენის გრამატიკული და სემანტიკური წესები, კომუნიკაციის კანონები, ირონიული თამაშის წესები, თავაზიანობის სტრატეგიები, სიტუაციისა და სამყაროს ფონური ცოდნა და ა.შ.) უნდა იცნობდეს, რომელსაც მოსაუბრე საკუთარი ნათქვამის კოდირების დროს იყენებს. მსმენელის მიერ ირონიული ნათქვამის სწორი დეკოდირება ააშკარავებს, თუ რამდენად წარმატებულია მოქმედის ინტენცია კონკრეტულ სიტუაციაში. ხოლო, ირონიის არასწორ დეკოდირებას მიყვავართ ნეგატიურ

ემოციამდე, რომელიც გამოიხატება აღშფოთების, გულისწყრომის ან რისხვის ფორმით.

ლიტერატურის შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ თითქმის ყველა მკვლევარი, ვინც ირონიას სწავლობს, (ატარდო 2000; გრაისი 1978; სპერბერი და უილსონი 1995; კროსი 2001; კოტკოფი 2003; გიორა 1995; კროიცი და გლუკსბერგი 1989; კუმონ-ნაკამურა 1995; გიბსი და ობრაიენი 1991; უინერი და ლიკამი 1991) მის შემდეგ ასპექტებზე თანხმდება:

- 1) გამონათქვამს, რომელიც ირონიას შეიცავს, ორი ურთიერთგამომრიცხავი ან განსხვავებული მნიშვნელობა აქვს - თქმული და ნაგულისხმევი.
- 2) ირონია ყოველთვის ნათქვამის ნაგულისხმევი და პირდაპირ მნიშვნელობებს შორის შეუთავსებლობას ემყარება.
- 3) ირონიული მნიშვნელობა ყოველთვის იმპლიციტური ხასიათისაა.
- 4) ირონიას შეფასებითი დატვირთვა აქვს, რომელიც განისაზღვრება როგორც „მინიშნება, რომ რაღაც ფაქტი დადებითია, ან უარყოფითი.“ (ბურგერსი 2013:51); ირონია, ჩვეულებრივ, რაიმე ფაქტის ან მოვლენის უარყოფით შეფასებას შეიცავს, თუმცა, მეორე მხრივ, არ გამოირიცხება მისი პოზიტიური შეფასებაც, რაც მოსაუბრის დამოკიდებულებას ასახავს ობიექტის - სამიზნის მიმართ.
- 5) ირონია ყოველთვის ირიბია და ირიბად მჟღავნდება.
- 6) შესაძლებელია განვასხვაოთ ერთი და იმავე ნათქვამის არაირონიული და ირონიული წაკითხვა (აღქმა).
- 7) ირონიას ყოველთვის აქვს თავისი ობიექტი - სამიზნე. ამ ასპექტში ჩვენ ვეთანხმებით კროსს, რომელიც „ანსხვავებს სამი სახის სამიზნეს. კერძოდ, იგი მიიჩნევს, რომ მოსაუბრეს შეუძლია მიზანში ამოიღოს (1) საკუთარი თავი - თვით ირონიის სახით, (2) მსმენელი, ან (3) მესამე პირი, რომელიც არც მოსაუბრეა და არც მსმენელი.“ (კროსი 2001:202-203).

თემის აქტუალობა: დღემდე არ არსებობს ირონიის განსაზღვრებისა და მისი მოქმედებისადმი ერთიანი მიდგომა. დისერტაციის აქტუალურობა განპირობებულია თანამედროვე ლინგვისტიკის ზოგადი ტენდენციითა და მოთხოვნით - ენობრივი მოვლენები გამოკვლეულ იქნა კომუნიკაციურ და ფუნქციონალურ ჭრილში და ამ დროს, კერძოდ, ირონიის ინტერპრეტაციისას, „ადამიანის ფაქტორით“ დაინტერესებით. ირონიის კვლევის ტრადიციულმა თუ

უახლესმა თეორიებმა და ჰიპოთეზებმა, მისი დეკოდირების ახალმა ასპექტებმა და გამოყენებულ მეთოდთა ერთობლიობამ დიდი როლი ითამაშა წინამდებარე დისერტაციის შექმნაში. ნაშრომი ეყრდნობა, ერთი მხრივ, გარკვეულ თეორიულ ბაზას და, მეორე მხრივ, შეგროვებული ფაქტობრივი ემპირიული მასალის ანალიზს. ის ქართულ სამეცნიერო სივრცეში ირონიის ინტერპრეტაციის ორიგინალური და სიღრმისეული კვლევის პირველ მონოგრაფიულ მცდელობას წარმოადგენს.

ნაშრომის აქტუალობას ასევე განაპირობებს მისი მთავარი პრობლემის მრავალწახნაგოვანი ხასიათი: 1. განსაკუთრებული ინტერესი იგრძნობა ირონიის როგორც ენობრივი ფენომენის მიმართ უახლეს ჰუმანიტარულ აზროვნებაში. 2. ირონიის ფენომენის კვლევა, როგორც ისტორიულად, ასევე თანამედროვე ეტაპზე ხასიათდება იმით, რომ მკვლევრები ირონიას ცალმხრივად - მხოლოდ ლინგვისტურ, პრაგმატიკულ ან მხოლოდ კოგნიტიურ, ფსიქოლოგიურ ჭრილში აშუქებენ. ამის გამო კვლევა ხშირად უგულებელყოფს ირონიის ლინგვო-კულტუროლოგიურ ხასიათს, რომლის მნიშვნელობა ენობრივი მოვლენების განხილვისას მსოფლიოში განვითარებული გლობალიზაციის პირობებში ბოლო ათწლეულის განმავლობაში უაღრესად გაიზარდა. 3. ასევე, არ არსებობს ირონიული ნათქვამების დეკოდირების თანამიმდევრული ანალიზი ქართულ ლინგვისტურ სივრცეში.

გარდა თეორიული მიმოხილვისა, წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ამ სფეროში თანამედროვე დასავლური კვლევის შედეგების ანალიზსა და ლინგვო-პრაგმატიკულ და ფსიქოლინგვისტურ ექსპერიმენტს, რომელიც ჩვენ მიერ მოპოვებული ინგლისურ-ენოვანი ირონიული გამონათქვამების (დამუშავებული და განხილულია 320 ირონიული გამონათქვამი) ინტერპრეტაციაზეა დაფუძნებული. ნაშრომის ერთ-ერთ ღირსებად მიგვაჩნია ისიც, რომ იგი ორიენტირებულია ირონიის ინტერპრეტაციის ექსპერიმენტალურ კვლევაზე. ქართველი მონაწილეებისთვის ინგლისურ ენაზე მოცემული ირონიის მაგალითების დეკოდირების შეპირისპირებითი ანალიზი დღემდე არ ჩატარებულა. აქტუალურად უნდა ჩაითვალოს ასევე დასახული ამოცანისადმი ინტერდისციპლინარული მიდგომა, რომელიც საშუალებას გვაძლევს ყოველმხრივ გავაშუქოთ კვლევის ობიექტი.

კვლევის ძირითადი მიზანი და ამოცანები: სადისერტაციო ნაშრომის მიზანია, წარმოადგინოს, ერთი მხრივ, ირონიის განსაზღვრებისა და, მეორე მხრივ, ირონიული ნათქვამის დეკოდირების თანამედროვე დასავლური კვლევის შედეგების ანალიზი. ჩატარებულ კვლევაში იკვეთება ირონიის დეკოდირების ენობრივი და კომუნიკაციური კომპეტენციის, ლინგვისტური და ექსტრა-ლინგვისტური ფაქტორების კონცეპტუალური ხედვა და ინტერდისციპლინარულ კვლევით მასალაზე დაფუძნებული კომპლექსური ანალიზი. ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, ნაშრომში დასაბუთებულია, რომ თანამედროვე ლინგვისტურ კომუნიკაციაში ირონია კომპლექსურ ფენომენს წარმოადგენს, რომელსაც ძლიერი ზემოქმედების ძალა აქვს მსმენელსა და კონტექსტზე, და რომელიც უძველესი დროიდან დღემდე მსმენელის გარკვეული მანიპულაციის მიზნით გამოიყენება.

კვლევის ძირითადი მიზნის რეალიზება გარკვეული ზოგადი და კონკრეტული ამოცანების გადაჭრას გულისხმობს. დისერტაციის ფარგლებში ვცდილობდით, პასუხი გაგვეცა შემდეგ საკითხებზე:

- ა) თანამედროვე ლინგვისტიკაში არსებული კონცეფციების საფუძველზე ირონიის იმპლიციტური და ექსპლიციტური მნიშვნელობების კვლევის ტენდენციები და თავისებურებები,
- ბ) ირონიის დეკოდირების ძირითადი ასპექტები და მისი განვითარების დინამიკა;
- გ) ირონიის ახალი და ყოვლისმომცველი ავტორისეული განსაზღვრების დასაბუთებული კონცეფცია;
- დ) ირონიის პრაგმატიკული პოტენციალის გამოკვლევა-ანალიზი;
- ე) კონტექსტუალური ლინგვისტური ინფორმაციისა და პარალინგვისტური ნიშნების (ინტონაციის, (ირონიული) ტონის, სახის გამომეტყველების) როლი ირონიული სამეტყველო აქტის სწორად ამოცნობასა და დეკოდირებაში;
- ვ) ირონიის კვლევის იმ პრობლემის წინ წამოწევა, რომელიც ირონიული მაგალითების „ბუნებრიობას“ ეხება. ჩვენს მიერ მოპოვებული ირონიის მაგალითები ძირითადად (თუმცა არა მარტო) მხატვრული ტექსტებიდანაა ამოღებული, ამიტომ ისინი, ერთი მხრივ, ისტორიული, ხოლო მეორე მხრივ, კულტუროლოგიური ასპექტებითაა განსაზღვრული და წარმოადგენენ ბუნებრივ და არა სპეციალურად კვლევისთვის შექმნილ სიტუაციებს, რაც ასეთი

მაგალითების დეკოდირებისას საზოგადოებაში მიღებული ნორმებისა და კულტურათა შორის განსხვავებების ცოდნას მოითხოვს;

ზ) ირონიის გლობალური, უნივერსალური და ეროვნული კულტურული-სპეციფიკური ხასიათის გამოვლინების შესწავლა ქართულ და ინგლისურენოვან შეპირისპირებით ლინგვო-კულტუროლოგიაში და მისი დამახასიათებელი პარამეტრების გამოყოფა: გამონათქვამის მსოფლმხედველობითი ასპექტი, ემოციური შეფერილობა, კულტურული და ენობრივი განსხვავებები, კომუნიკაციური კომპეტენცია, საზოგადოებაში მიღებული ქცევის ნორმები, რომლებიც ინტერკომუნიკაციის მონაწილეების ცნობიერებაშია ასახული;

თ) ენისა და მეტყველების კულტურის კავშირისა და ამ კავშირის ფარგლებში ირონიის კონცეპტის როლის დადგენა;

ი) ირონიის აღქმის პროცესში გონებრივი შესაძლებლობის თეორიის როლის განსაზღვრა. ცნობილია, რომ ზოგიერთი მკვლევარი (კროიზერე 1997; სალივანი 1995; უინერი და ლიკამი 1991) მიუთითებს, რომ გონებრივი შესაძლებლობის თეორიის მიხედვით, მსმენელის უნარი განჭვრიტოს, თუ რა იცის პიროვნება ხ-მა იმის შესახებ, რაც პიროვნება ყ-მა იცის, პირდაპირ ასოცირებულია ზრდასრული ადამიანის მიერ ირონიის აღქმასთან.

გვინდა ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ ჩვენს მიერ განხორციელებული კვლევის შემაჯამებელ ნაწილს ირონიის ფსიქოლინგვისტური და ლინგვო-პრაგმატიკული ექსპერიმენტი, ამასთანავე, მის შედეგად ირონიის დეკოდირების პრინციპების დადგენა წარმოადგენს, რაც „ჯდება“ თანამედროვე შეპირისპირებითი ლინგვო-კულტუროლოგიის მნიშვნელოვანი მიმართულების ფარგლებში.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ პირველად იქნა კომპლექსურად, მონოგრაფიულად გაანალიზებული ირონია, როგორც ტროპი და როგორც სამეტყველო აქტი, ასევე მისი როლი გამონათქვამის დეკოდირებისას. ქართულ ლინგვისტურ სივრცეში პირველად, ცალკე გამოკვლევაში, დადგინდა ირონიის გამოყენების კომპლექსური ტენდენციები, მისი ფუნქციები და განისაზღვრა პარალინგვისტიკისა და პროსოდიული ნიშნების, ასევე კონტექსტის სპეციფიკური მონაცემები ინტერკომუნიკაციის პროცესში დასავლეთის მეცნიერთა გამოცდილებაზე დაყრდნობით, სადაც ირონია მე-20 საუკუნის დასაწყისიდან დღემდე საკმაოდ დიდ და სერიოზულ ყურადღებას იქცევს. ნაშრომში ირონია განვიხილეთ, როგორც სოციო-ლინგვისტური

მოვლენა, რომელსაც საკუთარი კომუნიკაციური და პრაგმატიკული კატეგორიები ახასიათებს.

კვლევის მეცნიერული სიახლე გამომდინარეობს იქიდან, რომ ნაშრომში წარმოდგენილია ირონიის დაზუსტებული საკუთარი განსაზღვრება, რომელიც კომუნიკაციურ და ლინგვო-პრაგმატიკულ პარამეტრებს ეყრდნობა, რომელსაც „ცოცხალი ირონია“ ვუწოდეთ და განვიხილოთ, როგორც არა მხოლოდ ენობრივი, არამედ როგორც მეტყველების ფენომენი. ნაშრომის ფარგლებში ასევე დაიგეგმა და ჩატარდა ფსიქო-ლინგვისტური ექსპერიმენტი, გაანალიზდა მისი შედეგები თანამედროვე მეთოდოლოგიურ ბაზაზე დაყრდნობით და დაისახა ამ პროცესის შემდგომი კვლევის ძირითადი ტენდენციები.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები: ჩატარებული თეორიული და პრაქტიკული კვლევის თეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძვლებს წარმოადგენს თანამედროვე ლინგვისტიკაში, ფილოსოფიაში, ფსიქოლოგიაში, კულტუროლოგიაში, პრაგმატიკაში მოღვაწე ინგლისურენოვანი მკვლევრების მეცნიერული დებულებები, კერძოდ: გრაისის, სერლის, სპერბერისა და უილსონის, გიორას, გიბსის, ატარდოს, კროიზერის, გლუკსბერგის, ბარბეს და ა.შ. ნაშრომები, რომლებშიც ამ კონკრეტულ სფეროში ხანგრძლივი მუშაობის შედეგებია გაშუქებული და გაანალიზებული. ამ ფაქტმა საშუალება მოგვცა შეგვესწავლა ირონიის ფენომენის სპეციფიკა და გაგვეაზრებინა მთელი რიგი ნაკლებად გამოკვლეული თანამდევნი საკითხების პრობლემატიკა.

ირონიის კვლევისადმი ლინგვისტურმა და სოციო-პრაგმატიკულმა მიდგომამ ხელი შეგვიწყო მისი, როგორც ენობრივი და კულტუროლოგიური ბუნებისა და მნიშვნელობის გააზრებაში. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს ირონიის აღქმის პროცესის საკვლევი მეთოდების ერთობლიობა. მასში ირონიის დუალური ხასიათი ვლინდება, კერძოდ, მენტალური, რომელიც მოქმედისა და მსმენელის ფსიქოლოგიურ ხასიათს თუ მსოფლმხედველობას ირეკლავს და ენობრივი, რომელიც კომუნიკანტთა მეტყველების სტილში გამოიხატება. ასეთი მეთოდოლოგიური მიდგომა გამოვლინდება როგორც ირონიის მთავარი თვისების (მნიშვნელობის ორი პლანის - თქმულისა და ნაგულისხმევის - ურთიერთქმედების), ასევე მისი მთავარი ფუნქციის (ძირითადად, ემოციურად ნეგატიური და კრიტიკული დამოკიდებულების) განსაზღვრისას.

საკვლევი პრობლემატიკიდან გამომდინარე, ნაშრომის მეთოდოლოგიურ საფუძველს ინტერდისციპლინარული მიდგომა წარმოადგენს, რადგანაც ირონიის აღქმა სხვადასხვა დისციპლინების კავშირსა და ურთიერთთანამშრომლობას მოითხოვს. მათ შორის არის: ზოგადად, ლინგვისტიკა (ირონია ენობრივ მასალას ეკუთვნის); პრაგმატიკა (არ არსებობს ირონიის დეკოდირების პროცესი პრაგმატიკის ცნებითი აპარატის გათვალისწინების გარეშე); კონტექსტის კრიტიკული ანალიზი (ირონიის ფუნქცია მხოლოდ კონტექსტში იხსნება და სწორედ მასშია შესაძლებელი მისი ადეკვატური ინტერპრეტაცია); სოციუმის კულტურა (ირონია იცვლება საზოგადოების ისტორიული და კულტურული განვითარების მანძილზე); ფსიქოლოგია (ირონია ინდივიდუალურ ხასიათს ატარებს და კონკრეტულ მთქმელსა და მსმენელს მოითხოვს).

ირონიის საერთო სურათის ფორმირების პროცესში ვიხელმდვანელეთ ზემოთ ჩამოთვლილ მეთოდოლოგიურ საფუძველებზე დაყრდნობით და გამოვიყენეთ მეთოდთა სისტემა, რომლის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს: შედარებითი (დასავლეთის მეცნიერულ ღირებულებებზე დაფუძნებული თეორიული და პრაქტიკული კვლევის შედეგად მიღებული დასკვნების განზოგადების შესაძლებლობა), თეორიული და პრაქტიკული, ემპირიული მასალის სისტემური ანალიზის (სხვადასხვა კატეგორიებისა და მიდგომების დაჯგუფება და სისტემატიზაცია), ემპირიული (ფსიქო-ლინგვისტური ექსპერიმენტის მონაცემების ანალიზი), ჰიპოთეტიკური მიდგომა (ირონიის მასალაზე დაყრდნობით, ირონიის ფუნქციებისა და თვისებების გათვალისწინებით, გამონათქვამის ირონიული მნიშვნელობის დეკოდირების ჰიპოთეზის ექსპერიმენტალური ვერიფიკაცია).

ნაშრომში ასევე კომპლექსურადაა შესწავლილი ირონიული მეტყველების აქტების ტიპოლოგია ზოგად და კერძო-ენობრივ მოვლენების კვლევაში ფართოდ გამოყენებული ისეთი მეთოდების საშუალებით, როგორცაა: დაკვირვება, ლინგვისტური შედარება-შეპირისპირება, ანალოგია, განზოგადება და აღწერითი ანალიზი.

კვლევის ერთ-ერთ უშუალო მეთოდად შეიძლება ჩაითვალოს დისერტაციაში ჩატარებული ექსპერიმენტი, რომელიც კითხვარის სახით იყო წარდგენილი და რომელიც რესპოდენტების კომენტარებს და მათი სამეტყველო ქცევის მრავალფეროვან მასალას მოიცავდა. ექსპერიმენტის შედეგად მიღებული

შედგენების დამუშავებისა და მათი სისტემატიზაციის დროს გამოვიყენეთ სტატისტიკური ანალიზი და ANOVA-ს მეთოდი, ლინკერტის (Linkert) სკალის დახმარებით; და ბოლოს, სქემატური მეთოდი, სქემისა და დანართების სახით შედეგების წარმონაჩაში დაგვეხმარა. ზემოთ აღნიშნულმა კომპლექსურმა კვლევამ საშუალება მოგვცა დაგვემუშავებინა ირონიის, როგორც ტროპისა და სამეტყველო აქტის კვლევის თეორიული კონცეფციები და ექსპერიმენტის პრაქტიკული სტრატეგიები.

ნაშრომის თეორიული ღირებულება მდგომარეობს იმაში, რომ დისერტაციას გარკვეული, მოკრძალებული წვლილი შეაქვს ირონიის განსაზღვრებისა და მისი მნიშვნელობის ინტერპრეტაციის კვლევაში, რაც შესაძლებელს ხდის ირონიის ფენომენის დეკოდირების პროცესის კომპლექსურსა და ძირეულ გაგებას ლინგვო-პრაგმატიკული მიდგომების გათვალისწინებით. ასევე, ღირებულება გამონათქვამის ირონიული მნიშვნელობის გამოვლინების კვლევა სპეციფიკურ კონტექსტში, რომელიც ხასიათდება ირონიული კო-მარკერებით. როგორც აღვნიშნეთ, კვლევის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს თანამედროვე ლინგვისტიკის უახლესი თეორიები.

დისერტაციის თეორიული მნიშვნელობა ნაშრომისთვის არსებითია, რადგანაც ირონიის შესწავლა საშუალებას იძლევა გააზრებული იქნას მისი როლი და ღირებულება თანამედროვე ლინგვისტიკაში, რაც ავსებს ირონიის კვლევის სფეროში ამ მხრივ ჯერ კიდევ არსებულ სიცარიელეს. თეორიული კუთხით ნაშრომის მეცნიერული ღირებულება ასევე განისაზღვრება არსებული მეცნიერული ცოდნის გავრცობითა და მისი ექსპერიმენტალური ნაწილით.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა მდგომარეობს მისი მასალებისა და შედეგების შემდგომ პოტენციურ გამოყენებაში ისეთ თეორიულ კურსებში, როგორცაა: ტექსტის ლინგვისტიკური ანალიზი, თარგმნა და ინტერპრეტაცია, ინგლისური ენის სტილისტიკა, ლინგვო-კულტუროლოგია; ასევე, სპეცკურსებში: ინგლისური ენის სწავლების მეთოდოლოგია; ყველა იმ კურსში, სადაც საჭიროა ქართული და ინგლისური ენების ნიშან-თვისებების შედარებით-შეპირისპირებითი ანალიზი; ირონიის დეკოდირების პრობლემატიკის შემდგომი კვლევა, განსაკუთრებით განსხვავებული ლინგვოკულტურის მატარებელ კომუნიკაციის მონაწილეებს შორის. მიღებული მონაცემები შეიძლება გამოყენებული იქნას

ლექსიკონებში შესატანი გამონათქვამების ირონიული მნიშვნელობების ახალი სისტემის დამუშავებაში, რომელშიც მითითებული იქნება არა მხოლოდ კონკრეტული გამონათქვამის „ირონიულად“ ხმარება, არამედ სრული კონტექსტი, რომელშიც ცალკე აღებული სიტყვა ირონიულ მნიშვნელობას იძენს. რა თქმა უნდა, ეს ეხება ენაში დამკვიდრებულ ირონიულ ერთეულებს, რადგანაც, ცხადია, ირონიის ყველა ინდივიდუალური აქტუალიზაცია ვერ შევა ლექსიკონში.

ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა განპირობებულია მისი კონკრეტული მიზნით და ამოცანების ერთობლიობით. ნაშრომი შედგება 188 გვერდისგან; მასში შედის წინასიტყვაობა, შესავალი, 3 თავი (პირველ თავში - 10 ქვეთავი; მეორე თავში - 7 ქვეთავი; მესამე თავში - 7 ქვეთავი), დასკვნა, გამოყენებული ლიტერატურისა და ირონიის მაგალითების წყაროების სია და ექსპერიმენტალური კვლევის დანართები.

წინასიტყვაობაში განსაზღვრულია ირონიის როგორც ტროპისა და მეტყველების აქტის კვლევის აქტუალურობა, მიზეზები, ამოცანები, მეთოდოლოგია, ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული ღირებულება და მისი სემანტიკურ-პრაგმატიკული სტრუქტურა.

შესავალში გაანალიზებულია საკვლევი თემის მნიშვნელობა, ირონიისადმი სხვადასხვაგვარი მიდგომებისა და მისი ნაგულისხმევი მნიშვნელობის დეკოდირების ზოგადი დებულებები. განხილულია ირონიის ფუნქციონირების თემატიკა, ინტერკომუნიკაციის პროცესში მისი თავისებურებანი, რომლებიც მისი მნიშვნელობის იმპლიციტურ ხასიათზეა დაფუძნებული.

პირველ თავში - „ირონიის განმარტებები“- წარმოდგენილია ირონიის ცნებისა და განსაზღვრების პრობლემატიკის მიდგომების არგუმენტირებული ანალიზი. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ირონია კრიტიკული აზროვნების ფორმაა, რომელიც იცვლება საზოგადოების ისტორიულ განვითარებასთან ერთად. დამტკიცებულია, რომ ირონია იმპლიკატურის ერთ-ერთი სახეა, რომელიც მუდმივად შეიცავს კრიტიკის ემოციურსა და შემფასებლურ ასპექტებს.

მეორე თავი - „ირონიის დეკოდირება ინტერკომუნიკაციის პროცესში“ - წარმოადგენს ირონიული მეტყველების აქტების თეორიის საფუძვლების ანალიზს. ამავე ნაწილში განხილულია ირონიის როგორც მეტყველების აქტის

კლასიფიკაცია; მისი ინტერპრეტაციის ერთ და ორ-საფეხურიანი მოდელების ჰიპოთეზები; რელევანტურობისა და თავაზიანობის თეორიის როლი ირონიის დეკოდირების პროცესში; ასევე, შემოთავაზებულია ირონიის ახალი, ავტორისეული ხედვა და განსაზღვრება.

მესამე თავში - „ირონიის დეკოდირების პროცესის ლინგვო-პრაგმატიკული ექსპერიმენტი“ - გაანალიზებულია ის კვლევითი მასალა, რომელიც მნიშვნელოვანი იყო ჩვენ მიერ ჩატარებული ექსპერიმენტისთვის; მოცემული და გააზრებულია ექსპერიმენტში მიღებული შედეგები; დაზუსტებულია ლინგვო და ენათაშორისი პრაგმატიკის ის პრობლემატიკა, რომელიც ეხება ნაშრომში დასახულ კითხვებსა და ამოცანებს.

დისერტაციის დასკვნაში განხილულია მიღებული კვლევითი შედეგები და ჩამოყალიბებულია შემდგომი კვლევის საკითხების ნუსხა და რეკომენდაციები.

ცნობილია, რომ კომუნიკანტების მიერ მშობლიურ ენაზე აქტუალიზებული ირონია კომპლექსური და რთული ფენომენია. ამის გათვალისწინებით, რა თქმა უნდა, უცხო ენაზე მისი აღქმა ორმაგ სირთულეს წარმოადგენს. ჩვენი კვლევა ორი ენის - ქართულის, როგორც მშობლიურისა და ინგლისურის, როგორც უცხო ენის - პრობლემატიკას ეხება. აქედან გამომდინარე, ირონიის დეკოდირება ენობრივი კომპეტენციით იწყება. მეორე მნიშვნელოვან პირობად შეიძლება ჩაითვალოს მოცემული კონტექსტის მოცულობა და მისი გავლენა მიზნად დასახული მსმენელის დარწმუნების ან პოზიციის შეცვლის მისაღწევად. ხოლო მესამე, არანაკლებ არსებითი ასპექტი - სიტყვების მიღმა არსებული, ფონურ ცოდნაში აქტუალიზებული ინგლისური კულტურისა და მეტყველების წესებისა და ნორმების გაგებაა. მთელი კვლევის ამოსავალი პრინციპი იყო ის, რომ საკომუნიკაციო აქტის ქართველმა მონაწილემ (რომლისთვისაც ინგლისური არა მშობლიური ენაა) გაიგოს ირონიული ნათქვამი ინგლისურ ენაზე. ამისთვის კი მას სიტუაციური კონტექსტისა და სოციო-კულტურული ცოდნის განსაკუთრებული ფლობა ესაჭიროებოდა.

ეფიქრობთ, ზემოთ აღნიშნულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ კვლევაში ირონიის შესწავლისადმი წარმოდგენილი მიდგომები და სიახლეები, ასევე, ჩვენ მიერ ექსპერიმენტალურად მიღებული შედეგები თეორიული და

პრაქტიკული რეკომენდაციების სახით, გარკვეულ დახმარებას გაუწევს ამ საკითხზე მომუშავე ლინგვისტებს.

შესავალი

“მსოფლიო ირონიის გარეშე იგივე იქნებოდა, რაც ტყე ჩიტების გარეშე”

ანატოლი ფრანსი

ირონია, როგორც ინტერდისციპლინარული კატეგორია, რომელიც ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, რიტორიკის, ლინგვისტიკისა და ფილოლოგიის მიჯნაზე ძევს, ადამიანის აზროვნების ენობრივი გამოხატულების ერთ-ერთ ცენტრალურ პრობლემას წარმოადგენს და მუდამ იზიდავს ფსიქო-, სოციო-, და ნეირო-ლინგვისტიკით, კომუნიკაციის თეორიითა და პრაგმატიკით დაინტერესებულ მეცნიერთა ყურადღებას.

დიდი ხანია ირონია მეტყველების ერთ-ერთ სტილისტურ ხერხად ანუ ტროპად ითვლება (ბუთი 1974; ნოქსი 1961), რომელიც აზრის შემოქმედებითად და ხატოვნად გამოთქმის საშუალებას იძლევა. იგი, ასევე, ესთეტიკურ კატეგორიად, ორატორული ხელოვნების ხერხად, მეტყველებაში აგრესიის გამოხატვის ფორმად, თავის დაცვის ინსტრუმენტად, კომიკურ პროცესად განიხილებოდა იმის მიხედვით, თუ რომელი დარგის სპეციალისტი ახორციელებდა ამ ფენომენის კვლევას. უფრო კონკრეტულად, ალემანმა გამოჰყო ირონიის ორი არსებითი ცნება: ირონია, როგორც საშუალება და ირონია, როგორც შედეგი. (ალემანი 1970).

სოციალური თვალსაზრისით, ირონიული გამონათქვამი (ტერმინი „გამონათქვამი“ ამ ნაშრომში გამოიყენება ფართო მნიშვნელობით, რომელიც მოიცავს ტექსტის იმ ნაწილს, რომელიც გამოხატავს მეტ-ნაკლებად დასრულებულ აზრს) აღიქმება როგორც ნეგატიური, ხანდახან კი, როგორც აგრესიული რეაქცია. ხოლო ინდივიდუალური თვალსაზრისით - როგორც მთქმელის მიმართ მიმზიდველობისა და სიმპათიის გამოწვევის საშუალება. (მილერი 2006).

კვლევის პირველ ეტაპზე შევეცადეთ, გაგვერკვია, თუ რა არის ირონია, როგორ და რატომ წარმოიშობა ის, როგორ იყენებს მოსაუბრე ირონიას თავის

სასიკეთოდ, როგორ აღიქმება ის მსმენელის მიერ, და რა შემდგომ საპასუხო რეაქციას იწვევს იგი. როგორც ფრირკსი ამტკიცებს, ირონია ყველას ცხოვრებაშია და თუ იგი არ არის ფიზიკური, მენტალური (გონებრივი) მაინცაა. “Everyone has irony in their life. If it’s not physical, it’s mental”. (ფრირკსი 2010:15)

ენა, ზოგადად, და ირონია, კონკრეტულად, ადამიანებს შორის კომუნიკაციის ინსტრუმენტს, საშუალებას წარმოადგენს, რომელიც მათ კოგნიტიურსა და ემოციურ მდგომარეობას ამჟღავნებს. იმისათვის, რომ ირონიის აღქმა და ინტერპრეტაცია ადეკვატური იყოს, როგორც მსმენელს, ისე მოქმელს უნდა ჰქონდეს კონკრეტული ფონური და კონტექსტუალური ცოდნა, რათა ორივე მხარემ სწორად „ამოიჩინოს“ და კონკრეტული სტრუქტურა სიტუაციას მიუსადაგოს. ცხადია, კომუნიკაციის ამგვარი დუალური ხასიათი ნათქვამის კოდირებისა და დეკოდირების პროცესებს მოიცავს. ამგვარად, ირონიის დაფარული აზრის გადაცემა ნიშნავს ნათქვამში იმპლიციტურად მოცემული ინფორმაციის გაგებას, როგორც ვერბალურ, ისე არავერბალურ, პარალინგვისტურ და პროსოდიულ ელემენტებზე დაყრდნობით, როგორიცაა: უესტები, მიმიკები, და ინტონაცია.

ირონია ერთ-ერთი მედიუმის როლს თამაშობს ადამიანთა შორის ინტერკომუნიკაციის დროს და ააშკარავებს მათ ემოციურ მდგომარეობას, რომელიც, ერთი მხრივ, დამოკიდებულია სოციუმის კულტურულ და ისტორიულ პირობებზე და, მეორე მხრივ, მოქმელისა და მსმენელის ინდივიდუალურ ფსიქოლოგიურ მახასიათებლებზე, ფასეულობებსა და გამოცდილებაზე. ამგვარად, ირონია ნებისმიერ საზოგადოებაში ემოციური შეფასებებისა და კულტურულ ფასეულობათა სისტემის აქტუალიზაციის საშუალების როლში გამოდის. „ირონიის გამოყენება ენის შემფასებლური ფუნქციით გამოყენების ნიმუშია.“ “...the use of irony is a specimen of the evaluative use of language.” (კაუფერი 1977:503). ირონიის დროს არაფერი ითქმება, ყველაფერი ნაგულისხმევი. გვინდა მოვიყვანოთ უილიამსის ციტატა: „მე არ ვამბობ იმას, რასაც შენ მიიჩნევ, რომ ვამბობ. მაგრამ არც იმის საწინააღმდეგოს ვგულისხმობ. ფაქტობრივად, მე საერთოდ არაფერს არ ვამბობ.“ “I’m not saying what you think I’m saying, but I’m not saying its opposite, either. In fact, I’m not saying anything at all.” (უილიამსი 2013).

მაგალითში (1) ნათლად ჩანს სხვადასხვა ერების დამახასიათებელი თვისებების შესახებ ის საჭირო საერთო ფონური ცოდნა, რაც კეტრინს, ფერგიუსონსა და ლეიტენანტ ჰენრის ჰქონდათ იმ კონკრეტულ ისტორიულ მომენტში, პირველი მსოფლიოს ომის დროს, როდესაც ჰემინგუემ „მშვიდობით იარაღო!“ დაწერა.

I can't stand him (Henry), Ferguson said. He's done nothing but ruin you with his sneaking Italian tricks. Americans are worse than Italians.

(1) The scotch are such a moral people, Catherine said. (ჰემინგუეი 1977(1):176)

მოქმელი (კეტრინი) და მსმენელი (ფერგიუსონი) გამოხატავენ თავიანთ ნეგატიურ დამოკიდებულებას ირონიის ობიექტის (ჰენრის) ეთიკური და მორალური ქცევის მიმართ. ორივე ბრიტანელია და საერთო კულტურულ ფასეულობებზე დაყრდნობით ნათქვამის სწორ ინტერპრეტაციას ახდენენ. კეტრინი ირონიულად პასუხობს ფერგიუსონის კრიტიკას, რომ ყველა ეროვნებას, ამ შემთხვევაში იტალიელებს, ამერიკელებსა და შოტლანდიელებს მათთვის დამახასიათებელი სპეციფიკური მორალური კანონები აქვთ.

თანამედროვე მეცნიერებაში ლინგვისტებს ხშირად აინტერესებთ ირონიის ფუნქციონირება ინტერკომუნიკაციის პროცესში, მისი იმპლიციტური ხასიათი და ანალიზი იმ ფაქტორებისა, რომლებიც მეტყველების პროცესს მართავენ.

კოლსტონისა და გიბსის (კოლსტონი და გიბსი 2007:4) აზრით, ირონიის განსაზღვრის, მისი თვისებებისა და ფუნქციების შესწავლის შესახებ საკმაოდ ბევრი გამოკვლევა და ინტერპრეტაცია არსებობს. მათ სჯერათ, რომ ირონიის ფუნქციაა გამოააშკარაოს არა ის, რაც სინამდვილეში არსებობს, არამედ ობიექტისადმი მოსაუბრის დამოკიდებულება და მისეული შეფასება აჩვენოს.

ირონიის სემანტიკური და პრაგმატიკული ბუნების ასპექტების შესწავლით შემდეგი მკვლევრები არიან დაკავებულნი: (კლიფტი 1999; კოტჰოფი 2002, 2003; უაიზმანი 2008; გიბსი 2000; ატარდო 2003); ირონიის ინტერპრეტაციის პრობლემების რაოდენობრივ და ხარისხობრივ ანალიზს მიმართავენ მეცნიერები: (გიორა და ფეინი 1999; უცუმი 2000; კოლსტონი 2002); ხოლო ფსიქოლინგვისტურ ექსპერიმენტებს ატარებენ: გიბსი და ობრაიენი (1991); შვებელი (2000); გიორა (2003); ივანკო და პექსმანი (2003); ნოვეკი და სპერბერი (2004). რა თქმა უნდა, ამ მნიშვნელოვან სახელებთან ერთად უამრავი სხვა მკვლევარია დაინტერესებული

ირონიით, მაგალითად: (იამანაში 1998; სპერბერი და უილსონი 1998; პექსმანი და გლენრაითი 2007; მუეკე 1982; კოტჰოფი 2003; ამანტე 2005; ბურგერსი და სხვები 2013; კლარკი და გერიგი 1984; კოულბრუკი 2004; კროიხერე 2000 და ა.შ.)

ირონიის კვლევის მრავალფეროვნებასა და მრავალწახნაგურობას რამდენიმე მიზეზი აქვს: 1. თანამედროვე სამყაროში ირონიული ნათქვამის სწორი აღქმის მნიშვნელობა იზრდება, ვინაიდან ირონია მსმენელსა და მის ქმედებებზე ეფექტური ზეგავლენის ძლიერ ენობრივ საშუალებას წარმოადგენს; 2. შეიცვალა ირონიის გამოკვლევისადმი მიდგომა. ადრე კვლევისათვის არჩეული ირონიის მაგალითები ტიპურად კონტექსტის გარეშე განიხილებოდა ან ხელოვნურად იქმნებოდა, ხოლო თანამედროვე ეპოქაში ირონიას განიხილავენ, როგორც ინტერკომუნიკაციის ფენომენს და მას მხოლოდ ბუნებრივ პირობებში შეისწავლიან (ნუოლიჯარვი და ტიიტულა 2011). ამგვარი თვალსაზრისით ლუსია ნურანიც ამტკიცებს, რომ „სპონტანური, უშუალო საუბრის დროს მოპოვებული კვლევითი მასალა ბუნებრივად ითვლება, რაც, თავის მხრივ, ჭეშმარიტ ენობრივ ქმედებას წარმოადგენს.“ “...data from spontaneous speeches are considered to be natural. It means that they represent authentic linguistic actions.” (ნურანი 2009:669).

თუ კონტექსტური რეალიზაციის დროს ირონია რაიმე მანკიერ მოვლენებს ააშკარავებს, მაშინ ის მოქმედისადმი მოწონებას, სიმპათიასა და დადებით ემოციებს იჩენს. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვთქვათ, რომ ირონიის გამოყენების დროს მოქმედებს ცნობილი მათემატიკური კანონი: მინუსი (ნეგატიური მოვლენა) + მინუსი (ამ მოვლენის ირონიული უარყოფითი შეფასება) უდრის პლუსს (მსმენლის დადებითი დამოკიდებულება). ეს კარგად ჩანს მაგალითში (2), რომელშიც დიალოგი პოლიციელსა და მანქანის მძღოლს შორის საბაუოზე შედგა, როდესაც უკანასკნელი საზღვრის გადაკვეთას ცდილობდა. უარყოფითი მოვლენა - ნარკოტიკი და ალკოჰოლი, + უარყოფითი ირონიული შეფასება = დადებით დამოკიდებულებას მსმენლის მხრივ.

(2) Any drugs, alcohol?

No, thanks, I've got everything.

ჩვენი აზრით, ირონია აქ მდგომარეობს იმაში, რომ როდესაც მებაუე სვამს სრულიად მიღებულსა და საყოველთაოდ ცნობილ შეკითხვას, აქვს თუ არა მგზავრს ნარკოტიკი ან ალკოჰოლი, რომელიც აკრძალულია საზღვრის

გადაკვეთისას, ის არაფერს სთავაზობს მძღოლს, მხოლოდ ეკითხება. მძღოლი, თავის მხრივ, სწორად იგებს ამ შეკითხვას, მაგრამ განზრახ არაადეკვატურ პასუხს აძლევს მეზავს, როგორც შეთავაზებაზე უარს და არა შეკითხვაზე პასუხს, ვითომდა მას ყველაფერი აქვს და არაფერი სჭირდება. ასეთი ირონიული პასუხით ის გამოხატავს თავის ინტენციას, უარყოს არაღეგალური ნივთების თან ქონა.

ტრადიციულად, ლინგვისტიკა ირონიას განიხილავს, როგორც ექსპლიციტური და იმპლიციტური მნიშვნელობების ურთიერთქმედებას, რომლის საფუძველში პოზიტიური და ნეგატიური კონტრასტის „შეჯახებაა“ ჩადებული. ფართოა ირონიის, როგორც უნივერსალური მოვლენის თემატიკა, დაწყებული ისეთი აქტუალური თემებით, როგორიცაა: „ფული“, „სიყვარული“, „მეგობრობა“ და დამთავრებული იმ საკითხებით, როგორიცაა: „საჭმელი“, „ოჯახი“ ან „ქალები“, სადაც ნათლად ჩანს მთქმელის ღირებულებები და მსოფლმხედველობა, მისი ერუდიცია, თანაზიარობა, წარმატება, მჭერმეტყველება (ჰატჩეონი 1980).

აქვე დგება საკითხი, თუ რამდენად სასიკეთო ან საზიანოა ირონია ყოველდღიურ მეტყველებაში, ან რამდენად წარმატებული ან უსუსურია ის მხატვრულ ლიტერატურაში გამოყენების დროს იმიტომ, რომ ირონიულ ნათქვამს შეუძლია როგორც დადებითი ემოციების, სიცილის ან სიმპათიის, ასევე ნეგატიური დამოკიდებულების, აღშფოთების ან რისხვის გამოწვევა.

აქედან გამომდინარე, ირონიის ბუნება შეიძლება ავსნათ მხოლოდ და მხოლოდ მთქმელისა და მსმენელის სამყაროსადმი დამოკიდებულებიდან, ანუ „ადამიანური ფაქტორიდან“ გამომდინარე. როგორც ბიუკამპი ამტკიცებს, „ირონია ისეთი ცნებაა, რომელსაც ჩვენ იმ კავშირების აღწერისათვის ვიყენებთ, რომლებსაც ჩვენვე აღვიქვამთ. არ არსებობს ირონია ადამიანის გარეშე.“ „Irony is a concept that we use to describe connections that we perceive. There is no irony apart from people“. (ბიუკამპი 2001:15).

ამას, თავის მხრივ, პრაგმალინგვისტიკამდე მივყავართ, რომელიც ენობრივი ერთეულებისა და მათი მატარებლის ურთიერთობებს სწავლობს. როგორც კიბრიკა სამართლიანად აღნიშნა, თანამედროვე საუკუნის ცენტრალურ ინტერესს ტვინის, აზროვნების, ცნობიერებისა და მეტყველების მექანიზმები წარმოადგენს.

შეიძლება ითქვას, რომ ადამიანის პროგრესის შექმნის საქმეში ირონიას დიდი ადგილი ეთმობა, ადამიანისა, რომელიც სამყაროში არსებულ ობიექტებს შორის ყველაზე რთულ სამეცნიერო შესწავლის ობიექტს წარმოადგენს. „...самого сложного научного объекта, существующего во вселенной“. (კიბრიკი 1994:126-139).

ქვემოთ მოყვანილ მაგალითში თანამედროვე ქალი ამ ფრაზას წარმოთქვამს იმ მომენტში, როდესაც წვეულებაზე აპირებს წასვლას, დგას ტანსაცმლით სავსე კარადის წინ და ვერ აურჩევია, რა ჩაიცვას. ირონია სახეზეა.

(3) Nothing to wear!

გავაგრძელოთ იმით, რომ ირონია გარს გვაკრავს. ჩვენი თანამედროვე სამყაროც კი “ციტირებული” სამყაროა, რადგანაც იგი მხოლოდ იმეორებს აქამდე უკვე არსებულ სამყაროებს. მაგალითად, მე-20 საუკუნის 70 - იანი წლების ტანსაცმლის 21-ე საუკუნეში ტარებაც კი კავშირშია კოლბრუკისეულ ირონიის განსაზღვრებასთან. „სინამდვილეში არაფერი არ ნიშნავს იმას, რასაც ვერბალურად გამოვხატავთ.“ “Nothing really means what it says.” (კოულბრუკი 2004:1).

ირონიაც, კოლბრუკის აზრით, განზრახული სიმულაციაა (“intended simulation”), რომელიც კონკრეტულ მოცემულ კონტექსტში კონკრეტულ სოციალურ და ისტორიულ პერიოდში არსებობს. (კოულბრუკი 2004:4-15)

საზოგადოებაში ცხოვრება ერთი მთლიანი კონტექსტია, რომელშიც ყველაფერი უკვე ნათქვამია და რაიმე ახლის შემოტანა ამ ყველაფერ უკვე თქმულის ერთმანეთში კალეიდოსკოპური აღრევითაა შესაძლებელი. ირონია იარსებებს მანამდე, სანამ არსებობს დაპირისპირება ირონიულ და არა ირონიულ წაკითხვას შორის. (ფუკო 1996).

თავი 1

ირონიის განმარტების პრობლემა

1.1 ირონიის, როგორც ენობრივი მოვლენის ევოლუციის ისტორიული მიმოხილვა ირონიის მაგალითები გვხვდება ჯერ კიდევ ბიბლიასა და ჰომეროსის პოემებში. თვით ტერმინი *ironia* ბერძნულიდან *eirōneia* ლათინურში ციცერონმა შემოიტანა. რიტორიკის ოსტატის კვინტილიანეს (Quintilian) აზრით, ირონია რიტორიკული სვლა და კრიტიკული აზროვნების სპეციფიკური ფორმაა, რომელიც საწინააღმდეგო აზრს გამოხატავს. (ლენინი 2011:240). თანამედროვე მკვლევრები კაუფერი (კაუფერი1981), ატარდო (ატარდო 2000), მაიერსი (მაიერსი 1977) ამტკიცებენ, რომ ასეთი განმარტება ზედმეტად ზოგადი და ფართოა და არა მხოლოდ ირონიას მოიცავს, არამედ ხატოვანი მეტყველების სხვა ისეთ ფორმებსაც, როგორცაა: მეტაფორა, მეტონიმია ან ალეგორია.

აქვე აღსანიშნავია პლატონის მიერ აღწერილი ირონიის დადებითი შეფასება ნაშრომში “Socratic dialogues” (სოკრატული დიალოგები), სადაც ის სოკრატეს ირონიულ მოქმედებას აღწერს, რომელიც მოსაუბრეს კითხვებს თავაზიან ფორმაში უსვამს, საკუთარ თავს უცოდინრად ასაღებს და ამით მსმენელისგან სიმართლის გაგება სურს. პლატონი სოკრატეს ირონიას განიხილავს არა როგორც განზრახ ნათქვამ ტყუილს, არამედ როგორც ფილოსოფიურ კატეგორიას, რომელსაც სოკრატე სოფისტებთან კამათში (რომლებსაც ყველაფრის ცოდნის პრეტენზია ჰქონდათ) იყენებდა, როგორც ზოგადი დებულებების გამომჟღავნების მეთოდს, ანუ როგორც საკუთარი ამოცანების ამოხსნის ინსტრუმენტს. მეორე მხრივ, სოკრატე აზრს პირდაპირ არ წარმოთქვამს, არამედ ფარისევლობს და ირონიას იმისთვის იყენებს, რომ ათქმევინოს სხვას, ეკამათოს და მიაღწიოს ჭეშმარიტებას. როგორც კირკეგორამ აღნიშნა, სოკრატე იყო პირველი, ვინც ირონიის იდენტიფიკაცია მოახდინა და ამით ახალდაბადებულ ბავშვს სახელი დაარქვა. “...gave a name to the child”. (ბოსველი 2001:32)

ირონიის კიდევ ერთი განმარტება მე-12 საუკუნეში დე ვილა დეიმ შემოგვთავაზა, (Alexander de Villa Dei), რომლის ციტატაც ნოქსის (ნოქსი 1989:10) ნაშრომიდან მოგვყავს: სიტყვებით გამოთქმული წინააღმდეგობა წარმოშობს ირონიას. “per voces dictis contraria dant ironiam” that means “Contraries, having been said through words,

produce ironia.” აქვე ნოქსს (ნოქსი 1989:19-25) გამოყენებული აქვს არისტოტელეს (რომელიც თვლიდა, რომ ირონია რიტორიკის ფენომენია) წინააღმდეგობრიობების 4 განმარტება: 1. კარგი-ცუდი (good and bad); 2. ის კარგია-ის არ არის კარგი (He is good and He is not good); 3. ორმაგი-ნახევარი (double and half); და 4. საპირისპირო პროპორციები (2:1 ან 1:2). ნოქსის აზრით, ირონიის არსებობისთვის აუცილებელია ზემოთ ჩამოთვლილთაგან წინააღმდეგობების მე - 2 პროპოზიცია: ის კარგია “He is good” და ის არ არის კარგი “He is not good”.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ირონიის ანალიზის პირველი ცდები პლატონთან და კირკეგორასთანაა დაკავშირებული, რომლებიც, ერთი მხრივ, მას როგორც ფილოსოფიურ და ესთეტიკურ კატეგორიად, მეორე მხრივ, კი როგორც ადამიანის აზროვნებისა და თავისუფალი მოქმედების რთულ, ღრმა და მახვილ კატეგორიად განმარტავდნენ.

მე-20 საუკუნეში საზოგადოების განვითარებასა და ღირებულებების ცვლილებებთან ერთად, ირონიის განმარტების კვლევა გრძელდება. ნოქსი (ნოქსი 1961, 1972), მუეკე (მუეკე 1969), ბუთი (ბუთი 1984) და სხვები ირონიის გაგებას ამატებენ ფუნქციონალურ დატვირთვას, რომელიც, კონკრეტულ სოციო-კულტურულ პირობებში გარემოსადმი პირადი ფსიქოლოგიური დამოკიდებულების გამოსატყვამში მდგომარეობს.

და, ბოლოს, თანამედროვე მკვლევრები მივიდნენ იმ აზრამდე, რომ პოსტმოდერნისტული პერიოდის ირონია ისეთი ენობრივი საშუალებაა, რომელიც მოქმედის მხრიდან იმ შემთხვევაში გამოიყენება, როდესაც მას სურვილი აქვს გამოხატოს საკუთარი მსოფლმხედველობა ექსპლიციტური და იმპლიციტური მნიშვნელობის ურთიერთქმედებით, რომლის სათავეში ნეგატიური და პოზიტიური კონტრაციების დაპირისპირება ძევს.

როგორც მუეკე აღნიშნავს, „ყოველი „სერიოზული“ მწერლისთვის, პოეტი იქნება ის რომანისტი თუ დრამატურგი, ირონია უფრო ნაკლებად რიტორიკული ან დრამატული სტრატეგიაა, რომლის გამოყენებაც მან შეიძლება ან დადებითად გადაწყვიტოს, ან არა. ირონია მწერლისათვის, უფრო მეტად, დროის ზოგადი ტენდენციის მიერ თავსმოსხვეული აზროვნების ფორმაა. “For most “serious” writers, whether poets, novelists, or dramatists, irony is now much less often a rhetorical or dramatic

strategy which they may or may not decide to employ, and much more often a mode of thought silently imposed upon them by the general tendency of the times.“ (მუეკე 1969:10).

ყოველ ცალკე აღებულ ისტორიულ ეპოქაში ადამიანი ირონიის ახალი მოდელის გააზრებას ცდილობდა იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად ქარაგმულად გამოხატავდა მოქმედი თავის მოსაზრებასა და დამოკიდებულებას რაიმე მოვლენისადმი, რაც მას საშუალებას აძლევდა ირონიის ობიექტი წარმატებით დაემცირებინა ან საერთოდ უგულებელიყო.

აქედან გამომდინარე, ირონია დროში ცვალებადი ფენომენია, რაც ისტორიულ განვითარებასთან ერთად რეალიზაციის, განვითარების მიმართულების, გამოყენების სფეროსა და განზრახვის პარალელური ცვლილებით დასტურდება. ისტორიული და კულტურული ეტაპების ცვლა აზროვნების სტერეოტიპების გადახედვას კარნახობს, რაც ირონიის თანმიმდევრულ ტრანსფორმაციას იწვევს.

სამყაროს ირონიული აღქმა ინტერპერსონალურ კომუნიკაციაში საზოგადოების მიერ მიღებული სპეციფიკური ეთიკური ნორმების დარღვევაზე იყო დაფუძნებული. იგი ასევე ემყარებოდა მოქმედისა და მსმენელის პირად ურთიერთობებს და რეალურად არსებულ თუ სასურველ სიტუაციებს შორის წარმოშობილ კონფლიქტს, რომელშიც ირონია ვლინდებოდა.

როგორც მუეკე ამტკიცებს, ირონია დაცინვის, სარკაზმის, ადამიანური ტრაგედიისა და კომედიის, კრიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილია და აუცილებლად ასოცირებულია ორაზროვნებასთან, პარადოქსთან, გარკვეულ ვერბალურსა და არავერბალურ წინააღმდეგობასთან, მოულოდნელობასთან, (მუეკე 1982). ეს მოსაზრება კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ დღეს ირონიამ ანალიზის ახალი განზომილება შეიძინა, რომელიც მოქმედის ფონურ ცოდნას, მის მიერ სამყაროს სპეციფიკურ აღქმასა და აზროვნების ზოგად სტილს ეყრდნობა.

ირონია ყოველთვის მოიცავს შეფასების კომპონენტს. ისტორიულ ჭრილში მისი განმარტების თავისებურება სამყაროს აღქმის პარადიგმების ცვლითაა გამოწვეული. ის დამოკიდებულია იმაზე, რომ ყოველ მომდევნო ისტორიულ ეტაპზე ადამიანი უფრო მეტ ირონიულსა და აბსურდულ სიტუაციებს განიცდიდა, ვიდრე წინა პერიოდში, რაც, თავის მხრივ, ცვლიდა ადამიანების მსოფლმხედველობას, საზოგადო ნორმებსა და ურთიერთგაგებას.

მაგალითად, ქვემოთ მოყვანილ ირონიულ გამონათქვამში ნათლად ჩანს ლექციების წაკითხვის შესახებ საკუთარი გადაწყვეტილებისადმი მარკ ტვენის დამოკიდებულება. მან შემდგენაირად შეაფასა და თავისებურად გამოხატა ლექციების ანონსი:

(4) "Doors open at 7 o'clock. The trouble to begin at 8 o'clock."

ირონიაზე მსჯელობის დროს მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ „ყოველთვის არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ მეტყველების აქტის ერთი მონაწილის ირონია მეორე მონაწილის გულწრფელობა იყოს.“ “one person’s irony is always possibly another person’s sincerity” (ფერნანდეზი და ჰიუბერი 2001:13). კიდევ ერთი ციტატა ამის დასტურად: „ცალკე აღებულმა მოქმედმა და მსმენელმა, რომლებსაც სამყაროზე კონკრეტული ცოდნა და საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილება აქვთ, მიუხედავად საერთო სოციალური ცოდნის გამოყენებისა, შეიძლება ერთი და იგივე ცხოვრებისეული სიტუაცია სხვადასხვანაირად შეაფასონ და აღიქვან.“ „...каждый из коммуникантов, имея свои знания о мире, свой жизненный опыт, хотя и пользуясь общим социальным знанием, может воспринимать и оценивать одну и ту же жизненную ситуацию по-разному.“ (სუსოვი 1990:25-133)

1.2 ირონია და გრაისის თეორია

გრაისი (1989:34) ამტკიცებს, რომ ირონია იმპლიკატურის ერთ-ერთი სახეა და მისი აქტუალიზაციის დროს მოქმელი ნათქვამს საწინააღმდეგო მნიშვნელობას საგანგებოდ ანიჭებს, რითაც არღვევს მაქსიმათაგან ერთ-ერთს, კერძოდ, ხარისხის მაქსიმას.

გრაისი სტანდარტულ იმპლიკატურაში შემდეგ მაქსიმებს გამოყოფს:

1. თვისობრივი ან ხარისხის მაქსიმა (maxim of quality) - მოითხოვს მხოლოდ იმის თქმას, რაშიც მოქმელი კომპეტენტურია და სჯერა, რომ მისი ნათქვამი სიმართლეა;
2. რაოდენობის მაქსიმა (maxim of quantity) - ნათქვამი შეიცავს საკმარის ინფორმაციას, როდესაც მოქმელი იმდენადვე ინფორმატიულია, რამდენადაც ამას სიტუაცია მოითხოვს, ანუ მისი ნათქვამი, იმდენად ინფორმატიული უნდა იყოს, რამდენადაც საჭიროა და არა უმეტეს ამისა;
3. რელევანტურობის მაქსიმა (maxim of relation) - ნათქვამი სიტუაციის მიმართ რელევანტური უნდა იყოს; და
4. მანერის მაქსიმა (maxim of manner) - ნათქვამი ნათელია მსმენელისათვის, რომელიც შემდგომი ინტერპრეტაციისას ხსნის, თუ როგორ აღწევს მოქმელი საკუთარ მიზანს, ანუ მანერის მაქსიმა ლაკონურობას, მოწესრიგებულობას გულისხმობს, როდესაც ნათქვამი არ არის ორაზროვანი. გრაისის ირონია უშუალოდაა დაკავშირებული გრძნობის, დამოკიდებულებისა და შეფასების გამოხატულებასთან. (გრაისი 1989:53).

ბრაუნი, ამანტე, კაუფერი, სპერბერი და უილსონი, ატარდო, გიორა მიუთითებენ, რომ ირონიის გამოცნობისათვის ხარისხის მაქსიმის დარღვევა საკმარისი არ არის და ამტკიცებენ, რომ სხვა მაქსიმების დარღვევამაც შესაძლოა გამოიწვიოს ირონია. ერთ-ერთ ბოლო ნაშრომში უილსონი გამოთქვამს მოსაზრებას გრაისისეულ ირონიაზე. „ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯია, თუმცა სხვა შემთხვევებში, ტროპების გრაისისეული განსაზღვრება კლასიკური განსაზღვრების მხოლოდ თანამედროვედ შემოსილი ვარიანტია.“ “It is only a first

step, though: in other respects, Grice's account of tropes is simply a modern-dress variant of the classical account.” (უილსონი 2006:1723).

უნდა აღინიშნოს, რომ ზედაპირზე უარყოფითი შეფასებით გამოხატული ირონია, რომელიც სიღრმისეულად რაღაც დადებითს გულისხმობს, უფრო იშვიათად გვხვდება, ვიდრე ზედაპირულად დადებითი განსჯის ირონია, რომელიც შეფარულ კრიტიკას გულისხმობს, რადგან კონტექსტში ყოველთვის არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ მოქმედმა და მსმენელმა ერთმანეთს ვერ გაუგონ, მიუხედავად სიახლოვისა (ანუ, მიუხედავად იმისა, რომ კომუნიკანტები შეიძლება იზიარებდნენ ფონური ცოდნის დიდ ნაწილს). ეს გრაისის ორი მაქსიმის - ხარისხისა და თავაზიანობის დარღვევის გამო ხდება.

თავაზიანობა მხოლოდ მაშინ გვხვდება, როდესაც მოქმელი ცდილობს მსმენელს შეუნარჩუნოს იმიჯი პატივისცემის გამოხატვით და არა კონფლიქტის ფორმით. ამ შემთხვევაში, როდესაც მოქმელი რაღაცას ამბობს, ღებულობს გადაწყვეტილებას მეგობრული იყოს, მსმენელის გრძნობებს გაუფრთხილდეს და არ გამოიწვიოს დაპირისპირება. ანუ პრაგმატიკული თავაზიანობა ადეკვატური სამეტყველო მექანიზმების არჩევანზეა დამოკიდებული, რომელიც შიდა თუ გარე (მოქმელის სოციო-, ეთნო- ფასეულობებსა და მორალურ კანონებს) ფაქტორებს ემყარება.

ამგვარად, შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ დიდი განსხვავება არ არის ნეგატიური თუ პოზიტიური ფორმით არის წარმოდგენილი ირონიული ნათქვამი (შექება ბრალდებით თუ ბრალდება შექებით). ორივე შემთხვევაში, მსმენელმა ირონიულად იმპლიციტური პროპოზიციული მნიშვნელობა უნდა მიიღოს, როგორც ჭეშმარიტი ფაქტების კონსტატირება. ირონიის ყოველ შემთხვევას თავისი სპეციფიკური კომუნიკაციური მიზანი ან განზრახვა, ემოციური გამოხატვა და კონტექსტი აქვს.

საფრთხის შემცველი ისეთი სიტუაციები, როგორცაა: კრიტიკა, დაუთანხმებლობა, ბრალდება ან დაჩივლება ყოველდღიურ ცხოვრებაში ხშირია და ინტერპერსონალურ ურთიერთობებში მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ამგვარად, თავაზიანობა მოქმელის კომუნიკაციური კომპეტენციის საკითხია. „არ თქვა ის, რაც გჯერა, რომ ყალბია.“ “Do not say what you believe to be false” (გრაისი 1975:46).

საანალიზოდ მოყვანილი შემდეგი მაგალითი ოსკარ უაილდს ეკუთვნის, რომელიც გამოყენებულია მის ერთ-ერთ ზღაპარში „პრინცესას დაბადების დღე“. იგი (5) წარმოადგენს პრინცესას, რომლის ერთადერთი მისწრაფება გართობა იყო. მას მოეწონა ცეკვა, რომელიც ჯუჯამ დაბადების დღეზე შეუსრულა. საწყალი გულგაბზარული ჯუჯა სცენაზე ცეკვისას გარდაიცვალა. შეკითხვაზე, თუ რატომ აღარ ცეკვაოდა მისთვის ჯუჯა, ჩემბერლენმა უპასუხა, რომ მას (ჯუჯას) გული დაემსხვრა და გარდაიცვალა, პრინცესამ კი უპასუხა, რომ შემდეგისათვის დასჭირდებოდა უფულო მოთამაშეები:

(5) For the future let those who come to play with me have no hearts. (უაილდი 1991:284)

ამ ბრძანებაში პრინცესამ, ფაქტობრივად, თავაზიანობის მაქსიმა დაარღვია, რადგან მისი ფსიქოლოგიური მდგომარეობა და ნათქვამის კომუნიკაციური ინტენცია უხეშია და არა მეგობრული. ამ კონკრეტულ მაგალითში ირონია მდგომარეობს იმაში, რომ პრინცესამ გააკრიტიკა ჩემბერლენი და ირიბი დირექტივის ფორმით დაადანაშაულა ის იმაში, რისი გამოსწორებაც და სამომავლო შესრულებაც მას არ ხელეწიფებოდა. ეს იყო, პრინცესას გაგებით, „ნორმალური“ დაბადების დღის მოწყობა.

1.3 ირონია და კონტექსტი

ირონიული მნიშვნელობის მქონე ყოველი გამონათქვამის ანალიზისა და დეკოდირების დროს კომუნიკაციის დამყარების მნიშვნელოვანი პირობა კონტექსტის „გაგებაა“.

თანამედროვე მკვლევრების მიერ ირონიის ამგვარი აღქმა საშუალებას გვაძლევს უფრო ფართოდ გამოვიკვლიოთ ირონიის გადმოცემის სპეციფიკა იმიტომ, რომ კონტექსტი, ამ შემთხვევაში, არა მხოლოდ ირონიული კომუნიკაციის აუცილებელი პირობა, არამედ ენის დამახასიათებელი თვისებაა, რომლის დროსაც ცალკე აღებული ერთეული და სრული ტექსტი ერთობლიობაშია მოყვანილი.

ირონიის შემთხვევაში მისი რეალიზება დამოკიდებულია კონტექსტის პრესუპოზიციებზე, რომელიც ცალკე აღებული სიტუაციით შემოიფარგლება. პრესუპოზიცია არასდროს დევს ზედაპირზე, ის იმპლიციტური კატეგორიაა, რომელიც მოიცავს წინაპირობას, ამოატივტივოს კონტექსტში ჩადებული ინფორმაცია და, ამასთანავე, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ირონიის აღქმისა და დეკოდირების დროს. აქ მთავარია მსმენელი სამეტყველო „თანამშრომლობაში“ იყოს დაინტერესებული, ხოლო მთქმელს მოეთხოვება, გამოხატოს საკომუნიკაციო ინტენცია ემოციურად მდიდარი ირონიული ნათქვამის მეშვეობით იმისთვის, რომ მიაღწიოს თავის მიზანს, გარკვეული გავლენა იქონიოს მსმენელზე.

ემოციური, ექსპრესიული, ირონიული ნათქვამების ხშირი გამოყენება განპირობებულია იმით, რომ კომუნიკანტები ცდილობენ, გადმოსცენ არა მხოლოდ მშრალი ინფორმაცია, არამედ შექმნან სინამდვილისადმი თავისებური ემოციური დამოკიდებულების მოდელი.

ამის კარგი მაგალითია შემდეგი:

(6) Such is his popularity that the locals (people in Chukotka) refer to BA and AA: before Abramovich and After Abramovich. (სოარსი 2005:75)

ჩუკოტკის ტერიტორიაზე მაცხოვრობლები ძალზე ემაღლიერებიან აბრამოვიჩს, რადგან მან დაახლოებით 300 მილიონი ამერიკული დოლარი დაახარჯა ამ

მიყრუებულ ტერიტორიას. როგორც მაგალითიდან (6) ვხედავთ, ირონია “BA” and “AA” (აბრამოვიჩამდე და აბრამოვიჩის შემდეგ), ასოციაციურად ანალოგიურია გამოთქმისა - ქრისტეშობამდე და ქრისტეშობის შემდეგ, ანუ, ეხება ამ ხალხის ისტორიას და ცხოვრების მნიშვნელოვან პერიოდებს. მსმენელს, ასეთ შემთხვევებში, სასურველია, ჰქონდეს ექსტრალინგვისტური ცოდნა, რომ ნათქვამის ირონიული ინტენციის ადეკვატური დეკოდირება მოახდინოს.

თუ შევადარებთ საყოველთაოდ მიღებულ ირონიის ორ განსაზღვრებას, დავინახავთ, რომ პირველის თანახმად, ირონიას ძალუძს, გამოხატოს საპირისპირო (opposite) მნიშვნელობა (სოკრატე, კირკეგორე, გრაისი), ხოლო მეორე განსაზღვრების მიხედვით, რომელიც თანამედროვე მეცნიერებმა შემოიღეს - კოულბრუკი, სპერბერი და უილსონი, გიბსი, გიორა და სხვები - ირონია გამოხატავს არა მხოლოდ საპირისპირო, არამედ განსხვავებულ (different) მნიშვნელობასაც.

პირველი განმარტება უფრო სპეციფიკურია, მაშინ, როდესაც მეორე ბევრად ზოგადია, რადგანაც ის თანაბრად შეიძლება გამოვიყენოთ არა მხოლოდ ირონიის შემთხვევაში, არამედ მხატვრული მეტყველების ისეთ ხერხებთან, როგორცაა: მეტაფორა, მეტონიმია, ჰიპერბოლა და სხვა.

მაგალითად, მეტონიმის შემთხვევაში ყოველთვის არსებობს ამ ტროპის ირონიული ინტერპრეტაციის შესაძლებლობა, რადგან მეტონიმის დროს მოქმედი ამბობს ერთს, მაგრამ გულისხმობს საპირისპიროს. (“using an expression to convey its opposite”) (ვოსჰაგენი 1999:290). მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ გამოთქმა „კარგი იდეაა“ - “big idea” ნათქვამი მაშინ, როდესაც რამე შეთავაზება სულაც არ არის მისაღები ან მისასალმებელი - “unwelcome suggestion”. (რადენი 2003:416); „რა კარგად დამეხმარე“ – „you were a big help” გამოთქმული მაშინ, როდესაც ადამიანს საერთოდ არ გაუწევია დახმარება; “მაკდონალდსმა გაგათავისუფლა?” – “Did McDonald’s fire you?” – ამ კონტექსტში მოქმელს სურს, გააგებინოს მსმენელს, რომ ის სინამდვილეში სულაც არ არის კარგი მუშაკი და ამიტომ გაუშვეს სამსახურიდან; ან გამოთქმა „რა კარგად მიგიღეს ჰოლივუდში“ (როგორც ჩანს, ჰოლივუდს მოეწონე) – “Hollywood liked you, I suppose” (<http://web.cn.edu>) - გამოყენებული მაშინ, როდესაც ჰოლივუდში მგზავრობა წარუმატებელი აღმოჩნდა.

ირონიის აქტუალიზაციის შემთხვევაში ნათქვამის ინტენცია და მისი მნიშვნელობა ურთიერთ საწინააღმდეგო ან ერთმანეთისგან განსხვავებულია, რაც ნათლად ჩანს მოცემულ კონტექსტში. ირონიის ლინგვისტური არსის კვლევა ირონიული ნათქვამის მნიშვნელობის ემოციურობის, კრიტიკისა და შეფასების მრავალფეროვნებითა და ურთიერთქმედებით არის განპირობებული.

მაგალითად, მოსაუბრის მიერ გამოყენებული ირონიის მთავარი ილოკუციური ინტენცია მსმენელის არმოწონება/უკმაყოფილებაა მოლოდინის გაუმართლებლობის გამო და არა მისი წარმატებით გამოწვეული შექება/აღტაცება: ისე როგორც „რა წარმატებაა“ - “What a success!”-ში იგულისხმება წარუმატებლობა (ფერნანდეზი და ჰიუბერი 2001:3).

ამგვარად, ფერნანდეზი ამტკიცებს, რომ მოლოდინის გაცრუება აუცილებელი პირობაა ირონიის არსებობისა და მისი სათანადო, ადეკვატური ინტერპრეტაციისთვის. აქ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ირონიული კონტექსტი არის ისეთი საკომუნიკაციო სიტუაცია, რომელიც აუცილებლად შეიცავს გარკვეული მოვლენისა და ფენომენის დაგმობის, გაღიზიანებისა და კრიტიკის ემოციურ თუ შემფასებლურ კომპონენტებს.

მაშასადამე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ირონიული ნათქვამის დანიშნულება ისეთი რემარკის გაკეთებაა, რომელიც იმპლიციტურად არა მხოლოდ იმის საპირისპიროს ნიშნავს, რასაც მოსაუბრე გულისხმობს, არამედ დამატებით სხვა რამესაც, რაც ირონიული მნიშვნელობების მთელ კომპლექსს შეადგენს და, რაც მთავარია, მსმენელის აზროვნებაში კონკრეტული სიტუაციური კონტექსტის ფარგლებში იჩენს თავს.

ექიმის რიტორიკული შეკითხვა (მაგალითი (7)), რომელმაც წინასწარ იცის პასუხი, რადგანაც, ზოგადად, არავის უნდა ფრონტზე წასვლა იმის შემდეგ, რაც დაიჭრა და ჯერ არ გამოჯანმრთელებულა, ირონიულია. ომში, თავის მძღოლებთან ერთად ფრონტზე წასვლისას, ჰენრი დაიჭრა. ჰოსპიტალში მოთავსებისას მას უთხრეს, რომ მუხლზე ოპერაციას 6 თვეში გაუკეთებდნენ. ჰენრიმ თავისი ნეგატიური დამოკიდებულება ექიმების ვერდიქტის გაპროტესტებით გამოხატა, რაზეც ექიმისგან შემდეგი პასუხი მიიღო:

(7) The doctor spread his delicate fingers on the cap he held and smiled: You are in such a hurry to get back to the front? (ჰემინგუეი 1977(1):74)

ლევინი თვლის, რომ ირონიის დამახასიათებელი დიფერენციალური ნიშან-თვისება ექსპლიციტურად გამოთქმული მნიშვნელობის ფაქტობრივად საწინააღმდეგო აზრის გამოხატვაა. დამატებით, იგი ორი სახის ირონიას გამოჰყოფს - ერთი ფოკუსირდება სიტყვაზე და მას ეწოდება საკუთრივ ირონია. ამ შემთხვევაში იგი გვევლინება სისტემურ ტროპად მაშინ, როცა ირონიის მეორე სახეობა ფოკუსირდება წინადადებაზე და აღნიშნავს იმ შემთხვევებს, როდესაც ირონია კონტექსტუალური პარამეტრებითაა დატვირთული. ლევინი ასევე დასძენს, რომ მკვლევრების მზარდ ინტერესს სწორედ ირონიის მეორე ტიპი იწვევს, რადგანაც ყოველ ცალკე აღებულ კონტექსტში სიტყვა სხვადასხვა ირონიულ ელფერს იძენს, რაც თავის მხრივ, დამოკიდებულია მოქმედის განსხვავებული სიტუაციიდან გამომდინარე ინტენციებზე და ინტერკომუნიკაციის დროს ჩნდება. (ლევინი 1982:116-118)

1.4 ირონიის წარმოშობის მიზეზები

ირონიის მთავარი პრობლემა მაშინ ჩნდება, როდესაც დგება საკითხი, თუ რატომ არჩევს მთქმელი, გამოიყენოს ირონიული ნათქვამი კონკრეტულ კონტექსტსა ან/და სიტუაციაში, ან, სხვაგვარად რომ ვთქვათ, კომუნიკანტი თავისი აზრის გამოხატვისას რატომ მიმართავს ირიბ გზას, „მიანიჭოს“ კონკრეტული პრაგმატიკული ინტენცია რომელიმე საკომუნიკაციო აქტს. რატომ არ შეიძლება მოსაუბრემ მსმენელი ან მესამე პირი ღიად გააკრიტიკოს?

დავიწყოთ იმით, რომ ინტერკომუნიკაციის ისეთი მომენტები არსებობს, როდესაც მთქმელმა თავიდან შეიძლება ვერც გააცნობიეროს, რომ მისი ნათქვამი ირონიულად იქნება აღქმული და ინტერპრეტირებული. თუ გავითვალისწინებთ ნაცუმეს აზრს, „ყველაზე მწვავე ირონია მაშინ იბადება, როდესაც მთქმელი მას შეუგნებლად იყენებს“. “The bitterest irony is what a person utters without realizing it.” (ნაცუმე 1992:43). ჩვენ არ ვეთანხმებით ნაცუმეს, რადგანაც, ჩვენი აზრით, ირონიულ ნათქვამს ყოველთვის თან ახლავს გარკვეული ინტენცია, წინასწარი განზრახვა, თუმცა, ამავე დროს, ის შესაძლოა სპონტანურადაც წარმოიშვას. ამ პრობლემაზე მსჯელობის დროს დიუსი მიიჩნევს, რომ მოსაუბრე ირონიას იყენებს, რათა საკუთარ თავს დაუმტკიცოს, რომ აკონტროლებს ემოციებს. (დიუსი და უინერი 1995:347). ჩვენი აზრით, ჩამოთვლილ პრობლემატიკაზე შეიძლება დავამატოთ:

1. ყველა მეტყველ საზოგადოებას აქვს საკუთარი ნორმები და ტრადიციები, რომლებიც არეგულირებენ, ზღუდავენ ან კრძალავენ რაიმე სახის საკომუნიკაციო ქცევას. მაგალითად, მსოფლიოში ცნობილი კულტურების თითქმის ყველა ეთიკის ნორმის გათვალისწინებით, აკრძალულია ელაპარაკო უფრო მაღალი სოციალური სტატუსის მქონე ადამიანს ბრძანებითი კილოთი. ამიტომაც, ირონიის გამოყენებით მთქმელს ეძლევა საშუალება გამოხატოს ის, რისი თქმაც პირდაპირ არ შეიძლება, მით უფრო, სოციალურად მაღალ საფეხურზე მდგარ ადამიანთან საუბრის დროს. შესაბამისად, მთქმელმა ირონიული ნათქვამი შეიძლება გამოიყენოს, რათა მაქსიმალურად წარმატებულად მიადწიოს თავის მიზანს:

- ა). როდესაც უნდა მართოს მსმენელი;
- ბ). როდესაც უნდა ასიაშინოს მსმენელს;

გ). როდესაც უნდა, რომ მსმენელის გარდა სხვამ ვერაფერს გაიგოს მისი ნათქვამის მნიშვნელობა;

დ). როდესაც უნდა, რომ საერთოდ შეწყვიტოს კომუნიკაცია. აქ ნათლად ჩანს მთქმელის საკომუნიკაციო კომპეტენცია - იცოდეს მოცემულ კონკრეტულ სიტუაციაში რა არ შეიძლება, რა არის დასაშვები ან/და რა არის აუცილებელი რომ ითქვას.

2. მთქმელს აქვს შინაგანი ინტენცია გამოხატოს საკუთარი დამოკიდებულება და, ამავდროულად, შექმნას სპეციფიკური ირონიული ეფექტი, რომელიც შემდეგ დაეხმარება მას, მოხსნას გარკვეული ფსიქოლოგიური დაძაბულობა, გავლენა მოახდინოს მსმენელზე და შეაცვლევინოს მას აზრი კონკრეტული სიტუაციის მიმართ. ირონიის ყოველი აქტი გამოხატავს მთქმელის კომუნიკაციური ინტენციის კონკრეტულ თავისებურებებს - შთაბეჭდილება მოახდინოს, უარყოს, დაადანაშაულოს, უსაყვედუროს, ბრალი დასდოს, გააპროტესტოს, შეეკითხოს, დაგმოს, აუკრძალოს მოსაუბრეს რაიმე განზრახვა, დაუწუნოს, ან გააკრიტიკოს ის და, ამავდროულად, ფარულად გამოხატოს თავისი გაღიზიანება, გაბრაზება ან უარყოფითი დამოკიდებულება კონტექსტისადმი. ამის დასტურად გვინდა მოვიყვანოთ ოსკარ უაილდის სიტყვები, სადაც კარგად ჩანს, რომ ირონიის მეშვეობით მთქმელი აღრმავებს და ამდიდრებს თავის ნათქვამს ირონიული ეფექტით იმისთვის, რომ რეალობის საკუთარი სუბიექტური შეფასება კარგად შენიღბოს: „თუ გინდა ადამიანებს სიმართლე უთხრა, გააცინე ისინი, თორემ მოგკლავენ.“ „If you want to tell people the truth, make them laugh, otherwise they'll kill you“. ყველაფერს ამას შეიძლება მიაღწიო ემოციურად გაჯერებული მეტყველებით, რომელსაც ზემოქმედების დიდი ძალა აქვს. დიუსი თავის ნაშრომში „რატომ არ უნდა ვთქვათ პირდაპირ“ (დიუსი და უინერი 1995) მიიხსენებს, რომ მთქმელი იყენებს ირონიას, რადგან იცის, რომ ირონიული ნათქვამი საინტერესოა და მას ხშირად თან ახლავს სიცილი.

3. მთქმელი იყენებს ირონიას, როგორც დამცავ ელემენტს, როდესაც ხედავს, რომ მოცემულ სიტუაციაში მას შეიძლება გარკვეული საფრთხე დაემუქროს.

4. ირონია, კარგი საშუალებაა, ასევე, საზოგადოების ახალი ისტორიული ეტაპის წესებისადმი ადაპტაციის დროს (სოკრატეს პერიოდიდან დაწყებული პოსტმოდერნიზმის ეპოქით დამთავრებული).

1.5 ირონია სპერბერის და უილსონის თეორიის თვალსაზრისით

სპერბერი და უილსონი თავიანთ ნაშრომში „Relevance“ (სპერბერი და უილსონი 1986) და შემდგომ კვლევაში „Irony and relevance“ (სპერბერი და უილსონი 1998) ამტკიცებენ, რომ გარკვეულ გარემოებებში ნებისმიერი ობიექტი შეიძლება იყოს სხვა ნებისმიერი ობიექტის რეპრეზენტაცია, რომელიც ასახავს პირველი ობიექტის თვისებებს, გამოხატავს მსმენელის კრიტიკულ დამოკიდებულებას მის მიმართ და მიანიშნებს მის შეუსაბამისობაზე.

მათ უერთდებიან კროიცი და გლუკსბერგი, რომლებიც თვლიან, რომ ნებისმიერი გზავნილის მსგავსება ადრე ნახსენებ ობიექტთან უფრო დიდია, თუ მას ამ გზავნილის მეტი ლოგიკური ან კონტექსტუალური იმპლიკაცია და თვისებები აქვს. (კროიცი და გლუკსბერგი 1989:374-386) ამგვარად, ირონია არა მხოლოდ ირიბი მეტყველების აქტია ან სხვისი ნათქვამის ციტირება, არამედ ამ გამონათქვამის - გზავნილის რელევანტური ინტერპრეტაციაც არის. მკვლევრები დასძენენ, რომ ირონია ყოველთვის იმპლიკაციას და მთქმელის დამოკიდებულებას შეიცავს და თვლიან, რომ სხვისი ნათქვამის ციტირების ასპექტი ძალიან მნიშვნელოვანია ირონიის განსაზღვრისას.

(8) It's a lovely night for a walk, Catherine said. (ჰემინგუეი 1977(1):190)

ეს წინადადება, გამოთქმული სასტუმროს ფოიეში, შეიძლება არ იყოს უშუალოდ სხვა ადამიანის ნათქვამის ციტირება, მაგრამ კეტრინისა და ჰენრის აზრისა და ფიქრის განმეორებაა, რადგანაც ისინი ჯერ კიდევ ოთახში ყოფნისას ახსენებდნენ ცუდ ამინდს. ნოემბრის იმ ცივ და წვიმიან ღამეს, როდესაც კეტრინი და ჰენრი გაქცევას აპირებდნენ, შტორმი მძვინვარებდა და ქროდა ძლიერი ქარი. სამწუხაროდ, მათ სხვა გზა არ ჰქონდათ, თუ არ გაიქცეოდნენ, ჰენრის დააპატიმრებდნენ. აქ მთქმელი (კეტრინი) „ამატებს“ თავისებურ, გარკვეულ დამოკიდებულებას სიტუაციისადმი და საკუთარ მესიჯს ირონიული ინტონაციის დახმარებით გადმოსცემს, რომელიც, თავის მხრივ, ირონიულ მნიშვნელობას სძენს მთელ გამონათქვამს.

ასე რომ, შეიძლება დავუშვათ, რომ ირონია ექოსმაგვარი ნათქვამების ნაირსახეობაა, რომელიც მთქმელის „ეკოდ აღქმულ“, განმეორებით აზრთან დამოკიდებულების გამოსახატავად გამოიყენება. „...variety of echoing utterances, used

to express the speakers attitude to the opinion echoed”. (უილსონი და სპერბერი 1992:59).
საინტერესოა ისიც, თუ რამდენად სპონტანურად აფასებს კეტრინი ამინდს ირონიული გამონათქვამის მეშვეობით.

იამანაში დასძენს, რომ: „წინასწარ განუზრახველი ირონიის არსებობა... ამტკიცებს, რომ ბუნებრივ პირობებში ენაში უფრო მეტი რამ არის დაფარული, ვიდრე ტროპების სემანტიკურსა და პრაგმატიკულ თეორიაში გვიოცნებია.”

“The existence of unintentional ironies ... indicates that there are more things in natural language than have been dreamt of in our semantic and pragmatic theory of figures of speech.”

(იამანაში 1998:278) მკვლევრის აზრით, ბუნებრივ დიალოგებში ირონია, ხშირ შემთხვევაში, წინასწარ არ არის განზრახული და სპონტანურად ჩნდება საუბრის მსვლელობის დროს.

იორგენსენი (იორგენსენი 1984), იამანაში (იამანაში 1998), კურკო (კურკო 2000) ამავე აზრს ავითარებენ და ამბობენ, რომ ზოგი ნათქვამი არის ირონიულობისა და არაირონიულობის ზღვარზე, ანუ არც სრულად ირონიულია და არც არა ირონიული. ასეთ შემთხვევაში პროპოზიციის განზრახული მნიშვნელობა არ არის მტკიცედ გამოხატული, არამედ იგი „სადღაც ზემოთ, ჰაერში დაღივლივებს“, “somewhere up in the air”. (სპერბერი და უილსონი 1998:6) ანუ მისი გამოცნობა და აღეკვებური ინტერპრეტირება მთლიანად მსმენელზეა მინდობილი.

გვინდა კიდევ ერთი ექოიკური ირონიის მაგალითი მოვიყვანოთ. ქრისტინი და ენდრიუ გასაცნობად მეზობლის მდიდარ ოჯახს ესტუმრნენ. ენდრიუს ეს ოჯახი არ მოეწონა. მეორე საღამოს, მადლიერების ნიშნად, მასპინძელმა ქალბატონმა ქრისტინს ყვავილები და წიგნები გაუგზავნა. ამ კეთილმა შესტმა ცოლ-ქმარში კინკლაობა გამოიწვია. ენდრიუს რეპლიკაში ირონია აშკარად ჩანს. ის იმეორებს ქრისტინის სიტყვას „კეთილი-kind“, თუმცა ტვირთავს მას ირონიული ხასიათით. უფრო კონკრეტულად, ამ სიტყვებში ვლინდება საწინააღმდეგო მნიშვნელობა იმისა, რაც ითქვა და რაც იყო ნაგულისხმევი. ენდრიუ გამოხატავს გაკვირვებას, გაოცებას და ნეგატიურ დამოკიდებულებას ქრისტინის სიტყვებისადმი:

(9) “Look, love!” Christine cried. “Isn’t Mrs Vaughan kind?”

Andrew stiffened. “Very kind! Books and flowers from the rich lady! (კრონინი 1993:41)

ამ მაგალითში ირონიული დატვირთვა იმდენად აშკარაა, რომ შეგვიძლია ადვილად წარმოვიდგინოთ როგორი ინტონაციითა და ირონიული ტონითაა გაუღენთილი ძახილის ნიშნით გამოხატული ნათქვამი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ენდრიუ ქრისტიანის სიტყვებს სრულად იმეორებს და მოეღის, რომ ირონიის მეშვეობით ქრისტიანი კარგად გაიგებს ენდრიუს კრიტიკულ დამოკიდებულებას მომხდარის მიმართ.

სპერბერი და უილსონი ამტკიცებენ, რომ ნათქვამი შეიძლება არსებობდეს არა მხოლოდ სხვა ადამიანის სიტყვების გამეორების ფორმით, არამედ თავად მოსაუბრის იდეების ხელახლა გამოთქმითაც, რომლებიც ადრე მას რეალური ან წარმოსახვითი სახით ჰქონდა გააზრებული. ასევე, შესაძლოა რაიმე სტანდარტული სიტუაციისა და ნორმის მოლოდინის „ექიორება“. მაგრამ, არ უნდა დაგვავიწყდეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დეტალი: ადეკვატური პროცესირებისთვის ასეთი ციტირება მსმენელისთვის რელევანტური უნდა იყოს (სპერბერი და უილსონი 1998:283-293.)

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ნათქვამი შეიძლება იყოს სხვისი წარმოთქმულის გამეორება-ციტირება, თუმცა, იმავდროულად, სულაც არ წარმოადგენდეს ირონიას:

(10) She said that they claimed that he was absent at the lesson.

სპერბერი და უილსონი (სპერბერი და უილსონი 1981) სამართლიანად მიიჩნევენ, რომ ირონიის არსებობისთვის მხოლოდ ციტირება არ არის საკმარისი პირობა. მსმენელი ნათქვამს ციტირებად მხოლოდ მას შემდეგ აღიქვამს, რაც გადაწყვეტს, რამდენად მნიშვნელოვანია ეს ნათქვამი მისთვის. მკვლევრები ამტკიცებენ, რომ „ირონიის ანალიზი ყველაზე კარგად ზოგადი სურვილებისა და ნორმების დისოციაციური ექიორების მეშვეობით ხორციელდება“. “...we claim that the irony is best analysed as involving the dissociative echoing of (possibly exaggerated) general desires or norms.” (სპერბერი და უილსონი 1998:284).

ქვემოთ მოყვანილი ნათქვამებიდან პირველი მაგალითი უილსონისა და სპერბერის ნაშრომიდან ვისესხეთ, ხოლო მეორე ჩვენ მიერ მოპოვებული მასალაა.

(11) I'm tired.

You are tired. And what do you think I am? (სპერბერი და უილსონი 1981:306).

(12) He is a good priest, said the major.

He is a good priest, said Rinaldi. But still a priest. (ჰემინგუეი 1977(1):126)

ამ მაგალითების ინტერპრეტაციის დროს, პირველ რიგში, უნდა გავაცნობიეროთ, რამდენად ირონიულია კონტექსტი და რამდენად „ჩართულია“ მთქმელი ირონიაში. სპერბერისა და უილსონის აზრით, ირონიის გააზრების აუცილებელი პირობა მთქმელის დისოცირებაა, და მისი დისტანცირების მიზეზი განსხვავდება სიტუაციის მიხედვით. მაგალითად, (12) გამონათქვამის თავდაპირველი იდეა შეიძლება იყოს ზედმეტად რბილი, ყალბი ან აბსურდულიც კი.

ასე რომ, ამ თეორიის მიხედვით, მსმენელმა ირონიული მესიჯი რომ გაიგოს, მან უნდა: 1) გაიაზროს, რომ ეს მესიჯი ნამდვილად სხვისი ნათქვამის ან აზრის ექოა; 2) ამოიცნოს მთქმელის დამოკიდებულება გამონათქვამისადმი; 3) გაიაზროს, რომ მთქმელი დისოცირდება, ემიჯნება ირონიულ გამონათქვამს. დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ იმისათვის, რომ გამონათქვამი ირონიული იყოს, მას აუცილებლად უნდა ჰქონდეს ექოიკური ციტირების სტატუსი და ამუღანებდეს მის მიმართ მოსაუბრის პოზიტიურ ან უარყოფით დამოკიდებულებას.

ამგვარად, როგორ შეუძლია მსმენელს დარწმუნდეს, რომ მთქმელი მესამე პირის სიტყვებს იმეორებს? რა თქმა უნდა, იმის მიხედვით, თუ როგორ წარმოაჩენს მთქმელი თავის გზავნილს, პროსოდიული და პარალინგვისტური მახასიათებლების (ინტონაციის, უესტების ან მიმიკის) მეშვეობით. მათი პრაგმატიკული ფუნქცია გამონათქვამის მნიშვნელობის გაგების პროცესში ვლინდება და მის გაგებას ართულებს ან აძნელებს. არსებობს ორი მოსაზრება სპეციფიკური ირონიული ინტონაციის არსებობის შესახებ. მკვლევართა ერთი ჯგუფი ამტკიცებს, რომ არავერბალური ელემენტები (მახვილის ადგილის შეცვლა, შენელებული ლაპარაკი, მარცვლის გაგრძელება) ირონიას მუდმივად

თან ახლავს (კატლერი 1995; სერლი 1979; სპერბერი და უილსონი 1981; კლარკი და გერივი 1984; კროიცი და რობერტსი 1995; ჰავერკატე 1990); ხოლო მეცნიერთა მეორე ნაწილის მოსაზრებით, ირონიული ხმის ტონი საერთოდ არ არსებობს (გრაისი 1989; ატარდო 2003; გიბსი და კოლსტონი 2007).

ამრიგად, მსმენელი ირონიას არა მხოლოდ სიტყვათა სისტემური ლინგვისტური მნიშვნელობით აღიქვამს, არამედ მოსაუბრის არავერბალური ინტენციებითა და კონტექსტური მნიშვნელობებითაც. ასე რომ, ირონიაზე საუბრისას, შეიძლება ვთქვათ, რომ ეს წმინდა პრაგმატიკული კონცეპტია, რომელიც კონტექსტსა და მოქმედის ინტენციასზე დამოკიდებული.

ატარდოს აზრით, ამ თეორიის სუსტი წერტილი ის არის, რომ ძნელია გაარკვიო, არის თუ არა ნათქვამის წერილობითი ვერსია ირონიული, როდესაც მას თან არ ერთვის დამხმარე საშუალება - ინტონაცია ან სხვა სუპრასეგმენტური საშუალებები. (ატარდო 2000). ამ თვალსაზრისით, შეიძლება, გარკვეულწილად, შევეწინააღმდეგოთ ატარდოს, ვინაიდან ინტონაცია წერილობით მეტყველებაში გარკვეული პუნქტუაციის საშუალებებით გამოიხატება, რაც კარგად ჩანს ჩვენ მიერ მოყვანილი მაგალითებიდან. გარდა ამისა, გამონათქვამის ჭეშმარიტი მნიშვნელობის ინტერპრეტირებისათვის ეფექტური გზა კონტექსტზე დაკვირვებაა, თუმცა, მეორე მხრივ, ისიც უნდა დავამატოთ, პროსოდიული და პარალინგვისტური კონტრაცია გამონათქვამის ადეკვატურ აღქმას ნამდვილად აადვილებს.

1.6 ირონია და ენანტიოსემია

ირონიული ინტონაციის მნიშვნელობის განხილვისას გვინდა შევეხოთ „ენანტიოსემიის“ პრობლემას, რომელიც იქ ჩნდება, სადაც არსებობს შეუსაბამობა ნათქვამის პირდაპირ მნიშვნელობასა და იმ ინტონაციას შორის, რომლითაც ის გამოითქმის.

„სიტყვების ენანტიოსემიური გამოყენების ყველა შემთხვევას ერთი საერთო თვისება ახასიათებს გამოხატოს მოქმედლის დამოკიდებულება და შეფასება კომუნიკაციის ობიექტისა.“ “But all the enantiosemitic uses of words display one common feature: they all express the attitude of the speaker to the subject of conversation, the subjective evaluation of what is taking place”. (მინაევა 2007:43)

ენანტიოსემია ირონიის დამახასიათებელი ნიშანია და სიტყვის ორ პოლარულ - პოზიტიურსა და ნეგატიურ - სემანტიკურ კონოტაციებს შორის არსებულ წინააღმდეგობას წარმოადგენს, როდესაც ცალკე აღებული ნათქვამი თავდაპირველად პოზიტიურია, მაგრამ შემდგომ კონკრეტულ კონტექსტში ნეგატიურ კონოტაციას იძენს იმ პირობით, რომ ეს ნათქვამი განსხვავებული ინტონაციით, ანუ სხვა პროსოდიული პარამეტრებით წარმოითქმება.

ენანტიოსემია ახასიათებს ისეთ სიტყვას, რომელშიც შეიმჩნევა საპირისპირო ან პოლარული სემანტიკური შტრიხების განვითარება სპეციფიკური პროსოდიული სტრუქტურის ფონზე. მაგალითად, შეიძლება მოვიყვანოთ სიტყვა “precious”, რომელსაც რამდენიმე მნიშვნელობა აქვს. ამ სიტყვის პირველი და მეორე მნიშვნელობის ვარიანტები მოითხოვენ შესატყვის ნეიტრალურსა და პოზიტიურ ინტონაციას: „precious 1” - of great value (*precious stones*); „precious 2” - dearly loved (*Her children are very precious to her*). ხოლო მესამე მნიშვნელობას ნეგატიური ინტონაცია ახასიათებს, რომელიც არ შეეფერება ამ სიტყვის პირველად ლექსიკურ კონოტაციას და, მაშასადამე, გამოიყენება ენანტიოსემიურად. “precious 3” - (*That precious father of his*). (მინაევა 2007:43).

აქვე აღსანიშნავია, რომ ზოგი სიტყვის ენანტიოსემიური გამოყენების მაგალითი ლექსიკონებში ცალკე განაყოფად არის შესული, როგორც ფართოდ მიღებული ერთეული: nice - you’ve got us into a nice mess; and glorious - what a glorious mess!

ნებისმიერი სიტყვის ენანტიოსემიურსა და ირონიულ გამოყენებას ერთი საერთო თვისება ახასიათებს - ყველა ასეთი შემთხვევა მოქმედის პოზიციას, საუბრისადმი მის დამოკიდებულებას და სუბიექტურ შეფასებას გამოხატავს.

მინაევა აფრთხილებს მკითხველს, რომ არ იქნება სწორი ამ ორი მოვლენის (ირონიისა და ენანტიოსემიის) გაიგივება. “მათ შორის არსებობს ძალიან შეუმჩნეველი განსხვავება იმიტომ, რომ ეს კატეგორიები ყველაზე ძნელად ექვემდებარება ანალიზს, აღქმას, ტრანსკრიფციასა და „გაზომვას“. ორივე შემთხვევაში ბევრი რამ ნათქვამის პროსოდიულ გაფორმებაზეა დამოკიდებული. “The difference between enantiosemy and irony is very subtle because these categories are among the most difficult to analyse being hard to perceive, transcribe and ‘measure’... in both cases very much depends on the prosody of the utterance.” (მინაევა 2007:44).

1.7 ირონიის თანამედროვე განმარტებები

ირონიის ტიპოლოგიური განსაზღვრების მრავალი მცდელობის მიუხედავად, დღემდე ვერავინ შეძლო მისთვის საერთო (ყველასთვის მისაღები) განმარტების მოძებნა. ნაშრომის ამ ნაწილში ჩვენი კვლევის ფარგლებში გამოკვეთილ პარამეტრებზე დაყრდნობით შევეცადეთ ირონიის განმარტების თანამედროვე, არსებული ვითარების შეჯამებას და შემდგომ ირონიის კომპლექსური განსაზღვრის გამოყვანას.

ერთი რამ უდავოა: ირონია, როგორც წინააღმდეგობრივი ესთეტიკური მოვლენა, მსმენელის მიერ შეფასების ნეგატიურ ან პოზიტიურ პოზიციაზეა დამყარებული. როგორც მეტყველების ინსტრუმენტი, ირონია ხშირად განსაკუთრებული მიზნებისთვის გამოიყენება.

ირონიის არსის დადგენის თემა იკვეთება ლინგვისტურ კვლევებში, რომლებშიც ავტორები სემანტიკური, ზოგადვერბალური და ლოგიკური თეალსაზრისით ცდილობენ, განმარტონ, თუ რატომ გვხვდება ირონია ტექსტის ყველა დონეზე: პოლიტიკაში, რეკლამაში, მხატვრულ ტექსტებში, ყოველდღიურ კომუნიკაციაში, ხელოვნებაში, თეატრში. ირონიის ანალიზის სირთულე დაკავშირებულია იმასთან, რომ ირონიული ნათქვამი შესაძლებელია სხვადასხვა ფუნქციისა და ინტენციის მატარებელი იყოს; მას ახასიათებს როგორც იმპლიციტური და ექსპლიციტური მნიშვნელობების განსაკუთრებული ურთიერთობა, ასევე კომუნიკანტების ურთიერთდამოკიდებულება; და კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რამ: ირონია არ არის „მზა ფორმის“ ფიქსირებული ნათქვამი, ის ყოველ ცალკე აღებულ კონტექსტში ხელახლა იქმნება.

ირონიის განმარტების კიდევ ერთი პრობლემური ასპექტი თანამედროვე მეცნიერებაში მის მიმართ გაზრდილ ინტერესთან მჭიდროდ დაკავშირებულია იმ კუთხით, რომ მისი ინტერპრეტაციის ანალიზი არა მხოლოდ ენაზე დაყრდნობით ხდება, არამედ დამყარებულია ადამიანის სურვილზე, შეინარჩუნოს თავისი აზრის გამოხატვის არჩევანის თავისუფლება ექსტრალინგვისტური და ფსიქოლოგიური ფაქტორების გათვალისწინებით.

ირონიის განმარტება არ არის ადვილი. ირონიით დაინტერესებული მეცნიერები სხვადასხვა კრიტერიუმებს ეყრდნობიან მისი განმარტების პროცესში, ამიტომ არსებობს ირონიის საკმაოდ ბევრი განსაზღვრება.

მაშასადამე, ისმის კითხვა, რა არის საბოლოოდ ირონია, რომელიც მოსაუბრესა და მსმენელს შორის ინტერპერსონალურ კომუნიკაციაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს?

იმისთვის, რომ ამ კითხვას ვუპასუხოთ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ირონიას იმდენივე განსაზღვრება აქვს, რამდენი მეცნიერიც იკვლევს მას. (გიბსი და კოლსტონი 2007). ბევრმა მკვლევარმა, რომელმაც ირონიის განმარტება სცადა, მისი სხვადასხვა კუთხით განხილული, ტრადიციული მიდგომისგან განსხვავებული, ახალი დეფინიცია შემოგვთავაზა: 1. პრაგმატიკის თვალსაზრისით გამოირჩევა გრაისის (გრაისი 1989), ბრაუნის (ბრაუნი 1980), ამანტეს (ამანტე 1981), ჰავერკატეს (ჰავერკატე 1990), ატარდოს (ატარდო 2000) ნაშრომები; 2. რიტორიკული კუთხით აღსანიშნავია სპერბერისა და უილსონის (სპერბერი და უილსონი 1981, 1984) ექოიკური ციტირების თეორია; 3. ფსიქოლინგვისტური თვალთახედვით ცნობილია კროიცისა და გლუკსბერგის (კროიცი და გლუკსბერგი 1989), კუმონ-ნაკამურას (კუმონ-ნაკამურა 1995), გიორას (გიორა 1995, 2000), გიბსის (გიბსი 1986, გიბსი და ობრაიენი 1991) თეორიები; 4. კლარკმა და გერიგმა (კლარკი და გერიგი 1984) „თავის მოკატუნების“ (ან თვალთმაქცობის) თეორია შემოგვთავაზეს; 5. თავაზიანობის თვალსაზრისით ირონიის განმარტება ბრაუნმა და ლევენსონმა (ბრაუნი და ლევენსონი 1987), ლინმა (ლინი 1983), ბარბემ (ბარბე 1995) შემოიტანეს.

ირონიაზე არსებული სპეციალური ლიტერატურის გაცნობის შემდეგ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყველა ჩამოთვლილი მკვლევარი ყურადღებას წარმატებული ირონიის რომელიმე აუცილებელ და საკმარის პირობაზე ამახვილებს. ჩვენი აზრით, მათ მიერ წარმოდგენილი ირონიის განმარტების ერთი რომელიმე ცალკე აღებული ასპექტით ასეთი ლიმიტირება არ იქნება სწორი, რადგანაც მნიშვნელოვანია რამდენიმე მიდგომის ერთობლიობა არა მხოლოდ ამ მოვლენის თეორიული განსაზღვრისას, არამედ მისი ექსპერიმენტული ანალიზის დროსაც.

ყოველი დაინტერესებული მეცნიერი ირონიის თავისებურ ვარიანტს წარადგენს, ამიტომაც ლიტერატურაში გამოქვეყნებული მრავალი მაგალითი ეჭვს იწვევს,

არის თუ არა იგი ირონიული. ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან ირონია იმდენად საინტერესო და ფართოდ გამოყენებული მოვლენაა, რომ ძნელია მას კონკრეტული ახსნა მოუძებნო. ამასთან, ყოველი მეცნიერება ვითარდება და იცვლება, მაშასადამე, ამა თუ იმ ტერმინის ან ცნების განმარტებასა და კლასიფიკაციას, არა აბსოლუტური, არამედ ფარდობითი მნიშვნელობა აქვს. ამიტომაც, ირონიის განმარტებები მხოლოდ მოცემული დროისა და სივრცის პირობებშია ჭეშმარიტი. ამ კანონზომიერებიდან გამომდინარე, ირონიის განმარტება, მისი შინაარსი და თავისებურებანი იცვლება, თუმცა ირონიის ყველა მკვლევარი აღიარებს, რომ ზოგადი გაგებით, ირონია თქმულის საპირისპირო ან განსხვავებული მნიშვნელობის აღმნიშვნელი ფენომენია.

(13) The Master of Ceremonies was not present; there was no one who felt safe to venture upon this uncharted sea, or risk the attempt to solve this solemn problem.

Alas! There was no Hereditary Scratcher. (ტვენი 2011:36).

ამ მაგალითში საქმე გვაქვს სიტუაციურ ირონიასთან, რომელიც ნათქვამის საწინააღმდეგო მნიშვნელობას კი არ აფიქსირებს, არამედ სრულიად განსხვავებულ ინტერპრეტაციას გთავაზობს. პროპოზიციის ექსპლიციტურ დონეზე ცხადდება, რომ იმ დროს მეფეებს ცერემონმაისტერები, საკვების დამგემონებლები, მთავარი მზარეულები, და, ზოგადად, ყველაფრის „მაისტერები“ ჰყავდათ, რომლებიც მეფეს ნებისმიერ სიტუაციაში ემსახურებოდნენ. მაგრამ, როდესაც ტომი (რომელიც მეფის ადგილას შემთხვევით მოხვდება) მონღოლებს ცხვირის მოფხანას, მან არ იცის, რა მოიმოქმედოს, რადგან ვერ ხედავს „მემკვიდრეობით ლორდ მფხანელს“, რომელიც დაესმარებოდა მას ან რჩევას მისცემდა, მსგავს სიტუაციაში ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების მიხედვით როგორ მოქცეულიყო.

ტომის კონტექსტური მოლოდინი ინგრევა და იგი აკრიტიკებს „მაისტერ-დამხმარების“ სისტემას რაც საკმარისი პირობაა იმისთვის, რომ გაჩნდეს ირონია.

აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ ირონიის მიზანი არ არის მსმენლის მოტყუება. მისი მთავარი ფუნქცია პირდაპირსა (dictum) და ნაგულისხმევ (implicatum) მნიშვნელობებს შორის კონტრასტის გამოაშკარავებაა. მაგრამ ეს დეფინიცია არ არის საკმარისი, რომ მივიღოთ სრული სურათი, რადგანაც მას ირონიის

ამოცნობის პროცესში აუცილებელი პრაგმატიკული და ლინგვო-კულტურული ასპექტები აკლია.

ირონიის ტრადიციული განსაზღვრების თანახმად, იგი ექსპლიციტურად დაფიქსირებული ნათქვამის პროპოზიციის საწინააღმდეგო აზრს გამოხატავს. ირონიის ამ ბაზისურ განსაზღვრებას ყველა მკვლევარი ეთანხმება, მაგრამ ისინი ერთხმად ამტკიცებენ, რომ ეს ირონიისთვის საკმარისი პირობა არ არის.

ატარდო ამტკიცებს, ნათქვამი ირონიული რომ გახდეს, მას სამი მთავარი პირობა ესაჭიროება: 1. ორაზროვნება (ambiguity), რომელიც მსმენელს ეხმარება, ადვილად დაინახოს ირონიული მნიშვნელობა; 2. ნათქვამის შეუსაბამობა (inappropriateness) იმ კონტექსტთან, რომელშიც ის არის გამოყენებული; და 3. მოქმელის ინტენცია (speaker's intention). (ატარდო 2000). მოგვიანებით, ატარდო ამატებს, რომ ირონია არაგულწრფელი მეტყველების აქტია, რომლის გააზრების აუცილებელი ფაქტორია სამი მაქსიმის (მნიშვნელობის, მანერის და რელევანტურობის) დარღვევა.

კიდევ ერთი მკვლევრის, გიორას აზრით, ირონია არაპირდაპირი უარყოფაა “indirect negation” (გიორა 1995:19). შემდგომ, გიორა და ფეინი დასძენენ, რომ ირონია დაფუძნებულია ნათქვამის ყველაზე ხშირად გამოყენებულ, მთავარ და წამყვან მნიშვნელობაზე, რომელსაც მსმენელი დეკოდირების პროცესში უპირველესი ასოციაციით უკავშირდება. (გიორა და ფეინი 1999)

ბრაუნმა და ლევენსონმა გააგრძეს ირონიის ლიხისეული ხედვა თავაზიანობის თეორიის კუთხიდან და ირონიის როგორც უარყოფითი და დადებითი თავაზიანობის სტრატეგიის განმარტება შემოგვთავაზეს, რომელიც მოიცავს „სახის რღვევის“ პირობას. (ბრაუნი და ლევენსონი 1987:61). ისინი ფიქრობენ, რომ ირონიის მეშვეობით მოქმელს ეძლევა საშუალება და შესაძლებლობა, იყოს კრიტიკული და ამავედროულად არააგრესიული.

ირონიის ჩვენი სამუშაო განმარტება ასეთია: *ირონია არის ენის სისტემური ტროპი, რომელსაც, ისევე როგორც ყველა ტროპს, აქვს ორი პლანი: ექსპლიციტური და იმპლიციტური, ზედაპირული და სიღრმისეული, რომლის კოდირება და დეკოდირება მიიღწევა ამ ორ პლანს შორის კონტექსტური 'თამაშით'.* (ქენჯაძე 2012:267). ამ განმარტებაში, ვფიქრობთ, გაერთიანებულია

ირონიის ორმაგი ბუნება (ირონია არის ტროპი, ენის სისტემური ერთეული და, ამავე დროს, იგი არის სამეტყველო ერთეული, აქტი, რომელიც კონტექსტზეა დამოკიდებული და მასზეა ორიენტირებულიც.

იმის გამო, რომ წერილობით მეტყველებაში რთულია გამოსატო ირონიის უწყინარი- გულკეთილი ან დამცინავი-ბოროტი ხასიათი, მისი ინტერპრეტაცია მთლიანად მსმენელის სუბიექტურ აღქმაზეა დამოკიდებული, რომელიც, თავის მხრივ, კონტექსტით არის განპირობებული.

(14) “Excuse me,” he said, “but I can’t hear a word that is being said,”

“I like that,” exclaimed the talkative young man. “It’s no business of yours, sir, what I am telling my wife.” (ჰიუიტი 1987:6)

ამგვარ შემთხვევებში ირონიის იდენტიფიკაციის პროცესში მსმენელს გამოყენებული კონტექსტის ფაქტორთან ერთად მთქმელისა და მსმენელის საერთო ფონური, პრესუპოზიციული ცოდნა ეხმარება. მაგალითში (14) მთქმელი და მსმენელი - ცოლ-ქმარი და უცხო პირი - გვერდიგვერდ სხედან პარტერში კონცერტზე. მსმენელი შეწუხებულია იმით, რომ ქმარი არ ჩერდება და მუდამ რაღაცას ეჩურჩულება თავის მეუღლეს. ამას ემატება შესაძლო ინტონაცია, რომლითაც მსმენელი მთქმელის ნათქვამზე რეაგირებს, რაც ამ მაგალითში გამოხატულია სიტყვით „წამოიძახა – exclaimed.”

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ექსპერიმენტებმა აჩვენა, რომ ნათქვამის ირონიულობის დასამტკიცებლად, აუცილებელია კონტექსტის ფაქტორის გათვალისწინება. ბლეკმორი თვლის, რომ „ირონიის ნებისმიერი თეორია, რომელიც კონტექსტს არ გაითვალისწინებს, აუცილებლად წარუმატებელი იქნება.” “Any theory of irony that will not take the context into account must fail.” (ბლეკმორი 1992:170).

მაგალითად:

(15) We should throw all these immigrants legal or illegal, out of the US. (ატარდო 2000:806)

თუ კონტექსტური ფონის მიხედვით მსმენელმა იცის, რომ ამ ნათქვამის მთქმელი ემიგრანტია, მაშინ მსმენელი მიხვდება, რომ ის (ნათქვამი) არის გამოძახილი

ამერიკელი მოქალაქის სიტყვებისა. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი არ არის, იცნობს მსმენელი იმ ადამიანს, თუ არა.

მკვლევართა შემდეგი ჯგუფი: მარტინი (მარტინი 1992), გლუქსბერგი (გლუქსბერგი 1995) და ჰამამოტო (ჰამამოტო 1998) იმ აზრის არიან, რომ ირონია იგივეა რაც ნეგაცია, ანუ უარყოფა და (contrast or negation theories) იმ მოლოდინის დარღვევაა, რომელიც მსმენელის მხრიდან არსებობს. “...prior expectation, norm or convention is seen as having been violated” (გლუქსბერგი 1995:53). ჩვენი აზრით, ისევე და ისევე ცალკე აღებული ეს პირობა არ აკმაყოფილებს ირონიის არსებობას. მას რაღაც დამატებითი გარემოება სჭირდება, რაზეც შემდგომ ვისაუბრებთ.

ირონიის განსაზღვრების კიდევ ერთი მიდგომა ჰანსტონმა (ჰანსტონი 2004:157), ჰანსტონმა და ტომპსონმა (ჰანსტონი და ტომპსონი 2000), მარტინმა და უაიტმა (მარტინი და უაიტი 2005) წარმოადგინეს, რომლებმაც შეფასების თეორია (evaluation theory) შექმნეს. მკვლევრების ეს ჯგუფი ამტკიცებს, რომ ირონიის დროს მსმენელმა უნდა შეძლოს გამოიცნოს ნათქვამში ცუდი ან კარგი (an indication that something is good or bad), ანუ შეაფასოს ნათქვამი, მთქმელი და კონტექსტი. ამ შემთხვევაში ისინი ამტკიცებენ, რომ „კარგი“ შეიძლება იყოს სასარგებლო, ხელსაყრელი, გონივრული ან შეგნებულის, ხოლო „ცუდი“ შესაბამისად მოიცავს ზემოთ მოცემული ცნებების საპირისპირო მნიშვნელობებს.

ამ თეორიის მიხედვით, ირონია ჩნდება თუ არა, მსმენელი მაშინვე აცნობიერებს, რომ ამას მოჰყვება რაღაც ვერბალური ქმედება, რაც, როგორც წესი, ნეგატიურად უნდა შეფასდეს. როგორც მკვლევრები ამტკიცებენ, შეფასება მთავარ როლს თამაშობს დარწმუნებაში, როდესაც მთქმელი ცდილობს დააჯეროს მსმენელი იმაში, თუ რა არის სწორი და მართებული ან როგორ უნდა მოიქცეს მსმენელი მოცემულ სიტუაციაში. ამიტომაც, ირონია ამ კუთხით ხშირად გამოიყენება პოლიტიკურ დებატებში.

ამგვარად, მსმენელის შემდგომი მოქმედება და გადაწყვეტილება ვერბალურ „უკან დახევასთან“ თუ „შეტევაზე გადასვლასთან“ დაკავშირებით ამ შეფასებაზეა დამოკიდებული.

მოცემული თეორიის დასამტკიცებლად შეგვიძლია მოვიყვანოთ შემდეგი მაგალითი, რომელიც, ჩვენი აზრით, ორმაგ ირონიას მოიცავს. ერთი მხრივ,

პელაგეა ირონიულად ამბობს, რომ კაპიტანი საკუთარ მამაში შეეშალა და ამიტომ აკოცა, თუმცა ეს სიცრუეა, და, მეორე მხრივ, კაპიტანი, საკუთარი თავისა და პელაგეას მამის საერთო თვისებების შეფასებისას აღნიშნავს, რომ ორივე ბებრები და დაბლები არიან. თუმცა, თვითონ კაპიტანი კორელი არც პირველი და არც მეორე თვისების მატარებელი არ არის (იგი ახალგაზრდა და მაღალია). ამ ფრაზას მხოლოდ იმიტომ წარმოთქვამს, რომ გოგონას ნანატრი კოცნა როგორღაც გაამართლოს. შესაბამისად, ორივეს, კაპიტანსაც და პელაგეასაც, კარგად ესმით, რა არის კარგი და ცუდი (ანუ ამ კონტექსტში - სწორი და არასწორი)

(16) - Don't laugh at me. I thought you were my father (the doctor). I always kiss him like that when he comes in.

- Very understandable. We are both old and small. (დე ბერნიერესი 2001:38)

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გიორას მიერ შექმნილი გრადაციული თვალშისაცემობის ჰიპოთეზის მიხედვით, სიტყვებისა და გამოთქმების ხშირად გამოყენებული (მეხსიერებაში კოდირებული) მნიშვნელობა, რომელზეც გავლენას გამოყენების სიხშირე, ცნობადობა და პირობითობა ახდენს, ყოველთვის ხელმისაწვდომი და პირველადი უნდა იყოს, მთქმელის მოლოდინისა და ინტენციის მიუხედავად.

ერთ-ერთ ბოლო ნაშრომში გიორამ (გიორა 2007) გამოთქვა მოსაზრება, რომ ირონია დაკავშირებულია იმ სხვაობასთან (gap), რომელიც ნათქვამსა და ნაგულისხმევს შორის ვლინდება და რაც უფრო დიდია მანძილი მათ შორის, მით უფრო მეტია გამონათქვამის ირონიულობის ხარისხი ('ironiness'), მით უფრო დიდი დრო სჭირდება ამ ნათქვამის პროცესირებას. ამ დროს ირონიის აღქმა ხშირად გამოყენებული მნიშვნელობის აქტივაციით იწყება, რომელიც შემდეგ კონტექსტისათვის შეუფერებელი მნიშვნელობის გაცნობიერების სტადიაში შედის, და მეორე, შესაფერისი ირონიული მნიშვნელობის აღქმისა და ინტერპრეტაციის ეტაპზე გადადის.

და ბოლოს, გიორას აზრით, ირონიისთვის დამახასიათებელი აქცენტი კონკრეტული კონტექსტის შეუფერებლობაში ძეგს, როდესაც მსმენელი ყველაზე ხშირად გამოყენებული მნიშვნელობის აქტივიზირებას ახდენს. "Stress of irony lies

in incongruity based on a certain context, when the hearer activates the salient meaning of the utterance.” (გიორა 2011: 19-33)

ირონიის განხილვისას ლიჩმა (ლიჩი 1983, 1991) ლინგვისტურ-პრაგმატიკული ცნება - „თავაზიანობა“ მოიშველია და გამოჰყო მისი ისეთი ქვეკატეგორიები, როგორცაა: ტაქტი, სიმპათია, თავდაჭერილობა, დიდსულოვნება. ლიჩი ამტკიცებს, რომ ირონიის ინტერპერსონალური კომუნიკაციის დროს ორივე, მთქმელი და მსმენელი, თავაზიანობის სოციუმისათვის მისაღებ წესებს იცავენ, რაც ასეთი ურთიერთობის მაღალ დონესა და ხარისხს უწყობს ხელს. ლიჩის აზრით, მთქმელი ირონიული ნათქვამით აკრიტიკებს ან იწუნებს რაღაცას, ხოლო მსმენელი სახეს ინარჩუნებს და მოცემული გამონათქვამის ირონიულობის გამო პირდაპირ შეტევაზე გადასვლას თავს არიდებს.

კიდევ ერთი მომენტი, რომელსაც ლიჩი თავის ნაშრომში გვთავაზობს, მდგომარეობს იმაში, რომ თუ კრიტიკის, და მაშასადამე ირონიის ობიექტი არა მსმენელი, არამედ მესამე პირია, მაშინ მოსაუბრის ინტენციამ შესაძლოა კიდევ უფრო აგრესიული ხასიათი მიიღოს. (ლიჩი 1983).

აქედან გამომდინარე, ირონიული ნათქვამის ნეგატიური შეფასების იმპლიციტური ბუნება საშუალებას გვაძლევს ვადიაროთ, რომ ირონიას ფართო ამპლიტუდა აქვს, დაწყებული რბილი, უკბილო კრიტიკითა და მთავრებული ფარული ენობრივი აგრესიით. (ძემიდოკი 1974:224). ეს კარგად ჩანს იმგვარი პოლიტიკური (და სხვა სახის) დებატების დროს, როდესაც ირონიის ობიექტები პოზიციისა და ოპოზიციის წარმომადგენლები არიან, ხოლო ეს ირონია მიმართულია მესამე პირისადმი, ანუ მაყურებლისადმი. ამგვარი გამონათქვამის დეკოდირების სირთულე მდგომარეობს იმაში, რომ წარმატების მისაღწევად პოზიციამ და ოპოზიციამ ირონიის შემცველი კონსტრუქციები ისე უნდა გამოიყენონ, რომ მესამე მხარემ ისინი გააცნობიეროს და ადეკვატურად გააანალიზოს.

ირონია წარმატებას მხოლოდ ორი პირობის შესრულებისას მიაღწევს:

1. თუ სამივეს - პოზიციას, ოპოზიციასა და მაყურებელს/მსმენელს - ერთნაირი კულტურული და ფონური (common cultural...special background knowledge) ცოდნა აქვთ მოცემულ კონკრეტულ პირობებში და

2. ნათქვამი მნიშვნელოვანია იმ სიტუაციისადმი, რომელშიც სამივე მხარე იმყოფება. რამდენად თავშეკავებული, მომთმენი, კრიტიკული ან აგრესიულია ოპონენტი, დამოკიდებულია იმ კულტურაზე, რომელსაც ისინი ეკუთვნიან. ასეთ ირონიულ ნათქვამებში ირონიის ობიექტი ერთია (ოპონენტი 1), მაგრამ მიზანი - მეორეა (ოპონენტი 2 და მაყურებლის რეაქცია). (ნუოლიჯარვი და ტიიტულა 2011:573)

ირონია ნებისმიერი სახის დებატებში არა მხოლოდ შეტევისთვის, არამედ საკუთარი თავის დასაცავად გამოიყენება, რაც ოპონენტებს საკუთარი პოზიციების გამყარების საშუალებას აძლევს. როგორც ბრაუნი და ლეეინსონი ამბობენ, „სახე შეიძლება დაკარგოს, შეინარჩუნოს ან გააძლიეროს, და მას ყოველწამიერი ყურადღება ჭირდება კომუნიკაციის პროცესში.“ “Face can be lost, maintained, or enhanced, and must be constantly attended to in interaction” (ბრაუნი და ლეეინსონი 1987:61).

(17) Reagan: I've noticed that everyone who is for abortion has already been born.

ამ ნათქვამში ამერიკის პრეზიდენტს არ სურს, შეურაცხყოფა მიაყენოს იმათ, ვინც ფიქრობს, რომ აბორტი დასაშვებია. იმისთვის, რომ აგრესიით არ მიმართოს ოპონენტს და ამგვარად არ დაარღვიოს თავაზიანობის ფარგლები, თავის თავსა და მსმენელს შეუნარჩუნოს სახე, თანაც იმპლიციტურად გამოხატოს საკუთარი ნეგატიური დამოკიდებულება კრიტიკის ობიექტისადმი. ყოველივე ამისთვის კი ის ირონიას ირჩევს.

კატარინა ბარბე თვლის, რომ ირონია შეიძლება იყოს იმპლიციტური და ექსპლიციტური. ორივეს ნათქვამის საპირისპირო მნიშვნელობისა და კონტექსტის შეუთავსებლობა და შეუსაბამობა ახასიათებს. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მთქმელი ირონიას საუბრის დროს გამოიყენებს, ასეთი ირონია იმპლიციტური იქნება. (ბარბე 1995). ამ დროს მთქმელი „მხოლოდ ერთი სიტუაციის ფარგლებში მოქმედებს“ (inside a situation). ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ირონია მანამდე იყო გამოყენებული და მთქმელი მხოლოდ თავის დამოკიდებულებასა და ინტერპრეტაციას გაამხელს, მაშინ ეს ექსპლიციტური ირონიაა, და მთქმელი “კონკრეტული სიტუაციის გარეთაა“. (outside the situation). ჩვენი აზრით, ეს მიდგომა უფრო სპერბერისა და უილსონის ექვიკური ირონიის ვარიანტია, ვიდრე დამოუკიდებელი თეორია, რადგანაც ირონიის გამოყენებისას მთქმელი

ყოველთვის „სიტუაციაშია“ იმის მიუხედავად, თვითონ ქმნის მას თუ ციტირებს სხვის ნათქვამს.

კლარკი და გერიგი და სხვები (კლარკი და გერიგი 1984, 1990; კლარკი 1996; გერიგი და გოლდვარგი 2000; რეკანატი 2004; უოლტონი 1990) ავითარებენ ირონიის ე.წ. თვალთმაქცობისა და თავის მოჩვენების თეორიას, რომელიც დაფუძნებულია იმაზე, რომ ორივე, მთქმელიცა და მსმენელიც საერთო რწმენას, ცოდნასა და პრესუპოზიციას იზიარებენ. თუ ეს პირობა არ სრულდება, ირონია წარუმატებელია. ატარდო (2000) და კლიფტი (1999) ამტკიცებენ, რომ „თავის მოკატუნების“ თეორიას ერთი დიდი მინუსი აქვს: მსმენელისთვის რთულია გამოიცნოს, რის დამტკიცებას ცდილობს მთქმელი (who the ironist is pretending to be) და, ასევე, რთულია გაარჩიო, თუ ვისთან თვალთმაქცობს იგი - who he is pretending to address.

ამავე თეორიას ეფუძნება გლუკსბერგისა და ბრაუნის (გლუკსბერგი 1995 და ბრაუნი 1980), კუმონ-ნაკამურასა და მათი კოლეგების (კუმონ-ნაკამურა 1995) მოსაზრება, რომ ირონიას, როგორც ალუზიურ „თავის მოკატუნების“ თეორიას (Allusional Pretense Theory of Irony), ორი ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი აქვს: პირველი თვისება მთქმელის მიერ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვასა და ირონიის ალუზიური ფუნქციის მოლოდინსა და რეალობას შორის შეუსაბამისობაში ძევს, ხოლო მეორე - მთქმელის მიერ აშკარა გულწრფელობის პირობის დარღვევაში (felicity conditions) ვლინდება. (რუიზი 2009:33). ამით მთქმელი ცდილობს, მსმენელს ყურადღება მიაპყრობინოს იმ განსხვავებაზე, რომელიც არსებობს ორ რეალობას შორის რაც არის და რაც უნდა იყოს.

კუმონ-ნაკამურა აცხადებს, რომ „ალუზიის მექანიზმი სპერბერისა და უილსონის უფრო ვიწრო ექოიკურ ციტირებას, მათ ექოიკურ ინტერპრეტაციასა და კროიცისა და გლუკსბერგის ექოიკურ შესხენების მექანიზმებს ანაცვლებს იმიტომ, რომ, მისი განმარტებით, ეს მექანიზმები ალუზიის განსაკუთრებული შემთხვევებია“ “...the mechanism of allusion replaces the narrower mechanism of echoic mention (სპერბერი და უილსონი 1981, სპერბერი 1984), echoic interpretation (სპერბერი და უილსონი 1986), and echoic reminder (კროიცი და გლუკსბერგი 1989) because these are, by definition, special cases of allusion.” (კუმონ-ნაკამურა 1995:18).

უილსონი ასეთ მიდგომას აკრიტიკებს, და თან დასძენს, რომ ამ უკანასკნელის ნაკლი ის არის, რომ: 1. არსებობს ისეთი ირონია, რომელიც მოიცავს მოქმედებას ან აბსტრაქტულ საგნებს, რომელიც არ შეიძლება იყოს სიმულირებული ან იმიტირებული; და 2. ასეთი ირონიული შემთხვევები მთლიანად დამოკიდებულია მსმენელის კომპეტენციაზე, გამოიცნოს მოსაუბრის თვალთმაქცობა და არა გულწრფელობა.

(18) Will Rogers: That's the trouble with a politician's life-smb is always interrupting it with an election.

ამ ნათქვამში სრულდება ორივე ზემოთ აღნიშნული მოთხოვნა: უილ როჯერსმა გამოხატა თავისი დამოკიდებულება პოლიტიკოსების მიმართ და ამით გააკრიტიკა ისინი, რადგანაც თვლის, რომ ისინი, როგორც წესი, წინასაარჩევნოდ იძლევიან დაპირებებს, რომლებიც შემდეგ არჩევნებამდე არავის ახსოვს. მეორე გარემოებაც არსებობს - ის არღვევს გულწრფელობის პირობას.

კიდევ ერთხელ უნდა აღვნიშნოთ, რომ ირონიის დეკოდირების დროს ყურადღება ექცევა არა მხოლოდ მიკრო, არამედ მაკრო-კონტექსტსაც. აქედან გამომდინარე, ირონია კომპლექსური კომუნიკაციური ფორმაა. ირონიის პროცესირების მხოლოდ ასეთი მიდგომა მისი სისტემური კლასიფიკაციისა და პარამეტრების რეალიზაციის ეფექტურ შესაძლებლობას გვაძლევს.

კერძოდ, ზემოთ აღნიშნულიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ირონიის ადეკვატური დეკოდირება ეფუძნება ტექსტის მოცულობას, ექსტრა-ლინგვისტურ ფაქტორებს (ისტორიული, გეოგრაფიული, კულტურული, ცხოვრებისეული გამოცდილება), საერთო ინტერ-ტექსტუალურ ფონურ ცოდნას, პრესუპოზიციას და ენობრივი მასალის ემოციურ თუ შეფასებით აქტუალიზაციას. (ფერნანდეზი 2001:18)

ირონიას კანონზომიერი ხასიათი აქვს, რაც იმაში გამოიხატება, რომ ნათქვამსა და ნაგულისხმევს შორის ჩნდება უთანხმოება - დაპირისპირება, რომელიც უარყოფით სუბიექტურსა და შემფასებლურ მოდალობას წარმოშობს.

გვინდა მოვიყვანოთ ვოლტერ ლაფებერის ნათქვამი მისი ნაშრომიდან „ამერიკული ერა“. ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტის პოსტი ტრადიციულად ითვლებოდა, როგორც ძალაუფლებასა და ფუნქციებს

მოკლებული თანამდებობა. ცნობილია ფრანკლინ რუზველტის ვიცე-პრეზიდენტის, ჯონ გარნერის შეფასება: „ვიცე-პრეზიდენტობას ერთი თბილი შარდით სავსე ვედროს ღირებულებაც კი არ აქვს“ (the vice presidency is not worth a bucket of warm piss). ამ კონტექსტიდან გამომდინარე, საინტერესოა რიჩარდ ნიქსონის ვიცე პრეზიდენტის, ჯერალდ ფორდის შესახებ ამერიკელი ჟურნალისტის მიერ გამოთქმული ერთი ირონიული წინადადება:

(19) ... few men are better qualified than Ford for a job that demands practically nothing of the man who holds it. (ლაფებერი 1994:670).

მოცემულ შემთხვევაში მოქმედი თითქოს აქებს ფორდს. ის ამბობს, რომ ფორდი ძალიან კვალიფიცირებული მოხელეა და სრულიად შეეფერება დაკავებულ მაღალ თანამდებობას. თუმცა, როდესაც მსმენელი აზრის მთლიან დეკოდირებას ახდენს, ხვდება, რომ მოქმედი სინამდვილეში თვლის, რომ ფორდი უუნარო და უნიჭო ადამიანია. რა თქმა უნდა, ზემოთ მოყვანილი კონტექსტის გარეშე ამ მაგალითის ირონიულად აღქმა შეუძლებელი თუ არა, ძნელი მაინც იქნებოდა.

1.8 ირონიის ნაირსახეობები - „ცოცხალი ირონია“

როგორც ირონიის შესწავლით დაინტერესებული ლიტერატურის ანალიზი გვარწმუნებს, დღესდღეობით, ირონიის 32 სახეობა გამოიყოფა. ქვემოთ მოყვანილია სხვადასხვა მკვლევრების აზრი ირონიის შესახებ:

1) სოკრატესეული (socratic) - ირონია, როდესაც მოსაუბრე თავს გვაჩვენებს, თითქოს დისკუსიის თემის შესახებ ინფორმაციას არ ფლობს, ჭეშმარიტი დებულების რადიკალურად საპირისპირო არგუმენტებს აყენებს და ამით შემდგომ დისკუსიას ინსპირირებს. მკვლევრები თანხმდებიან, რომ ამ ტიპის ირონია ამჟამად იშვიათად აქტუალიზდება პოლიტიკურ დებატებში (ასევე ცნობილია, რომ სოკრატე იყენებდა ირონიას, როგორც „განზრახ უვიცობის“ გამომჟღავნებას პოლიტიკური დისკუსიის დროს, შემდგომ ირონიამ შეიძინა უფრო ფართო გამოყენების არეალი, ამიტომაც თანამედროვე კონტექსტში სოკრატესეული ირონია ნაკლებადაა გავრცელებული).

2) დრამატული (dramatic) - ირონია, როდესაც დრამატული გმირი ნაკლებ ინფორმაციას ფლობს, ვიდრე აუდიტორია. დრამატული ირონია ჩნდება იქ, სადაც პროტაგონისტული მოლოდინები აღწერილ მოვლენებთან დაპირისპირებაშია და საზოგადოებამ უფრო მეტი იცის კონკრეტული კონტექსტის შესახებ, ვიდრე ირონიის „მონაწილე“ გმირმა.

3) სიტუაციური (situational) - ლუკარიელოს აზრით, სიტუაციური ირონია ვლინდება მაშინ, როდესაც არსებული მოლოდინისთვის შეუფერებელი, შეუძლებელი სიტუაცია ჩნდება. მაგალითად შეიძლება ბეთჰოვენის სიყრუე ან პოლიციის ოფისის ძარცვა მოვიყვანოთ. (ლუკარიელი 1994:40).

4) მუეკე (1970) ასეთ ირონიას ბედის ირონიას უწოდებს, როდესაც კონკრეტულ სიტუაციაში მოსალოდნელი და რეალური შედეგები ერთმანეთს არ შეესაბამება (მაგალითად, ოქენრის მოთხრობა “The gift of the Magi”). ბედის ირონია განუჭვრეტელი პროცესია და იმისთვის, რომ შევძლოთ მისი ადეკვატური ინტერპრეტაცია, აუცილებელია მთელი ტექსტისა და მისი სიუჟეტის, ანუ მეგაკონტექსტის გაანალიზება. მარია კალბერმატენის აზრით, სიტუაციური ირონია წინასწარი განზრახვით არ წარმოიქმნება; ის მსმენელისათვის მოულოდნელობის ელემენტს შეიცავს და თან ახლავს

ფრაზები: ირონიულად (ironically), ირონიულია, რომ (it is ironic that...)
(კალბერმატენი 2006:4).

5) საკუთრივ ვერბალური (verbal) - ირონია, როგორც ლინგვისტური ფენომენი, რომელიც კონკრეტულ სამეტყველო აქტებში სრულდება. მუეკე აღნიშნავს, რომ ვერბალური ირონია ორ-ფენოვანი ან ორ-სართულიანი ფენომენია. (Verbal Irony is a “double-layered or two-storey phenomenon”). (მუეკე 1969:19). ვერბალური ირონია ისეთი ინტენციური ქმედებაა, რომლის მიზანია მსმენელს გააგებინოს, რომ ის, რაც ითქვა, რეალურად, აბსოლუტურად საწინააღმდეგო ან განსხვავებულ მნიშვნელობას გამოხატავს.

6) განუზრახველი (“unintended”) - ირონია, როდესაც მისი მნიშვნელობის კოდირება და პრაგმატიკული ინტენციის დეკოდირება მოქმელსა და მსმენელს შორის განსხვავდება. მუეკე დასძენს, რომ ამგვარი ტიპის ირონიის შემთხვევაში ვერბალური და სიტუაციური ირონიის ტიპები თანადროულად აქტუალიზდება, ანუ მოქმელი აუღერებს გზავნილს, მაგრამ არ ცდილობს, რომ ის ირონიულად იყოს აღქმული. მსმენელი კი ამას მაინც ირონიულ ინტერპრეტაციას აძლევს და, მაშასადამე, რეპლიკას ირონიულად აღიქვამს (მუეკე 1969:19). საბოლოოდ, მოქმელის პრაგმატიკული ინტენცია და მსმენელის ინტერპრეტაცია ერთმანეთს არ ემთხვევა.

7) ანტროპოლოგიური ირონია (anthropological) (გირცი 1968).

8) ინკლუზიურ-ექსკლუზიური ირონია (inclusive-exclusive irony) (ფერნანდეზი და ჰიუბერი 2001).

9) პარადოქსული ირონია (paradox irony) (ფერნანდეზი და ჰიუბერი 2001).

10) ირონიული ირონია (ironic irony) (ფრიდრიხი 1970).

მუეკე თავის ნაშრომში „ირონიის კომპასი“ განმარტავს, რომ მის მიერ შემოთავაზებულ კატალოგში, რომელიც ქვემოთ არის მოყვანილი, ირონიის „ზოგი დეფინიცია გამომდინარეობს თავად ირონიული ეფექტიდან, ზოგი - ტექნიკური ილუტებიდან, ზოგი - ირონიის ობიექტიდან, მოქმელის დამახასიათებელი თვისებებიდან, ზოგი - ირონიისადმი დამოკიდებულებიდან“ (“...some have been named from the effect..., others again from the technique..., or the object, or the practitioner..., or the attitude”) (მუეკე 1969:4) და განასხვავებს:

- 11) ტრაგიკულ ირონიას (tragic irony).
- 12) კომიკურ ირონიას (comic irony).
- 13) მანერის ირონიას (irony of manner).
- 14) ფილოსოფიურ ირონიას (philosophical irony).
- 15) პრაქტიკულ ირონიას (practical irony).
- 16) ორმაგ ირონიას (double irony).
- 17) რიტორიკულ ირონიას (rhetorical irony).
- 18) თვით-ირონიულ ირონიას (self-irony).
- 19) რომანტიკულ ირონიას (romantic irony).
- 20) კოსმიურ ირონიას (cosmic irony).
- 21) სენტიმენტალურ ირონიას (sentimental irony).
- 22) შემთხვევის ირონიას (irony of chance).
- 23) ხასიათის ირონიას (irony of character).
- 24) ლაიტმოტივურ ირონიას (leit-motiv irony) (მუეკე 1969:77).

პოლ სიმფსონს მიაჩნია, რომ ირონიას გრადაცია ახასიათებს (ძალიან ირონიულის საპირისპიროდ ოდნავ ირონიულის “very ironic vs. slightly ironic”) (სიმფსონი 2011:42) და მაგალითისთვის ბრიტანეთის ეროვნული კორპუსის (BNC-the British National Corpus) დისპლეიზე ხშირად გამოყენებული ირონიის განმსაზღვრელი ზედსართავი სახელები მოჰყავს. მათ შორის პირველ ხუთ ადგილზე გავიდა:

- 25) მძიმე ირონია (heavy irony).
- 26) დრამატული ირონია (dramatic irony).
- 27) ტრაგიკული ირონია (tragic irony).
- 28) მწვავე-მწარე ირონია (bitter irony).
- 29) სასტიკი-მკაცრი ირონია (cruel irony) მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ჰილამა აზიზის სიტყვები: „კი, მე ბინ ლადენის მეგობარი ვარ.” (“Yeah, I’m a friend of Bin Laden”). (სიმფსონი 2011:35). ჰილამა გაათავისუფლეს საგამოძიებო

სამსახურიდან იმის შემდეგ, რაც მან ირონიულად უპასუხა დაცვის სამსახურს კომენტარზე, რომ ის მათთვის გარკვეულ საფრთხეს წარმოადგენდა. თუმცა 7 წლის სასამართლო დავის შემდეგ მან მოიგო პროცესი და მიიღო უზარმაზარი თანხა შეურაცხყოფისა და სამსახურის დაკარგვის გამო.

არსებობს ირონიის კიდევ ერთი სახეობა, რომელსაც სპერბერი და უილსონი იდიომატიც ირონიეს უწოდებენ (სპერბერი და უილსონი 1998:286).

30) იდიომატური (idiomatic) ირონია - მკვლევრები გამოთქვამენ აზრს, რომ ასეთი ტიპის ირონიული ნათქვამი კარგავს ირონიულ პოტენციალს, იყოს ირონიული აზრის მატარებელი და გამოიყენება პირდაპირი მნიშვნელობის მესიჯად. ეს იმიტომ ხდება, რომ იდიომატური, სხვანაირად რომ ვთქვათ, მკვდარი ირონიის, როგორც მკვდარი მეტაფორის (dead irony, as compared to dead metaphor), ინტერპრეტაციის პროცესი ავტომატურია, რომლის დროსაც ნათქვამი კარგავს ექვს სტატუსსა და ირონიულ ძალას. მაგალითად, „დიდი შანსია, რომ მოიგონ“, რაც ნიშნავს “შანსი არ არის, რომ მოიგონ”. (fat chance they will win – meaning little or no chance); „სულელი ხარ“, რაც გულისხმობს საპირისპიროს (You are insane – meaning in a healthy state of mind); „რა კარგი ამინდია“, გამოთქმული ავდრისშემთხვევაში (What lovely weather – meaning the weather is bad).

31) სპონტანური (spontaneous) - ირონია, როდესაც წინა კონტექსტი ან სიტუაცია მის წარმოქმნაში არანაირ როლს არ თამაშობს (კატლერი 1974).

32) პროვოცირებული (provoked) - ირონია, როდესაც „მოქმელი მსმენელის მიერ წინა სიტუაციაში ადრე გამოთქმულ ნათქვამს იმეორებს ირონიული ინტონაციით, რომ გამოააშკარაოს მისი სიცრუე. “The speaker repeats back to his audience something which the audience has previously said or held, with the ironic intonation indicating that the previous claim has turned out to be wrong.” (კატლერი 1974:119).

33) ბოსკო და ბუკიარელი გვთავაზობენ ირონიის სახეობას, რომელიც დეკოდირების სიძნელეზეა დაფუძნებული: მარტივი (simple) და კომპლექსური ან რთული (complex). ამ თეორიის მიხედვით, მარტივი ირონია ადვილად შესამჩნევი და დეკოდირებადია, ხოლო რთული ირონიის შემთხვევაში, მსმენელმა რამდენიმე ვარაუდისა და დედუქციის შემცველი ეტაპი უნდა გაიაროს. მაგალითად მოჰყავთ შემდეგი სიტუაცია: პირველ პასუხში (ა)

ყველაფერი გასაგებია: პასუხი შეიცავს ირონიას, რომელიც ნათქვამის მნიშვნელობასთან პირდაპირ კონტრასტშია. ხოლო მეორე პასუხი (ბ) რთულ ირონიას შეიცავს, სადაც ის ზედაპირზე კი არ დევს, არამედ საჭიროებს რამდენიმე დედუქციურ დასკვნა - ინტერფერენციას.

(20) Have you seen my glasses?

(a) Simple irony answer: Congratulations on your excellent eyesight!

(b) Complex irony answer: I'd ask you if I had to thread a needle. (ბოსკო და ბუკიარელი 2008:592)

ირონიის ყველა ზემოთ აღნიშნული სახეობები აქტუალიზდება მსმენელის მოლოდინის დარღვევის ფსიქოლოგიურ ფონზე, როდესაც მოქმელი ცდილობს იპოვოს გამოთქმის ისეთი ფორმა, რითაც ის შეძლებს გამოხატოს თავისი აზრი, რომელიც პირდაპირ არ ითქმის და რომელსაც საზოგადოებრივი აზრი ეწინააღმდეგება. ამიტომაც, ირონიის ინტერპრეტაცია ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი, მახვილი და, ამავედროულად, რთული მექანიზმია იმ პროცესისა, რომელსაც ადამიანის ფსიქოლოგიური ადაპტაცია ეწოდება. აქედან გამომდინარე, მოსალოდნელია არამშობლიურ ენაზე კოდირებული ირონიის არაადეკვატური დეკოდირება, რაც, როგორც პიროვნული თვისებებით, ასევე სოციო-კულტურული განსხვავებებითაა განპირობებული. ამ ირონიულ სახეობებს შორის სხვაობა მოქმელის განზრახვაში ძვეს და დამოკიდებულია იმაზე, თავის თავს მიმართავს ის, მსმენელს თუ პიროვნებას, რომელიც არ ესწრება მეტყველების აქტს.

გვინდა ირონიის ამ ტიპოლოგიას, კიდევ ერთი, ჩვენეული სახეობა - „ცოცხალი ირონია“ (live irony) - დაუშვათ, რომელიც ჯერ არსად არის დაფიქსირებული. თუმცა, ასეთი ირონია ახლოს დგას მუეკეს ხალხურ ირონიასთან („Folk irony“). ტერმინი „ცოცხალი“ ირონია შევარჩიეთ იმ პრინციპით, რომ ასეთი ირონიული გამონათქვამი განსხვავდება არსებული განსაზღვრებებისგან იმით, რომ ის ყველაზე ხშირად ყოველდღიურ საყოფაცხოვრებო თემებს ეხება. იგი არ ატარებს ნეგატიურ ან კრიტიკულ დამოკიდებულებას, გამოხატავს სიმართლეს, ასახავს რეალურ მდგომარეობას და არ ემსახურება მსმენელის აშკარა გამოწვევას, მაგრამ, ჩვენი აზრით, მაინც ატარებს ირონიულ ელფერს. როგორც

ზემოთ აღვნიშნეთ, არსებობს ზღვარზე მდგომი გამოთქმები, რომლებიც სხვა მკვლევარების აზრით ირონიული შეიძლება არ იყოს, მაგრამ ჩვენ ვთვლით, რომ ცოცხალ ირონიას ეკუთვნის. მაგალითად,

(21) When all else fails, read the directions (მუეკე 1982:1).

კვლევის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ცოცხალი ირონიის აქტუალიზაციისას სიტყვები გამოხატავს არა მკაცრად საპირისპირო მნიშვნელობას, არამედ ირონიული აზრების ერთობლიობას, რომელიც მსმენელის ცნობიერებაში იმის შემდეგ წარმოიშობა, რაც ის დაინახავს შეუსაბამობას ირონიულ ნათქვამსა და ტექსტუალურ სიტუაციას შორის.

ცოცხალ ირონიას მსმენელი ინტუიციურად გრძნობს მაშინაც, როდესაც ის, როგორც ყველა ირონიული მნიშვნელობა, იმპლიციტურია და ზედაპირზე არ ჩანს, მაგრამ არცერთ ზემოთ მოყვანილ ირონიის ჩარჩოში არ ჯდება. შეიძლება ითქვას, რომ თუ სარკაზმი ყველაზე „ბოროტ“ ირონიად ითვლება, ცოცხალი ირონია ყველაზე „უმანკო“ ირონიას წარმოადგენს. ცოცხალი ირონია არ არის ექო ან ციტირება, არც თავის მოხვენებაა, მაგრამ ის ყოველთვის რელევანტურია კონტექსტისადმი და საპირისპირო ან განსხვავებულ აზრს გამოხატავს. მისი ამოცნობა კონტექსტში გარკვეული დაცინვითი ინტენციით გამოირჩევა. ასეთი ირონიის ინტერპრეტაციისას მსმენელსა და მოქმელს არ მოეთხოვებათ საერთო ფონური ცოდნა, დეკოდირების პროცესში მსმენელს კონტექსტში ჩადებული იმპლიკატურა ეხმარება. მაგალითად, ამერიკელი კომედიის მსახიობის სიტყვების ინტერპრეტაციისთვის აუცილებელი არ არის მთლიანი კონტექსტის ცოდნა, რადგან ისედაც გასაგებია მოქმელის ინტენცია გვაჩვენოს თავისი ირონიული დამოკიდებულება ჯორჯ ბუშის უმცროსის ინგლისური ენის არასათანადო ცოდნასა და მისი არასწორი გამოყენებისადმი. ეს ირონია ამცირებს პრეზიდენტის იმიჯს, თუმცა, პირდაპირ მის სახელს არ ამბობს, რაც მოქმელის ავტორიტეტს ამაღლებს.

(22) Buck Henry (an American actor, film director): We need a president who's fluent in at least one language.

თუმცა, ასეთ მაგალითებში ირონიის ბუნებრივი ორაზროვნება და სიტყვების პოლისემია მსმენელს შესაძლებლობას აძლევს ნათქვამი ორნაირად - იმპლიციტურად და ექსპლიციტურად - გაიგოს. ეს ორაზროვნება „მიმართული

უნდა იყოს იმ ძირითადი სტრატეგიის წინააღმდეგ, რომელსაც ენის გასაგებად ვიყენებთ: ლინგვისტური ნათქვამისა და მისი კონტექსტუალური გარემოს ინტერპრეტაცია ისე, რომ რაღაც კონკრეტულ მნიშვნელობამდე მივიდეთ. “It must work against a basic strategy we employ in understanding language: to interpret the linguistic utterance and its contextual setting so that we can arrive at a specified meaning” (კიტეი 1987:80). მაშასადამე, ფსიქოლინგვისტიკისა და რელევანტურობის თეორიის პრინციპები გვეხმარება აღვიქვათ სიტყვების ან ნათქვამის შესაფერისი მნიშვნელობა კონტექსტიდან გამომდინარე (მეი 1993:81), მაგრამ ყოველდღიურ კომუნიკაციაში ყველაზე მნიშვნელოვანი და საყურადღებო ამ სიტყვების და ნათქვამის პრაგმატიკული ასპექტია, ანუ რის მიღწევას აპირებს მთქმელი მოცემულ სიტუაციაში.

ცოცხალი ირონია გამოირჩევა მსმენელის რეაქციით და აძლევს მას არჩევანს: იგნორირება გაუკეთოს ნათქვამს ან იმოქმედოს. მაგრამ იმ დროსაც, როდესაც მსმენელი ირჩევს, უგულებელყოს ნათქვამში ჩაქსოვილი ირონია, ეს არ ნიშნავს, რომ ის მას ვერ აღიქვამს. იგნორირება შეიძლება განზრახ მოხდეს. გიბსი და იზეტი თვლიან, რომ არსებობს მსმენელი: 1. მგელი (“wolves”), რომელიც კარგად ხედავს ირონიას; 2. ცხვარი (“sheep”), რომელიც ვერ აღიქვამს ირონიას; 3. კონფედერატი (“confederates”), რომელიც ნაგულისხმევ ირონიულ მნიშვნელობას ეთანხმება და 4. მსხვერპლი (“victims”), რომელიც არ ცნობს ინტენციურ მნიშვნელობას. ამ თეორიის მიხედვით, მსხვერპლი ცოცხალი ირონიის მსმენელია. (გიბსი და იზეტი 2005:131-152). ცოცხალი ირონიის კიდევ ერთ მაგალითად მოვიყვანო ქალბატონის ფრაზას, რომელსაც ის ამბობს, როდესაც ხედავს, როგორ ჩამოსხნეს რემონტის გასაკეთებლად მოსულმა მუშებმა ის კარები, რომელზეც მისი ქურთუქი და ჩანთა ეკიდა:

(23) Shall I take my clothes off? (ნერლიხი და კლარკე 2001:2).

ცოცხალი ირონიის ფუნქციაში შეიძლება ჩავთვალოთ თვითწარდგენა, მსმენელის „რბილი“ დამცირება და არა მისი აგრესიული კრიტიკა ან თავდასხმა. ცოცხალი ირონია იოლია, მხიარულია და მას მუდამ თან ახლავს იუმორი და სიცილი. ეს არავითარ შემთხვევაში არ უარყოფს ადრე ხსენებულ ირონიის განმარტებებს, მხოლოდ გვაძლევს პერსპექტივას, ირონიის ფენომენის კიდევ ერთი სახე გამოვყოთ.

1.9 ირონია და იუმორი; ირონია და სარკაზმი; ირონია და ტყუილი

ტრადიციულად, ირონიას კომიკურის ერთ-ერთ უანრად განიხილავენ ხუმრობასთან, სარკაზმთან, პაროდისა და სატირასთან ერთად. მეცნიერები ცდილობენ, განასხვავონ იუმორის ნაირსახეობები და აღნიშნავენ, რომ იუმორი, ირონია, ტყუილი, სარკაზმი, როგორც არაგულწრფელი დისკურსის მაგალითები, საუბრის მრავალფეროვნებისთვის გამოიყენება. (კარტსბურგი 2010) მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ ოჰენრის მოთხრობა „წითელკანიანთა ბელადის გამოსასყიდი“ (“The Ransom of Red Chief” O. Henry), რომელიც მოტიანად კომიკურ ეფექტადაა ქცეული, ან კიდევ ერთი მაგალითი, რომელიც იუმორისტულია, რადგან იგი არ აკრიტიკებს არავის და არაფერს, გამოიყენება მხოლოდ და მხოლოდ სიტუაციის განსამუხტავად, იწვევს სიცილს და წარმოადგენს ცოცხალ ირონიას:

(24) Approximately how many birthdays does the average Japanese woman have?

Just one. All the others are anniversaries. (სლოუნი და მაცჰილი 2004:86).

რა თქმა უნდა, ირონიასა და იუმორს შორის არსებობს როგორც საერთო დამახასიათებელი თვისებები, ასევე არსებითი განსხვავებები. აღნიშნოთ მათი გამაერთიანებელი თვისებები. პირველი, რაც მათ აერთიანებს, არის ის, რომ ორივე არღვევს გულწრფელობის მაქსიმას. ორივე შემთხვევაში მსმენელს ყოველთვის აქვს შესაძლებლობა ჰკითხოს მთქმელს: *სერიოზულად ლაპარაკობ, თუ ხუმრობ?* ან *შენი სიტყვები ირონიულად გავიგო?* შემდეგი საერთო კომპონენტი მათი წინასწარი განზრახულობაა, ანუ ორივეს აქვს კონკრეტული ინტენცია ყოველ ცალკე აღებულ კონკრეტულ კონტექსტში. კიდევ ერთი, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანი რამ, რაც აკავშირებს ირონიასა და იუმორს, არის მათი საერთო ფუნქცია, მოხსნას დაძაბულობა, გაამარტივოს ინტერკომუნიკაციის მსვლელობა.

როგორც მკვლევრები ამტკიცებენ, ირონია დასცინის, ხოლო იუმორი იცინის, ირონია ბრწყინავს, იუმორი სითბოს აძლევს. ჩვენი აზრით, ირონიასა და იუმორს შორის ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი განსხვავება, რაც აშკარაა ზედაპირულ დონეზე, მათი განსხვავებული ხასიათის ინტენციაში ვლინდება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ირონიის მეშვეობით მთქმელი სამყაროს არასრულყოფილებას ააშკარავებს, ხოლო იუმორი ეხმარება მას ამ

არასრულყოფილების დაძლევაში, ანუ ირონია ამხელს ნეგატიურ მოვლენებს, იუმორი კი ის მექანიზმია, რომელიც მოქმედს ცხოვრებისეული პრობლემების გადაჭრაში ეხმარება. “Humour is also a coping mechanism in times of trouble.” (ჯარსკი 2005:xiv)

ირონიისა და იუმორის განსხვავებებზე ლაპარაკისას ასევე აღსანიშნავია ის, რომ ირონიას ახასიათებს თვისება, იყოს აშკარა ან ფარული, გესლიანი ან გულკეთილი, სასაცილო, ანუ უახლოვდებოდეს ან არ უახლოვდებოდეს იუმორს. არსებობს ისეთი სიტუაციები, როდესაც მოქმედს არ სურს მისი ირონია ფართოდ იყოს გაგებული, ანუ მისი ირონია კონკრეტულ მსმენელზეა ორიენტირებული, ამიტომ მოქმედი ირონიას ფარულად გამოხატავს იმ იმედით, რომ მსმენელი, თავისი საერთო ფონური ცოდნით, სპეციფიკური შეხედულებებითა და ფსიქოლოგიური მდგომარეობით, მას ადეკვატურად გაიგებს.

(25) Humour is one of only three things we (British) take seriously in this country.(the other two being football and IKEA) (ჯარსკი 2005:xiii)

ამასთან, ირონია ენას ეკუთვნის, ის ლინგვისტური მოვლენაა, რომელსაც შესაძლებელია, თან პარალინგვისტური პარამეტრები (გამოხედვა, ღიმილი, უესტები ან სათანადო ინტონაცია) ახლდეს. ხოლო იუმორი, ენის მასალის გარეშე, შეიძლება უესტიკულაციის ფორმით იყოს გამოხატული. მათი კიდევ ერთი განმასხვავებელი ნიშანი მდგომარეობს შემდეგში: ირონია არ არსებობს ირონიის ობიექტის გარეშე, იუმორი კი შესაძლებელია ობიექტის გარეშე წარმოიქმნას. აგრეთვე, არსებობს თვითირონია, მაგრამ არ არსებობს თვითიუმორი. აქვე უნდა დავამატოთ, რომ მოქმედი ხშირად ამბობს: მაპატიე, ეს ხუმრობა იყო, ხოლო ძალიან იშვიათად: მაპატიე, ეს ირონია იყო.

და ბოლოს, ყველაზე მთავარი განმასხვავებელი თვისება ირონიასა და იუმორს შორის არის ის, რომ ირონიის შემთხვევაში, მისი მთავარი მიზანია ირონიის ობიექტისადმი თავისი ნეგატიური პოზიციის, აღშფოთების, გაღიზიანების, ბოღმის გამოხატვა, რაც, რასაკვირველია, შორს არის იუმორისგან; ხოლო იუმორის მთავარი დანიშნულება სიცილი და მის ფონზე ერთგვარი შვების გამოწვევაა. ეს ფაქტი შესაძლოა საკამათო იყოს იმიტომ, რომ ირონიასაც

შეუძლია გამოიწვიოს სიცილი. მაგრამ ასეთი სიცილი ყოველთვის უარყოფით დამოკიდებულებას გამოხატავს.

გავრცელებულია მოსაზრება, რომ ირონია ტყუილის ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენს, რადგანაც მის დროს გამოხატავენ თქმულის საწინააღმდეგო ან განსხვავებულ აზრს, ანუ იტყუებიან (უაინრიჰი, 1968). ეს აზრი უმართებულოდ გვეჩვენება, რადგანაც ირონია უფრო რთული ფენომენია, რომელიც მოითხოვს მთქმელისა (მისი წარმოთქმისას) და მსმენელისაგან (მისი ინტერპრეტირებისას) განსხვავებული მნიშვნელობების ლოგიკურ დაპირისპირებას.

მეორე მხრივ, არსებობს ერთი რამ, რაც ირონიასა და ტყუილს სხვადასხვა პოლუსზე ანაწილებს, რაც სავსებით საკმარისია გააბათილოს მათი საერთო ნათესაური კავშირი. ეს არის ირონიისა და ტყუილის გამოყენების დროს მთქმელის საკომუნიკაციო ინტენცია და საბოლოო მიზანი. (ბარბე 1995; გიბსი და ობრაიენი 1991) ერთი მხრივ, ირონიული მოსაუბრე არ მაღავეს თავის ინტენციას, მას სურს მისი ირონიული ნათქვამის ადეკვატური დეკოდირებისას მსმენელმა კარგად დაინახოს ორაზროვნობა და აუცილებლად გაიგოს, რომ ეს ტყუილი კი არა, არამედ სხვა საპირისპირო მნიშვნელობის მატარებელი აზრია. მთქმელი იტყუება იმ მიზნით, რომ ეს ტყუილი არასდროს გამოაშკარავდეს. თუ მსმენელი ირონიული ნათქვამის პროცესირების დროს გაიგებს მის მნიშვნელობას პირდაპირ და არა ირონიულად, მთქმელი წარუმატებელია, და პირიქით, თუ მთქმელი იტყუება და მის განზრახულ აზრს პირდაპირ იღებენ, ის წარმატებულია. მაგალითად,

(26) Nice weather, isn't it! – said on a rainy day.

ანალიზის შემდეგ ეს ნათქვამი შეიძლება სამგვარად გავიგოთ: 1. ეს ირონიაა და მთქმელი აშკარად გამოხატავს თავის ნეგატიურ დამოკიდებულებას, რომ ვერ მიდის პიკნიკზე. 2. ეს ტყუილია. მთქმელი იტყუება, რომ გარეთ კარგი ამინდია რაღაც მიზეზების გამო. და 3. ეს სიმართლეა. მთქმელი ტყუება წვიმით პაპანაქება სიცხის შემდეგ.

იუმორის კიდევ ერთი წარმომადგენელია სარკაზმი.

(27) I never forget a face, but in your case I'll be glad to make an exception. (მარქს გამონათქვამები (http://www.brainyquote.com/quotes/authors/g/groucho_marx.html))

სარკაზმის დროს მოქმელი ირონიის ობიექტისადმი შუღლს, აღშფოთებას, ძლიერსა და აგრესიულ დამოკიდებულებას გამოხატავს, ამიტომაც სარკასტული ნათქვამი ადვილად შესამჩნევი და გასაგებია. მუეკე მიიჩნევს, რომ იმის გამო, რომ სარკაზმი ირონიის ყველაზე უხეში ფორმაა, ის ნაკლებად საინტერესოა კვლევისთვის (მუეკე 1969:20). ნებისმიერი სახის დებატებში სოციალური ან მორალური ადვოკატების დროს ხშირად ორატორებს სარკაზმი ახასიათებთ.

(28) Often it does seem a pity that Noah and his party did not miss the boat. an Reader, suppose you were an idiot. And suppose you were a member of Congress. But I repeat myself. (ტვენი, <http://www.brainyquote.com/quotes/authors.html>)

სარკასტული გამონათქვამი წარმოთქმულის დიამეტრალურად საწინააღმდეგო მნიშვნელობების გამოყენებით მწარედ დასცინის და მძაფრად ამხელს მოქმელის სიძულვილს რაიმე მოვლენისადმი (ჰაიმანი 1998). სარკაზმი პირდაპირ გამოხატავს უარყოფით შეფასებას მოჩვენებითი შექების ნიღბის ქვეშ და არა ფარულად, როგორც ირონია. ირონია სარკაზმთან შედარებით უფრო „მშვიდია“. კიდევ ორი განსხვავება ირონიასა და სარკაზმს შორის, ჰაიმანის მიხედვით, სწორედ იმაშია, რომ 1. ირონიული შეიძლება იყოს როგორც მოქმელი, ასევე სიტუაცია, სარკასტული კი, მხოლოდ მოქმელია. 2. ირონია შეიძლება სპონტანური იყოს, ხოლო სარკაზმი ყოველთვის მოიცავს ინტენციას, დაამციროს მსმენელი.

(29) I'm busy now. Can I ignore you some other time? (სარკასტული გამონათქვამები <http://www.brainyquote.com/quotes/keywords/sarcastic.html>)

„ხალხი იყენებს ირონიას სხვა ადამიანის დასაცინად და ეს მათ მოსწონთ... სიამოვნება ირონიის გამოყენებისას ვერბალური ინტერაქციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ჯილდოდ ითვლება.“ “People use irony to mock others and enjoy doing so... The pleasure people take from irony is one of the great rewards found in verbal interaction.” (გიბსი და კოლსტონი 2001:193, 196)

1.10 ირონია და ასთეიზმი

როგორც კვლევამ დაადასტურა, ირონია დადებით კონტექსტშიც ანუ დადებითი (პოზიტიური) კონტრასტით შეიძლება შეგვხვდეს. მეცნიერთა ერთი ნაწილი - ბრაუნი, ატარდო, ბუთი, კუმონ-ნაკამურა, დიუსი (ბრაუნი 1980; ატარდო 2000; ბუთი 1974; კუმონ-ნაკამურა 1995; დიუსი 1995) - ამტკიცებენ, რომ არსებობს ასთეიზმი (asteism), რომლის დროს ირონია პოზიტიურია: მთქმელი პოზიტიურ გზავნილს უარყოფითი ფორმით გამოხატავს, ანუ მთქმელი ექსპლიციტურად აკრიტიკებს რაიმეს, ხოლო იმპლიციტურად კი აქებს ირონიის “მსხვერპლს”.

ზემოთ აღნიშნული განსაზღვრებების ანალიზის შემდეგ დავინახეთ, რომ ირონიის ექსპლიციტურად უარყოფითი ფორმის გამოყენების შემთხვევაში, მთქმელი ირონიულ აზრს პოზიტიურ ლინგვისტურ-სემანტიკურ ფორმაში გამოხატავს. თუ მსმენელი მას სწორად გაუგებს, ე.ი. ირონიულად - მაშასადამე, შეფარულმა აზრმა დანიშნულების ადგილს მიაღწია. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ მსმენელი მას პირდაპირ, ანუ პოზიტიურად გაიგებს - მთქმელი ‘გადარჩება’, რადგან მან დადებითი რამ თქვა კონტექსტის/სიტუაციის/ობიექტის შესახებ. ეს იმიტომ ხდება, რომ დარღვეულია გრაისის თავაზიანობის მაქსიმა, რომელიც მაშინ ცოცხლდება, როდესაც მთქმელი ცდილობს მსმენელს „გადაურჩინოს“ სახე პატივისცემის ფორმით. ამით ის მსმენელის თავმოყვარეობაზე ზრუნავს. ასეთი სიტუაციები, როდესაც მსმენელის რეპუტაციას საფრთხე ემუქრება (კრიტიკა, არმოწონება, დადანაშაულება, ჩივილი), ძალზე ხშირად გვხვდება და ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ინტერპერსონალურ ურთიერთობებში.

არსებობს ისეთი შემთხვევები, როდესაც მთქმელი ირონიულად გამოთქმულ მესიჯს სერიოზულ ფორმად გადააქცევს ან გააგრძელებს კომუნიკაციას გამონათქვამის არა-ირონიული, ანუ პოზიტიური მნიშვნელობის გამოყენებით, რომლითაც საკუთარი თავისთვის უვნებლად შეცვლის თავის დამოკიდებულებას ირონიის ობიექტისადმი. (ნუოლიჯარვი და ტიიტულა 2010:577, 582). მეორე მხრივ, ასთეიზმის აქტუალიზაციის დროს მთქმელი გზავნილს უარყოფითი ფორმით გამოხატავს, რაც, თავისთავად, გაუგებრობის აშკარა საფრთხეს წარმოადგენს. თუ ნათქვამი არ აღიქმება როგორც ირონიული, მაშინ მას იღებენ, როგორც პირდაპირ კრიტიკას, რამაც შეიძლება მსმენელში უარყოფითი ემოციები გამოიწვიოს. ამიტომ პოზიტიური ფორმით გამოხატული ირონია საკმაოდ

იშვიათია უარყოფითი ფორმით გამოხატულ ირონიასთან შედარებით. გვინდა აღვნიშნოთ, რომ ირონიის კვლევის მამად წოდებული გრაისი ამტკიცებს, რომ ირონია შესაძლებელია მხოლოდ ნეგატიური იყოს. გრაისი საერთოდ არ იხსენებს პოზიტიურ, ანუ ასთეისტურ დამოკიდებულებას. “მაგალითად, შემიძლია ვთქვა: *რა არამზადა ხარ!* როდესაც მე შენდამი კეთილად ვარ განწყობილი, მაგრამ ეს რომ ვთქვა, ეს უფრო „ცელქობა“ იქნება, ვიდრე ირონია.“ (“I can for example say *What a scoundrel you are!* when I am well disposed toward you, but to say that will be playful, not ironical”) (გრაისი 1989:54). ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებს იმ მოსაზრებას, რომ ირონიასთან დაკავშირებით არ არსებობს ერთგვაროვანი მიდგომა.

მაშასადამე, ირონიის წარმატება დამოკიდებულია მსმენელის მიერ მის აღქმაზე (მის უნარზე გაარჩიოს ნაგულისხმევი მნიშვნელობა) და კომუნიკაციის დროს მის მიერ გამონათქვამის ადეკვატურ დეკოდირებაზე. აქედან გამომდინარე მსმენელი ძალიან მძიმე სამუშაოს ასრულებს ირონიის ინტერპრეტაციის დროს, რადგანაც მას ყოველთვის უნდა ახსოვდეს მთქმელის ინტენცია გამოხატოს საპირისპირო იმისა, რაც ითქვა. ნათქვამი გადმოიცემა ორი ფორმით: ირონიული კრიტიკა, სადაც ინტენცია ნეგატიურია *ironic criticism (intended negative meaning)*, და ირონიული კომპლიმენტი, სადაც ინტენცია პოზიტიურია *ironic compliment (intended positive meaning)*.

(30) Sorry to keep bothering you like this (ატარდო 2000:796).

ასთეიზმის კარგი მაგალითია, როდესაც ბირჟის ბროკერი რამდენიმეჯერ ურეკავს თავის კლიენტს, აწუხებს მას, მაგრამ ფაქტობრივად კარგ ამბავს ახარებს – აცობინებს ინფორმაციას დივიდენდების მოულოდნელი მიღების შანსის შესახებ.

ჩვენი კვლევისას ემპირიულ მასალაში უარყოფითი ირონიის შემცველი მხოლოდ ოთხი მაგალითი შეგხვდა, ანუ როდესაც მთქმელი ნეგატიურ ფორმაში პოზიტიურს გულისხმობს. ამის მიზეზი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არის თავაზიანობის მაქსიმის (*maxim of politeness*) დარღვევა, და აგრეთვე ის, რომ ყოველთვის არსებობს შესაძლებლობა ნათქვამი არასწორად იქნა გაგებული. ოთხი მოპოვებული მაგალითიდან მოვიტანთ ორ შესაბამისს, როგორც

ყოველდღიური ცხოვრებიდან, ასევე კლასიკური ტექსტიდან (ჰემინგუის რომანი „მშვიდობით, იარაღ“):

(31) You're really a naughty boy.

(32) -You don't really love me or you'd come back again.

-You are such a silly boy. She kissed me (ჰემინგუეი 1977(1):76).

პირველ მაგალითში (31) ცოლი განზრახ მოიხსენიებს ქმარს, როგორც ურჩ ბიჭს და ნეგატიური ფორმით გამოხატავს კმაყოფილებას მაშინ, როდესაც ქმარმა მას ძვირფასი საჩუქარი მიართვა. მეორე მაგალითში (32) საუბარი შედგა კეტრინსა და ჰენრის შორის, როდესაც უკანასკნელი საავადმყოფოში იწვა. ამ ნათქვამებს ერთი რამ აერთიანებს: მათი სწორი პროცესირება მსმენელის უნარზეა დამოკიდებული, თუ რამდენად ადეკვატურად გაარჩევს ის ნაგულისხმევ და პირდაპირ მნიშვნელობებს და რამდენად წარმატებულად მიხვდება მოქმედის ინტენციას, მოეფეროს მას. ასეთი ნათქვამები ბუნდოვანი და ორაზროვანია და აძლევს მსმენელს ორი საპირისპირო ინტერპრეტაციის შესაძლებლობას.

არასწორად გაგებული ირონიული გამონათქვამის მნიშვნელობა იმას ნიშნავს, რომ მსმენელი ვერ ხედავს ფარულ მნიშვნელობას და შეუსაბამობას იმისა, რაც ითქვა და რაც იყო ნაგულისხმევი, ან ხედავს ამ შეუსაბამობას, მაგრამ არ თვლის, რომ, საკუთარი ემოციური და ლინგვო-კულტურული ფასეულობებიდან გამომდინარე, რეაგირება უნდა მოახდინოს ასეთ ნათქვამზე, როგორც ირონიულზე. ორივე შემთხვევაში მსმენელი არასწორ დასკვნებს აკეთებს. ირონიის სრული გაგებისა და არგაგების შემთხვევებს შორის შესაძლებელია შეგვხვდეს მთელი რიგი მაგალითები ირონიის ნაწილობრივი გაგებისა. ეს კი საკმარისია კომუნიკაციის წარმატებისთვის, რაც თავის მხრივ, მსმენელის მომავალ აქტიურობაზე ეფექტური ზემოქმედების საშუალებად იქცევა. ასეთი ზემოქმედების დონე კომუნიკანტების ფსიქოლოგიურსა და აზრობრივ ქმედებაზეა დამოკიდებული.

თავი 2

ირონიის დეკოდირება ინტერკომუნიკაციის პროცესში

2.1 ირონიის ანალიზი მეტყველების აქტების თეორიაში

ირონიის ინტერპრეტაციის პროცესში აღქმის ფაქტორები და კომუნიკაციური კომპეტენცია სიძნელეს წარმოადგენს. ამიტომ თანამედროვე ლინგვისტიკაში, პრაგმატიკოსთა კონცეფციის საფუძველზე, სამეტყველო აქტების თეორიები ძალზე აქტუალური და მნიშვნელოვანი გახდა, ახდენს რა ფოკუსირებას მთქმელის განზრახვაზე, კონტექსტზე, ილოკუციურ ძალასა და სპეციფიკურ სამეტყველო სიტუაციებზე.

ცნობილია, რომ მეტყველების აქტი კომუნიკაციის მინიმალური ერთეულია, რომელიც ეფექტური მოდელირების მიზნით კომუნიკანტების ურთიერთობის პროცესში ხორციელდება. კომუნიკაციისას ყველა ადამიანი ენას მიზნობრივად - ინფორმაციის გადაცემისთვის, მისაღმებისთვის, დამშვიდობებისთვის, თხოვნისთვის, დისკუსიისთვის - და ა.შ. იყენებს.

აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა ეროვნულ კულტურაში სამეტყველო ქცევის მრავალფეროვანი სტერეოტიპები და განსხვავებული სამეტყველო ურთიერთობა არსებობს, რომელიც მეტყველების აქტის დროს აქტუალიზდება. აქედან გამომდინარე, წარმატებული მეტყველების აქტი შეიძლება განისაზღვროს იმის მიხედვით, თუ როგორ სოციალურ სიტუაციასა და კონტექსტში აქტუალიზდება ის. ამგვარად, ნებისმიერი მეტყველების აქტი მჭიდროდაა დაკავშირებული კონკრეტულ სოციო-კულტურულ ფაქტორებთან, ამასთანავე ეყრდნობა მთქმელის ინტენციასა და მის ფსიქოლოგიურ მდგომარეობას, რომელიც მოიცავს როგორც ვერბალურ, ასევე არავერბალურ მომენტებსაც.

ირონიული ნათქვამი არ არსებობს მეტყველების აქტების თეორიის გარეშე, რაზეც ყურადღებას ბრაუნი, ამანტე, ჰავერკატე, გლუქსბერგი (ბრაუნი 1980; ამანტე 1981; ჰავერკატე 1990; გლუქსბერგი 1995) ამახვილებენ, რადგანაც ნათქვამი ირონიულ ელფერს იძენს მხოლოდ კონტექსტში და ამგვარად ზეგავლენას ახდენს მსმენელზე.

ნებისმიერი ლინგვისტური მეტყველების აქტის და, კონკრეტულად ირონიის, როგორც ასეთის, მთავარი ამოცანა მესიჯის, ინფორმაციის წარმატებული გადაცემაა. ამგვარი ქმედებისას მოქმედი და მსმენელი კომუნიკაციის რთულ პროცესში მონაწილეობენ, რომელიც ნათქვამის ფორმას, მნიშვნელობასა და კონტექსტს მოიცავს და მსმენელის მხრიდან ნათქვამის ადეკვატურ აღქმასა და რეაქციას მოითხოვს. სხვა სიტყვებით, ნებისმიერი წარმატებული ურთიერთობის დროს ხდება რთული პროპოზიციისა და ირონიული ილოკუციის ადეკვატური დეკოდირება. როგორც აღვნიშნეთ, ირონიის ინტერპრეტაციის სირთულე მოქმედისა და მსმენელის კომუნიკაციურ კომპეტენციაში და მსმენელის მიერ კონტექსტის ადეკვატურ დეკოდირებაში მდგომარეობს. (კოულბრუკი 2002, 2004) ირონიული გამონათქვამის სწორი აღქმა მისი პროპოზიციის გამოვლენაში გამოიხატება. ამაში მსმენელს ირონიის ფუნქცია ეხმარება, რომელიც ჩანს გამოთქმული სიტყვების პირდაპირსა და ნაგულისხმევ მნიშვნელობებს შორის არსებულ დაპირისპირებაში.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მოქმედი განზრახ არჩევს პოლისემანტიკური სიტყვის ერთ–ერთ მნიშვნელობას, რომელსაც იგი შემდგომ ირონიის ეფექტის მიღწევის მიზნით იყენებს. კონკრეტულ კონტექსტში ეს სიტყვა მინიმუმ ორ მნიშვნელობას იძენს (პირდაპირსა და ნაგულისხმევს), რაც მსმენელს ეხმარება, მიხედვს (ან ვერ აღიქვას) მათ შორის არსებული დაპირისპირება და სწორად გაიგოს (ან ვერ გაიგოს) ირონიული ნათქვამი (ნერლიხი და კლარკე 2001:5).

ყველაფერი ეს, ერთი მხრივ, მოქმედის აზრის გადმოცემის სტილში გამოიხატება, რაც ირონიულ კონტექსტში საუბრისას მისთვის დამახასიათებელ მეტყველებას ამუღავნებს და, მეორე მხრივ, მსმენელის ირონიის აღქმის შესაძლებლობასა და მისი ღირებულებების შეფასებაში ვლინდება.

ირონია რომ განვიხილოთ როგორც მეტყველების აქტი, საჭიროდ მიგვაჩნია თავად მეტყველების აქტები მოვაქციოთ ყურადღების ცენტრში. ზოგადად, მეტყველების აქტის სრული ლინგვისტური ანალიზი მისი კოგნიტური, ფსიქოლოგიური, სოციალური, სიტუაციური პარამეტრების მეშვეობით ხდება, რომელსაც მოსაუბრისა და მსმენელის ინდივიდუალური მახასიათებლები ემატება.

ორ მკვლევარს: ოსტინსა და სერლს (ოსტინი 1962; სერლი 1969), რომლებიც მეტყველების აქტების თეორიის ტრადიციულ, ფუნდამენტურ სკოლას წარმოადგენენ, მეტყველების აქტი მიაჩნიათ სოციალური ხასიათის ინტერაქციად, რომელიც სიტყვების (ანუ ვერბალური ელემენტის-ი.ქ) მეშვეობით კონკრეტულ სამეტყველო ინტენციას (შეთავაზებას, აღშფოთებას, სიძულვილს, დაცინვას, უარყოფას, თხოვნას, კომპლიმენტს) გამოხატავს.

ოსტინის მიხედვით, ნებისმიერ გამონათქვამს სამი განზომილება აქვს:

1. ლოკუციური, რომელიც ნათქვამის მნიშვნელობას მოიცავს ენის გრამატიკული, ლექსიკური და ფონეტიკური კანონების დაცვით (“act of saying something”).
2. ილოკუციური, როდესაც სიტყვების მეშვეობით მოქმედი ფაქტობრივად მოქმედებს, ანუ სიტყვებს კონვენციურად იყენებს იმისთვის, რომ გამოხატოს თავისი მოთხოვნა, გაფრთხილება ან, უბრალოდ, გადასცეს ინფორმაცია; ილოკუცია ჩნდება მაშინ, როდესაც მოქმედი ლოკუციას სპეციფიკური ილოკუციური ძალით იყენებს (“act in saying something”).
3. პერლოკუციური, როდესაც ხდება „მოქმედების კეთება“ (doing an action), ანუ მოქმედი გამონათქვამით ცდილობს დაარწმუნოს, გააკვირვოს, აწყენინოს, შეცდომაში შეიყვანოს მსმენელი და ამით კონკრეტულ ეფექტურ მოქმედებას მიაღწიოს. პერლოკუციური აქტი ილოკუციურის შედეგია (“act by saying something”).

როდესაც ქმარი ცოლს ეუბნება, მშიაო, ამ აქტის ლოკუცია მიუთითებს, რომ ქმარი მშიერია; ილოკუცია აჩვენებს, რომ ქმარს სურს დანაყრება; ხოლო პერლოკუცია მიუთითებს იმაზე, რომ ქმარი არაპირდაპირი ფორმით ცოლს საჭმლის გამზადებას სთხოვს (ვარმა 2012:2).

სხვაგვარად რომ ვთქვათ, მოქმელს სურს, მოუწოდოს მსმენელს მოქმედებისკენ. (ოსტინი 1962:98-109). ოსტინი ადასტურებს, რომ ნამდვილ მეტყველების აქტს აუცილებლად ორი ელემენტი მაინც ახასიათებს - ლოკუციური და ილოკუციური. „ზოგადად, ლოკუციური და ილოკუციური აქტები მხოლოდ აბსტრაქციაა: ყოველი ჭეშმარიტი მეტყველების აქტი ორივეს ნაზავს, სინთეზს

წარმოადგენს”. “...in general the locutionary act as much as the illocutionary is an abstraction only: every genuine speech act is both.” (ოსტინი 1962:146).

ამ აზრს ეთანხმება ამანტეც, რომელიც ამტკიცებს, რომ “ირონიული მეტყველების აქტი იწვევს ილოკუციური და პერლოკუციური ძალების შერწყმას (ბლენდინგს), რომელსაც ავტორი ემოციურ ძალას უწოდებს“. (“...ironic speech acts cause a blending of illocutionary and perlocutionary forces which I call the affective force.”) (ამანტეცე 1981:88).

ჰავერკატე ილოკუციური და პერლოკუციური დონეების ერთობლიობის თეორიას ავითარებს და დასძენს, რომ ირონიის გამოყენებისას მთქმელის ინტენცია ვლინდება მაშინ, როდესაც მას სურს მსმენელზე მოახდინოს პერლოკუციური ეფექტი, რომელიც მისი მოლოდინის დარღვევასა და ინტერკომუნიკაციაში ჩართულობას მიუთითებს (ჰავერკატე 1990).

ირონიის დეკოდირებისას უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტიც, რომ მთქმელის მიერ წარმოთქმული პროპოზიციის იდენტიფიცირების გარდა, ასევე საჭიროა განვსაზღვროთ, თუ რომელ მეტყველების აქტშია ჩართული მთქმელი.

ირონიის ილოკუციური ძალა ნეგატიური შეფასების გამოაშკარავებაში მდგომარეობს, რომლის კომუნიკაციური მიზანია მსმენელზე ზეგავლენის მოხდენა, მაგრამ არ გულისხმობს შეურაცხყოფას ან დამცირებას. მაშასადამე, ირონიული მეტყველების აქტის დროს მთავარია, მსმენელმა შეძლოს, ამოიცნოს ნათქვამის ილოკუციური ძალა, გაუკეთოს მას სათანადო ინტერპრეტაცია და ადეკვატურად იმოქმედოს. ეს პროცესი რთულდება იმ შემთხვევაში, როდესაც ილოკუციური ძალა ისეა დაფარული, რომ მისი წარმატებული დეკოდირება მხოლოდ მსმენელის საკომუნიკაციო კომპეტენციაზეა დამოკიდებული.

სერლმა თავის ნაშრომში „ილოკუციური აქტების კლასიფიკაცია“ (სერლი 1976:1-16) ოსტინის მეტყველების აქტების თეორია განავრცო, მათ ერთი პარამეტრი - ჭეშმარიტების პირობა - დაუმატა და ენის აქტუალიზაციის შემთხვევების 5 მთავარი ჯგუფი გამოჰყო:

1. ასერტივები (assertives), რომლებშიც ნათქვამის მნიშვნელობა გარკვეულ ჭეშმარიტებას შეესაბამება და, რაც მთავარია, მთქმელს იგი ჭეშმარიტად მიაჩნია. შესაბამისად, იგი მას, გარკვეულწილად, თავს ახვევს მსმენელს.

პირდაპირი მნიშვნელობა ასეთ მაგალითებში ყოველთვის პოზიტიურია, ხოლო ილოკუცია ნეგატიური შეფასების მატარებელია;

2. დირექტივები (directives), როდესაც მოქმელი ცდილობს, აიძულოს მსმენელი განახორციელოს შემდგომი ქმედება, ანუ ზღუდავს მსმენელის თავისუფლებას თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება. მოქმელის მიერ პოტენციური ქმედება შეიძლება გამოხატული იყოს თხოვნის, რჩევის, ნებართვის, გაფრთხილების, მოთხოვნის, ინსტრუქციის, სურვილისა და ბრძანების ფორმით. დირექტივების დროს დამატებით ილოკუციად ნათქვამისადმი მსმენელის რეაქცია შეიძლება გამოიკვეთოს;

3. ექსპრესივები (expressives), რომლის აქტუალიზაციის დროს მოქმელი გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას მანამდე განხორციელებული ქმედების მიმართ ან საკუთარ ფსიქოლოგიურ მდგომარეობას (მადლობის, მადლიერების, თანაგრძნობის, გაღიზიანების, ჩივილის, ბოდიშის, სინანულის, მილოცვის, გაფრთხილების, პატიების თხოვნის, მისალმების, ბრალდების, ვარაუდის, შედარების ან დაფიცების გამომხატველი აქტების სახით).

4. კომისივები (commissives), რომლებშიც მოქმელი ვალდებულებას იღებს და მზადყოფნას გამოხატავს, იმოქმედოს მომავალში შეთავაზების, დაპირების, მუქარის, გარანტიის მიცემისა და ფიცის დადების ფორმით.

5. დეკლარატივები (declaratives), რომლის პროპოზიცია მოიცავს ისეთი სახის დეკლარაციას, როგორცაა: ადამიანის დამნაშავედ ცნობა, ან საქორწინო სახლში ცოლ-ქმრად გამოცხადება, ან ბავშვის მონათვლის დეკლარირება (ტროსბორგი 1994).

აღსანიშნავია ოსტინის გაფრთხილება, რომ მეტყველების აქტების ასეთი დაყოფა არ არის სრულყოფილი: „თავიდანვე ნათლად უნდა გავიაზროთ, რომ არსებობს მარგინალური, უხერხული ან გადაფარვების შემთხვევების ფართო შესაძლებლობა“. “We should be clear from the start that there are still wide possibilities of marginal or awkward cases, or of overlaps.” (ოსტინი 1962:151).

აქვე გვინდა მოვიყვანოთ ჰავერკატეს მოსაზრება, რომ სერლის მიერ შემოთავაზებული მეტყველების აქტებიდან დეკლარატივები არ შეიძლება იყოს ირონიული, რადგანაც მათი ილოკუციური მიზანია არსებული მდგომარეობის

დაუყოვნებლივი შეცვლა, მაგალითად, ომის გამოცხადება ან ნათლობის ცერემონიალი და „ისინი პერფორმატიული ფორმულებით ხორციელდება, სადაც გულწრფელობის პირობა თავიდანვე გამორიცხებულია.“ „...they are performed by means of performative formulas, to which no sincerity conditions apply“. (პავერკატე 1990:89).

საინტერესოა ზემოთ მოყვანილი მეტყველების აქტების კლასიფიკაციის დროთაა ფრანკის კრიტიკული აზრი. (ფრანკი 1981:225-237) მკვლევრის აზრით: 1. არსებული კლასიფიკაცია საკმარისი არ არის, რომ პრაგმატიკული თვალთახედვით ვერბალური კომუნიკაციის საბაზისო ჩარჩოდ ითვლებოდეს. 2. ნათქვამი ხშირ შემთხვევაში არ შემოიფარგლება ერთი, ცალკე აღებული მეტყველების აქტით. 3. ეს თეორია სტატიკურია და, შესაბამისად, არ ითვალისწინებს ბუნებრივ პირობებში კომუნიკაციის დინამიურ განვითარებას. 4. მოცემული ტიპოლოგია, რომელსაც საფუძვლად ზმნების სემანტიკური კლასიფიკაცია უდევს, შეზღუდულია, სრულად ასხნას მეტყველების ბუნება.

როგორც კვლევამ გვიჩვენა, ყოველი მეტყველების აქტის დროს, სადაც ირონია გადამწყვეტ როლს ასრულებს, მოსაუბრე მოქმედებს კონკრეტული განზრახვით ან მიზნით, რომელსაც ემოციური გამოხატულება და სპეციფიკური კონტექსტი აქვს, რაც ისეთ პერლოკუციურ ქმედებებში აისახება, როგორებიცაა, მაგალითად, მსმენელის გააკვირვება, ირიბი გაფრთხილება, დარწმუნება, შოკირება, აღელვება, შეცდომაში შეყვანა. ამგვარად, ირონიის მეშვეობით მთქმელი აიძულებს მსმენელს მიუხვდეს მას ფარულ სათქმელს, ემოციასა და განზრახვას კონკრეტულ სამეტყველო აქტში და გააკეთოს ნათქვამის შესაბამისი ინტერპრეტაცია, რომელიც მის სურვილს, გრძნობას ან იდეას შეიცავს. ამის დასტურად მოვიყვანთ შემდეგ ციტატას: „სამეტყველო აქტის მონაწილეები მიუსადაგებენ საკუთარ ვერბალურ ქმედებას კონკრეტულ ადრესატებს და კონტექსტს, რათა მძლავრ ინტერპერსონალურ ეფექტს მიაღწიონ“ (“People adjust their language to their addressees and the situation in order to achieve interpersonal effects”). (ლოხერი და გრემი 2010:2)

მაშასადამე, ირონიის დროს მსმენელმა მკაფიოდ უნდა დაინახოს კავშირი ნათქვამსა და ნაგულისხმევს შორის, რადგანაც, პრაგმატიკის კანონების მიხედვით, გამონათქვამი მთქმელის ფსიქოლოგიურ მდგომარეობას ირეკლავს და მისი მნიშვნელობა ამ მოცემულ კონტექსტში არ არის ის, რაც სხვა,

„ნორმალურ“, ასე ვთქვათ, არაირონიულ პირობებში შეიძლება ყოფილიყო ნებისმიერი მეტყველების აქტი, რომელიც მოსაუბრის ფსიქოლოგიურ მდგომარეობას გამოხატავს, შეიძლება ირონიულად შესრულდეს. (...any speech-act which has a necessary psychological state may be ironically performed”). (ბრაუნი 1980:120).

მაშასადამე, ირონია რთული სამეტყველო აქტია, რომელიც აპრიორულად, „სახისთვის სახიფათო აქტს“ (FaceThreateningAct) წარმოადგენს და ინტერპრეტაციის სხვადასხვა სტრატეგიას მოითხოვს. მართლაც, მთქმელი იმისთვის, რომ სოციალურად მიღებული ფორმით გამოხატოს ირონიული დამოკიდებულება რაიმე ობიექტისადმი, ყოველთვის ფრთხილად უნდა იყოს, რომ არ „გამოჩნდეს“ უხეშად და მომთხოვნად და არ შეურაცხყოს მსმენელი. მთავარი, რაც უნდა გვახსოვდეს ირონიის დეკოდირების დროს არის ის, რაც რჩება მისი, როგორც სამეტყველო აქტის მაგალითის მიღმა.

ჩვენი კვლევა ასევე მოიცავს ირონიის ინტერპრეტაციის ორი ასპექტის ანალიზს: პირველი, გვსურს გამოვიკვლიოთ, რა არის წარმატებული ირონიის საწინდარი და, მეორე, გვაინტერესებს, როგორ ხდება ირონიის პრაგმატიკული ინტერპრეტაცია მეტყველების აქტებში. შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ირონიული სამეტყველო აქტი მოიცავს მთქმელს, მსმენელს, თვით ნათქვამს, მის ირონიულ მნიშვნელობას, კონტექსტს, მთქმელის ინტენციას, გამოხატოს და გააგებინოს მსმენელს თავისი დამოკიდებულება ნათქვამისადმი, კომუნიკანტების ფსიქოლოგიურ მდგომარეობას.

ირონიის კვლევის საფუძველზე ერთ-ერთ მაგალითად გვინდა მოვიყვანოთ შემდეგი გამონათქვამი, ასერტივი, რომელიც ცოლ-ქმრის სტუმრად ყოფნის შემდგომ მათი სახლში დაბრუნებისას გაუღერდა. ამ მაგალითში ენდრიუ ცდილობს, აჩვენოს თავის „ბედნიერ“ ცოლს, რომ იგი სულაც არაა კმაყოფილი სტუმრად გატარებული დროით. ქრისტინს ამ ნათქვამის სწორი ინტერპრეტაციისთვის მეუღლის მიერ გამოთქმულის საპირისპირო მოსაზრება უნდა აღექვა. სპერბერისა და უილსონის ციტირების (mention theory) თეორიის მიხედვით, ენდრიუ ქრისტინს მისივე სიტყვების გამეორებით პასუხობს “a nice time”, რაც რეალურად პროპოზიციის უარყოფას ნიშნავს. ასეთი კონტრასტული მნიშვნელობის გამოყენებით ენდრიუს სურს, „ბედნიერ“ ქრისტინს აზრი შეაცვლევინოს.

(33) We did have a nice time, didn't we, love? Christine remarked happily

Oh, a very nice time!" Andrew said bitterly. (კრონინი 1993:41)

ქვემოთ მოყვანილ მაგალითში (34) საქმე გვაქვს ირიბი კომისივის აქტთან, რომელიც ინფორმაციას შეკითხვის სახით ექსპლიციტურად გადმოსცემს, ხოლო არასასიამოვნო განზრახვასა და, გარკვეულწილად, საფრთხეს იმპლიციტურად შეიცავს.

(34) He can't go. How am I supposed to be nasty to him if he isn't here? (დე ბერნიერესი 2001:28)

იმისათვის, რომ ეს ირონიული ნათქვამი ადეკვატურად დეკოდირდეს, უნდა გავითვალისწინოთ მისი წინა-კონტექსტური სიტუაცია: ბერძენი ექიმი იანისი ამ სიტყვებს იმ ადამიანზე ამბობს, რომელიც იტალიის არმიას წარმოადგენს და, რომელმაც მისი მშობლიური ბერძნული კუნძული კეფალონია დაიპყრო. იტალიელი კაპიტანი კორელი თავდაპირველად ექიმის სახლში დარჩენას გეგმავდა, შემდეგ კი გადაწყვეტილება შეცვალა. ამ ნათქვამში, სადაც აშკარად ჩანს ექიმის ფსიქოლოგიური მდგომარეობა, ექიმი იტალიელი ოკუპანტისადმი ნეგატიურ დამოკიდებულებას გამოხატავს. ექიმი ნამდვილად გულწრფელია იმაში, რომ მას ოკუპანტის სახლიდან წასვლა არ უნდა, რადგან მას სურს, საშუალება მიეცეს, დაამციროს კაპიტანი. ამავდროულად, ამ რიტორიკულ შეკითხვაში მოსაუბრე ირონიის გამოყენებისას დასაწყისიდანვე არღვევს სერლის მიერ შემოტანილ გულწრფელობის პირობას, რადგან ექიმს უკვე აქვს კითხვაზე პასუხი და ჩამოყალიბებული დამოკიდებულება იმასთან დაკავშირებით, რაზეც საუბრობს. მსმენელმა უნდა შეძლოს მოცემული მაგალითის ხასიათის, მასში ნაგულისხმევი მნიშვნელობისა და ექიმის დამოკიდებულების - „არა კეთილგანწყობილად“ დახედვს კაპიტანს - გამოცნობა. ექიმის ნათქვამი რელევანტურია ამ კონკრეტულ სიტუაცია-კონტექსტში და მისი ილოკუციური ძალა ირიბი, ირონიული შეკითხვის დასმით გამოიხატება. ჯერ კიდევ ოსტინი სამართლიანად მიიჩნევდა, რომ ირონიული მნიშვნელობა საბოლოოდ, კონტექსტში 'იხსნება'. მკვლევარი გარკვევით აცხადებს, რომ სიტყვები უნდა იქნას „ახსნილი“ იმ კონტექსტით, რომელშიც ისინი გამოიყენება (words need to be “explained” by the context in which they are used). (ოსტინი 1962:100).

ასეთი ტიპის ირონიის ინტერპრეტაცია 1) გრძნობების აღქმაზე დაფუძნებული, რომელიც ამ კონკრეტულ შემთხვევაში ექიმის რეპლიკა-რეაქციით გამოიხატება და 2) კატეგორიულობის შემცირების აზრობრივ დატვირთვას მოიცავს, რომელიც მანამდე მოცემული მსჯელობიდან გამომდინარეობს. ამგვარად, ეს რიტორიკული შეკითხვა შეიცავს წინააღმდეგობას ფორმასა (კითხვას) და ფუნქციას (არ სურს ინფორმაციის მიღება) შორის. როგორც გლუქსბერგი ამტკიცებს, ამ დროს მთქმელი პრაგმატიკულად არღვევს გულწრფელობის პირობას, რადგანაც სინამდვილეში მას პასუხი სულ არ აინტერესებს. ზოგადად, საინტერესოა ის ფაქტი, რომ მსმენელის მიერ გრძნობადი აღქმა ძალზე მნიშვნელოვანია ირონიული გამონათქვამის ადეკვატური გაგებისთვის (გლუქსბერგი 1995:52).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გამონათქვამი ირონიული მხოლოდ კონტექსტში ხდება, ამიტომ ირონიის ინტერპრეტაციის არცერთი მაგალითი არ არსებობს მეტყველების აქტის გარეთ და მის გარეშე. ეს ის კონტექსტია, რომელიც კომუნიკაციისას ნათქვამის პროპოზიციას ამხელს, ეხმარება მსმენელს, განსაზღვროს მთქმელის განზრახვასა და მის მიერ გამოყენებული სიტყვების პირდაპირ მნიშვნელობას შორის კონტრასტი. ერთმა და იმავე წინადადებაში სხვადასხვა კონტექსტში შეიძლება განსხვავებული ილოკუციური აქტი წარმართოს. ამ აზრის დასამტკიცებლად მოვიყვანოთ ორ მაგალითს (35) და (36) ვალტერ ლა ფაბერის წიგნიდან „ამერიკის ხანა“:

(35) I love Germany so. (ლაფებერი 1994:491)

კონტექსტის გარეშე შეუძლებელია დავადგინოთ, თუ რომელ სამეტყველო აქტს მიკუთვნება ეს წინადადება. კერძოდ, იგი შეიძლება რამდენიმე სამეტყველო აქტის ფუნქციით იხმარებოდეს (ფიცი, დარწმუნება, დაპირება, მადლობის თქმა, შეთავაზება, რეალური სიყვარულის გამოხატულება). „ყველა ამ აქტს აერთიანებს მათი პროპოზიციური შინაარსი, ხოლო განასხვავებს ილოკუციური ძალა“. “What these speech acts have in common is called their propositional content, what they differ in is called their illocutionary force.” (ბიერვიში 1980:1). მხოლოდ კონტექსტში აქტუალიზაციისა და განხილვის დროს შეიძლება ამ პროპოზიციის ადეკვატური დეკოდირება, როდესაც ცხადდება, რომ წინადადება ირონიულ ეგექტს იძლევა.

მაგალითში (36) მსმენელი მაშინვე ხვდება, რომ საქმე ირონიასთან აქვს, რადგანაც ნათქვამი კონტექსტია მოცემული. ეს ნათქვამი, რომელშიც ფრანგი სახელმწიფო მოხელე მეორე მსოფლიოს ომის შედეგად გერმანიის ორად გაყოფის შესახებ წერდა, ირონიული ექსპრესივის კარგი მაგალითია. მასში მთქმელსა და მსმენელს შორის სოციო-ფსიქოლოგიური ურთიერთობაა მნიშვნელოვანი. ფრანგი ირონიულად გადმოსცემს თავის დამოკიდებულებას გერმანიის მიმართ, რომელსაც მისი ქვეყანა ჰქონდა დაპყრობილი. მსმენელმა, სპეციფიკური ისტორიული კონტექსტის ცოდნის გარეშე, შესაძლებელია, ვერც მოახერხოს მისი ადეკვატური ინტერპრეტაცია და ჩათვალოს, რომ მთქმელს გერმანია მართლაც ძალიან უყვარს. აქ მთავარია სწორად ამოიცნო მთქმელის ემოცია, რომელიც გაღიზიანებასა და აღშფოთებას გამოხატავს.

(36) I love Germany so, a Frenchman wrote sarcastically. Every day I thank God that there are two of them. (ლაფებერი 1994:491).

დირექტივის ტიპის სამეტყველო აქტების განხილვისას მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ განხილული კლასიფიკაციით, დირექტივი გულისხმობს მსმენელის „იძულებას“, განახორციელოს ქმედება ბრძანების, თხოვნის, რჩევის, მუქარის, გაფრთხილების, მოთხოვნის, წაქეზების, დარიგების, ინსტრუქციის სახით, რომელიც კონკრეტდება ნათქვამის პროპოზიციული შინაარსით. აქ აუცილებელია, არსებობდეს ირონიის ობიექტი და მთქმელის აშკარა განზრახვა, მიახვედროს მსმენელი მოიქცეს საკუთარი თავის საკეთილდღეოდ. მნიშვნელოვანი მომენტი ასეთი მეტყველების აქტის დროს, როდესაც ტაქტის მაქსიმა ირღვევა, მსმენელის რეაქციაა, დაეთანხმოს მთქმელის დირექტივას თუ უარყოს იგი.

(37) Please don't kill me, I am innocent (დე ბერნიერესი 2001:27).

ეს „თხოვნა“ დამპყრობელი არმიის კაპიტანმა, კორელიმ წარმოთქვა, როდესაც შევიდა სახლში, სადაც ის დროებით ცხოვრობდა და დაინახა ახალგაზრდა დიასახლისი ქალი, რომელიც სამზარეულოში სადილს ამზადებდა, ხელში კი დიდი სამზარეულო დანა ეკავა. ფაქტობრივად, ბედის ირონიით, თვითონ კაპიტანს, როგორც ოკუპანტს, შეუძლია მოკლას ეს გოგო. სიტუაციის ადეკვატური დეკოდირებისათვის მნიშვნელოვანია პროსოდიული და პარალინგვისტური პარამეტრები. ამ შემთხვევაში ავტორი აკონკრეტებს მათ:

„კაპიტანი მის (ქალის) წინ მუხლებზე დაეცა და დრამატულად ამოთქვა.“ “The captain fell to his knees before her and exclaimed dramatically”. (დე ბერნიერესი 2001:27). ასაღვაზრდა ქალმა მიიღო მხედველობაში ნათქვამის ინტონაცია, კაპიტნის მიმიკა, უესტები და სწორად მოახდინა მისი სიტყვების პირდაპირი თუ ნაგულისხმევი მნიშვნელობების ინტერპრეტირება, რაც ნათქვამის პროპოზიციული შინაარსითაა გამოსატული.

უნდა აღინიშნოს, რომ თავისი ელფერით ირონიული ნათქვამი შეიძლება მხიარულ, სევდიან ან შერეულ კონტექსტში შეგვხვდეს. მხიარული ტექსტის ირონია დადებით ემოციებს ბადებს, სევდიან ტექსტში ირონია მწარე ხასიათს იძენს, შერეულში კი ორივე - მხიარული და სევდიანი - ირონიის დამახასიათებელი ნიშნები ვლინდება (ვორობიოვა 2008).

ზემოთ მოყვანილი ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ირონიული მეტყველების აქტის გამოსატვა ცალკე აღებული სიტყვით, რიტორიკული კითხვით, ჩართული წინადადებით, სხვადასხვა სტილის ერთმანეთში არევით, ციტატების დეფორმაციით, ავტორის საკუთარი შემთხვევითი ნათქვამის ფორმით შეიძლება. ზემოაღნიშნულის გაანალიზებისას მივდივართ დასკვნამდე, რომ ირონიის ადეკვატური დეკოდირება შეუძლებელია მეტყველების აქტების თეორიის მოხმობის გარეშე, რადგან, ცხადია, ირონიის კონკრეტული სამეტყველო აქტის ტიპის დაუდგენლად მისი კონოტაციის ბოლომდე აღქმა ძნელდება.

ასევე მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ კომუნიკაციის მთავარი მიზანი ირონიის წარმატებული დეკოდირებაა. მისი პირობები შემდგომში მდგომარეობს: მთქმელისა და მსმენელის საერთო ფონური ცოდნა; მათი ერთნაირი ან მსგავსი ფსიქოლოგიური და სოციალური სტატუსი; მათი საერთო კულტურული წარმოშობა. (ბარა 2007)

ჩვენ მიერ მოპოვებული საილუსტრაციო მასალის ანალიზის საფუძველზე, რომლის სტატისტიკური მონაცემები ნაჩვენებია ცხრილებში 1 და 2, შეიძლება დავასკვნათ, რომ მსმენელზე ზეგავლენის ყველაზე ხშირად გამოყენებულ ხერხად ასერტივები, შემდეგ ექსპრესივები, შედარებით ერთნაირად არა პოპულარული დირექტივები და კომისივები ითვლება, რაც იქიდან

გამომდინარეობს, რომ ზოგადად, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ადამიანის ბუნებას ფაქტის დამტკიცება-დაფიქსირება და ემოციების გამოხატვა ახასიათებს.

გვინდა მოვიყვანოთ რამდენიმე დამატებითი მაგალითი ირონიული ა) ასერტივების, ბ) კომისივების, გ) ექსპრესივებისა და დ) ღირექტივების ქვემოთ მოყვანილი ცხრილების საილუსტრაციოდ:

ა) ასერტივები

1) A Londoner... arrived by train at a town and found that it was pouring with rain... On the way out of the station... he asked the porter: "How long has it been raining like this?" - "I don't know, sir, I've only been here for fifteen years," was the reply. (ჰიუიტი 1987:57).

ამ მაგალითში მოცემული კონტექსტი საკმარისია მსმენელისთვის რათა მისი დეკოდირება მოახდინოს. პასუხის გაცემის დროს მოქმედი დარწმუნებულია თავის სიმართლეში იმიტომ, რომ იმ ადგილას, სადაც ის იმყოფებოდა, მუდმივად წვიმდა 15 წლის განმავლობაში.

2) How come I did not see the results of the test you did last week? - I gave my paper to Jimmy. He wanted to scare his parents. (ევანსი-დული 2010:47).

ბავშვის პასუხი მეორე მაგალითში თავიდანვე გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ადეკვატურად განვახორციელოთ მისი ინტერპრეტაცია, რადგან საყოველთაოდ ცნობილია, რომ მშობელს ყოველთვის სურს შვილმა კარგად ისწავლოს და ეშინია მისი წარუმატებლობის.

3) What is the shortest book in the world? The Italian Book of War Heroes. (დე ბერნიერესი 2001:26)

ეს ირონიული ნათქვამი სწორად რომ გავიგოთ, გვესაჭიროება უფრო ფართო კონტექსტი. მსმენელმა უნდა იცოდეს, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს, მას შემდეგ, რაც იტალიელებმა დაიპყრეს ბერძნული კუნძული, კეფალონია, კუნძულები დამპყრობლებისადმი შეურაცხყოფელ წარწერებს კედლებზე წერდნენ და დასცინოდნენ მათ. ერთ-ერთი მათი ირონიული გამოთქმა წარმოადგენდა იმას, რომ იტალიელები მშიშრები იყვნენ და ამიტომ მათ გმირები არ ჰყავდათ.

4) -You looked perfect at your birthday party!

-Oh, I tried very hard.

-I understand, you have chosen your guests very closely.

ამ მაგალითში ისმის აშკარა კრიტიკა. ერთი მეგობარი ფარულად ამხელს საკუთარ ნეგატიურ დამოკიდებულებას მეორისადმი და თავისსავე სიმართლეში დარწმუნებული ასერტივის სახით გამოთქვამს საკუთარ აზრს. რა თქმა უნდა, მოქმელმა სინამდვილეში არ იგულისხმა, რომ მისმა მეგობარმა თავისი სტუმრები შეუხედაობის პრინციპით შეარჩია, არამედ ხაზი გაუსვა იმას, რომ მას არცერთი სტუმარი არ მოეწონა.

5) He believed to the end exactly the same things he started with. It seems to me that a man who can think straight along for forty-seven years without changing a single idea ought to be kept in a cabinet as a curiosity. (გებსტერი 1912:109).

ეს მაგალითი კლასიკური ასერტივია. ჯერუშა დარწმუნებულია, რომ ადამიანი, რომელსაც მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე ერთი და იგივე ფასეულობები აქვს, პატიოსანია, და სიმართლესა და სიკეთეს ქადაგებს, იმდენად იშვიათია თანამედროვე სამყაროში, რომ მისი ადგილი მინისტრთა კაბინეტშია, ვინაიდან, ჯერუშას აზრით, მინისტრებს ეს თვისებები იშვიათად ახასიათებთ ან საერთოდ არ გააჩნიათ.

6) You got the worst mark in your yesterday's test, you genius!

დამცინავ-კრიტიკულია მოქმელი მე-6 მაგალითში, რადგანაც იგი ნეგატიურად აფასებს მსმენელს იმიტომ, რომ მან ტესტი ვერ ჩააბარა და ირონიულად მას გენიოსს უწოდებს.

7) -Have you got your month pay?

-No, next Friday! So great to live on without money!

იმისთვის, რომ ადეკვატურად გაიგოს ეს ირონიული ნათქვამი, მსმენელს არ სჭირდება დიდი ფიქრი ან დრო. ყველამ იცის, რომ უფულოდ ცხოვრება არ წარმოადგენს სამოთხეს, ანუ ნათქვამში ნათლად ჩანს პირდაპირი და ნაგულისხმევი მნიშვნელობების შეპირისპირება.

ბ) კომისიები

1) -Please tell me about combat without being too brutal. (Renata asked the Colonel to tell her a little bit more about the war and the battles he was in).

-An easy assignment, the Colonel said. (ჰემინგუეი 1977(2):176).

რენატამ სთხოვა პოლკოვნიკს, რაიმე მოეყოლა ომსა და იმ ბრძოლებზე, რომელშიც მან მიიღო მონაწილეობა. პოლკოვნიკის პასუხი წარმოადგენს კომისიების მაგალითს, როდესაც ის იღებს თავის თავზე ამ ტვირთს, რომელიც არ იქნება ადვილი განსახორციელებლად, რადგან ომზე ლაპარაკი არ არის ადვილი ამოცანა (გამონათქვამში პოლკოვნიკი ერთ აზრს ავითარებს, თუმცა საპირისპიროს გულისხმობს.)

2) I (Jerusha) have it planned exactly what you look like-very satisfactorily-until I reach the top of your head, and then I AM stuck. I can't decide whether you have white hair or black hair or sort of sprinkly grey hair or maybe none at all. Here is your portrait: But the problem is, shall I add some hair? (გებსტერი 2011:31).

ამ მაგალითში ჯერუმას კითხვა ირონიულია და მის მზადყოფნას გამოხატავს, იმოქმედოს მომავალში: დაუმატოს პორტრეტს თმა თუ არა. მან იცის, რომ მისი მფარველი არ უპასუხებს მას, ისიც იცის, რომ თმის დამატება-არ დამატება სულაც არ წარმოადგენს პრობლემას. ჯერუმას სურს, გაიცნოს ადამიანი, რომელიც მას ეხმარება და თავისი მიზნის მისაღწევად „თმის“ პრობლემის წინ წამოწევას ცდილობს.

3) -I tell you, everything you are afraid of, will happen to you.

-Oh, now I have only one wish – I want to be afraid of being rich and losing my weight.

ამ მაგალითის დეკოდირებისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ მოქმედი საკუთარ სურვილს იყოს მდიდარი და გამხდარი ირონიული მოთხოვნის სახით გამოხატავს.

გ) ექსპრესივები

1) I am really sorry; I hurt your feelings when I called you stupid. I thought you already knew it.

ბოდიშის მოხდა ერთ-ერთი ხშირად გამოყენებადი ირონიული ექსპრესივების მაგალითია. რა თქმა უნდა, იმ მოქმედს, რომელიც მსმენელს სულელს დაუძახებს არანაირი მწუხარების გრძობა მსმენელის მიმართ არ გააჩნია.

2) -I have heard you got married.

-Yes, 3 weeks ago.

-Are congratulations still in order?

მილოცვა კიდევ ერთი ექსპრესივების წარმომადგენელია. ამ მაგალითში მოქმედი ირონიულად კითხულობს, მიულოცოს ახლად დაქორწინებულს თუ არა. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ამ ნათქვამში არ ჩანს მოქმედი ნეფეს მიმართავს, თუ დედოფალს. ამ შემთხვევაში ამას არ აქვს არსებითი მნიშვნელობა.

3) I thank everybody who refused to help me. Because of this I managed to do everything myself. (www.alberteinstainsite.com)

აინშტაინი მადლობას უხდის ყველას და ამით გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას ყველა იმ ადამიანის მიმართ, ვინც მას არ დაეხმარნენ. რა თქმა უნდა, ეს „მადლობა“ არღვევს გულწრფელობის მაქსიმას და საპირისპირო მნიშვნელობას ამჟღავნებს, თუმცა, მეორე მხრივ, აინშტაინი გულწრფელია: რომ არა ასეთი ადამიანები, ის ვერ მიაღწევდა იმას, რაც სურდა.

4) -And what do gypsies do in the war?...Robert Jordan asked him.

-They keep on being gypsies. (Rafael answered)

-That's a good job. (ჰემინგუეი 2010:52).

რობერტ ჯორდანი სიტყვით „ყოჩაღ“ თავის სინანულს გამოხატავს, რომ ბოშები ომში მხოლოდ „ბოშებად“ რჩებიან.

5) -Did I have an email from Ned Murdoch this morning?

-Good morning to you too. I add brightly. (კინსელა 2012:59).

ეს დიალოგი დილით ადრე ტელეფონით შედგა. სემმა იმის მაგივრად, რომ ფოფისთვის გამარჯობა ეთქვა, პირდაპირ საქმეზე გადავიდა და იმეილის

შესახებ ჰკითხა. ფოფიმ, თავის მხრივ, გააკრიტიკა სემი, საპასუხოდ გამარჯობა უთხრა და ამით საკუთარი სინანული და გაღიზიანება გამოხატა.

დ) დირექტივები

1) “His fiancée is with him, the officer said and went back to reading the paper. It is certain he will be delighted to see you,” said the officer. (ჰემინგუეი 2010:429).



ამ გამონათქვამის ინტერპრეტაციისთვის საჭიროა ვიცოდეთ, რომ გომეზი და ანდრესი მივიდნენ პოლკოვნიკთან, რათა გადაეცათ დოკუმენტები ფრონტიდან. მათთვის ეს საქმე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო. ოფიცერი, რომელიც პოლკოვნიკის მისაღებში დახვდათ, არ უშვებდა მათ პოლკოვნიკთან იმ მიზეზით, რომ ის დაკავებული იყო. გომეზი და ანდრესი აგრძელებდნენ დაჟინებით თხოვნას. ამ დროს ოფიცერი ამბობს: „რა თქმა უნდა, მას გაუხარდება თქვენი ნახვა“. ამ გამონათქვამის პირდაპირი მნიშვნელობა ამტკიცებს, რომ პოლკოვნიკს გაუხარდება მათი ნახვა, ხოლო ნაგულისხმევი მნიშვნელობით ოფიცერი აფრთხილებს მათ და ურჩევს, არ შევიდნენ ოთახში.

2) How do you prefer to die: a sudden death or torture? - Torture, please.

ამ მაგალითის ბრძანება-თხოვნა აშკარაა და მსმენელი თავიდანვე წვდება იმას, რომ მოქმელი გულწრფელი არ არის, რადგანაც არცერთ ადამიანს არ სურს ტანჯვა-წამებით სიკვდილი.

3) Colonel Richard Cantwell was going to Venice to see Renata, the girl she loved. When they were stuck half way from the city the driver examined the road and, seeing a narrow, dirty one with a canal beside it and the thick hedge beyond said: „It’s a boulevard. Quit worrying.” (ჰემინგუეი 1977(2):21)

პოლკოვნიკი რიჩარდ კენტველი ვენეციაში რენატას სანახავად მიდიოდა. შუა გზაში მძღოლმა მანქანა გააჩერა, რათა გზის შემდეგი მონაკვეთი შეემოწმებინა. მან დაინახა ვიწრო, ტალახიანი ქუჩა, რომელსაც, ერთი მხრივ, ხშირი ღობე ესაზღვრებოდა, ხოლო, მეორე მხრივ - სარწყავი არხი. მისი სიტყვები, რომლებიც ბრძანებას მოიცავს და ზედაპირულად „ნუ ნერვიულობთ, ეს ბუღვარი, ანუ განიერი ქუჩაა“, სინამდვილეში სიღრმისეულად საპირისპიროს ნიშნავს.



2.2 პროსოდიული და პარალინგვისტური ელემენტები ირონიის ინტერპრეტაციის პროცესში

წარმატებული კომუნიკაცია ყოველთვის ორმხრივია. ის, სულ მცირე, ორ კომუნიკანტს მოიცავს და კოდირებისა და დეკოდირების პროცესებისგან შედგება. ეს, თავის მხრივ, გულისხმობს იმას, რომ ორივე მოსაუბრე, მთქმელი და მსმენელი, მონაწილეობას იღებს ინტერპერსონალურ კომუნიკაციაში, რომლის წარმატებული შედეგია მსმენელის მხრივ ირონიული ნათქვამის ადეკვატური გაგება და მასზე შესაბამისი რეაქციის გამოწვევა. წარმატებული კომუნიკაციის მისაღწევად, რაც ნებისმიერი ლინგვისტური მეტყველების მოქმედების მთავარი ამოცანაა, მთქმელი და მსმენელი შედიან კომპლექსურ ინტერაქტიულ პროცესში, რომელიც ნათქვამის ვერბალურ მხარეს, ანუ ფორმას, მნიშვნელობას, კონტექსტსა და, ასევე, არავერბალურ ასპექტებს, ანუ ქესტებს, მიმიკასა და ინტონაციას მოიცავს.

პროსოდიას დიდი ადგილი უკავია ირონიის აღქმის დროს: მართალია, ის არ არის სასიცოცხლოდ აუცილებელი ელემენტი, თუმცა, სასურველია მისი კონოტაციური როლი ირონიის ადვილი მარკირებისთვის, განსაკუთრებით ისეთ საკომუნიკაციო კონტექსტში, რომელშიც ირონიის გამოცნობა ძნელია ან გაურკვეველი. როგორც ბრომბერეკ-დიზმანი აღნიშნავს, „ემოციის გამოხატვის უამრავი გზა არსებობს. ყველაზე ეფექტური და ქმედითი არავერბალური საშუალებებია: სახის მიმიკა, ღიმილიდან წარბის შეკვრამდე გამომეტყველებათა რიგი, ემოციური პროსოდია, ქესტების მდიდარი მარაგი. ეს პარამეტრები უფრო მეტს ამხელენ, ვიდრე სიტყვები. “There are numerous ways to convey emotional contents. Most effective and efficient are the nonverbal means: facial mimicry, smile-to-frown range of (micro)expressions, emotional prosody, rich repertoire of gestures and body postures. These “tell” more than words”. (ბრომბერეკ-დიზმანი 2012:84)

ზოგადად, მკვლევრებს მიაჩნიათ, რომ ირონიული ტონი მთქმელის მიერ გამოხატული დაცინვის, ზიზღის, ჩაცინებისა ან აგდებული დამოკიდებულების ერთგვარი მინიშნებაა. როქველი (როქველი 2000:485) ამბობს, რომ ირონიის დროს მთქმელი ვოკალურ დემონსტრაციასთან ერთად სახის სხვადასხვა გამომეტყველებასაც იყენებს. ირონიის კვლევაში მეცნიერები (აკერმანი 1983; კაპელი 1990; დე გრუთი 1995; როქველი 2000, 2007) ხმის ირონიულ ტონს,

როგორც სპეციფიკურ თანმიმდევრულ პროსოდიულ ფორმას (ხმის ტონის სიმაღლე, ძალა, დაჭიმულობა, ხანგრძლივობა) განსაზღვრავენ, რომელსაც ირონიასთან მკაფიო სისტემური კავშირი აქვს. (ბრაიანტი და ფოქს თრი 2005).

ბრაიანტი, ატარდო, გონზალეს-ფუენტე ამტკიცებენ, რომ პროსოდია, ისევე, როგორც ჟესტების სისტემა და მიმიკა სხვადასხვა კულტურაში განსხვავდება და, რომ ღიმილი, შედარებით დაბალი ხმის ტონალობა, სახის გამომეტყველება და ჟესტები, კონტექსტის არარსებობის შემთხვევაში, ირონიული ნათქვამის მუდმივი მარკერებია, რომლებიც მსმენელს იმპლიციტური მნიშვნელობის დეკოდირებაში ეხმარება. (ბრაიანტი 2010; ატარდო 2003) ასევე, მათი აზრით, პროსოდიული თვისებები შეიძლება ლოკალური და გლობალური იყოს. ლოკალური პროსოდიული თვისებები სიტყვის მარცვლებს ან თავად სიტყვას ახასიათებს, ხოლო გლობალური - მთელ ნათქვამს. ორივეს მთავარი ფუნქციაა, გამოხატოს მთქმელის ემოცია და დამოკიდებულება. ატარდო თვლის, რომ ირონიის გამოყენებისას, როდესაც ნაგულისხმევი უფრო მეტია, ვიდრე ზედაპირზე მყოფი პროპოზიცია, მაშინ ხმა, სახის მიმიკა და სხეულის ენა, აზრთა უთანხმოების გამოაშკარავების ბუნებრივ წყაროდ გადაიქცევა. (ატარდო 2003).

მაიერსი აღნიშნავს, აუცილებლად უნდა არსებობდეს რაღაც მითითება, რომლის მეშვეობით მთქმელი დემონსტრირებს, თუ როგორ უნდა გავიგოთ მისი გამონათქვამი. “There should be...some cues that indicate to us how the speaker intends us to take what he has just said” (მაიერსი 1978:9). ასევე, მაიერსის თეორიის მიხედვით, მთქმელი ირონიულ გამონათქვამში, სულ მცირე, ორ მესიჯს ქმნის, ხოლო მსმენელი ორივეს „იჭერს“ და, ადრე შეძენილი გამოცდილების საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას, თუ რომელი უნდა გამოიყენოს ამ კონკრეტული ნათქვამის ინტერპრეტაციის დროს. ამის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ირონიული ნათქვამის პროცესირებისა და დეკოდირების დროს მისი გააზრების უამრავი სხვადასხვანაირი ვარიანტი არსებობს, რაც მის კვლევას აძნელებს.

(38) They get up early, because they have so much to do... There has not been a scandal in the neighbourhood since the time of Queen Elizabeth... (უაილდი 1991:119).

ამ (38) მაგალითის გარჩევას, მაიერსის თეორიის მიხედვით, პირველი მესიჯი მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანებს ბევრი სამუშაო აქვთ და ამიტომ დგებიან ადრე, ანუ ნათქვამის პირდაპირი მნიშვნელობის პროცესირება ხდება. მეორე გზავნილი საპირისპიროს გულისხმობს. მსმენელი, ამ შემთხვევაში მკითხველი, თავისი წინა გამოცდილებიდან გამომდინარე, იგებს, რომ მეორე მნიშვნელობა, რომელიც ირონიულ ხასიათს ატარებს, უფრო შეესაბამება აღნიშნულ კონტექსტს, რადგანაც არსებობს მინიშნება მეორე წინადადების სახით, რომ ბოლო დროს სამეზობლოში საინტერესო არაფერი მომხდარა. მხოლოდ ამის შემდეგ აღწევს მსმენელი ნათქვამის ადეკვატურ ინტერპრეტაციას. ამის საფუძველზე ბევრი მკვლევარი თანხმდება, რომ ირონია პრაგმატიკული ფენომენია, რომელიც ისეთი მკაფიო კონტექსტუალური მახასიათებლებით გამოირჩევა, როგორცაა: სპეციფიკური სიტუაცია, გაზიარებული შეხედულებები, პროსოდიული ნიშნები და საერთო ფონური ცოდნა. (კროიცი 1996; კროიცი და გლუკსბერგი 1989; გიბსი 1994; კუმონ-ნაკამურა 1995; უცუმი 2000).

ირონიის დეკოდირების კიდევ ერთი მიდგომა ლინდა ჰაჩეონმა წარმოადგინა, სადაც იგი ამტკიცებს, რომ ირონიის ინტერპრეტაციის დროს მსმენელი აუცილებლად უნდა ფლობდეს დედუქციური ცოდნის სამ დონეს (ჰაჩეონი 1994): პირველი დონე - სემანტიკურია, როდესაც მსმენელმა უნდა შეძლოს, სწორად დაიჭიროს განსხვავება ნათქვამსა და ნაგულისხმევს შორის; მეორეა - პრაგმატიკული დონე, როდესაც მსმენელმა მთქმელის საკომუნიკაციო მიზანი, ანუ ინტენცია სწორად უნდა დაინახოს; და მესამე - სოციალური დონე, როდესაც მსმენელმა კარგად უნდა გააცნობიეროს მთქმელის დამოკიდებულება გამონათქვამის შესახებ, რომელზეც არის საუბარი და რომლის ადეკვატური აღქმა მსმენელისა და მთქმელის საერთო ცოდნაზე არის დაფუძნებული. ეს კარგად ჩანს მარკ ტვენის მაგალითზე (43), რომელიც ქვემოთაა მოყვანილი.

2.3 ირონიის დეკოდირება რელევანტურობის თეორიის თვალთახედვით

კომუნიკაციის დროს ორივე - მსმენელი და მთქმელი - საჭიროებს გარკვეულ გონებრივ აქტივობას და ყურადღების კონცენტრაციას კონკრეტულ საკომუნიკაციო აქტთან დაკავშირებული 'ქმედების' ტრანსფორმაციის თვალსაზრისით, ვინაიდან მსმენელმა შეიძლება ირონიით გადმოცემულ შეფარულ მესიჯს ყურადღება საერთოდ არ მიაქციოს, თუ მას სჯერა, რომ ის არ წარმოადგენს მისთვის დიდ მნიშვნელობას. რელევანტურობა აუცილებელია კოგნიტიურ პროცესში, რომელიც დაკავშირებულია იმ ნათქვამზე გარკვეულ რეაქციასთან, კერძოდ, პასუხის გაცემასთან, აზრთან თანხმობის ან მის უარყოფასთან (უილსონი და სპერბერი 1992:76). მაგალითად, თუ მთქმელი ორ რამეს ამბობს:

39 (a) You have the flu.

39 (b) You have a disease spelled with the sixth and the twelfth and the twenty first letter of the alphabet. (ნოვეკი და სპერბერი 2004:6).

უდავოა, რომ რელევანტურობის თეორიის მიხედვით, პირველი მაგალითი უფრო მნიშვნელოვანი და დეკოდირებისათვის ღირებულია. რელევანტურობის თეორიას კომუნიკაციის ორი ცენტრალური პრინციპი შემოაქვს: რელევანტურობის კოგნიტიური პრინციპი (როდესაც მსმენელს სჯერა, რომ ნათქვამის მოსმენა და ყურადღება ღირს) და რელევანტურობის საკომუნიკაციო პრინციპი (როდესაც მთქმელს სურს, მისი ნათქვამი მოსასმენად რელევანტური და გასაგებად ღირებული იყოს). რელევანტურობა აუცილებელია იმისათვის, რომ დაარწმუნო მსმენელი ნათქვამის გაგების, მისი გააზრებისა და მის შემდგომ გამოყენების ღირებულებაში. მსმენელი ავტომატურად გრძნობს პოტენციურად მნიშვნელოვან ინფორმაციას და ასევე, ინახავს მას მომავალში გამოსაყენებლად. მეორე მხრივ, მთქმელს მოლოდინი აქვს, რომ მსმენელი ირონიულ ნათქვამს ყურადღებას მიაქცევს მისი მნიშვნელობისა და რელევანტურობის გამო. მაშასადამე, დეკოდირებისათვის ღირებულად ჩათვლის.

ეს მოსაზრება ერთ-ერთი გავრცელებული მიდგომაა ირონიის დეკოდირების პროცესისადმი, როდესაც კომუნიკაციის აქტი გარკვეულ ინფორმაციას

გადასცემს, რომელიც რელევანტურობის პრინციპის თანახმად, შეიძლება იყოს ან არ იყოს რელევანტური/მნიშვნელოვანი ამ კონკრეტული კონტექსტისადმი.

რელევანტურობის თეორია, (Relevance theory) რომელიც სპერბერისა და უილსონის, ბლეიკმორისა და კარსტონის მიერ არის წარმოდგენილი, საბოლოო ჯამში, კონკრეტული წესების ერთობლიობაა, რომლის მიხედვით მსმენელს მოლოდინი აქვს, რომ მოქმედი დაემორჩილება (ან დაარღვევს იმ შემთხვევაში, თუ ის მაქსიმუმთან კონფლიქტში შედის) გარკვეულ პრინციპებს, იმისთვის, რომ ნათქვამის იმპლიციტური მნიშვნელობა გამოამჟღავნოს. (სპერბერი და უილსონი 1986; ბლეიკმორის 2002; კარსტონი 2002, 2006). „ნებისმიერ მოცემულ კონტექსტში ჩვენ უნდა ვივარაუდოთ, რომ ის, რასაც გამონათქვამში ამბობენ, მნიშვნელოვანია/რელევანტურია.“ “...in any given context we have to assume that what people say is relevant.” (სპერბერი და უილსონი 1986:161).

ქვემოთ მოყვანილი მაგალითებიდან, ამ თეორიის მიხედვით, ყველაზე რელევანტური თავად (1) გამონათქვამია, რადგანაც ის ლოგიკურად და კოგნიტურად უფრო ადვილად მისაღებია პროცესირებისთვის. დანარჩენი ორის აღქმა უფრო მეტსა და დამატებით ძალისხმევას მოითხოვს.

40(1) The next train to Bordeaux is at 3:24pm.

40(2) The next train to Bordeaux is after 3pm.

40(3) The next train to Bordeaux is 36 minutes before 4pm. (ჰენსტი და სპერბერი 2004:142)

მას შემდეგ, რაც მსმენელი გაიაზრებს მნიშვნელობას, რომელიც მის მოლოდინს აკმაყოფილებს, ის აღარ ცდილობს ამ მნიშვნელობისათვის სხვა ინტერპრეტაციების მონახვას.

(41) Will Rogers: I'm not a real star. I've still got the same wife I started out with 28years ago.

ამ ნათქვამის რელევანტურობა მდგომარეობს იმაში, რომ, როგორც წესი, ცოტაა პირველი მეუღლის ერთგული ჰოლივუდის ვარსკვლავი; თითქმის ყველას რამდენიმე პარტნიორი ჰყავს. ეს გახდა საზოგადოებაში მიღებული სოციალური ურთიერთობის ნორმა, ამიტომაც, უილ როჯერსის სიტყვები გამონათქვამის პროცესირებისთვის ღირებულია. ამ მაგალითში ცხადად ჩანს ირონიული

კონტექსტი, რომლის დროსაც მსახიობმა ცხოვრების ჰოლივუდური ახალი წესისადმი თავისი ნეგატიური დამოკიდებულება გამოააშკარავა. რა თქმა უნდა, უილ როჯერსს არ შეეძლო პირდაპირ გაეკრიტიკებინა ჰოლივუდის მორალური კანონები, ამიტომაც მან თავისი მოსაზრების გამოსახატავად ირონია აირჩია. ირონიის შესატყვისი გამოყენებით, კომუნიკანტს მიეცა ძალზე მრავლისმთქმელი და ეფექტური ინსტრუმენტი, ირიბად გამოეხატა თავისი აზრი და პოზიცია იმისთვის, რომ მსმენელზე და უფრო ფართო აუდიტორიაზე (ჰოლივუდის საზოგადოებაზე) მისთვის სასურველი ზეგავლენა მოეხდინა.

ირონია როგორც ვერბალური ინტერაქციის განსაკუთრებული სტრატეგია იმისთვის იქმნება, რომ მოქმელმა გარკვეულ კონტექსტში მიზანს პრაგმატიკული მეტყველების აქტის საშუალებით მიაღწიოს. როგორც კოულბრუკმა შენიშნა, მსმენელმა ხაზებს შორის უნდა წაიკითხოს და არ ერწმუნოს გამონათქვამის ექსპლიციტურ მნიშვნელობას (“read between the lines”, not to take the word “for granted”). (კოულბრუკი 2004). ანუ მსმენელმა მკაფიოდ უნდა დაინახოს კონკრეტული გამონათქვამის შემადგენელი სიტყვის ორ მნიშვნელობას შორის ურთიერთობა - რაც ითქვა და რაც იყო ნაგულისხმევი.

არსებობს ირონიის ისეთი მაგალითები, რომლებიც არ თავსდება დეკოდირების უბრალო სქემაში, როდესაც მათი დეკოდირება გამოთქმულის საპირისპირო მნიშვნელობის მინიჭების შედეგად ხდება. ასეთ შემთხვევაში, მართალია, ირონია რელევანტურია გარკვეულ კონტექსტში, მაგრამ პრინციპულად სხვას ნიშნავს და არა საპირისპიროს (different and not opposite), რაც მოქმელს უნიკალურ შესაძლებლობას აძლევს, მსმენელის დამცირების, მისი სახის რღვევის გარეშე არსებულ რეალობასთან დაკავშირებით თავისი კრიტიკული დამოკიდებულება გამოხატოს.

ინფორმაცია, რომელიც კონტექსტშია დეკოდირებული, არ იზღუდება მხოლოდ ენის ცოდნით. ის მოიცავს ანთროპოლოგიურ ცოდნას სამყაროზე, რეალობაზე, კულტურაზე, სოციო-ისტორიულ პერიოდზე. თუმცა, ენობრივი ფორმა ირონიული ნათქვამის, მისი დეკოდირების ამოსავალ წერტილად რჩება, ანუ საქმე გვაქვს რელევანტურ/მნიშვნელოვან ურთიერთობასთან სიტყვებსა და სამყაროს შორის.

ერთმა მსმენელმა ნათქვამში ირონია მკაფიოდ შეიძლება დაინახოს, მეორემ კი იგი ვერ დაიჭიროს სხვადასხვა ფაქტორების გამო. ერთ-ერთი მათგანია საერთო

ფონური ცოდნა, რომელიც კომუნიკაციის აქტის მონაწილეებს შორის სპეციფიკურ მენტალურ მდგომარეობას წარმოადგენს და ფართო სოციალურ ჯგუფში არსებულ საერთო გაზიარებულ ცოდნას ასახავს. (shared knowledge). (კლარკი 1982) მაგალითად, მეგობრებს შორის პირადულ სიტუაციაში ირონიული ნათქვამის კოდირება, დეკოდირება და მასზე შემდგომი რეაქცია სხვაგვარია, ხოლო უცნობ მთქმელსა და მსმენელს შორის დამყარებული კონტაქტი და ირონიულ ნათქვამზე რეაგირება განსხვავებულია. ამიტომაც უფრო ხშირია ირონიის გამოყენება ნაცნობებს შორის პირად საუბარში და არა ოფიციალური ინტერკომუნიკაციის დროს. (კოტჰოფი 2003) საერთო გაზიარებული ცოდნა შეიძლება კომუნიკანტების სოციალური, კულტურული ან პირადული მახასიათებლების ცვლილებასთან ერთად გაიზარდოს.

ქვემოთ მოყვანილ მაგალითში (42) კარგად ჩანს, რომ მთქმელი წარმატებას ვერ მიაღწევს, თუ მსმენელი ადეკვატურად ვერ აღიქვამს ნათქვამში ჩაქსოვილ ირონიას და ეს არ მოხდება ინგლისელების ტრადიციების ცოდნის გარეშე. ამ ტრადიციისამებრ, მასპინძელი დილის 5 საათზე სტუმარს, პატივისცემის გამოსახატავად, ჩაის მიართმევს. სტუმარს ამ დროს ტკბილად სძინავს, მაგრამ ჩაის შეთავაზებაზე თავაზიანად უნდა გაიღიმოს და მადლობა უთხრას მასპინძელს, მიუხედავად იმისა, სინამდვილეში გულში რას ფიქრობს ან რას გრძნობს. მაგალითი (42) კლასიკური ირონიული ექსპრესივების შემთხვევაა, სადაც სიტყვები: „დიდი მადლობა. მიყვარს ჩაის დალევა ამ დროს“, გამოხატავს მთქმელის კრიტიკულ დამოკიდებულებას ირონიის ობიექტისადმი (ამ შემთხვევაში, ტრადიციისადმი) მადლიერებისა და მადლობის სახით.

(42) In an English home, you get a cup of tea at five o'clock in the morning when you are still trying to sleep. If your friend brings you a cup of tea and you wake from your sweetest morning sleep, you must ... smile your best five o'clock smile and say, 'Thank you so much. I do love a cup of tea at this time of the morning. (მიკეში 1998:11).

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, თუ მთქმელს სურს, იყოს წარმატებული ირონიის გამოყენებისას, მან ნათქვამის კოდირების დროს უნდა გაითვალისწინოს მსმენელის უნარის პერსპექტივა გაიგოს ნათქვამი, ანუ საერთოდ რა იცის მსმენელმა არა მხოლოდ ირონიის ობიექტის შესახებ (მიტჩელი 1999).

ისტორიული, კულტურული და პოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინებით საინტერესოა ირონიის შემდეგი მაგალითი, რომელიც გამოჩენილ ამერიკელ მწერალს მარკ ტვენს ეკუთვნის, რომელშიც, ჩვენი აზრით, ირონიულ მნიშვნელობას მყარი პრაგმატიკული საფუძველი აქვს. მარკ ტვენი „ნიღბავს“ თავის ნათქვამს და ამჟღავნებს სხვა რელიგვანტურ მნიშვნელობას, რომელიც ნეგატიურია და აკრძალულია საჯარო გახმაურებისათვის, მსმენელი კი მისი მნიშვნელობის დეკოდირების შედეგად, ირონიად აღიქვამს. ვნახოთ, როგორ წარუდგინა ამერიკელმა ჰუმანისტმა თანამოქალაქეებს ბრიტანელი პოლიტიკოსი:

(43) Mr. Churchill and I do not agree on the righteousness of the South African war... yet I think England sinned in getting into a war in South Africa which she could have avoided without loss of credit or dignity-just as I think we have sinned in crowding ourselves into a war in the Philippines on the same terms...We have always been kin: kin in blood, kin in religion, kin in representative government, kin in ideals, kin in just and lofty purposes; and now we are kin in sin, the harmony is complete, the blend is perfect, like Mr. Churchill himself, whom I now have the honor to present to you.
http://www.claremont.org/publications/precepts/id.89/precept_detail.asp

იმისთვის, რომ ამ ირონიული ნათქვამს ადეკვატური ინტერპრეტაცია გაუკეთდეს, მნიშვნელოვანია ის ზოგადი ცოდნა, რომელსაც უნდა ფლობდეს როგორც მოქმედი, ასევე მსმენელი, რაც შემდეგში მდგომარეობს: 1901 წელს ახალგაზრდა ბრიტანელი სახელმწიფო მოღვაწე უინსტონ ჩერჩილი ამერიკაში ჩავიდა, რათა შეერთებული შტატებისთვის ფინანსური და პოლიტიკური მხარდაჭერა ეთხოვა სამხრეთ აფრიკაში მიმდინარე ომში, რომელსაც ლონდონი ბურების წინააღმდეგ აწარმოებდა. ნიუ-იორკის სასტუმრო ასტორიის დიდ სამეჯლისო დარბაზში ამერიკის ელიტარულ საზოგადოებას საპატიო სტუმარი თავად მარკ ტვენმა წარუდგინა. საყურადღებოა, რომ მარკ ტვენი იმპერიალისტური ომების მოწინააღმდეგე იყო. იგი აპროტესტებდა ამერიკის მიერ ფილიპინების დაპყრობას და არც ბრიტანელების სამხედრო მოქმედებას იწონებდა. მარკ ტვენის ირონიას ამ პასაჟში ორი სამიზნე აქვს: 1. ამერიკა-ბრიტანეთის ალიანსის იმპერიალისტური ხასიათი და 2. პირადად უინსტონ ჩერჩილის პიროვნება, რადგანაც ჩერჩილის დედა მდიდარი ამერიკელი ქალი იყო, ხოლო მამა - გაღარიბებული ბრიტანელი დიდგვაროვანი.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში უგვარო, მდიდარი ამერიკელი ქალები, მაღალი სოციალური სტატუსის მოპოვების მიზნით, ფინანსურად შეჭირვებულ ინგლისელ ლორდებზე თხოვდებოდნენ ხოლმე. დარბაზში დამსწრე საზოგადოებამ კარგად იცოდა ეს კულტურული ნიუანსი და მარკ ტვენის ირონიასაც სწორედ ეს ამჟღავნებდა. როდესაც იგი ამბობს, რომ „ჰარმონია მიღწეულია, ნაზავი სრულყოფილია, ისევე როგორც თავად ბატონი ჩერჩილი“, სწორედ აქ ვლინდება ირონიის რელევანტურობა, როდესაც იგი ფარულად გულისხმობდა სრულიად საპირისპირო მნიშვნელობას და ირიბად აკრიტიკებდა, როგორც ამერიკა-ბრიტანეთის კავშირს, ასევე ჩერჩილის პიროვნებას. დარბაზში იმყოფებოდა ამერიკის პოლიტიკური ელიტა, ამიტომ მარკ ტვენს არ შეეძლო პირდაპირ გამოეხატა თავისი პოზიცია.

როგორც ცნობილია, ირონიის აღქმა ძალზე რთული პროცესია, რადგან მოსაუბრე ბოლომდე ვერ იქნება დარწმუნებული, თუ რა ინტერპრეტირებას მოახდენს მსმენელი და რა შეფასებას მისცემს იგი მის (მთქმელის) ნათქვამს. მთქმელისთვის არსებობს დიდი რისკი იმისა, რომ მისი გამონათქვამი არასწორად აღიქვან. ამის თავიდან ასაცილებლად მთქმელი ყოველთვის არჩევს, იმოქმედოს მინიმალური ძალისხმევით და მსმენელს თავისი ნათქვამი აღსაქმელად ყველაზე ადვილი გზით გადასცეს. თავის მხრივ, მსმენელის რეაქცია დამოკიდებულია ნათქვამის კონტექსტუალურად რელევანტურ ევექტზე. თუ მთქმელი პროპოზიციას რელევანტურობის პრინციპის გაუთვალისწინებლად წარმოთქვამს და თან ისე, რომ მსმენელის ყურადღების კონცენტრაციას ვერ ახდენს, მაშინ დიდი შანსია, რომ მას ვერ გაუგონ. მეორე მხრივ, თუ მსმენელი ნათქვამს რელევანტურობის პრინციპის მიხედვით არ გაშიფრავს, აქ დიდი ალბათობაა, რომ ნათქვამში ირონია საერთოდ ვერ დაინახოს.

2.4 ირონიის დეკოდირების 2 ძირითადი თეორია

ირონიის აღქმის ორი ძირითადი თეორია არსებობს. კერძოდ, განარჩევენ მისი აღქმის ერთსაფეხურიან და ორსაფეხურიან პროცესს. ის, თუ რომელი თეორიაა უფრო მეტად მორგებული ირონიის ბუნებას და რომელი მათგანი ასახავს მის არსს ბოლოდროინდელი თეორიული შერკინების მთავარი საკითხი გახდა.

„ორივე მხარეს აქვთ ჩატარებული დიდი მოცულობის თავისი აზრის დამადასტურებელი ფსიქოლინგვისტური ლაბორატორიული კვლევა,“ რაც კარგად აქვს ჩამოყალიბებული ატარდოს. “Both sides present a large body of psycholinguistic laboratory-based research to support their respective cases.” (პარტინგტონი 2007:1549). ბევრი ექსპერიმენტის მიუხედავად, ჯერჯერობით არ არსებობს დამამტკიცებელი ერთგვაროვანი პასუხი. როგორც ფერნანდესი დასძენს: „ნებისმიერი მკვლევარი, ვისაც ირონიასთან შეხება აქვს, ვერ უძლებს ცდუნებას, არ იაროს ირონიის ბასრ პირზე“. “Any scholar who deals with irony “cannot help but dance on irony’s sharp edge” (ფერნანდესი და ჰიუბერი 2001:19)

უნდა აღინიშნოს, რომ ირონიის ორ საფეხურიანი პროცესირების თეორია გრაისს, სერლს და ყველა „ტრადიციულ მკვლევარს“ ეკუთვნის, როდესაც ირონიული ნათქვამის პროცესირება ჯერ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობის აქტივაციითა და აღქმით იწყება. შემდეგ ხდება ამ ინტერპრეტაციის უარყოფა გრაისის მაქსიმუმის მკაფიო დარღვევის გამო პირდაპირი მნიშვნელობის კონტექსტისადმი შეუსაბამობის საფუძველზე. ამას მოჰყვება ნათქვამის მნიშვნელობის რე-ინტერპრეტაცია და მეორე საფეხურზე გადასვლა, რასაც ნათქვამის სწორი და ადეკვატური ირონიული გაგება მოსდევს.

ირონიის აღქმა-ინტერპრეტირების ბოლო ეტაპი ყველაზე მნიშვნელოვნად გვესახება, რადგანაც რეინტერპრეტაციის უამრავი გზა არსებობს. მხოლოდ გრაისის რელევანტურობის პრინციპის გათვალისწინებით ხდება ამგვარი რე-ინტერპრეტაციის საბოლოო ადეკვატური ვარიანტის არჩევა. (გრაისი 1989:15-16; გიორა 1998, 2011; გიორა და ფეინი 1998; დიუსი და უინერი 1999; შვებელი 2000). გიორა ამბობს, რომ ირონიის პროცესირების დროს თავიდანვე ქვეცნობიერად ხდება კონტექსტისათვის რელევანტური და თვალშისაცემი (salient) მნიშვნელობის არჩევა, მისი აქტუალიზაცია და შემდეგ, ირიბი, ანუ

არაექსპლიციტური უარყოფა, რაც მკვლევრის აზრით, ნათქვამის პირდაპირსა და ნაგულისხმევ მნიშვნელობებს შორის ურთიერთდამოკიდებულებას გამოხატავს (გიორა 1997, 2011).

გიორა ასევე მიიჩნევს, რომ ირონიის პროცესირებას შემდეგი ორი თანმიმდევრული საფეხური აქვს: 1. პირდაპირი, ყველაზე გამოყენებადი და აშკარა შესამჩნევი მნიშვნელობის აღქმა, რომელიც კოდირებულია მსმენელის მენტალურ ლექსიკონში. ამ ეტაპზე კონტექსტი შედარებით პასიურია, თუმცა პირდაპირი მნიშვნელობის აქტივიზაციის შემდეგ დგება ამ მნიშვნელობასა და მის კონტექსტუალურ სემანტიკურ შეფერილობას შორის წინააღმდეგობის ადეკვატური დეკოდირების საკითხი; 2. არაპირდაპირი, ანუ ირონიული, ახლად შექმნილი მნიშვნელობის გაზიარება, რომელიც კონტექსტუალური იმპლიკაციის საშუალებით ხდება.

გიორა აღნიშნავს, რომ ამ თვალშისაცემ მნიშვნელობას პირობითობისა და გამოყენების სიხშირის გრადაცია ახასიათებს. მაგალითად, სიტყვას *"bank"* ორი მნიშვნელობა აქვს, რომელიც კოდირებულია ჩვენს მენტალურ ლექსიკონში: *საფინანსო ინსტიტუტი* და *მდინარის ნაპირი*. ქალაქში მცხოვრებ მსმენელისათვის პირველი მნიშვნელობა, რომელიც აქტივიზირდება და რომელიც სიხშირის გამოყენების გრადაციით ყველაზე აშკარაა - ბანკია - როგორც *საფინანსო ინსტიტუტი*, ხოლო *მდინარის ნაპირი* -ს მნიშვნელობა - ყველაზე ნაკლებად აღსაქმელია. ამიტომ, გიორა ამტკიცებს, რომ სიტყვა *bank* - ის ნებისმიერ კონტექსტში გამოყენებისას, მისი ყველაზე აშკარა მნიშვნელობა - *საფინანსო ინსტიტუტი* - რაოდენ კონტექსტუალურად შეუფერებელიც არ უნდა იყოს, საწყის ეტაპზე მაინც ამოტივტივდება (გიორა და ფეინი 1999:242-243).

ამის გათვალისწინებით, გიორა და მისი თანამოაზრენი ამტკიცებენ, რომ ირონიული ნათქვამის დეკოდირების საწყისი ეტაპი მისი პირდაპირი მნიშვნელობის აღქმით იწყება, რაც განაპირობებს იმას, რომ ეს პროცესი არა-ირონიული მნიშვნელობის მქონე ფრაზის აღქმასთან შედარებით მეტ დროს მოითხოვს. დროის ფაქტორი ფსიქოლინგვისტიკაში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული საზომია სხვადასხვა სახის კონტექსტის კვლევაში. ორ-საფეხურიანი თეორიის მიმდევრებს მიაჩნიათ, რომ ირონიის შემთხვევაში, რაც

უფრო ნაკლებად შესამჩნევია ირონია, მით უფრო დიდი დრო სჭირდება მსმენელს მის ინტერპრეტაციისთვის.

გიორას მიხედვით, სიტყვის კონტექსტუალურად რელევანტურ მნიშვნელობაზე დაყრდნობა იმას ნიშნავს, რომ ირონიის ინტერპრეტაციის დროს მისი ადეკვატურად გაგების წინაპირობაა მსმენელის მხრივ სიტყვის ძირითადი მნიშვნელობის (“salient meaning”) იდენტიფიცირება. ეს ის მნიშვნელობაა, რომელიც 1) ფიქსირდება ლექსიკონში; 2) ხასიათდება მაღალი სიხშირით; 3) ცნობილია, როგორც მთქმელისთვის, ისევე მსმენელისთვის; 4) ასევე ხშირად გვხვდება კონკრეტულ ლინგვისტურ კონტექსტში. (გიორა 1997:185; 1999; 2002; 2011). თავისი აზრის დასამტკიცებლად, გიორას მოჰყავს იმის მაგალითი, რომ ისრაელის მოქალაქისთვის ფრაზას „დასავლეთის სანაპირო“ (The West Bank) უფრო აშკარა შესამჩნევი და გამოკვეთილი „ტერიტორიული აღქმადობა“ აქვს, ვიდრე კანადელისთვის. ეს იმას ნიშნავს, რომ გიორა ირონიის ინტერპრეტაციის პირველ ეტაპზე ზღუდავს კონტექსტის მნიშვნელობის როლს და ამტკიცებს, რომ წვდომის თავდაპირველ საფეხურზე სიტყვის ისეთი აშკარა შესამჩნევი მნიშვნელობა პროცესირდება, რომელიც მისი გამოყენების სიხშირესა და ცნობადობის (familiarity) ხარისხზეა დამოკიდებული. შემდგომ კი, ეს პროცესი მეორე ფაზაში გადადის, სადაც კონტექსტისთვის შესაფერისი ირონიული მნიშვნელობის ინტერპრეტაციით გრძელდება.

ზემოაღნიშნული მოსაზრებების შეჯამების თვალსაზრისით, დავამატებდით, რომ ამ თეორიის მიხედვით, ირონიული და არა-ირონიული ნათქვამების დეკოდირება მოიცავს სხვადასხვა მექანიზმებს, როდესაც ნათქვამის პირდაპირი მნიშვნელობის პროცესირების შემდეგ ხდება პირდაპირი მნიშვნელობის უარყოფა (რადგანაც მას მეტი ფუნქცია აღარ აქვს კონტექსტუალური ინფორმაციის საფუძველზე), და ამის შემდეგ დეკოდირების მეორე ეტაპზე გადასვლა, როდესაც ნათქვამის მნიშვნელობის ირონიული თვალსაზრისით მსმენელი პროცესირებითაა დაკავებული.

გიორას მიერ გამოთქმული მოსაზრება იმის შესახებ, რომ ირონიის აღქმა და პროცესირება ხანგრძლივი აქტია, რომელსაც უფრო მეტი დრო სჭირდება, ვიდრე სხვა რომელიმე ნათქვამს, გამოწვეულია ირონიის ინტერპრეტაციის პროცესით. იქიდან გამომდინარე, რომ პოლისემანტიკური სიტყვის გამოყენების შემთხვევაში

მოქმედიც და მსმენელიც, უპირველეს ყოვლისა, მის მთავარ მნიშვნელობას გულისხმობენ, რომელიც შეიძლება არ დაემთხვეს მის კონტექსტურ მნიშვნელობას, გიორა გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ირონიის დეკოდირების დროს გამოყენებულია სიტყვის არა პირდაპირი, არამედ კონტექსტუალურად არსებითი მნიშვნელობა. ამას ასევე ადასტურებს მაქდონალდის (მაკდონალდი და პირსი 1996) ემპირიული და შამეი-ცუორის (შამეი-ცუორი 2005) ნეირო-ხატოვანი (neuroimaging studies) და მაგნიტო-რეზონანსული კვლევები: მსმენელი, რომელსაც თავის ტვინის დაზიანება აღენიშნებოდა, განიცდიდა გარკვეულ სიმძვინვარებას არა მხოლოდ ირონიის იდენტიფიცირების, არამედ მისი დეკოდირების პროცესშიც.

აღსანიშნავია, რომ გიორა არ უარყოფს იმ მოვლენას, რომელსაც „კონტექსტის ეფექტი“ ეწოდება, რომლის დროსაც სიტუაციის შესაფერისი ძლიერი (strong) კონტექსტი ირონიის საბოლოო ადეკვატურ დეკოდირებას ხელს უწყობს. თუმცა ამტკიცებს, რომ მის მიერ ჩატარებული ექსპერიმენტების თანახმად, ასეთი სახის კონტექსტი პირდაპირი მნიშვნელობის გვერდის ავლით, ნათქვამის ირონიული მნიშვნელობის პროცესირების წინ წამოწევას არ იწვევს.

აქ დგება შემდეგი საკითხი, რომელიც თანამედროვე ლინგვო-პრაგმატიკაში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს (გიბსი 2002; უცუმი 2000, 2005; გიორა 2007; ივანკო და პექსმანი 2003): როდის და რა სახით ერთვება კონტექსტი ირონიის ინტერპრეტაციის დროს, რადგანაც, ბუნებრივია, ყველა მეცნიერი, გამონაკლისის გარეშე, თანხმდება, რომ კონტექსტი წამყვან როლს თამაშობს ირონიული ნათქვამის ინტერპრეტაციაში.

მაშასადამე, ირონიის დეკოდირების ორ საფეხურიანი მოდელი ეყრდნობა გრაისის სტანდარტულ პრაგმატიკულ მოდელსა (Standard Pragmatic Model) და გიორას გრადაციულ გამოკვეთილ/აშკარა შესამჩნევი მნიშვნელობის ჰიპოთეზას (Graded Salience Hypothesis), რომლის მთავარ ელემენტად ითვლება მოსაზრება, რომ, რაოდენ მნიშვნელოვანი და ძლიერიც არ უნდა იყოს ირონიული კონტექსტი, ირონიის ინტერპრეტაციის პროცესი ყოველთვის პირდაპირი მნიშვნელობის დეკოდირებით იწყება. მათ შორის განსხვავება იმაშია, რომ სტანდარტული პრაგმატიკული მოდელის აქტუალიზაციის დროს თავდაპირველად გამოყენებული სიტყვის/სიტყვების პირდაპირი მნიშვნელობა

პროცესირდება, ხოლო გრადაციულად გამოკვეთილი მნიშვნელობის ჰიპოთეზის მიხედვით, კონკრეტულ მოცემულ კონტექსტში თავიდანვე პირველ პლანზე არა სიტყვასიტყვითი და პირდაპირი, არამედ სიტუაციის შესატყვისი აშკარა და შესამჩნევი მნიშვნელობა გამოდის.

(44) There's an acrid smell in the air and suddenly I realize the Bolognese is burning. Wanda is just standing there by the stove, wittering away about Aristotle, not even noticing. Gently I take the spoon out of her grasp and start to stir. Thank God you don't need a Nobel Prize to do this. (კინსელა 2012:95).

ამ გამონათქვამის დეკოდირებისას, გიორას ჰიპოთეზის თანახმად, თავდაპირველად ნობელის პრემიის ის მნიშვნელობა მუშავდება, რომელიც ყველაზე შესამჩნევია და რომელიც ჩვენს მენტალურ მეხსიერებაშია კოდირებული. მეორე ეტაპზე გადასვლისას, მსმენელი ხელახლა აშკარა შეუსაბამობას ორ მნიშვნელობას - *კერძის კოვზით მორევასა და სამეცნიერო მიღწევებისათვის ნობელის პრემიით დაჯილდოებას* - შორის და ამ ნათქვამის შესაფერის ირონიულ დეკოდირებას ახდენს.

დიუსი და უინერი ეთანხმებიან გიორას იმაში, რომ ირონიული ნათქვამის პროცესირებას უფრო მეტი დრო სჭირდება, ვიდრე არაირონიულისას (დიუსი და უინერი 1999). ამის საფუძველს მკვლევრებს ექსპერიმენტში ჩანიშნული ირონიული და პირდაპირი მნიშვნელობების ინტერპრეტირებისათვის საჭირო რეაქციის დრო აძლევს. მაგრამ დიუსი და უინერი ირონიის აღქმისას არ ემხრობიან ორ საფეხურიან თეორიას. ისინი დასძენენ, რომ ირონიული ნათქვამის აღქმა ერთ საფეხურიანი პროცესია, რომლის დროსაც ორი ფენის (პირდაპირი და ირონიული მნიშვნელობების) ერთდროული, პარალელური დეკოდირება ხორციელდება. აქვე აღსანიშნავია, რომ იგივე მკვლევრები ამტკიცებენ, რომ მათ მიერ ჩატარებულმა ექსპერიმენტებმა დაადასტურა, რომ ირონიის ყველაზე მკაცრი ფორმის, სარკაზმის, დეკოდირებისას მისთვის საჭირო დრო არ იცვლებოდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ექსპერიმენტის მონაწილეებს ერთი და იგივე დრო დასჭირდათ სარკაზმით დატვირთული და არა სარკასტული გამონათქვამების დეკოდირებაში. ეს მონაცემები კიდევ ერთხელ ამტკიცებს ჩვენ მიერ ზემონახსენებ გაუდერებულ მუეკეს მოსაზრებას, რომ

ირონიისგან განსხვავებით (როდესაც მსმენელს უფრო დიდი დრო სჭირდება მისი გაგებისთვის), სარკაზმი არ არის იმდენად საინტერესო კვლევისთვის.

ბუთი (ბუთი 1974:10-12) უფრო შორს მიდის და ირონიის ინტერპრეტაციას კიდევ 2 საფეხურს ამატებს და 4-საფეხურიან პროცესს გვთავაზობს: 1. პირდაპირი მნიშვნელობის უარყოფა; 2. ალტერნატიული ინტერპრეტაციის ძებნა; 3. მთქმელის ინტენციის გაგება; 4. სწორი ირონიული ინტერპრეტაციის მიღწევა. ატარდო თავის ნაშრომში „იუმორისა და ირონიის ურთიერთქმედება“ იხსენებს, რომ იუმორს 4-საფეხურიანი დეკოდირების მოდელი ახასიათებს. ჩვენი აზრით, ბუთისა და ატარდოს მოსაზრებების გათვალისწინებით, ირონიის პროცესირების დროსაც შეიძლება გამოვიყენოთ ეს მიდგომა:

ამოცნობა→გაგება→შეფასება→თანხმობა

recognition→understanding→appreciation→agreement (ატარდო 2002:166).

მკვლევრების მიზანია ექსპერიმენტალურად გამოიკვლიონ „მოლოდინის ჰიპოთეზა“ (expectation hypothesis). მათ აინტერესებთ, რამდენად შეუძლია ძლიერ ირონიულ კონტექსტს, რომელიც მსმენელს ირონიულობის მოლოდინს უქმნის, ხელი შეუწყოს არა პირდაპირი და შემდგომ ირონიული მნიშვნელობის, არამედ მხოლოდ ირონიულის აქტივიზაციას.

კიდევ ერთ საინტერესო პრობლემაზე მიგვითითებს ის ფაქტი, რაოდენ მნიშვნელოვანია ირონიული ნათქვამის პირდაპირი მნიშვნელობის ბოლომდე დეკოდირება, სანამ მსმენელი იმპლიკატური მნიშვნელობის პროცესირებისას მეორე ეტაპზე გადავა. შესაბამისად, საკითხის დასმის წესით, მიგვაჩნია, რომ ამ ასპექტების პირველ პლანზე წამოწევა ახალი კვლევის საგანი შეიძლება გახდეს.

ირონიის ინტერპრეტაციის მეორე მოდელის განხილვისას მნიშვნელოვანია აღინიშნოს კოგნიტური ფსიქოლინგვისტიკით დაინტერესებულ მკვლევართა (გიბსი და ობრაიენი 1991; გიბსი 1986, 1994, 2002; სკერბერი და უილსონი 1986, 1998; კოლსტონი 2000, 2002; კოლსტონი და ობრაიენი 2000; კოლსტონი და კატცი 2005; გერიგი და გოლდვარგი 2000; ივანკო და პექსმანი 2003; უცუმი 2005) მტკიცება, რომ ირონია დაფუნქციონირებს რაიმე შეუსაბამობაზე (incongruity), რაც გამოიხატება იმაში, რომ როგორც ირონიული, ასევე არა ირონიული ნათქვამის

აღქმა ერთნაირად მიმდინარეობს და საბოლოო ჯამში, არც განსხვავდება ერთმანეთისაგან.

ირონიის ინტერპრეტაციის შესწავლისას მკვლევრები პრაგმატიკული მიდგომების ფსიქოლინგვისტურ მოდელს ეყრდნობიან და დასძენენ, რომ ირონიის დეკოდირება ერთ საფეხურიანი პროცესია, რომელსაც პირდაპირი წვდომის ხედვა ეწოდება (The direct access view) (გიორა 2002:489). მათი აზრით, მსმენელი ნათქვამის ირონიულ მნიშვნელობას თავიდანვე ისევე კარგად იგებს, როგორც პირდაპირ მნიშვნელობას ნებისმიერ სხვა არა ირონიულ შემთხვევაში. ისინი ამტკიცებენ, რომ ირონიული და პირდაპირი მნიშვნელობების დეკოდირება პარალელურად ხდება. (...”understanding irony requires parallel activation of literal and figurative meanings.” (გიბსი 1994: 437)).

ასევე, მკვლევრების აზრით, ირონიული ნათქვამის აღქმაზე მნიშვნელოვან გავლენას მდიდარი ინფორმატიული კონტექსტი ახდენს, როდესაც მოქმელი ყველანაირი პირდაპირი ან აშკარა შესამჩნევი ლექსიკური მნიშვნელობის აქტივიზაციის გარეშე თავიდანვე მხოლოდ კონტექსტისათვის შესაფერის მნიშვნელობას აღიქვამს და აცნობიერებს. ამგვარად, არა ირონიულ კონტექსტში ფრაზა „ძალიან სასაცილოა“ მხოლოდ პირდაპირი მნიშვნელობით - რაღაცა „მხიარულ ემოციას აღძრავს“ - იქნება აღქმული; ხოლო ირონიულ კონტექსტში ფრაზა „ძალიან სასაცილოა“ მხოლოდ ირონიულად - რომ რაღაცა „გამაღიზიანებელია“ - იქნება ინტერპრეტირებული. (“Thus, in a literal context *Very funny* would be interpreted only literally (meaning ‘amusing’); in an ironic context, *Very funny* would be interpreted only ironically (meaning ‘annoying’). (გიორა 2002:490))

ასევე გვინდა აღვნიშნოთ, რომ გიბსი თავის კვლევაში დაუბრუნდა „პირდაპირი მნიშვნელობის“ ცნებას და მიუთითა, რომ ნებისმიერი სიტყვის ან წინადადების პირდაპირი მნიშვნელობის განსაზღვრა თითქმის შეუძლებელია. ამგვარად, გიბსი ამტკიცებს, რომ ირონიული ნათქვამის ინტერპრეტაციის დროს ექსპლიციტური და შემდგომ იმპლიციტური მნიშვნელობების გამოწველილვითი ანალიზი არ არის საჭირო. ამის საშუალებას თავად მსმენელს ის შეუსაბამობა აძლევს, რომელიც ნათქვამის მნიშვნელობასა და მის კონტექსტუალურ აქტუალიზაციას შორის არსებობს. გერიგისა და გოლდვარგის აზრით, რაც უფრო ძლიერი და მკაფიოა ასეთი შეუსაბამობა, მით უფრო ადვილია ირონიის აღქმა (გერიგი და

გოლდვარგი 2000). ჩვენი აზრით, კვლავ საკითხის დაყენების წესით, მომავალში საინტერესო იქნებოდა ექსპერიმენტალური კვლევის მეშვეობით იმის გარკვევა, თუ რას წარმოადგენს:

1. ლინგვისტური (სემანტიკური) კონტექსტი, ანუ რა ითქვა კონკრეტულ საკომუნიკაციო სიტუაციაში;
2. სოციო-სიტუაციური კონტექსტი, ანუ ვინ, ვის, სად რანაირად უთხრა;
3. მენტალური კონტექსტი, ანუ მთქმელისა და მსმენელის გრძნობები, ემოციები, მოლოდინი და დამოკიდებულება.

ამ თეორიას ეთანხმებიან სხვა მკვლევრებიც. გლუკსბერგი, კროიცისა და როს (გლუკსბერგი 1986) აზრით, ირონიის დეკოდირების ერთსაფეხურიან თეორიაში ირონიული მნიშვნელობა რე-ინტერპრეტაციის გარეშე, კონტექსტზე დაყრდნობით და საერთო ლინგვისტური ცოდნის (მთქმელის რწმენისა და ნათქვამისადმი დამოკიდებულების) გათვალისწინებით ვლინდება, რაც მტკიცდება იმით, რომ ირონიული და არა-ირონიული ნათქვამების პროცესირებას ერთი და იგივე დრო სჭირდება.

(45) Thanks to all at East St Market for the warm welcome today. Can recommend it for easy availability of eggs. Ed Miliband (Oppositional Labour Party Leader – Shadow Prime-Minister) was thrown eggs at in South London when he promoted his cost-of-living campaign. (მეტრო 2013:7)

ამ მაგალითის ირონიულად აღქმა პირდაპირ, ყოველნაირი ნეგაციისა და რეინტერპრეტაციის გარეშე ხდება. აქ შეიძლება დავამატოთ, რომ ჩვენ ვეთანხმებით იმ აზრს, რომ მნიშვნელობის აქტუალიზაცია და მისი დეკოდირება შეიძლება ერთდროულად, ერთი საფეხურის ფარგლებში ხდებოდეს. ედ მილიბანდს, რომელიც ოპოზიციური პარტიის ლიდერია, ესროლეს კვერცხები, როდესაც ის თავის კამპანიას რეკლამას უკეთებდა და მოსახლეობას მოუწოდებდა მომჭირნედ ცხოვრებისკენ. ირონიის დეკოდირების ზემოთ განხილული ორი ძირითადი გზა მისი კვლევის სხვადასხვა მექანიზმებზეა დაფუძნებული. ასევე მკვლევართა მიერ განვითარებული თეორიები განსხვავდებიან იმით, თუ როგორ აფასებენ ისინი გამონათქვამის პირდაპირ მნიშვნელობასა და კონტექსტის როლს მის დეკოდირებაში. ორივე თეორიის

მიერ ჩატარებული ექსპერიმენტების შედეგები ისეთივე შეუთავსებელია, როგორც თვით ირონიის ერთ და ორ საფეხურიანი დეკოდირების თეორიები.

2.5 ირონიის ინტერპრეტაციის სპეციფიკა

ზემოთ განმარტებული თეორიების მიხედვით, ირონიის, როგორც მეტყველების აქტის, ანალიზის სპეციფიკაზე საუბრისას შემდეგ მიდგომებს გამოყოფენ:

1) ირონიის სამეტყველო აქტუალიზაციაში უნდა არსებობდეს ორი იდეა, აზრი, რომლებიც ერთმანეთთან იმპლიციტურ წინააღმდეგობაში მოდის: კერძოდ, შეიძლება აქტუალიზდეს ანტონიმის, დაპირისპირებითობისა და კონვერსიის ელემენტები (ამანტე 1981).

2) მეტყველების აქტი არ არსებობს ირონიული „გულწრფელობის პირობის“ (felicity condition) დარღვევის გარეშე, როდესაც ირონია ასოცირდება ფსიქოლოგიურ მდგომარეობასთან და ექსპლიციტურად გამოხატავს მადლობას, მისალმებას, ბოდიშს, ხოლო იმპლიციტურად გულისხმობს საპირისპიროს (ბრაუნი 1980).

3) შემდეგი თეორია, რომელიც მოგვაგონებს წინა თეორიის შებრუნებულ ვარიანტს, ამტკიცებს, რომ ერთი შეხედვით, ირონია არის „არაგულწრფელობის განზრახული გამოხატულება“, როდესაც მოქმედს სურს, მსმენელი დაარწმუნოს თავის ექსპლიციტურ არაგულწრფელობაში. ეს მიდგომა ამტკიცებს გრაისისეული ირონიის პრაგმატიკულ თეორიას, როგორც ხარისხის მაქსიმის განზრახ დარღვევას (ჰავერკატე 1990)

4) გლუკსბერგი (გლუკსბერგი 1995) ამტკიცებს, რომ არსებობს ირონიის როგორც მეტყველების აქტის დეკოდირების ანალიზის კიდევ ერთი ხერხი, როდესაც მთავარ და მნიშვნელოვან, მაგრამ არა საკმარის როლს „პრაგმატიკული არაგულწრფელობის“, (pragmatic insincerity) კონცეფცია თამაშობს. მეორე აუცილებელი პირობაა „ილუზია რაიმე წინასწარი მოლოდინისა, ნორმისა ან შეთანხმებისა, რომელიც ამა თუ იმ გზით დაირღვა.“

5) ირონიის ერთ-ერთი გამოჩენილი მკვლევრის, ატარდოს (ატარდო 2000) აზრით, არსებობს ორი ასპექტი, რომელიც გავლენას ახდენს ირონიის

პროცესირებაზე: „რელევანტურობის მაქსიმა“ (“maxim of relevance”) და „ირონიის ანტიფრასტიკული, ანტონიმური გაგება.“ (“the antifrastic antonymic assumption of irony”).

ამ თეორიის მიხედვით, მსმენელი ჯერ აცნობიერებს ტექსტის ირონიულობას, შემდეგ აანალიზებს ირონიის მნიშვნელობას და ბოლოს, მისი საწინააღმდეგო აზრის ინტერპრეტაციაზე გადადის.

ატარდო ამტკიცებს, რომ გზავნილი ირონიულია იმ შემთხვევაშიც კი, თუ ის კონტექსტუალურად, ექსპლიციტურად შეუფერებელია და, ამავედროულად, აზრობრივად რელევანტურია. ატარდოს მოსაზრებით, არაშესაფერისობა და რელევანტურობა სხვადასხვა ცნებებია და ორივე წარმოადგენს აუცილებელ პირობას ირონიის კოდირებისა და დეკოდირების პროცესში. მაგალითად, თუ მოქმედი ამბობს:

(46) I love children so. (ატარდო 2000:816).

და მსმენელმა იცის, რომ ის ტყუის, მას შემდეგ, რაც ის გააცნობიერებს მოქმედის ტონს, მიმიკას ან სხვა სიგნალებს, მსმენელმა შეიძლება იფიქროს, რომ ეს სპეციალურად, განზრახ არის ნათქვამი იმისათვის, რომ სხვაგვარად იყოს აღქმული. ეს ის შემთხვევაა, როდესაც იმპლიციტურად ირონია ხარისხის მაქსიმას არღვევს.

ზემოთ მოყვანილ მაგალითში დარღვეულია არა მხოლოდ გრაისისეული ხარისხის მაქსიმა, არამედ ნათქვამის შეუფერებლობაც. შესაფერისობა აუცილებელია იმიტომ, რომ კონტექსტუალურად არაშესაფერისი ნაწილი ყველაზე ინფორმატიული ხდება და იმიტომ ყველაზე რელევანტურიცაა.

6) კიდევ ერთი მიდგომა შემდეგ პოზიციას წარმოადგენს: მოქმედი იმ შემთხვევაში აღწევს წარმატებას, თუ იგი ქმნის ირონიულ ნათქვამს და მსმენელი მას იგებს, გრძნობს გზავნილის ინტენციას და შემდეგ მას შესაბამის სწორ პასუხს სცემს (ლინგვისტურს ან ბიჰევიორულს-ქცევითს).

ირონიის შესწავლის ამ პრაგმატიკულ მეთოდს არსებითი მნიშვნელობა აქვს, რადგან ის ხორციელდება ენის გამოყენების რეალურ კონტექსტში და აჩვენებს იმ კომუნიკაციურ სიტუაციას, რომელიც საზოგადოებაშია მიღებული. ამ დროს აშკარადდება სხვაობა მოვლენათა ნამდვილ მდგომარეობასა და მოქმედის

პროპოზიციულ ინტენციას შორის, რომელიც ხარისხის მაქსიმას არღვევს. ამგვარად, მთქმელის ირონია მსმენელს „სიმართლის თქმის საშუალებით“ „ატყუებს.“ (კირკეგორე 1989).

7) ირონიის ინტერპრეტაციის ერთ-ერთი, შედარებით ახალი თეორია „ადრე ხსენებულ ინფორმაციას“ ემყარება (mention – based approach), რომელიც სპერბერმა და უილსონმა, (სპერბერი და უილსონი 1981, 1986, 1998) შემოიღეს. „ზოგი გამონათქვამი უშუალო ექოა; ზოგი დაგვიანებული; ზოგის წარმოქმნის წყარო რეალური ნათქვამია, ხოლო ზოგის - ფიქრები და აზრები; ზოგს რეალური წყარო აქვს, ზოგი კი წარმოსახვითია.“ (“Some are immediate echoes, and others delayed ; some have their source in actual utterances, others in thoughts or opinions; some have a real source, others an imagined one.” (სპერბერი და უილსონი 1981:309)).

ეს არის ციტირების, ან ექოიკური ციტირება-განმეორების თეორია, როდესაც აზრის თავიდან აქტუალიზაცია და გამოყენება ხდება იმის გათვალისწინებით, რომ ის სხვის მიერ ადრე უკვე გამოთქმულ აზრს ან ნათქვამს წარმოადგენს.

ექოიკური ნათქვამი მაშინ ცოცხლდება, როდესაც ჩვენ სხვისი ან ჩვენი საკუთარი ფიქრების ინტერპრეტაციას ვახდენთ. მთქმელი იმეორებს ვიღაცის სიტყვებს, თან გამოხატავს გარკვეულ დამოკიდებულებას ამ ნათქვამის მიმართ იმპლიციტური დაცინვის ან ზიზღის ფორმით და, ამავედროულად, ემიჯნება მას და აჩვენებს მსმენელს, რომ სახეზეა არა მისი საკუთარი, არამედ სხვის მიერ ადრე ხსენებული ნათქვამი. მსმენელი, თავის მხრივ, აცნობებს მთქმელს, რომ მან გაიგო ნათქვამი, გაშიფრა იგი, აწონ-დაწონა ნათქვამის მნიშვნელობა და შემდეგ პასუხის სახით მოახდინა მასზე რეაგირება.

აქედან გამომდინარე, სპერბერი და უილსონი ფიქრობენ, რომ ირონიის დეკოდირება იწყება იმით, რომ მსმენელი ხედავს ორ პლანს: ნათქვამს, რომელიც ადრე ხსენებული, გამოთქმული ან აზრად წარმოდგენილია და მთქმელის დამოკიდებულებას ამ ნათქვამისადმი.

მასა-აკი იამანაში აკრიტიკებს ასეთ მოსაზრებას და თვლის, რომ ამ თეორიის მიხედვით ძნელია გაარკვიო, ვის ან რის მიმართ არის გამოყენებული ირონიული ნათქვამი, ანუ რა არის ირონიის ობიექტი (იამანაში 1998:275).

8) არსებობს ირონიის ინტერპრეტაციის კიდევ ერთი გზა, რომლის ცენტრალურ ასპექტს თვალთმაქცობა და ფარისევლობა წარმოადგენს. (კლარკი და გერიგი 1990; რეკანატი 2004; უოლტონი 1990). ამ თეორიის მიხედვით „მოქმელი ისეთ მეტყველების აქტს კი არ ახორციელებს, როგორცაა განცხადების გაკეთება ან შეკითხვის დასმა, არამედ თვალთმაქცობს და იტყუება, თითქოს ამ აქტს ახორციელებს.“ “...the speaker is not herself performing a speech act such as making an assertion or asking a question, but pretending to perform it.” (უილსონი 2006:18).

ირონიული მოქმელი ამ სიტუაციაში არ იქცევა სტანდარტულად, ისე, როგორც მოიქცეოდა სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობის გამოყენებისას. როგორც უილსონი ამტკიცებს, ამ თეორიას ერთი ნაკლი აქვს, რადგანაც თვალთმაქცობა ერთგვარ სიმულაციასა და მიბაძვას გულისხმობს, ამიტომ მოქმელს არ შეუძლია მოახდინოს ისეთი აბსტრაქტული ცნებების იმიტაცია, როგორცაა: ნათქვამის ძირითადი შინაარსი, პროპოზიციის მნიშვნელობა, ან საერთო აზრი. მას მხოლოდ ქცევის სიმულაცია შეუძლია.

2.6 ირონიის ანალიზი პრაგმატიკის ცნებების ჭრილში

პრაგმატიკა სემიოტიკის შედარებით ახალი დისციპლინაა, რომელიც ენისა და კომუნიკაციის „კოგნიტურ, სოციალურსა და კულტურულ ასპექტებთან ამყარებს ურთიერთობას. ამასთან ერთად, აღქმულია, როგორც მოქმედსა და მსმენელს შორის არსებული კომუნიკაცია, რომელსაც მათ შორის გზავნილის გადაცემის ინტენცია აქვს. (ფერშუერენი და ოსტმანი 2009:1). პრაგმატიკის მთავარი შემადგენელი ნაწილებია: კონტექსტი, იმპლიკატურა, პრესუპოზიცია, რელევანტურობა, მეტყველების აქტი.

ლინგვისტური პრაგმატიკა ენას ლინგვისტური (ფონოლოგია, გრამატიკა, სინტაქსი, სემანტიკა), არა ლინგვისტური ფაქტორებისა (კულტურული და სოციალური მახასიათებლები და თავისებურებანი, ნათქვამის ადგილი და დრო) და კონტექსტის (რომელშიც ირონიული ნათქვამია გამოყენებული) ურთიერთქმედების გათვალისწინებით შეისწავლის. პრაგმატიკის კვლევის მთავარი საგანი იმის დადგენაა, თუ რა ლინგვისტური ფორმებითა და სტრატეგიებით ხელმძღვანელობს მოქმედი ნაგულისხმევი მნიშვნელობის კოდირებისას და, რაც მთავარია, რისი კომუნიკაცია ხდება, ან სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოქმედი სინამდვილეში რას გულისხმობს. (შაუერი 2009:6; ენუქიძე 1990; ფერშუერენი 1999; ლებანიძე 1997; სპერბერი და უილსონი 2005) ამგვარად, პრაგმატიკა ენის გამოყენებას სოციალური, კულტურული, და კოგნიტური ფუნქციების გათვალისწინებით სწავლობს.

გვინდა ირონიის დეკოდირების პრაგმატიკულ მეთოდს ცოტა მეტი დრო დავუთმოთ. ამისი აუცილებლობა იქიდან გამომდინარეობს, რომ პრაგმატიკულმა ტალღამ აითვისა ლინგვისტიკის ყველა სფერო და პირველ პლანზე ადამიანის ფაქტორი, მისი აზროვნებისა და ცნობიერების თავისებურებები, სოციალური სტატუსი, თვითშეფასების დონე, განათლება, ხშირ შემთხვევაში, პროფესია და ასევე საზოგადოების განვითარების ისტორიული ეტაპი წამოწია წინ. ირონიული ნათქვამი პრაგმატიკულია იმიტომ, რომ მისი კოდირება მხოლოდ მოცემულ

კონტექსტშია შესაძლებელი. ასეთი მაგალითები აუცილებლად კონტექსტში მოცემული დამატებითი ინფორმაციით ივსება.

პრაგმატიკული თეორიის მამამთავრის პოლ გრაისის აზრით, იმისათვის, რომ მონაწილეობა მიიღონ და ითანამშრომლონ საუბრის პროცესში, მოქმედი და მსმენელი უნდა იზიარებდნენ სულ მცირე ერთ მიზანს: მსმენელმა უნდა გაიგოს მოქმედის ნათქვამის მნიშვნელობა (გრაისი 1975). ეს ის მნიშვნელობაა, რომელსაც კონკრეტული ინტენცია აქვს და მსმენელის მენტალურ მდგომარეობას ეხმიანება.

ფერშუერენი თვლის, რომ პრაგმატიკა „ლინგვისტური ფენომენების მეცნიერებაა, რომელიც სწავლობს მათ გამოყენებას, თვისებებსა და პროცესებს.“ “Pragmatics is the study of linguistic phenomenon from the point of view of their usage properties and processes.” (ფერშუერენი 1999:1)

სხვაგვარად რომ ვთქვათ, პრაგმატიკა სწავლობს იმ პირობებს, რომელშიც ადამიანი ენობრივ ნიშნებს იყენებს, ანუ განიხილავს არა საკუთრივ ენას, არამედ მის გამოყენებას და ფუნქციონირებას, რაც მოქმედისა და მსმენელის სოციალურსა და ეკონომიკურ სტატუსზე, მათ ლექსიკურ შესაძლებლობებზე, ხოლო, მეორე მხრივ, კომუნიკაციის მიზანზე, მის თემატიკასა და ფორმალურობაზეა დამოკიდებული.

როგორც ნერლიხმა და კლარკმა აღნიშნეს, პრაგმატიკას „ორი ძირითადი პრინციპი ახასიათებს: გახადე შენი საუბარი, რაც შეიძლება უფრო საინტერესო/სხარტი/გონებაამახვილური/მოულოდნელი, და მეორე: გახადე შენი ნათქვამი/ტექსტი, რაც შეიძლება უფრო გამომხატველი, მაგრამ ხელმისაწვდომი.“ “...two general pragmatic principles: 'Make your conversation as interesting/witty/surprising as possible' and 'Make your utterance/text as expressive as possible, but still accessible’.” (ნერლიხი და კლარკე 2001:14).

ირონიის პრაგმატიკულ ხასიათზე მიუთითებს ტრადიციული განმარტება, რომელიც მოიცავს ფარულად გამოხატულ კრიტიკულ დამოკიდებულებას მსმენელის ან ნებისმიერი სხვა ობიექტისადმი. ეს კი მოქმედის მხრივ ნეგატიურ შეფასებას იწვევს. გრაისი აღნიშნავს, „მე არ შემიძლია რაიმე ირონიულის თქმა, სანამ ის, რის თქმასაც ვაპირებ, რაიმე აღმაშფოთებელ ან ცუდ მსჯელობას არ

ასახავს ან ისეთ გრძნობას, როგორც გულისწყრომა და ზიზღია.” “I cannot say something ironically unless what I say is intended to reflect a hostile or derogatory judgment or a feeling such as indignation or contempt”. (გრაისი 1989:54).

ამასთანავე, ლინგვო-პრაგმატიკის საშუალებით შესაძლებელი გახდა ისეთი ირონიული ნათქვამების ინტერპრეტაცია, რომლებიც ადრე არსებული ტაქსონომიური ახსნის მიღმა რჩებოდა. ლინგვო-პრაგმატიკა მეცნიერების შედარებით ახალი დარგია, რომელიც ენობრივი ერთეულებისა და მათი გამოყენების პირობების ურთიერთობებს სწავლობს კონკრეტულ სიტუაციაში თანაც ადამიანის სუბიექტურსა და ფსიქოლოგიურ ფაქტორებს იღებს მხედველობაში.

მაგალითად, ზოგ ადამიანს შეუძლია ნათქვამს ირონიული დამახასიათებელი ელფერი შესძინოს, მას აქვს მიდრეკილება ენობრივი შემოქმედებისაკენ, ხოლო ზოგს - არა. ამან კი შეიძლება მიგვიყვანოს იქამდე, რომ ნებისმიერ ერთსა და იმავე ნათქვამს შეიძლება ჰქონდეს მრავალი სხვადასხვა ირონიული თუ არა ირონიული ინტერპრეტაცია (მაიერსი 1977:171-184).

უნდა გვახსოვდეს, რომ ინტერკომუნიკაცია საშუალებას გვაძლევს არა მხოლოდ გავცვალოთ ინფორმაცია, არამედ გამოვხატოთ საკუთარი დამოკიდებულება კონკრეტული კონტექსტისა და სამეტყველო აქტისადმი, გავიაზროთ მისი სხვადასხვაგვარი ილოკუცია. ირონია, როგორც ცნობილია, არ არის ინტერკომუნიკაციის მარტივი და დოგმატური ენობრივი ილეთი, ის იცვლება დროსა და სივრცეში და ბუნებრივი სიტუაციის პირობებში დამოკიდებულია 1. მოქმედის განზრახვაზე, იყოს არაგულწრფელი ილოკუციური აქტის მიმართ და 2. ამ არაგულწრფელობის მსმენელის სუბიექტურ ინტერპრეტაციაზე.

იქიდან გამომდინარე, რომ ირონია არა მხოლოდ ენობრივი, არამედ, პირველ რიგში, სამეტყველო აქტის დამახასიათებელი მოვლენაა, რომელიც მოქმედსა და მსმენელს შორის არსებულ ურთიერთობას ირეკლავს, ხოლო რომლის წარმატება მსმენელის საპასუხო რეაქციაზეა დამოკიდებული, მისი არსი მხოლოდ პრაგმატიკის პოზიციიდან შეიძლება განვმარტოთ.

ირონიული ნათქვამის „არაპირდაპირი მნიშვნელობის, რომელშიც აღნიშნულია მოქმედის რწმენა და დამოკიდებულება, დეკოდირების პროცესში გადამწყვეტი

როლი კონტექსტუალურსა და პრაგმატიკულ ინფორმაციას ენიჭება”. “...contextual and pragmatic information is crucial to understand the implied figurative meaning denoting a speaker’s belief or attitude.” (რეგელი 2010)

ირონიის პრაგმატიკული ინტერპრეტაციის პრობლემატიკა პირველდება თავის ნაშრომებში სპერბერმა და უილსონმა, ბრაუნმა ასახეს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ირონიის აღქმა შეუძლებელია მეტყველების აქტების მიღმა, რადგანაც მთქმელის ინტენცია გამოხატულია ისეთი პერლოკუციური აქტებით, როგორცაა მღელვარება, დაჯერება, დარწმუნება, სიურპრიზი, შოკი. მსმენელი ვერ მოახერხებს ნათქვამის ადეკვატურ დეკოდირებას, თუ ის არ ფლობს მთქმელის პრესუპოზიციებს. ასევე, მათი აზრით, ირონიის ბუნება მხოლოდ პრაგმატიკის პოზიციიდან შეიძლება აიხსნას, რადგან ირონია თავისთავად მეტყველების აქტია და არა მხოლოდ ენობრივი ფენომენი. (სპერბერი და უილსონი 1981; ბრაუნი 1980:111-127).

მთქმელი თავისი ნათქვამით აიძულებს მსმენელს გაიგოს მისი განზრახვა, დამოკიდებულება, აზრი, ემოცია, იდეა, რომელიც სპეციფიკურ კონტექსტშია გამოხატული, რომ მსმენელმა სწორად აღიქვას ამ ნათქვამის მნიშვნელობა. სპეციფიკურ კონტექსტში იგულისხმება მისი საკომუნიკაციო მიზანი, სიტუაცია (ოფიციალური, ნეიტრალური), კულტურული ტრადიციები (ანუ შესაძლებლობა მოსაუბრემ გამოხატოს თავისი ნეგატიური ემოცია და გარკვეული მოსაზრება), სოციალური (სქესი, პროფესია), ფსიქოლოგიური (გუნება, ემოცია, ცხოვრებისადმი დამოკიდებულება), ფიზიკური (საქმით დაკავებულობა, ავადმყოფობა) მახასიათებლები, მთქმელსა და მსმენელს შორის სოციო-ფსიქოლოგიური ურთიერთობები, მრწამსი (მეგობრული, ნათესაური, უცნობი, ცივი, მტრული) და მათი სუბიექტური აღქმა. (გიბსი და ობრაიენი 1991:523-530; გიბსი 1995; ბლუმ-კულკა 1989).

სწორედ ირონიული ნათქვამების მიერ გამოწვეული კომუნიკაციური გაუგებრობის თავიდან არიდება, რომელიც კულტურათა შორის კომუნიკაციისას ხშირად ხდება, ზოგადად ლინგვისტიკის, და, კერძოდ, ჩვენი კვლევის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. ისევე, როგორც ეკონომიკაში დიდი წარმატება დიდ გაბედულებას მოითხოვს, ასევე მეტყველებაში ირონიის საკომუნიკაციო მიზნის წარმატებული მიღწევა რისკთანაა დაკავშირებული.

(47) Faina Ranevskaya: Being healthy means that every other day you feel pain in a different place.

გვინდა გავარჩიოთ მაგალითი (47) ზემოთ ჩამოთვლილი კატეგორიების მიხედვით. პირველ რიგში, გვინდა აღვნიშნოთ, რომ ნათქვამის დეკოდირება არ შემოიფარგლება მხოლოდ ენის ცოდნით, ის მოიცავს მსმენელის ზოგად ცოდნას სამყაროზე და მის უნარს ამოკრიბოს შესაფერისი ფონური ინფორმაცია თავისი მესხიერებიდან. სხვაგვარად, წარმატებული ინტერპრეტაცია მოითხოვს ენობრივსა და კულტურულ კომპეტენციას.

აღსანიშნავია, რომ ნათქვამის პროცესირების პირველადი ეტაპი და საწყისი იმპულსი გამოყენებული ენობრივი მასალისგან შედგება. ამ ნათქვამის საკომუნიკაციო მიზანი რანვესკაიას ინტენციაში გამოიხატება, რათა აჩვენოს თავისი კრიტიკული მოსაზრება ამ კონკრეტული მოვლენისადმი (ჯანმრთელობისადმი) არაოფიციალურ სიტუაციაში; მისი სოციალური, ფსიქოლოგიური და ფიზიკური თვისებები იმაში ვლინდება, რომ თვითონ რანვესკაია ამ ნათქვამის წარმოთქმისას აღარ არის ახალგაზრდა ქალბატონი და თავის ტოლ, ასაკში შესულ ქალებზე ლაპარაკობს; თუ მსმენელმა არ იცის ამ ნათქვამის ეს წინაპირობები, შესაძლოა მან ირონია ვერ დაიჭიროს.

ირონია წარმოადგენს პრაგმატიკულ კატეგორიას, რომელიც თანამედროვე ლინგვისტიკის ბევრი მკვლევრის ინტერესის სფეროში მოხვდა. ყველა პრაგმატიკოსი, რომელიც ირონიას შეისწავლის, მიდის იმ აზრამდე, რომ მთქმელის ინტენცია და მოტივაცია მის ფსიქოლოგიურ მდგომარეობას გამოხატავს.

ლინგვო - პრაგმატიკა დაიბადა მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც ყველა პრაგმატიკოსი უარყოფდა იმ ფაქტს, რომ ირონია მხოლოდ ანტიფრაზა იყო, თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვერცერთი ვერ გეთავაზობდა ირონიის წარმოქმნის სრულყოფილ განმარტებას. (ლიჩი 1983; ლევისონი 1983; სპერბერი და უილსონი 1981; ბრაუნი 1980).

პრაგმატიკული ურთიერთობებით ძალზე დაინტერესებულნი არიან ლინგვისტები, რომლებიც ტექსტისა და დისკურსის ანალიზზე მუშაობენ; ლოგიკოსები და ფილოსოფოსები, რომელთა ინტერესი ლოგიკისა და ენის ურთიერთობებია; ფსიქოლოგები, რომლებიც გონებისა და ენის ინტერაქციას

შეისწავლიან; ანთროპოლოგები, რომელთა ყურადღების ცენტრში ენისა და კულტურის ურთიერთობებია; ნევროლოგები, ვისაც გაგონების და მოსმენისა ნეიროფიზიოლოგიური ასპექტები აინტერესებთ; სოციოლოგები, რომლებიც სოციალურ და ენობრივ ურთიერთობებს იკვლევენ (ფერშუერენი და ოსტმანი 2009:10).

ეს იმით არის გამოწვეული, რომ წარმატებული კომუნიკაციისთვის საკმარისი არა მხოლოდ ლინგვისტური ნორმების, ანუ სემანტიკური და სინტაქსური კანონების ცოდნაა, არამედ ექსტრა-ლინგვისტური ფაქტორების, ანუ სამყაროს შესახებ წარმოდგენის გათვალისწინებაც (სპერბერი და უილსონი 2005; ლევისონი 2000; კარსტონი 2002).

ამგვარად, პრაგმატიკა ინტერდისციპლინარულ მეცნიერებად გადაიქცა, რომელსაც ყველა ზემოთ აღნიშნული დისციპლინის განვითარებაში შეუძლია წვლილი შეიტანოს. ლინგვო-პრაგმატიკული მიდგომის თანახმად დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ პირობების ანალიზს, რომლებიც მოქმედისა და მსმენელის ფსიქოლოგიურ, ინტელექტუალურ და ფიზიკურ აქტივობასთანაა დაკავშირებული კონკრეტული სოციუმის ფარგლებში. ამან მკვლევრებს საშუალება მისცა დაასკვნან, რომ კომუნიკაციას თავისი განსახლვრული კანონები არეგულირებს.

ეს ის მარეგულირებელი კანონებია, რომლებიც მოიცავენ საკომუნიკაციო და პრაგმატიკულ პრინციპებსა (ვგულისხმობთ ზემოთ აღნიშნულ რელევანტურობის, თავაზიანობის, კოოპერაციის პრინციპებს) და წარმატებული არაკონფლიქტური ურთიერთობების უნარების ერთობლიობას, რათა განახორციელონ თავიანთი განზრახვა და მოახდინონ მისი რეალიზაცია.

ირონიის გამოყენებაში ორივე, მოქმედიც და მსმენელიც დაინტერესებულია: თავისი სამეტყველო ქცევითა და ენობრივი საშუალებების არჩევით, ორივე ცდილობს მიაღწიოს თავის საკომუნიკაციო მიზანს და ერთმანეთზე ზეგავლენა მოახდინოს.

მკვლევრები ირონიის ფენომენის ფუნქციებსა და მექანიზმებს პრაგმატიკის ცნებების ჭრილში განიხილავენ (მოქმედის ინტენცია, პრესუპოზიცია, ილოკუციური ძალა, მეტყველების აქტი, სპეციფიკური კონტექსტი) და ამტკიცებენ, რომ მის პრაგმატიკულ ფუნქციებს შორის არის:

1. კრიტიკის შერბილება;
2. ნათქვამში გამოყენებული ლექსიკის ექსპრესიულობა;
3. ბრაზისა და დაცინვის გამოხატვა;
4. მთქმელის დახვეწილობისა და გონებამახვილობის დემონსტრირება.
(კოლსტონი და ობრაიენი 2000; გიორა 2005)

შეიძლება დავასკვნათ, რომ ირონიული სამეტყველო აქტი მოიცავს მთქმელს, მსმენელს, თვით ნათქვამს, მის ირონიულ მნიშვნელობას, კონტექსტს, კომუნიკანტების ფონურ ცოდნას, მთქმელის ინტენციას, გამოხატოს თავისი დამოკიდებულება ნათქვამისადმი და მსმენელის ფსიქოლოგიურ მდგომარეობას.

(48) Can you imagine? Gagarin left the USSR and orbited the Earth only to return back to the USSR.

ერთი შეხედვით, ნათქვამი ირონიას არ შეიცავს, თუმცა დეტალური ანალიზის შემდეგ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მთქმელს, რომელიც თავად საბჭოთა კავშირის წარმომადგენელია, ირონიის საშუალებით სურს არა გაგარინზე ან მის ფრენაზე რაიმე ღირებული ინფორმაციის მიწოდება, არამედ გამოხატოს თავისი ემოცია, მოსაზრება და კრიტიკული დამოკიდებულება საბჭოთა საზოგადოებაში მიღებული მორალური ნორმებისა და სოციო-კულტურული ნიშან-თვისებების მიმართ. ამ შემთხვევაში გადმოცემული ირონია იმ მსმენელისთვისაა განკუთვნილი, რომელიც ცხოვრობდა საბჭოთა კავშირში ან მასთან რაიმე შეხება ჰქონდა და/ან იცნობდა საბჭოთა კავშირის ზოგად მდგომარეობას ადამიანის უფლებების დაცვისა თუ სხვა მხრივ.

აღსანიშნავია ამ მაგალითის კონტექსტი (ადამიანი კოსმოსში გაფრინდა და ისევ იმ ქვეყანაში დაბრუნდა, სადაც ცხოვრობდა არა თუ სახარბიელო იყო, ბევრისთვის ჯოჯოხეთსაც კი წარმოადგენდა), რომელშიც სოციალური, კულტურული და ფსიქოლოგიური ელემენტები ირეკლება და, რომელიც ნათქვამის სწორ ინტერპრეტაციას ეხმარება.

ამგვარად, ირონიის პრაგმატიკული მიდგომის მთავარი იდეა იმის გაგებაა, თუ როგორ ამყარებენ მთქმელი და მსმენელი კომუნიკაციას კონკრეტულ კონტექსტში ან სიტუაციაში ნათქვამის მნიშვნელობის შესწავლით, რომელიც

კონკრეტული მსმენელისკენ არის მიმართული და, რომელიც კონკრეტულ ემოციურ ინტენციასა და გამოხატულებას წარმოადგენს. თუ მსმენელმა ამოიცნო ინტენცია და შეცვალა თავისი ქცევა ან ფსიქოლოგიური მდგომარეობა, მაშინ ირონიის გამოყენება წარმატებულია; თუ მსმენელმა ამოიცნო ირონიული ინტენცია, მაგრამ არ მოახდინა რეაგირება, მაშინ მთქმელი არაეფექტურია. არსებობს კიდევ ერთი ვარიანტი, როდესაც მსმენელი საერთოდ ვერ იჭერს ინტენციას, მაშინ ირონიული ნათქვამი წარუმატებელია. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ადამიანები კომუნიკაციას ამყარებენ მაშინაც კი, როდესაც ჩუმიად არიან იმიტომ, რომ საგანგებოდ ჩამოგდებული სიხუმრეც ერთგვარი გზავნილია (ფერშუერენი და ოსტმანი 2009:68).

ამგვარად, პრაგმატიკული მიდგომა ირონიისადმი მსმენელს საშუალებას აძლევს გამოიცნოს სრული სურათი მოვლენებისა და მათ შორის არსებული წინააღმდეგობების, რომლებიც რეალობას გამოხატავენ და ხშირ შემთხვევაში მიუწვდომელია სამყაროს რაციონალური მეთოდის მეშვეობით აღქმის დროს.

პრაგმატიკის ერთ-ერთი ცენტრალური მომენტი, კოოპერაციის პრინციპია (cooperative principle), რომელიც ორივესგან - მთქმელისა და მსმენელისგან - საუბარში მონაწილეობას მოითხოვს. თუ ნათქვამი დეფექტურია, ის კონტექსტში არავითარ აზრს არ იძლევა, ანუ ირონია თავის მიზანს ვერ აღწევს. შეიძლება ითქვას, რომ მკვლევრები კვლავ ერთხმად მიიჩნევენ, რომ ირონიის ყველა არსებული განსაზღვრებიდან, არცერთი არ არის საკმარისი ირონიის ყოვლისმომცველი განმარტებისათვის, ვინაიდან ირონია რთული მოვლენაა, რომელიც მთქმელისა და მსმენელის სრულ კოგნიტურ ბაზას, მათ ინდივიდუალურ ფსიქოლოგიურ ხასიათს, გამოცდილებას, ფასეულობებს, ისტორიულ და კულტურულ პირობებს და, ასევე, კონტექსტს ეფუძნება.

ამგვარად, თავისი სპეციფიკური ხასიათის გამო, ირონიის დეკოდირება არ შეიძლება მოხდეს მხოლოდ რომელიმე ერთი მიდგომის გამოყენებით. პულუმი (პულუმი 2007:1-32) თვლის, რომ ლინგვისტურ კვლევაში მხოლოდ რამდენიმე მეთოდის ერთობლიობაში გამოყენებამ შეიძლება მიგვიყვანოს მნიშვნელოვან შედეგამდე, ხოლო მაიერსი წერს, „ირონია ცოტათი ამინდს წააგავს, ყველამ ვიცით, რომ ის სადღაც აქ არის, მაგრამ ვერავინ ვერაფერს უხერხებს.“ “Irony is

a little bit like the weather: we all know it's there, but so far nobody has done much about it.”
(მაიერსი 1977:171)

2.7 კვლევის შედეგად გამოკვეთილი ირონიის განმარტება და ანალიზი

ზემოთ მოყვანილი თეორიების გათვალისწინებით, რომლებიც ირონიის არსის თეორიულ დებულებებს წარმოადგენს, გვინდა ირონიის საბოლოო განმარტება და მისი სპეციფიკა შემდეგნაირად გამოვხატოთ:

1. ირონია ენის სისტემური საშუალებაა, რომელიც ისეთ მეტყველების აქტს წარმოადგენს, რომელშიც კარგად ჩანს მოქმელის ინტენცია, გამოხატოს ემოციურად შეფერილი სოციალური, ფსიქოლოგიური და, რაც მთავარია, კრიტიკული დამოკიდებულება ყოფიერების ფორმისადმი სპეციფიკურ კონტექსტში.

2. ირონიას ორი პლანი აქვს: ექსპლიციტური და იმპლიციტური, ზედაპირული და სიღრმისეული. ირონიული ნათქვამის კოდირება და დეკოდირება ამ ორ პლანს შორის კონტექსტუალური 'თამაშით' მიიღწევა, რომელიც მოქმელის კრიტიკულ შეფასებასა და მის პრაგმატიკულ ინტენციას გამოხატავს.

3. ირონია ისეთი კატეგორიაა, რომლის დროს აზრობრივი, ენობრივი და კულტურული პროცესები ლინგვისტური და ექსტრა-ლინგვისტური პარამეტრების ფონზე აქტუალიზდება.

4. ნათქვამი ირონიულია, თუ მოქმელი ლინგვისტური ოპერაციის სპეციფიკურ ტექნიკას იყენებს, რომელიც:

ა). აჩვენებს ნეგატიურ დამოკიდებულებას ირონიის ობიექტისადმი ისე, რომ კონტრშეტვის შემთხვევაში უკან დასახევ გზას ტოვებს;

ბ). კომუნიკაციისას არღვევს გრაისის მაქსიმებს;

გ). ააშკარავებს მოქმელის პრაგმატიკულ ინტენციას არა გულწრფელობის ფორმით;

დ). მოცემულ კონტექსტში ირიბი ფორმით იყენებს ირონიის პროსოდიულ მაჩვენებლებს - ხმის ტონის შეცვლას, უესტებსა და ინტონაციას.

5. ირონია მსმენელისა და მთქმელისგან ექსტრა-ლინგვისტური ელემენტების ცოდნას მოითხოვს: ზოგად ფონურ წარმოდგენებს, სოციალური კანონებისა და ჩვევების ცოდნას.

6. ირონია წარმატებულია, თუ მთქმელი და მსმენელი აქტიურადაა ჩართული ინტერკომუნიკაციაში.

წარმატებული ურთიერთობის ერთ-ერთი ამოცანა ეფექტურობისა და პრაგმატიკული ზემოქმედების განხორციელების გზების მოძიებაა მთქმელისა და მსმენელის ფსიქოლოგიური კომფორტის ფონზე. ამისთვის აუცილებელია მსმენელის მხრივ ირონიული შინაარსის ნათქვამისადმი ადეკვატური და ჰარმონიული რეაგირება და, შემდგომ მისი წარმატებული ინტერპრეტაცია. ამ დროს მთქმელს ეძლევა საშუალება: 1. შექმნას ისეთი პრაგმატიკული გამონათქვამი, რომელშიც მისი კრიტიკული დამოკიდებულება ირონიის ობიექტისადმი შეფარული ფორმითაა გამოსატყულები; 2. დარჩეს სოციუმში მიღებული ეტიკეტისა და თავაზიანობის ნორმების ჩარჩოში; 3. განავითაროს კომუნიკაციის დროს ისეთი ატმოსფერო, რომელიც კეთილად განაწყობს მსმენელს კოოპერაციისა და თანამშრომლობისათვის.

მოპოვებული მაგალითების ანალიზმა გვაჩვენა, რომ ირონიული მნიშვნელობა, მაგალითად, M3 არ შედგება მხოლოდ ორი მნიშვნელობის ჯამისაგან: M1 (პირდაპირი, ენობრივი) + M2 (ილოკუციური, მენტალური, ნაგულისხმევი), მას აგრეთვე ემატება ყველა ის ლინგვისტური და ექსტრა-ლინგვისტური ფაქტორი, რომლებიც, სერლის აზრით, სხვადასხვა კულტურაში განსხვავებულია, ანუ კულტურულ-სპეციფიკურია. „ის, რასაც მთქმელი გულისხმობს, არ არის იდენტური იმისა, რასაც წინადადება გადმოსცემს, მეორე მხრივ, რასაც ის გულისხმობს, სხვადასხვა გზით დამოკიდებულია წინადადებით გადმოცემულ მნიშვნელობაზე.“ „...what the speaker means is not identical with what the sentence means, and yet what he means is in various ways dependent on what the sentence means.“ (სერლი 1979:84). ლინდა ხატჩონი ეთანხმება სერლს და ამბობს, რომ „ირონიული მნიშვნელობა არ არის უბრალოდ არ-თქმული მნიშვნელობა, ხოლო არ-თქმული ყოველთვის არ წარმოადგენს უბრალო ინვერსიას ან თქმულის

საწინააღმდეგოს.“ “...the ironic meaning is not simply the unsaid meaning, and the unsaid is not always a simple inversion or the opposite of the said.” (ხატჩეონი 1994:12–13).

მაშასადამე, ირონიის ადეკვატური ინტერპრეტაციის აუცილებელი პირობაა ის ზოგადი ფონური ცოდნა, რომელიც მსმენელს საშუალებას აძლევს გამოიცნოს ნათქვამის იმპლიციტური ქვეტექსტი გამოთქმული თავაზიანობის, კორექტულობის, ტაქტის ფარგლებში და შეამჩნიოს ირონიული ელემენტები კონკრეტულ საკომუნიკაციო კონტექსტში. წინააღმდეგ შემთხვევაში, ირონიული ნათქვამის პრაგმატიკული მიზანი მიღწეული არ იქნება და წარუმატებლად ჩაითვლება. ყოველთვის გამოჩნდება ვიღაც, რომელიც ირონიულ დისკურსს სერიოზულად აღიქვამს. “[t]here is always someone who takes ironic discourse seriously.” (ეკოუ 1984:68). მაგალითად,

(49) -You’ve thought up something? Augustin asked...

-Yes, Pablo said. Various things.

-Where did you find them? In that bowl? Augustin demanded

-Perhaps, Pablo said. Who knows?

(50) In the wineskin itself there should be some fine ideas, Augustin turned back to the card game. -Why don’t you crawl in and look for them inside the skin?

-Nay, said Pablo equably. I search for them in the bowl. (ჰემინგუეი 2010:258).

პარტიზანთა რაზმში პაბლოს მიმართ ყველას უარყოფითი დამოკიდებულება ჰქონდა იმიტომ, რომ მას ხიდის აფეთქებაში მონაწილეობის მიღება არ სურდა და ის გამუდმებით ნასვამ მდგომარეობაში იმყოფებოდა. აგუსტინს აინტერესებდა, იპოვა თუ არა პაბლომ რაიმე გამოსავალი აფეთქების შემდეგ უკან დახევის გეგმასთან დაკავშირებით და როდესაც პაბლოსგან დადებითი პასუხი მიიღო, იგი დაეჭვდა და ჰკითხა: „სად იპოვე? ამ ფიალაში?“ *Where did you find them? In that bowl?* პაბლომ პირდაპირ გაიგო ეს ნათქვამი, ვერ იგრძნო ან არ ისურვა დაენახა კრიტიკული დამოკიდებულება და დაცინვა აგუსტინის ნათქვამში და მთელი სერიოზულობით უპასუხა „შესაძლებელია-ო“. იმისთვის, რომ თავისი ნეგატიურ-კრიტიკული განზრახვა გაეგებინებინა და პაბლო ნამუსზე შეეგდო, აგუსტინი აძლიერებს თავის ნათქვამსა და მასში ჩაქსოვილ ირონიას, თან ამატებს: “ამ ტიკტორაში უფრო მეტი აზრი უნდა იყოს. რატომ არ შეძრები

შიგნით და მოძებნი მათ?“. (In the wineskin itself there should be some fine ideas, Augustin turned back to the card game. Why don't you crawl in and look for them inside the skin?) ამ მაგალითში აგუსტინის პირველი ირონიული ნათქვამი წარუმატებელია, ხოლო მეორე იმდენად აღწევს მიზანს, რამდენადაც პაბლოს მხრიდან საპასუხოდ ირონიას იწვევს, როდესაც ის ამბობს, რომ მას ერჩივნა ფიალაში ეძებნა გამოსავალი.

(49) და (50) მაგალითების ანალიზი ადასტურებს ჩვენს მიერ წარმოდგენილი ირონიის სამუშაო განსაზღვრებას: 1. ნათლად ჩანს აგუსტინის ფსიქოლოგიური მდგომარეობა. იგი ნერვიულობს და აკრიტიკებს პაბლოს გადაწყვეტილების მიღების უუნარობისთვის; 2. აშკარაა პირდაპირი და ნაგულსხმევი ფაქტორების ურთიერთობა: ექსპლიციტურად ლაპარაკია ტიკტორასა და ფიალაზე, იმპლიციტურად კი ახალ იდეებსა და გამოსავლის ძიებაზე; 3. დარღვეულია გრაიისის გულწრფელობის მაქსიმა ; 4. ორივე მხარე, მთქმელი და მსმენელი აქტიურად არიან ჩართულნი ინტერკომუნიკაციაში, ანუ დაცულია კოოპერაციის პრინციპი; 5. ორივე გამოირჩევა ერთი კულტურული მახასიათებლებით და ორივე ფლობს საერთო ფონურ ცოდნას ომზე, და კერძოდ ხიდის აფეთქებაზე; 6. აგუსტინი ცდილობს პაბლოზე გავლენა მოახდინოს და დაითანხმოს იგი, მიიღოს მონაწილეობა სამხედრო ოპერაციაში.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ნებისმიერი მთქმელის საბოლოო მიზანი და მისი საკომუნიკაციო ინტენციაა გამოიყენოს ექსპრესიული და ემოციური მეტყველება, რომ გადასცეს ინფორმაცია და ამავედროულად, დაარწმუნოს მსმენელი თავის სიმართლეში და აიძულოს ის, იმოქმედოს მომავალში. აქ იგულისხმება მთქმელის პრაგმატიკული კომპეტენცია სიტყვების ხატოვანი გამოყენებით გააუღეროს კონკრეტული მოვლენისადმი, ფაქტისადმი ან ცალკე აღებულ ობიექტისადმი თავისი საქმეში ჩახედულობა და ემოციური შემფასებლობითი ორიენტაცია.

წარმოდგინეთ შემდეგი სიტუაცია. ფრონტზე დაჭრილი ჰენრი მიიყვანეს ჰოსპიტალში. ექიმი მას ეუბნება, რომ მხოლოდ 6 თვის შემდეგ შეიძლება მისთვის ოპერაციის გაკეთება. დაჭრილი ამას ეწინააღმდეგება. მას სურს მაშინვე ჩაუტარონ ყველანაირი მკურნალობა, რომ მალე გამოჯანმრთელდეს. ამის შემდეგ ხდება ეს დიალოგი.

(51) Do you want to keep you knee, young man?

No, I said

What?

I want to cut it off, I said, so I can wear a hook on it. (ჰემინგუეი 1977(1):73).

რა თქმა უნდა, დაჭრილის ფსიქოლოგიური მდგომარეობა კარნახობს მას იმპლიციტური, საპირისპირო მნიშვნელობით გამოხატოს თავისი ემოცია და კრიტიკული დამოკიდებულება ექიმის გადაწყვეტილების მიმართ. ამავდროულად, განზრახული აქვს ამგვარად აიძულოს ექიმი, ოპერაცია სასწრაფოდ გაუკეთოს; ირონიული გამონათქვამით ჰენრი ცდილობს ამდენი ნეგატიური ინფორმაცია და ემოცია ირიბად, ირონიული ფორმით გამოხატოს, თან მიაღწიოს თავის მიზანს - გადაუდებელი ოპერაციის გაკეთებას.

ჩვენ არ ვეთანხმებით სპერბერისა და უილსონის მოსაზრებას და მივიჩნევთ, რომ ირონიის აღქმაზე ექიოკურ ასპექტს ან ციტირებას არ აქვს არსებითი გავლენა, თუმცა, აპრიორი ვადიარებთ მათ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ირონიის დეკოდირების პროცესი ერთეჯაპიანია: მსმენელი თავიდანვე 'იჭერს' პროპოზიციის სისტემურ, კონტექსტისათვის რელევანტურ, შეუსაბამო მნიშვნელობას, რომელიც ირონიის სამეტყველო აქტუალიზაციის წარმატებისთვის განზრახ არის გამოყენებული.

ასევე, ჩვენ ვიზიარებთ დე სოსიურისა და შულციის იმ თვალთახედვას, რომ ირონიის შემთხვევაში მოქმედი არა მხოლოდ აღწერს რაღაც მოვლენას, რომელიც ამ სამყაროში არსებობს, არამედ გვიჩვენებს თავის დამოკიდებულებას, აფასებს მას, გვიზიარებს საკუთარ ფსიქოლოგიურსა და მენტალურ მდგომარეობას და იმასაც, თუ როგორ აღიქვამს თვითონ ამა თუ იმ მოვლენას (დე სოსიური და შულცი 2009).

ჩვენ ვეთანხმებით ბოსკოსა და ბუკიარელის, რომ ირონია რთულ და მარტივ ფორმაში არსებობს. მარტივი ირონიის დროს ნათქვამის პირდაპირ მნიშვნელობასა და კონტექსტს შორის კონტრასტი აშკარაა. (ბოსკო და ბუკიარელი 2008:592) მას ადვილად შესამჩნევი ემოციური შეფერილობა ახასიათებს. ის არსებობს კერძო სპეციფიკურ სიტუაციურ, შედარებით მარტივ კონტექსტში და ამჟღავნებს მოქმედის დამოკიდებულებას, რომელიც, უმეტეს წილად, საპირისპირო თვალსაჩინო დეტალების გამჟღავნებას ემსახურება. ასეთ

ირონიას, ასევე, შეიძლება ეპიზოდური ვუწოდოთ, მისი რეალიზაცია ერთი წინადადების, ანუ მიკროკონტექსტის ფარგლებშია შესაძლებელი.

რთული ირონია მნიშვნელოვნად გართულებულსა და პრობლემურ სახეობას წარმოადგენს, რომელიც ზედაპირზე არ ჩანს და პროცესირებისთვის უფრო დიდ დროს საჭიროებს. რთული ირონიის დროს საქმე გვაქვს დიდი მოცულობის კონტექსტთან, ანუ მაკროკონტექსტთან, როდესაც ერთი აბზაცის საფუძველზე ვერ გავაკეთებთ იმპლიციტურად გამოხატული ირონიის მნიშვნელობის სწორ ინტერპრეტაციას, როდესაც ირონიის კოდირებისთვის მსმენელს მთელი ტექსტი სჭირდება, როგორც ერთობლივი ენობრივი სისტემა. (იხილეთ მაგალითი 43). ბოსკო და ბუკიარელი ამტკიცებენ, რომ რთული ირონიის მქონე ნათქვამის შეფასებისა და ახლებურად გააზრებისთვის აუცილებელია რაოდენობრივად დიდი მოცულობის ინფორმაციის მიღება. მსმენელი გრძნობს, რომ ირონია სადღაც არის და მისი ადეკვატური ინტერპრეტაციისთვის მას მთელი ტექსტის პროცესირება, თან სხვადასხვა ასოციაციების აქტუალიზაცია სჭირდება.

ასეთი ტიპის ირონია მთქმელს საშუალებას აძლევს, მკაფიოდ გამოხატოს თავისი დამოკიდებულება, როგორც კერძოდ ირონიის ობიექტის, ასევე მთელი სამყაროს მიმართ და, აგრეთვე, გამოააშკარაოს თავისი მსოფლმხედველობა, ანუ ირონია ეხმარება მას, გამოთქვას თავისი სუბიექტური პოზიცია, რომლის ინტენციაც ირიბად გამოამჟღავნოს შემფასებლური დამოკიდებულება ისე, რომ ეს შეფასება ზედაპირზე არ ჩანდეს. უცუმი ეთანხმება ბოსკოსა და ბუკიარელის და ამატებს, რომ ირონია ისეთ ირონიულ კონტექსტს გულისხმობს, რომელიც შედგება ა) მთქმელის მოლოდინის, ბ) ამ მოლოდინისა და არსებული მდგომარეობის შეუსაბამობისა და გ) მთქმელის ნეგატიური დამოკიდებულებისაგან შეუსაბამობის მიმართ (უცუმი 2000).

მთქმელმა თავის მიზანს რომ მიაღწიოს - გამოხატოს ირონიის ილოკუციური ძალის შექმნის მექანიზმი, ანუ ფორმისა და შინაარსის წინააღმდეგობა - ამისათვის იყენებს:

- ა) ლექსიკურ საშუალებებს, როგორცაა: 1. პოლისემანტიკური სიტყვები; 2. სიტყვათა თამაში; 3. ირონიული შედარებები; 4. მეტაფორა და სხვა ტროპები; 5. თავისუფალი პარადოქსული სიტყვათაშეხამებები; 6. საკუთარი სახელები; 7.

ციტატები; 8. ანტიფრაზა, რომელიც ნათქვამის ნაგულისხმევ და მის ფორმალურად გამოსატყულ მნიშვნელობების შეუსაბამობაზეა დაფუძნებული;

9. გაცვეთილი ირონიული ნათქვამები (conventional irony)¹, რომლებიც ლექსიკონშია შეტანილი (სპერბერსა და უილსონის მოსაზრებით, გაცვეთილი ირონია იბადება მაშინ, როდესაც თავდაპირველად ორიგინალური ირონია იმდენად ხშირად გამოიყენება, რომ ავტომატურად სტანდარტულ, რუტინულ ინტერპრეტაციას იძენს, თუმცა კარგავს ირონიულ ილოკუციურ ძალასა და ექოს სტატუსს (სპერბერი და უილსონი 1998);

ბ) საკუთარ სინტაქსურ კონსტრუქციებს, როგორცაა: 1. სტრუქტურული და სიტუაციური გამეორება/ციტირება, რომლის დროს კონტექსტი მეორდება, რომელიმე მისი კომპონენტი (ინტონაციის ჩათვლით) იცვლება და მნიშვნელობა ირონიულ კონოტაციას იძენს; 2. რიტორიკული კითხვა; 3. ირიბი მეტყველება; 4) ცალსახად მნიშვნელოვანია წერილობითი ფორმით გამოსატყული ირონიული ინტონაციის გამოყენება - ბრჭყალები, მრავალწერტილი, ძახილის ნიშანი - რაც ხელს უწყობს მის ადეკვატურ ინტერპრეტაციას.

აქედან გამომდინარე, ირონიას ახასიათებს გაორმაგებული ფუნქცია (აზრის იმპლიციტურად გამოთქმისა და საუბრის გაგრძელების შესაძლებლობა), რომელიც მთქმელს საშუალებას აძლევს:

1. შექმნას ისეთი პრაგმატიკული სივრცე, რომელშიც ფარულად გადმოცემულია ეთიკისა და თავაზიანობის ჩარჩოში მყოფი ნეგატიური ემოციური დამოკიდებულება ირონიის ობიექტისადმი. როგორც მაიერსი ამტკიცებს, „შენ შეგიძლია სრულიად გაანადგურო ადამიანი, მაგრამ შეინარჩუნო თავაზიანი სახე.“ „...you can make somebody feel absolutelu rotten, but on the surface have maintained the appearance of politeness.“ (მაიერსი 1977:180).

2. შექმნას ისეთი განსაკუთრებულად პოზიტიური ფსიქოლოგიური სიტუაცია, რომლის ატმოსფერო მსმენელს კომუნიკაციის სტიმულს მისცემს. ჩვენ მიერ

¹ გაცვეთილი ირონიის მაგალითი გვინდა რატუს დავესესხოთ (რატუ 2006), რომელშიც მთქმელი გამოსატავს მოსაზრებას, რომ აღარ ელის იმ მოსაწვევს, რომელსაც თავდაპირველად მთელი გულით ელოდებოდა: the invitation is stuck in the mail.

მოძიებული მაგალითების ანალიზმა კიდევ ერთხელ დაადასტურა ირონიით დაინტერესებული მკვლევრების აზრი, რომ ირონიული ნათქვამი არ შეიძლება განვიხილოთ მისი ფორმის, მნიშვნელობისა და ფუნქციების ერთობლიობის გარეშე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მაგალითისთვის ოსკარ უაილდის ზღაპრები გვინდა მოვიყვანოთ, რომლებშიც კარგად ჩანს ინგლისური საზოგადოების ცხოვრების წესი, რომელიც, ერთი მხრივ, გულწრფელობისა და ჭეშმარიტების, ხოლო მეორე მხრივ, ტყუილის, ფარისევლობისა და ანგარების კონფლიქტს გამოხატავს. ამგვარად, რაც უფრო დიდია კონტექსტის იმპლიციტური მოცულობა (ხარისხი), მით უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ ირონიულ ინფორმაციას, რომელსაც ეს კონტექსტი ატარებს.

ამგვარად, ჩვენ ვეთანხმებით მკვლევრებს, რომ ირონიის ინტერპრეტაციისას აუცილებელია სათანადო მოცულობის კონტექსტის გააზრება, რადგანაც ირონიის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები ხშირად ზედაპირზე არ დევს და სწორედ კონტექსტი გამოხატავს იმპლიციტური მნიშვნელობის ყველაზე უხილავ ასპექტებს. კონტექსტის გარეშე ირონიული ნათქვამის პრაგმატიკული მიზანი არ მიიღწევა, რასაც მთქმელი საკომუნიკაციო მარცხამდე მიჰყავს. მაშასადამე, ირონიული ნათქვამი აიძულებს მსმენელს აქტიურად „იფიქროს“ ინტერპრეტაციის პროცესში, რადგანაც ირონია „მზა“ გაგების ფორმით არ მიიწოდება (შედროვიციკი 1974:76-111).

(52) Stillman smiled. “Surely you don’t want to send me a case! English doctors don’t recognise me! Remember that I have no medical qualifications! I cannot be trusted! I am more likely to kill than to cure!” (კრონინი 1993:106)

ინგლისელი ექიმების აზრით, ამერიკელ ექიმს სტილმანს არ ჰქონდა საფუძვლიანი განათლება და სათანადო კვალიფიკაცია, ექიმად რომ ემუშავა. მაგრამ ის ძალიან კარგი, დიდი პრაქტიკის მქონე წარმატებული ქირურგი იყო. ირონიის საშუალებით სტილმანი თავის ტკივილსა და ფსიქოლოგიურ დაძაბულობას გამოხატავს: მას ინგლისელი კოლეგები არ ენდობიან და არ აღიარებენ.

მთელი კონტექსტისა და კერძოდ, ზემოთ მოყვანილი მაგალითის ფორმისა და შინაარსის ანალიზის შემდეგ, ნათლად ჩანს, რომ ინგლისელ ექიმებთან თავისი

ნეგატიური ურთიერთობის და, ასევე, სუბიექტური და შეფასებითი პოზიციის ასეთი მკაფიო ირონიული გამოხატვა საკმაოდ ემოციური და ეფექტურია. სტილმანი პირდაპირი მნიშვნელობით თვითკრიტიკულად აღწერს თავის პროფესიონალურ შესაძლებლობებს და თავი ღამის უმეცრად გამოჰყავს, ხოლო იმპლიციტურად კი თავის თავს აქებს, გულში კიდევ სიამოვნებს, რომ სწორედ მას მიმართეს პაციენტის დასახმარებლად.

მაგალითი (52) ასევე, შეიძლება სპერბერის და უილსონის ციტირების თეორიის მიხედვით გავაანალიზოთ და განვმარტოთ: ექიმი სტილმანი ინგლისელების მიერ მის შესახებ ადრე გამოთქმულ აზრს ციტირებას-ექიროებას უკეთებს.

ირონია ინტერპერსონალური კომუნიკაციის არაპირდაპირი ფორმაა, რომელსაც მოქმედის განზრახვის გაუდერება და მისი ემოციური გამოხატულება ახასიათებს. მას თან ერთვის დამატებითი ექსტრა-ლინგვისტური ფაქტორები, რის საფუძველზეც მოქმედი ახერხებს, გააკრიტიკოს ირონიის ობიექტი და აზრი შეაცვლევინოს მსმენელს; ყველაფერი ეს მსმენელის მიერ რთული დეკოდირების პროცესის განხორციელებას საჭიროებს. ირონია რთული ინსტრუმენტია. ის მოქმედისა და მსმენელის შინაგანი ბუნების ხასიათზეა ორიენტირებული, ამასთანავე, განსაკუთრებულ როლს თამაშობს მოქმედის გარე სამყაროსადმი დამოკიდებულების გამოხატვაში.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ირონია ყველა საპირისპიროდ გამოთქმული ნათქვამი როდია. ირონიად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ დამატებითი ინფორმაციის მეორე პლანის მქონე მესიჯი, რომელსაც კონტრასტი, წინააღმდეგობა თუ ირონიის დამახასიათებელი სიგნალები ახასიათებს და სპეციფიკურ კონტექსტში იხმარება, როგორც მეტყველების აქტი.

თანამედროვე საზოგადოებაში ირონია სპეციფიკურ პარადიულ ხასიათს იძენს. იმ შემთხვევაში, თუ ის მცდარად არის პროცესირებული, განსხვავება ერთისა და იმავე ნათქვამის ირონიულ და არაირონიულ მნიშვნელობებს შორის აზრთა სხვადასხვაობას იძენს (შუსტერი 2011:359-377).

და ბოლოს, „საკუთრივ ირონია, ყველა ისტორიულ პერიოდში ადამიანის ყოფისათვის დამახასიათებელი საფრთხეა.“ “Irony itself is an occupational hazard of being human, present in every age.” (ფერნანდეზი და ჰიუბერი 2001:14)

თავი 3

ირონიის დეკოდირების ლინგვო-პრაგმატიკული ექსპერიმენტი

3.1 ირონიის წარმატებული დეკოდირების პირობები

3.1.1 ჰაიმის „SPEAKING“ მოდელი და ფართო გაგებით კონტექსტი

თანამედროვე ჰუმანიტარულ ლინგვისტურ აზროვნებაში მნიშვნელოვანი ადგილი მოდელს „SPEAKING“ უკავია, რომელიც ჰაიმის (ჰაიმსი 1974:55-58) მიერ იყო დამუშავებული. მკვლევრის მტკიცებით, იმისთვის, რომ მოქმედმა გამართულად ილაპარაკოს, მან არა მხოლოდ ენის ლექსიკა და გრამატიკა უნდა ისწავლოს, არამედ ვრცელი კონტექსტიც, რომელიც კონკრეტულ სიტყვებზე იგება. ამ მოდელის მიხედვით, ინტერ-კომუნიკაციისას ამ ფართო კონტექსტის შემდეგი ასპექტებია გასათვალისწინებელი:

S - (Setting and Scene) აღნიშნავს კომუნიკაციის ფიზიკურ ადგილმდებარეობას, მის დროს, მოქმედისა და მსმენელის ფსიქოლოგიურ განწყობას, რომელიც ერთსა და იმავე ადგილმდებარეობაში სხვადასხვანაირი შეიძლება იყოს, დაწყებული სახუმარო-სათამაშო ელფერით, დამთავრებული სერიოზული მახასიათებლების მქონე ფორმებით, მაგალითად, ოჯახის წევრების სადილად (კომუნიკაციის დრო) შეკრება სასტუმრო ოთახში (ფიზიკური ადგილმდებარეობა) და მათი ურთიერთობა (ფსიქოლოგიური განწყობა).

P - (Participants) მოიცავს მოქმედსა და აუდიტორიას, ვისაც ის მიმართავს, რომელიც თავის მხრივ შეიძლება ორ კატეგორიად დავეყოთ: მსმენელი, ვისაც ეკუთვნის ნათქვამი და დანარჩენი მსმენელები. მაგალითად, ოჯახის წევრი ამბავს ქალებს უყვება, მაგრამ იქ მყოფ კაცებს ესმით ეს ამბავი.

E - (Ends) გულისხმობს საბოლოო მიზანს და შედეგს. ჰაიმსი ამტკიცებს, რომ ერთსა და იმავე ფიზიკურ ადგილმდებარეობაში ერთსა და იმავე აუდიტორიასთან მოქმედს შეიძლება სხვადასხვა საბოლოო მიზანი ჰქონდეს: მაგალითად, ოჯახის ერთი წევრის-მსმენელის გახალისება, მეორისთვის ჭკუის

სწავლება და მესამისადმი პატივისცემის გამოხატვა. ამასთან, მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ შედეგი შეიძლება როგორც წინასწარ სავარაუდო, ასევე მოულოდნელი ხასიათისა იყოს.

A - (Act Sequence) აღნიშნავს ფორმასა და მოქმედების მსვლელობას, ანუ ორგანიზებას. მოქმედის ნათქვამი შეიძლება რაიმე მესიჯის პასუხად დაიწყოს. მისი ნათქვამის მსვლელობა შეიძლება სპეციფიკურ სტრუქტურას მოიცავდეს, რომელსაც მოქმედი თავად ირჩევს. მოქმელს მესიჯის გადაცემის დროს შეიძლება კითხვების დასმით ან კომენტარების სახით საუბარი შეაწყვეტინონ და ბოლოს, მოქმედი და მსმენელი შესაძლებელია სხვა თემაზე გადავიდნენ.

K - (Key) მოიცავს მეტყველების აქტის „ტონს, მანერასა და ემოციურ დატვირთვას“.

I - (Instrumentalities) გულისხმობს ლაპარაკის სტილს, როდესაც მოქმედი სხვადასხვა უესტებსა და ხმის იმიტაციას იყენებს, გაზვიადებულ პატივისცემას ჩვეულებრივი ინტონაციით ან დიალექტის გამოყენებით გამოხატავს; ან ფორმალური სტანდარტული ენის ნორმების დაცვით ლაპარაკობს.

N - (Norms) სოციალური ნორმები და წესები, რომლებიც განსაზღვრავს ინტერკომუნიკაციაში მყოფი მონაწილეების ისეთ ქცევებსა და რეაქციებს, როგორცაა: ლაპარაკის შეწყვეტა ან კოლაბორაცია. სწორედ ამ სოციალური ნორმების გათვალისწინებით მსმენელს უყალიბდება მოლოდინი იმისა, რომ საუბარს, საკომუნიკაციო აქტს რაღაც რეაქცია მოჰყვება.

G - (Genre) წარმოადგენს სამეტყველო აქტის ჟანრს, სახეობას. მაგალითად, ოჯახის წევრის მიერ გამოთქმულ ნათქვამს შეიძლება მორალური ინსტრუქციის, ბრძანების, გასართობი ხუმრობის ან ანეკდოტის ფორმა ჰქონდეს.

მთავარი მიზეზი, თუ რატომ ვაქცევთ ყურადღებას ნათქვამის კონტექსტის ამ 8 ასპექტს, რომლებისგანაც SPEAKING-ი შედგება, არის ის, რომ ეს ფორმა შეიძლება გამოყენებული იყოს წერილობითი ირონიის დეკოდირების ექსპერიმენტის შედეგად მიღებული მონაცემების საბოლოო შეჯამებისათვის.

3.1.2 ირონიის ექსპერიმენტული კვლევის ინტერდისციპლინარული ხასიათი

ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში მიმდინარეობს ირონიის სიღრმისეული და ინტენსიური კვლევა, რომელიც არა მხოლოდ ლინგვისტიკის პრინციპების გამოყენებით ხორციელდება, არამედ სხვადასხვა დისციპლინების - ფსიქოლოგიის, სოციოლოგიის, პრაგმატიკის, ფილოსოფიისა და, აგრეთვე, მედიცინის - დახმარებითაც.

ამ მიმართულებების ყველა მკვლევარი ცდილობს, წარმოადგინოს ისეთი თეორია, რომელიც შეძლებს იმის ახსნას, თუ რატომ და როგორ იყენებს მოქმედი ირონიას და როგორ იგებს მას მსმენელი. ეს თეორიები სხვადასხვა კუთხით იკვლევს ირონიას, მის ფუნქციებსა და მექანიზმებს იმის მიხედვით, თუ რა ასპექტი არის მათი განხილვის საგანი. ცალკე აღებული ეს დისციპლინები მხოლოდ ცალმხრივად აშუქებს ირონიის ფენომენს, ამიტომ აუცილებელია მათი კონსოლიდაცია და ერთად გამოყენება ირონიის პროცესირების როგორც საწყის, ასევე ბოლო ეტაპზე.

მესამე თავში შევეცადეთ, წარმოგვედგინა ჩვენს ხელთ არსებული გამოცდილება, ექსპერიმენტის შედეგები და, ზოგადად, მცდელობა იმისა, თუ რა პროცესს გადის მსმენელი ირონიის ფენომენის აღქმის დროს.

3.1.3 ირონიის კვლევის ლინგვო-პრაგმატიკული და ფსიქო- ლინგვისტური საფუძვლები

ირონია ხატოვანი მეტყველების ერთ-ერთი ხშირად გამოყენებადი ფორმაა, რომელსაც შეუძლია მოქმედი პოტენციურად რისკის ქვეშ მოაქციოს ისევე, როგორც იხსნას ან დააჯილდოს იმიტომ რომ, როდესაც მოქმედი რაიმეს ირონიულად ამბობს, ის ცდილობს, კომპაქტურად გადასცეს თავისი მესიჯი და იყოს კრიტიკული ირონიის ობიექტისადმი. ირონია, მეტაფორასთან ერთად, ფსიქოლინგვისტიკის ექსპერიმენტების თვალსაზრისით, პრაგმატიკის კვლევის კლასიკური ფორმაა, რომელიც ირიბ მეტყველებაში გამოიყენება.

პრაგმატიკის მთავარი მიზანია, ახსნას ირონიის წარმატებული ინტერპრეტაციის პირობები. როგორც ფერშუერენი ამტკიცებს, პრაგმატიკა კოგნიტური, კულტურული და სოციალური პროცესების ნარევია, რომელიც როგორც მოქმედს, ასევე მსმენელს ეხება (ფერშუერენი და ოსტმანი 2009).

შეიძლება გამოვყოთ პრაგმატიკის სამი ფაქტორი, რომლებიც ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია:

1. ლინგვისტური;
2. ექსტრა-ლინგვისტური; და
3. თვით კონტექსტი, რომლის გამოც მსმენელს უწევს, გაარკვიოს და გაიგოს ნათქვამის იმპლიკატურა, ანუ გაიაზროს რეალურად რას გულისხმობს მოქმედი. (ფერშუერენი და ოსტმანი 2009:68).

რაც უფრო გასაგებია იმპლიკატურა, მით უფრო ნაკლები დრო სჭირდება მსმენელს მის ინტერპრეტაციაზე. (მაცუი 2000)

ლინგვო-პრაგმატიკის კვლევის ობიექტი, რომელსაც ექსპერიმენტულად ფსიქო-ლინგვისტიკისა და სოციო-ფსიქოლოგიის მეთოდოლოგიით იკვლევენ, ის წინააღმდეგობაა, რომელიც ნათქვამის ნაგულისხმევისა და პირდაპირ მნიშვნელობებს შორის არსებობს (რეკანატი 1995; ლიჩი 1983; ლევენსონი 1983; აკერმანი 1983; ჰარისი და პექსმანი 2003; უინერი და ლიკამი 1991; კროიზერე 1999, 2000; დე გრუტი 1995).

თავის მხრივ, ფსიქო-ლინგვისტიკა, როგორც სკოველი აღნიშნავს, იკვლევს „ენისა და მეტყველების გამოყენებას ადამიანის აზროვნების ბუნებისა და სტრუქტურის გაგების მიზნით“ (“The use of language and speech as a window to the nature and structure of the human mind is called psycholinguistics.” (სკოველი 1998:4)).

იქიდან გამომდინარე, რომ ირონია მოქმედის მიერ მსმენელის შემდგომი საქციელის ერთგვარი მანიპულაციის საშუალებაა, ძალზე აქტუალურია საკომუნიკაციო ფსიქოლოგიის კვლევა, რადგანაც კონტექსტის იმპლიციტური მნიშვნელობა განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს, რომელიც ააშკარავებს მის არაერთგვაროვნებასა და მრავალფეროვნებას. მოქმედს ასეთი არაერთგვაროვნება წინასწარ განზრახული აქვს და გამოხატავს მას თავისი შემოქმედებითი და მსოფლმხედველობის პოზიციიდან ისეთი ემოციური, კრიტიკული და შემფასებლური ფორმის საშუალებით, როგორც ირონიაა. ფსიქოლინგვისტიკა ენობრივ ქცევას სწავლობს, რომელიც მოიცავს ენობრივი სისტემისა და ლინგვისტური კომპეტენციის ურთიერთქმედებას (კატლერი 2005).

სხვაგვარად რომ ვთქვათ, ფსიქოლინგვისტიკა გვეხმარება, გავიგოთ ირონიის აღქმის პროცესი, მისი გამოცნობიდან დაწყებული მისი ინტერპრეტაციის შესწავლით დამთავრებული. ამ სფეროში ბოლო დროინდელი ექსპერიმენტების შედეგებმა გვაჩვენა, რომ ირონიის დეკოდირების პროცესი მხოლოდ რამდენიმე ასეული მილიწამიდან რამდენიმე წამამდე გრძელდება. (გიბსი და კოლსტონი 2001).

უილსონის აზრით, პრაგმატიკული ინტერპრეტაცია მნიშვნელოვანია და „მოქმედის აზროვნების წაკითხვის სავარჯიშოს წარმოადგენს.“ (“Pragmatic interpretation is an exercise in mindreading.”) (უილსონი 2009:183)

ცნობილია, რომ ქების ირონია იოლად აღიქმება, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ ის არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენს და არ მოითხოვს პასუხის გაცემის საჭიროებას ან მობილიზებას მოქმედებისათვის (ბრომბერეკ-ლიზმანი 2012:93).

კრიტიკული ემოციით დატვირთული ირონიის ეფექტი ქცევის ფსიქოლოგიურ მანერაში გამოიხატება, როდესაც მსმენელს მოეთხოვება, პოტენციალურ საფრთხეზე სწრაფად გასცეს პასუხი და მტრულად განწყობილ ირონიაზე

მთელი ძალების მობილიზება მოახდინოს. ამ შემთხვევაში საფრთხე მოქმედებს, როგორც განგაშის სიგნალი, რომელიც ააქტიურებს პასუხის გაცემის ფსიქოლოგიურ ტექნიკას, რომლის მექანიზმი გადარჩენის სურვილის გამო უძველესი დროიდან არსებობს. (ბაუმისტერი 2001; როზინი და როიზმანი 2001).

ირონიის დეკოდირების პროცესში პრაგმატიკული მიდგომა თეორიული და პრაქტიკული ან ექსპერიმენტული ნაწილისგან შედგება. ასეთი ექსპერიმენტების მიზანია, პასუხი გასცეს შემდეგ კითხვას: რაში მდგომარეობს ირონიის გამოყენება, როგორ აკეთებს პიროვნება არჩევანს ირონიის გამოყენებისას და რა მექანიზმების ამოქმედებით აღიქვამს ირონიას მსმენელი. რადგანაც ყველა ეს საკითხი პიროვნებასთანაა (მოქმედთან ან/და მსმენელთან) ასოცირებული, ამიტომაც პრაგმატიკა და ფსიქოლოგიური ექსპერიმენტი ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული.

პარისა კარიმვანდი ამტკიცებს, რომ ფსიქოლინგვისტიკას დიდი წვლილი მიუძღვის მეტყველების აღქმის კვლევაში იმის გამო, რომ მსმენელი ეყრდნობა არა მხოლოდ ერთ, არამედ ინფორმაციის რამდენიმე სხვადასხვა წყაროს, (კარიმვანდი 2011) კერძოდ:

- 1, აღქმა-გააზრების პროცესი დამოკიდებულია სამი სახის ინფორმაციაზე, როგორცაა: ა) ლინგვისტური; ბ) კონტექსტუალური; და გ) პრაგმატიკული.
- 2, აღქმა-გააზრების პროცესი შერჩევითი და ფარდობითია, რადგან ადამიანის მიერ მიღებული ინფორმაციის პროცესირების შესაძლებლობები შეზღუდულია.
- 3, აღქმა-გააზრების დროს მსმენელი ადრე მიღებულ ინფორმაციასა და თემასთან დაკავშირებულ სპეციფიკურ მოლოდინს იყენებს; ეს მოვლენა განაპირობებს იმ ფაქტს, რომ ა) ხშირად მსმენელი აღიქვამს არა იმას, რაც ითქვა, არამედ იმას, რისი მოსმენის მოლოდინი და სურვილიც მას ჰქონდა; ბ) მსმენელს ხშირად მეყსეულად ავიწყდება ის, რაც ითქვა და რაც მან არასწორად აღიქვა.
- 4, აღქმა-გააზრების პროცესში მსმენელი მუდმივად ფიქრობს იმაზე, თუ რა მოჰყვება მის რეპლიკას, რა ითქმება შემდეგ, იმავდროულად, მსმენელი ადარებს საკუთარ ჰიპოთეტიკურ მიდგომას იმას, რაც სინამდვილეში ითქმება.

ასეთი მრავალმხრივი, კომპლექსური მიდგომა კვლევების ახალ დღის წესრიგს აწესებს და ცდილობს, ირონია ექსპერიმენტული მეთოდების გამოყენებით დისციპლინათა შორის სიბრტყეზე, ინტერდისციპლინარულ პერსპექტივაში შეისწავლოს.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი კვლევის ამ ეტაპის მთავარი მიზანია გამოვიკვლიოთ და ავხსნათ, თუ როგორ იყენებს მოქმელი ირონიას იმისთვის, რომ გამოხატოს დამცინავი ან მტრული დამოკიდებულება ყოველდღიურ კომუნიკაციაში და რა არის საჭირო, რომ მსმენელმა ადეკვატურად გაიგოს ირონიული ნათქვამი.

გვინდა აღვნიშნოთ, რომ თანამედროვე ექსპერიმენტული პრაგმატიკა ცდილობს, იპოვოს და გაზომოს გამოთქმის ინტერპრეტაციის სისწრაფე, ამიტომაც, ზოგი სტანდარტული ექსპერიმენტი გამონათქვამის დეკოდირებაზე დახარჯული დროის ანალიზისა და შედარების მიზნით ტარდება, რაც, თავის მხრივ, გონებასთანაა მჭიდროდ დაკავშირებული. ამ მიზეზით შეიქმნა პრაგმატიკის ახალი განშტოება - ნეიროპრაგმატიკა - რომელიც გვეხმარება თავი გავართვათ ისეთ საკითხებს, როგორცაა კომუნიკაციის გააზრება და გაგება იმ მსმენელების მიერ, ვისაც დაზიანებული აქვთ ტვინის ან მარჯვენა, ან მარცხენა ნახევარსფერო, რადგანაც არსებობს მოსაზრება, რომ პრაგმატიკული ინფორმაცია ტვინის მარჯვენა ნახევარსფეროში მუშავდება, ხოლო ის რაც შეეხება გრამატიკას, მარცხენაში. (მაიბაუერი და შტაინბახი 2011:10; შამეი-ცუორი 2005; რეგელი 2010, უჩიამა 2006).

არსებული განსხვავებული ხედვების მიუხედავად, პრაგმატიკის, როგორც ენის კომუნიკაციური გამოყენების თეორიის ყველა მკვლევარი თანხმდება, რომ: 1. მოქმელს სურს, ანუ აქვს ინტენცია, თავისი გამონათქვამი იმგვარად წარმოთქვას, რომ მსმენელმა მისი გაგება შეძლოს; 2. მსმენელი ადეკვატურად აღიქვამს ამ სურვილს/განზრახვას; 3. ყველა ტიპის კომუნიკაცია ექვემდებარება მაქსიმუმის წესებს; 4. მოქმელის ნათქვამი ორ მნიშვნელობას გამოხატავს, ანუ ექსპლიციტურსა და იმპლიციტურს. ეს მნიშვნელობა მოიცავს ისეთ განსაკუთრებულ კომპონენტებს, როგორც არის პრესუპოზიცია, იმპლიკატურა, ილოკუციური ძალა.

პრაგმატიკის კანონების გათვალისწინებით, მსმენელი ირონიის ინტერპრეტაციაში უფრო დახელოვნდება მაშინ, როდესაც მას ირონიის ყოველდღიური გამოყენების სათანადო გამოცდილება აქვს, რის შედეგადაც იმ სპეციფიკურ ცოდნას იძენს, რომ კომპლიმენტი შესაძლოა არა მხოლოდ კომპლიმენტად აღიქვას, არამედ, როგორც კრიტიკა და ასევე, პირიქით, კრიტიკა შესაძლოა კომპლიმენტად იყოს აღქმული.

შეიძლება დავასკვნათ, რომ პრაგმატიკა მოიცავს სამი კომპონენტის ურთიერთქმედებას: თავად ადამიანს, გარემომცველ სამყაროსა და ენას, როგორც ადამიანისა და სამყაროს გამაერთიანებელ რგოლს.

ირონიის რეალიზაცია არ არსებობს პრაგმატიკის ცნებების გარეშე, რადგანაც ენა კოლექტიურ მესსიერებაში არსებობს, ხოლო ინდივიდუალურ მეტყველებაში მუდამდებია და ირონია თავისი არსებობის დასაწყისშივე მიდრეკილია ლინგვო-პრაგმატიკის მიდგომის ანალიზისკენ: ირონიაში მთავარ როლს, ერთი მხრივ, მთქმელის, ხოლო, მეორე მხრივ, მსმენელის სუბიექტური მხარე ასრულებს.

ირონიის აღქმა რთული პროცესია და გარკვეულწილად დამოკიდებულია ისეთ სოციო-პრაგმატიკულ ელემენტებზე, როგორცაა მთქმელისა და მსმენელის ურთიერთობა (ახლო, ნათესაური) ან სოციალური სტატუსი (მიკუთვნება მაღალი ან დაბალი კლასისადმი) (პექსმანი და გლენრიტი 2007; პექსმანი და ოლინეკი 2002).

3.1.4 ენათაშორისი პრაგმატიკის როლი ირონიის ინტერპრეტაციაში

თანამედროვე სამყაროში, როდესაც ხალხი მრავალენოვან და მრავალენოვან საზოგადოებაში ცხოვრობს, არსებითია სხვადასხვა ენების კულტურული ნორმების კვლევა, რომელიც ერთიან „გლობალურ მსოფლიოში“ თითოეული ადამიანის მოღვაწეობისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია (ვირზბიკა 1991:viii). ირონიის დეკოდირებისთვის მსმენელს მოეთხოვება სემანტიკური, გრამატიკული და პრაგმატიკული კომპეტენციების ფლობა, როდესაც ირონიული ნათქვამი ინგლისურ ენაზეა, მაშინ ამას ემატება, ერთი მხრივ, ამ უცხო ენის სემანტიკური, გრამატიკული და პრაგმატიკული კომპეტენციისა და, მეორე მხრივ, ანგლო-საქსონური კულტურული ტრადიციების (მაგალითად, ბრძანებითი კილოს შეზღუდვა-აკრძალვა ან პირობითი და კითხვითი ფორმების ფართო გამოყენება) ერთობლიობა. ეს გამომდინარეობს იქიდან, რომ ყველა ცალკე აღებულ კულტურაში, სხვადასხვა ენობრივ სივრცეში, ირონიის გამოხატვას განსხვავებული კანონები მართავს (ვირზბიკა 1991; ფერნანდეზი და ჰიუბერი 2001; კოლსტონი და კატცი 2005).

ენათაშორისი პრაგმატიკას კვლევის ერთ-ერთ ობიექტად მშობლიური და უცხო ენების შეპირისპირებითი შესწავლა მიაჩნია. (Interlanguage Pragmatics (ILP). (კასპერი და ბლუმ-კულკა 1993:3; კასპერი და დალი 1991). ამიტომაც თანამედროვე ექსპერიმენტები პრაგმატიკაში უფრო შორს მიდის და მსმენელების მიერ არამშობლიურ ენაზე ნათქვამის გააზრების კანონზომიერებას იკვლევს. ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში მრავალი კვლევა განხორციელდა ენათაშორისი პრაგმატიკაში, კონკრეტულად ყურადღება მიექცა იმას, თუ როგორ განსხვავდება არამშობლიურსა და მშობლიურ ენაზე მოლაპარაკე ინდივიდების ლინგვო და სოციო-პრაგმატიკული ქცევა თუ კომპეტენციები.

ჩვენ მიერ ჩატარებული ექსპერიმენტის არსი მდგომარეობს მეტყველების აქტის გააზრების პრობლემატიკის წინ წამოწევისა და მასზე დაკვირვებაში ისეთი მსმენელის მიერ, რომელიც სრულად კომპეტენტურია ორ ენაში და ქმნის გამონათქვამების ინტერპრეტაციის საკუთარ სტილს, რითაც კულტურათა შორის კომუნიკაციის სპეციფიკას ამჟღავნებს. (ალკონი და მარტინეზ-ფლორი 2008;

მარტინეზ-ფლორი და იუსო-პუანი 2011; კასპერი და რევერი 2005; მარტინეზ-ფლორი 2003; კატცი და ლი 1993; კატცი და პექსმანი 1997).

ენათაშორისი პრაგმატიკა ზოგადი პრაგმატიკის შედარებით ახალი მიმართულებაა, რომლის მამამთავრად კასპერს აღიარებენ. როგორც კასპერმა აღნიშნა, ენათაშორისი პრაგმატიკა წარმოადგენს „არამშობლიურ ენაზე მოლაპარაკე ადამიანის მიერ უცხო ენაზე ლინგვისტური ქმედების გაგების, წარმოებისა და წარმატებული კომუნიკაციის ჩვევების შექმნის კვლევას“ (კასპერი 2010:141). უფრო მეტიც, პრაგმატიკის ეს ქვედარგი არ მოიცავს მხოლოდ ირონიის გაგებას, მასში ასევე შედის, და უპირველესი მნიშვნელობა აქვს მოქმედის ინტენციის გამორკვევას, ანუ რისთვის და რატომ ამბობს იგი ამ ნათქვამს ირონიულად.

ენათაშორისი პრაგმატიკას აინტერესებს, იყენებს თუ არა მსმენელი უცხო ენაზე გამოხატული გზავნილის დეკოდირების დროს მშობლიურ (L1) ენაზე შექმნილ ცოდნას (კასპერი და შმიდტი 1996). როგორც ცნობილია, ირონია „სახის რღვევის საფრთხის შემცველ“ მეტყველების აქტს წარმოადგენს, რომელიც საკმაოდ ხშირად გამოიყენება ყოველდღიურ მეტყველებაში, ამიტომაც ინტერკომუნიკაციისას მისთვის თავის არიდება შეუძლებელია. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით აქტუალურია ირონიის ინტერპრეტაცია იმიტომ, რომ მსმენელს მოეთხოვება, იყოს კომპეტენტური და, გარკვეულწილად, იცნობდეს ორივე ენის სოციო-კულტურულ და ფსიქოლოგიურ განსხვავებებს.

წინამდებარე ნაშრომი პირველი ცდაა, რომელიც ირონიას ენათაშორისი პრაგმატიკის ჭრილში იკვლევს. ჩვენ გვინდოდა გაგვეჩვენა, თუ როგორ „მუშაობს“ მშობლიურ (ქართულ) ენაზე შექმნილი კომუნიკაციური კომპეტენცია უცხო (ინგლისურ) ენაზე მიწოდებული ირონიული ნათქვამების დეკოდირების დროს.

მკვლევრების ასეთი მიდგომა აიხსნება იმით, რომ ირონიის წარუმატებლობის მიზეზი შეიძლება იყოს არა მხოლოდ არასაკმარისი ენობრივი კომპეტენცია (კომუნიკაციის დროს ეწე ლინგვო-პრაგმატიკული მარცხი), არამედ სოციო-კულტურული ფასეულობებისა და ნორმების არცოდნა (სოციო-პრაგმატიკული მარცხი). (ბრაუნი და ლევენსონი 1987; კასპერი და დალი 1991; თომასი 1983).

კანაღე კომუნიკაციურ კომპეტენციაში 4 მთავარ კომპონენტს გამოჰყოფს და ამტკიცებს, რომ ოთხივე მათგანი სისტემის სახით გამოიყენება და ხშირად ნაწილობრივ ემთხვევა ერთმანეთს (კანაღე 1983):

1, გრამატიკული კომპეტენცია, ანუ ენობრივი კოდის ცოდნა, რომელიც მოიცავს ლექსიკას, ფონოლოგიას, მორფოლოგიას, სინტაქსს და, რომელიც მოქმედს საშუალებას აძლევს, აავოს სწორად ფორმირებული ნათქვამი.

2, სოციო-ლინგვისტური კომპეტენცია, ანუ ენის სწორი გამოყენება სხვადასხვა სოციო-ლინგვისტურ კონტექსტში, რომელსაც შესაბამისი ფორმა და მნიშვნელობა აქვს.

3, კონტექსტის კომპეტენცია, ანუ იმის ცოდნა, თუ როგორ უნდა გააერთიანო გრამატიკული ნორმები და მნიშვნელობა შეკრული ტექსტის მისაღწევად.

4, სტრატეგიული კომპეტენცია, ანუ ცოდნა, რომელიც მოიცავს ვერბალურსა და არა-ვერბალურ სტრატეგიებს, რათა გააღრმავოს ნათქვამის ეფექტი.

და ბოლოს, გვინდა გავუსვათ ხაზი იმას, რომ ირონიის დეკოდირება მოიცავს მსმენელის სოციო-კულტურულ ცოდნასა და მის პრაგმატიკულ შესაძლებლობას გამოიცნოს მეტყველების აქტი და, რომ მსმენელის გრამატიკული ან ლინგვისტური კომპეტენცია არ აძლევს მკვლევარს გარანტიას, რომ მას მაღალი დონის პრაგმატიკული და კომუნიკაციური კომპეტენცია ექნება.

3.1.5 გონებრივი შესაძლებლობების თეორია და ირონიის დეკოდირების პროცესი

გონებრივი შესაძლებლობების თეორიის კვლევის საგანი - Theory of Mind (ToM) - სხვა ადამიანის მენტალური მდგომარეობის, განსაკუთრებით, მისი ცოდნა/არ ცოდნის, რწმენის, კომუნიკაციური განზრახვის, მდგომარეობის გაგებაა. (ფრითი და ფრითი 2003, 2010; ფილიპოვა და ასტინგტონი 2008, 2010; სალივანი 1995; უინერი და ლიკამი 1991). მკვლევრები ამტკიცებენ, რომ მსმენელს არ შეუძლია ადეკვატურად გაიგოს მეტყველების ისეთი გადატანითი ფორმები, როგორცაა: ირონია, თუ მას არ შეუძლია განასხვავოს მთქმელის ნაგულისხმევი მნიშვნელობა პირდაპირისგან. ამიტომ ჩვენ ვცადეთ, გაგვეჩვენოთ, თუ რამდენად წარმატებულად გაიგებდნენ ექსპერიმენტის ქართულ ენაზე მოლაპარაკე ექსპერიმენტის მონაწილეები მთქმელის ინტენციასა და რწმენას, ანუ იმას, თუ სინამდვილეში რას გულისხმობდა მთქმელი ინგლისურ ენაზე გადმოცემულ ირონიულ გამონათქვამში. ლინგვო-პრაგმატიკული თვალსაზრისით, უნარი გაიგოს მთქმელის განზრახვა და ნათქვამისადმი დამოკიდებულება მნიშვნელოვანია კომპლექსური მეტყველების აქტების აღქმისათვის. მსმენელს მოეთხოვება არა მხოლოდ ნათქვამის პირდაპირი მნიშვნელობის გარჩევა, არამედ მთქმელის რწმენისა და ნაგულისხმევი მნიშვნელობის გააზრება, ანუ ირონია აიძულებს მსმენელს, ჯერ მთქმელის მენტალური მდგომარეობა გაიაზროს, შემდეგ კი ნათქვამის პროპოზიცია (უილსონი 2009). ირონიის ინტერპრეტაცია კომპლექსური პროცესია, რომელიც მთქმელის დამოკიდებულების, განზრახვისა და რწმენის ადეკვატურ აღქმასა და გაგებას შეიცავს. იმისათვის, რომ ირონია ადეკვატურად პროცესირდეს, მსმენელისათვის მნიშვნელოვანია გაიგოს, რომ მოცემულ კონტექსტში მთქმელი თავისი სიტყვების აღქმას მისგან არა პირდაპირი, არამედ ნაგულისხმევი მნიშვნელობით მოელის. ყველაზე არსებითი არის ის, რომ მთქმელს განზრახ უნდა, მსმენელმა ეს სიყალბე აღმოაჩინოს, ორივე პოტენციური მნიშვნელობა განასხვავოს და ადეკვატურად გაიაზროს. მაშასადამე, ირონიის გაგებისათვის ძალზე მნიშვნელოვანია მსმენელის უნარი გაიგოს, თუ რა დგას მთქმელის მენტალური მდგომარეობის უკან (შამეი-ცუორი 2005). კვლევისას ვეცადეთ, ასევე, გაგვეჩვენოთ, თუ რა როლს თამაშობს გონებრივი შესაძლებლობის თეორია უცხო ენაზე მოცემული ირონიული ნათქვამების ინტერპრეტაციის დროს.

3.1.6 ირონიის აღქმის დამხმარე სტრატეგიები

ირონიული ნათქვამის კონტექსტი ყოველთვის რამდენიმე, როგორც ირონიული, ისე არაირონიული ხასიათის ნათქვამს შეიცავს. ამ არაირონიულ გამონათქვამებს ხშირად უწოდებენ ირონიული გამონათქვამის კონტექსტს. (ატარდო 2000). თუ გულდასმით დავაკვირდებით ირონიული გზავნილის შემცველ კონტექსტს, შეგვიძლია დავინახოთ, რომ ზოგიერთი კონტექსტი ადვილად აღიქმება, როგორც ირონიული, მაშინ როდესაც სხვები ნაკლებად ან საერთოდ არა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არსებობს ერთგვარი ირონიის დამხმარე სტრატეგია, რომლის დროსაც ირონია დანამდვილებითაა მოსალოდნელი და ეხმარება მთქმელს, შექმნას ე.წ. „ირონიული“ გარემო, ხოლო მსმენელს, მოახდინოს მისი იდენტიფიცირება (უცუმი 2000).

ატარდო ამტკიცებს, რომ ელემენტები, რომლებიც ეხმარება მსმენელს გაიაზროს, რომ ნათქვამი შესაძლოა ირონიული იყოს, სწორედ ის მარკერებია, რომლებიც მსმენელს „აფრთხილებს“, რომ ნათქვამი ირონიულია“ (“alert the reader to the fact that a sentence is ironical.” (ატარდო 2000:7).

ტექსტის ერთ-ერთი კო-ტექსტური (co-text) მარკერი, რომელიც ქმნის ირონიის ერთგვარ მოლოდინს, მასში ერთზე მეტი ირონიული ნათქვამის გამოყენებაა. ამ შემთხვევაში, ერთ ირონიულ ნათქვამს წინ უსწრებს მეორე. ირონიის ასეთი სიმრავლე ეხმარება მსმენელს, მზად იყოს უფრო მეტი ირონიული ნათქვამის მისაღებად.

რაც შეეხება ირონიის სხვა კო-ტექსტუალურ მარკერებს, შეიძლება ითქვას, რომ სხვადასხვა ენაში შეიძლება განსხვავებულად რეალიზდეს ირონია (ბურგერსი 2013:50-53); ასევე არსებობს ირონიის მარკერებისთვის დამახასიათებელი ისეთი სინტაქსური კატეგორიები, როგორიცაა: ძახილის ნიშანი, ფრჩხილები ან ბრჭყალები.

ქრისტინ ბურგერსმა და მისმა კოლეგებმა (ბურგერსი 2013:46) შემოგვთავაზეს კო-ტექსტუალური მარკერების კლასიფიკაცია, რომელიც მსმენელს ყურადღებას უმახვილებს მთქმელის ირონიულ განზრახვაზე და მასში შემდეგი კატეგორიები ერთიანდება:

1. ისეთი ტროპები, როგორიცაა ჰიპერბოლა და რიტორიკული შეკითხვები,

2. ისეთი სქემატური მარკერები, როგორიცაა: გამეორება და განწყობა-ხასიათის მანიშნებელი ხმის ტონის შეცვლა,
3. ისეთი მორფო-სინტაქსური მარკერები, როგორიცაა: ძახილის ნიშნები და „კუდიანი“- კითხვები
4. ისეთი ტიპოგრაფიული მარკერები, როგორიცაა: ბრჭყალები და ემოციის გამომხატველი ნიშნები (emoticons).

როგორც აღვნიშნეთ, ირონიის სწორი აღქმა მოიცავს მნიშვნელობის ამოტივტივებას, რომელიც ზედაპირის მიღმა დევს. ეს პროცესი ირონიულ ნათქვამსა და კონტექსტუალურ მარკერებს შორის ურთიერთქმედებას გულისხმობს, რომელიც მსმენელს საშუალებას აძლევს გააცნობიეროს, რომ ექსპლიციტურად გამოხატული მნიშვნელობა არ არის ერთადერთი შესაძლებელი ინტერპრეტაცია, ნათქვამს კიდევ ერთი ნაგულისხმევი მნიშვნელობა აქვს, რომელიც მოქმედს განზრახ სურს, მსმენელმა აღიქვას. ამას პრაგმატიკის ცნებამდე მივყავართ, რომელიც ასეთ ურთიერთქმედებას იკვლევს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საუბრის თითქმის ყველა მონაკვეთში მოქმედს განზრახული აქვს გაამჟღავნოს მისი მოსაზრებები თუ სურვილები და მსმენელს გაუზიაროს თავისი კრიტიკული დამოკიდებულება სამყაროს მიმართ (ToM) (სპოტორნო 2013:9).

ამგვარად, ირონიის კო-ტექსტუალურ მარკერებს, რომლებიც მისი აღქმის დამხმარე სტრატეგიას წარმოადგენენ, გულდასმითი შესწავლა სჭირდება, რათა შევძლოთ გავანალიზოთ, თუ რა სიხშირით გამოიყენება ისინი კონტექსტში. ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, მკვლევრებს სჭირდებათ მეტი ინფორმაცია, თუ როგორ ახდენს მსმენელი ირონიის ინტერპრეტაციას დასრულებულ ტექსტში.

3.2 ექსპერიმენტის მიზანი და ჰიპოთეზა

3.2.1 ექსპერიმენტის მიზანი

ირონიით დაინტერესებული მკვლევრები ცდილობენ ახსნან, თუ რა სოციალური, მენტალური და ლინგვისტური მექანიზმებია ჩართული ირონიის ინტერპრეტაციის პროცესში და რა დინამიკით ურთიერთქმედებენ ისინი ერთმანეთს კონტექსტუალური აქტუალიზაციის დროს. (შელი 2001; გიბსი და კოლსტონი 2007; რეგელი 2010). ასეთი კვლევები შესაბამის კომპეტენციას, ძირითადად, ერთი ენის ფარგლებში აშუქებენ. ჩვენი ექსპერიმენტის მიზანია, განვიხილოთ არა მშობლიურ ენაზე მოცემული ირონიის მაგალითების დეკოდირების სპეციფიკა მაშინ, როდესაც საქმე ორ ენასთან - ქართულსა (მშობლიური ენა - L1) და ინგლისურთან (არამშობლიური, უცხო ენა - L2) - გვაქვს, არამედ ექსპერიმენტის ამოცანა მდგომარეობდა, დაგვედგინა ირონიის იმპლიციტური მნიშვნელობის გაგების სიზუსტე, როდესაც ინგლისური ენის სათანადო დონეზე მცოდნე მონაწილეებს ირონიის პროცესირება სთხოვეს. რამდენადაც ფართო ცოდნა და უნარი არ უნდა სჭირდებოდეს მსმენელს ირონიული ნათქვამის კოდირებისთვის, მისი აღქმის საწყის იმპულსს (განსაკუთრებით ჩვენს შემთხვევაში, როდესაც ქართველ მონაწილეს უწევდა ინგლისურ ენაზე მოცემული ირონიული ნათქვამების დეკოდირება) მაინც ენობრივი ფორმა წარმოადგენს. სწორედ ამიტომ ჩვენ შევარჩიეთ რესპოდენტები, რომლებიც ინგლისურს, როგორც უცხო ენას, მინიმუმ B2 დონეზე ფლობდნენ.

ცნობილია, რომ ირონიული ნათქვამები განსაკუთრებით დასავლური, კერძოდ კი ინგლისური კულტურის დამახასიათებელი თვისებაა.

ირონია ინგლისური ეროვნული ყოფის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კონცეპტია, რომლის მრავალი მაგალითი ერის კულტურულ მეხსიერებაშია შენახული და მისი ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა, მოხსნას ფსიქოლოგიური დაძაბულობა მოსაუბრეებს შორის დადებითი ემოციის ან სიცილის საშუალებით.

ჩვენ მიერ მოპოვებულმა ფართო და მრავალფეროვანმა მასალამ (რომელიც წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია ზემოთ მოყვანილი მაგალითების დეტალური განხილვისა და შემდგომი ექსპერიმენტული ნაწილის სახით) მოგვცა

საშუალება, გამოგვეყო ირონიის მნიშვნელობისა და მისი დეკოდირების კანონზომიერების ელემენტები.

სწორედ ამიტომ, დავინტერესდით, თუ რამდენად მსგავსია ირონიის დეკოდირების პროცესი ქართულსა და ბრიტანულ კულტურაში. ამ პრობლემის აქტუალობა გამომდინარეობს იქიდან, რომ ირონიის კვლევის ყველა სქემა და ანალიზი განპირობებულია ცალკე აღებულ კულტურაში მკვლევრის იმ მოლოდინებითა და ცოდნით, რაც მის საზოგადოებაშია ფორმირებული. ამიტომაც, მიზნად დავისახეთ შელის მოსახრების დამტკიცება ან უარყოფა იმასთან დაკავშირებით, რომ ირონიის განმარტება სხვადასხვა კულტურებში განსხვავებულია (შელი 2001).

ფსიქოლინგვისტიკის ერთ-ერთ სფეროს შეადგენს წაკითხულის გააზრება, რომელიც არ არის დამოკიდებული მხოლოდ წაკითხულის ლექსიკურ შინაარსზე. ხშირ შემთხვევაში იგი განპირობებულია კულტურული ნიუანსების, ენის სტრუქტურის, ზოგადი ცოდნისა და კონტექსტისადმი დამოკიდებულების მთელი კომპლექსით. ჩვენს შემთხვევაში, როდესაც ირონიის აღქმა უცხო ენაზე ხდება, ამ კომპლექსის კომპონენტებს უცხო ენის კარგი ცოდნის ელემენტი ემატება (ლანტოლფი 2006). ამიტომ, მიზნად დავისახეთ, დავგვედგინა, თუ როგორ მიმდინარეობს ირონიის აღქმის პროცესი და ზოგადად მიმოგვეხილა იგი.

ჩვენი კვლევის ერთ-ერთი მთავარი მოტივაცია არის ის, რომ, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, საქართველოში აქამდე არ დამდგარა ირონიის აქტუალიზაციის საკითხი. ჩვენ ჩავატარეთ ირონიის კოდირებისა და დეკოდირების პროცესების ანალიზი და, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, განვახორციელეთ ირონიის გააზრებისა და პროცესირების ფსიქოლინგვისტური ექსპერიმენტი. ძირითადი საკითხები ბუნებრივ კონტექსტში ირონიის პარამეტრების ანალიზს ეხებოდა.

3.2.2 ექსპერიმენტის ჰიპოთეზა

როგორც ნებისმიერი ექსპერიმენტის დაგეგმვისა და ჩატარების დროს, ირონიის დეკოდირების ჩვენებური ხედვა და ვარაუდი გვექონდა, რაც გარკვეულ წილად დადასტურდა ექსპერიმენტის მსვლელობისას.

ექსპერიმენტის დაგეგმვის დროს ვივარაუდეთ, რომ სხვადასხვა კულტურაში ეროვნული მენტალიტეტი და მსოფლმხედველობა განსხვავებულია. შესაბამისად, სხვანაირია ირონიის სტერეოტიპული აღქმა ქართულსა და ინგლისურ რეალობებში. ინგლისურ კულტურაში ირონიის კოდირება და დეკოდირება შედარებით უფრო მეტი მოთმინების უნარით პლურალიზმით, აზრის ბოლომდე არ თქმითა და თავშეკავებით გამოირჩევა (შაუერი 2009, ლი 2011).

ასევე, გავითვალისწინეთ ირონიის დეკოდირებისადმი პრაგმატიკული მიდგომა, რომელიც მოიცავს: ლინგვისტურ კონტექსტს, მთქმელის ინტენციას, გამოხატოს თავისი დამოკიდებულება ირონიის ობიექტისადმი; ირონიის გამოყენების ადგილს; მთქმელის სოციალურსა და ფსიქოლოგიურ მახასიათებლებს (განათლებას, ხასიათს, ემოციურ მდგომარეობას, რწმენას); მთქმელსა და მსმენელს შორის ურთიერთობას; მთქმელისა და მსმენელის საერთო ფონურ ცოდნას.

კერძოდ, ექსპერიმენტის დაგეგმვისას:

1) გამოვყავით მონაწილეების 4 ჯგუფი ირონიის დეკოდირების ხარისხის მიხედვით: პირველი - მონაწილეებმა საერთოდ ვერ გაიგეს ირონიული ნათქვამი და არც ერთ შეკითხვას არ გასცეს სწორი პასუხი, რაც გულისხმობს, რომ მათ ირონია ნათქვამში ვერ დაინახეს, ან კიდევ დაუფიქრებლად, ალაღბედზე, გააზრების გარეშე უპასუხეს შეკითხვას; მეორე - მონაწილეებმა ნაწილობრივ გაიგეს ირონიული ნათქვამი; მესამე - მონაწილეებმა გაიგეს ნათქვამის მხოლოდ პირდაპირი მნიშვნელობა, ანუ სწორად უპასუხეს შეკითხვას: რა თქვა მთქმელმა? და ვერ შეძლეს სხვა გონებრივი შესაძლებლობის თეორიის მიხედვით აგებულ ამსახველ კითხვებზე ადეკვატური პასუხის გაცემა; და მეოთხე - ირონიის ინტერპრეტაციისას მონაწილეებმა ნათქვამი აბსოლუტურად სწორად გაიგეს.

2) ვივარაუდეთ, რომ ირონიის დეკოდირებისას ექსპერიმენტში მონაწილეების მოლოდინებსა და მცდარ აღქმას შორის შეიქნებოდა კონფლიქტი იმის გამო,

რომ ირონიის მაგალითები და მათი ინტერპრეტაციის პროცესები განსხვავებული სოციუმისა და ეროვნული საზოგადოების პრაგმატიკულ ნორმებს წარმოადგენს. მსმენელს კარგად უნდა ესმოდეს ბრიტანული კულტურა და საზოგადოება, მათი კომუნიკაციის კანონები, რომ ირონიული ნათქვამის ღირებულების სწორი ინტერპრეტაცია გააკეთოს.

3) გამოვთქვით ვარაუდი, რომ ირონიის კვლევის პროცესი ყველაზე ეფექტურად საკმარისი კონტექსტის პირობებში და საერთო ფონურ ცოდნაზე დაყრდნობით მიმდინარეობს.

4) ასევე, გამოვთქვით მოსაზრება, რომ ქართველი მსმენელისთვის ინგლისურენოვანი ირონიის მაგალითების დეკოდირება რთულ პროცესს წარმოადგენს, რომელიც არა-ინგლისურენოვანი მსმენელის სათანადო ლინგვისტური და კომუნიკაციური კომპეტენციის მოთხოვნის დაკმაყოფილებას საჭიროებს.

5) კიდევ ერთი საკითხი, რომლის შემოწმება გვსურდა, მდგომარეობს იმაში, რომ გვინდოდა გაგვერკვია, ირონიის აღქმის რომელი თეორია უფრო შეესაბამება ქართველ მსმენელს: ერთ თუ ორ საფეხურიანი. თუმცა, უნდა დავსძინოთ, რომ ეს ჩვენი კვლევის მეორეხარისხოვან მიზანს წარმოადგენდა.

6) იქიდან გამომდინარე, რომ ირონია ორმაგი - მენტალური და ენობრივი - ფორმის ფენომენია, კიდევ ერთი ვარაუდი გამოვთქვით იმის შესახებ, რომ ირონიული მნიშვნელობის მქონე გამონათქვამის პროცესირებისას აუცილებელი იქნება ორივე ფაქტორის გათვალისწინება.

7) და ბოლო დებულება, რომლის ექსპერიმენტულად შემოწმება გვინდოდა, ეხება პროსოდიას, ანუ იმას, თუ რა გავლენას ახდენს ირონიის აღქმაზე ინტონაცია და მისი როლი ამ პროცესში, რადგანაც, ამ თვალსაზრისით, არსებობს მკვლევრების ორი ბანაკი: ზოგიერთი მკვლევარი (აკერმანი 1986; გიბსი და ობრაიენი 1991; უინერი და ლიკამი 1991) ამტკიცებს, რომ ინტონაცია არ არის ირონიის აღქმისათვის აუცილებელი ასპექტი, ხოლო სხვები (კროიზერე 1997; დემორესტი 1984; დიუსი 1995) გამოთქვამენ მოსაზრებას, რომ ინტონაცია აუცილებელია ირონიის პროცესირების დროს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ექოიკური ინტერპრეტაციის თეორიის მიხედვით, მთქმელი, ირონიის აქტუალიზაციის დროს, ინფორმაციას ერთდროულად ორ კატეგორიას აწვდის: ა) ადრე ნახსენები პროპოზიციის განმეორება-ციტირებას ახდენს; და ბ) იმავე დროს გამოხატავს სხვადასხვა დამოკიდებულებას მის მიმართ. (სპერბერი და უილსონი 1986). ამ ორივე ასპექტის (ექოსა და დამოკიდებულების) ამოცნობა ლოკალური (რომელიც გამოიყენება მარცვლებზე, სიტყვებზე, ან სიტყვების ჯგუფებზე) და გლობალური (რომელიც გამოიყენება მთელ ნათქვამზე) პროსოდიული მინიშნების გამოყენებითაა მისაღწევი (ფრიკი 1985; ფელი 2001).

იქიდან გამომდინარე, რომ მთქმელი და მსმენელი სხვადასხვა (ქართულ და ინგლისურ) კულტურას მიეკუთვნებიან, ექსპერიმენტის დაწყებამდე გამოვთქვით ვარაუდი, რომ კითხვარების შევსებისას მონაწილეებს გარკვეული სიძნელეები შეექმნებოდათ, კერძოდ: 1. ინგლისური ენის არასათანადო ცოდნა, ანუ ენობრივი კომპეტენციის ნაკლებობა; 2. ქართველ მსმენელსა (ამ შემთხვევაში მკითხველსა) და ინგლისელ მთქმელს შორის, ზოგადი ცოდნისა და თეზაურუსის განსხვავებები; 3. მაგალითების ირონიულობისა და ნაკლებად ირონიულობის საკითხი; 4. ასევე დავეთანხმეთ ჰაიმს, რომ კიდევ ერთი დამატებითი სირთულე შეიძლება ყოფილიყო ცდის პირის კომუნიკაციურ კომპეტენციასთან, რომელიც, როგორც ცნობილია, მოიცავს საზოგადოებრივ ნორმებს, პიროვნულ თვისებებსა და მის ფსიქოლოგიურ მდგომარეობას (ჰაიმსი 1971).

ჩვენს ჰიპოთეზაში შემავალი ყოველივე ზემოთ აღნიშნული ასპექტი კულტურათა და ენათა შორისი პრაგმატიკის კვლევის სფეროებია, რომელთა თანახმად, რაც უფრო შორს დგანან ენები ერთმანეთისგან, მით უფრო ნაკლებად წარმატებულია ირონიული ნათქვამების დეკოდირება (გურევიჩი 1994).

3.3 ექსპერიმენტის აგებულება და პროცედურა

იმისთვის, რომ გაიგოს მთქმელის კომუნიკაციური განზრახვა, მსმენელს სჭირდება ნაგულისხმევსა და გამოთქმულ მნიშვნელობებს შორის უთანხმოების იდენტიფიცირება. მხოლოდ ამის შემდეგ შეუძლია მას, გააცნობიეროს მთქმელის დამოკიდებულება ირონიის ობიექტისადმი. ამიტომაც, ჩვენს კითხვარში დამოკიდებულების შემფასებელი კითხვა ბოლო ადგილზეა მოთავსებული. მთლიანობაში იგულისხმება, რომ გამონათქვამის მნიშვნელობის, მისი ისეთი პარამეტრების, როგორცაა რწმენა, განზრახვა და დამოკიდებულება, სწორად აღქმას მიყვავართ ირონიის უფრო სიღრმისეულ გაგებასთან. სხვა სიტყვებით, ირონიის სრული აღქმისთვის მსმენელს სჭირდება ნათლად გაიგოს, თუ რას ფიქრობს მთქმელი (ლიკამი 1991).

ექსპერიმენტში მონაწილეობა მიიღო 40-მა ქართველმა სტუდენტმა, რომელთათვისაც ინგლისური უცხო ენა იყო (N 40). მათი ასაკი 21-დან 27 წლამდე მერყეობდა. ექსპერიმენტის დაწყებამდე მონაწილეებს თხოვეს, მიეთითებინათ ინგლისური ენის ცოდნის დონე. თვით შეფასებით, მათი ცოდნა მერყეობდა “upper – intermediate” დონიდან “advanced” დონემდე.

არცერთი მონაწილისთვის განზრახ არ მიგვიცია ირონიის ცნების განმარტება იმ მიზნით, რომ მონაწილეებს ჰქონოდათ შესაძლებლობა საკუთარი შეფასების, ცოდნისა და ინტუიციის გამოყენებით გაეკეთებინათ დასკვნები, თუმცა მივაწოდეთ ინფორმაცია კითხვარის სტრუქტურის შესახებ (ყოველ მათგანს კითხვების ერთი და იგივე რაოდენობა და რიგითობა ჰქონდა). ექსპერიმენტის მონაწილეებს ვთხოვეთ ყურადღებით წაეკითხათ ირონიული ნათქვამები, მოეხდინათ ამ მაგალითების ინტერპრეტირება და პასუხი გაეცათ კითხვებზე მთქმელის ინტენციასა, რწმენასა და დამოკიდებულებასთან დაკავშირებით. იმისთვის, რომ დაგვემტკიცებინა კითხვარში გამოყენებული ნათქვამების ირონიული ხასიათი, მონაწილეებს ვთხოვეთ ყველა მაგალითი 5-ბალიანი სკალის მიხედვით შეეფასებინათ, დაწყებული 1 ქულით (არ ვიცი) დამთავრებული 5 ქულით (ძალიან ირონიული).

ექსპერიმენტი წარმოადგენდა ინგლისურ ენაზე ირონიული კონტექსტებისაგან შემდგარ კითხვარს, რომელიც 40 ირონიის შემცველ ნათქვამს მოიცავდა.

მაგალითები მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურიდან, ასევე, ემპირიული მასალიდან იყო აღებული.

კითხვარი, რომელიც ფილიპოვასა და ასტინგტონის კვლევის ნიმუშის მიხედვითაა შედგენილი, მოიცავდა როგორც ღია (open question: Why..?), ასევე დახურულ კითხვებს მრავალჯერადი არჩევნით (multiple choice), რომლებმაც ირონიის დეკოდირების პროცესში შემავალ ყველა კომპონენტის შეფასების საშუალება მოგვცა (ფილიპოვა და ასტინგტონი 2008, 2010). კითხვარი იწყება ნათქვამის გაგების შეფასების (comprehension) კითხვით (Q1), (კითხვარის ნომერ მეოთხე მაგალითის კითხვა: Was the Frenchman happy about Germany?). მეორე კითხვა (Q2) ეხებოდა ნათქვამის მნიშვნელობას (meaning) (Did the Frenchman mean that? ან What did he mean?). ამ კითხვაში მონაწილეებს საშუალება მიეცით გაეცათ პასუხი პარაფრაზის სახით.

შემდეგი სამი კითხვა ამოწმებდა მთქმელის რწმენას (Q3) (belief – Did the Frenchman think it was good to have two Germanies?), რომელიც ირონიული ნათქვამის დადებით ან უარყოფით ხასიათს განსაზღვრავდა; განზრახვასა (Q4)(intention – Did the Frenchman want the reader to know about his thoughts?) და დამოკიდებულებას (Q5) (attitude – Why did the Frenchman say that?) ასეთი თანმიმდევრობით: ადვილიდან რთულისკენ. იმისათვის, რომ ამ შეკითხვებზე ეპასუხათ, მონაწილეებს უნდა გაეცნობიერებინათ მთქმელის პრაგმატიკულად განზრახული არაგულწრფელობა.

ბოლო ორი კითხვა მრავალჯერადი არჩევნის ფორმას წარმოადგენს. მონაწილეებს უნდა აერჩიათ, თუ რა მიზეზით გამოიყენა მთქმელმა ირონიული ნათქვამი (Q6), ანუ რა მეტყველების აქტს წარმოადგენდა ყოველი ცალკე აღებული მაგალითი. ხოლო ბოლო კითხვა (Q7) (Your verdict: Is the content ironic) ირონიულობას ლიკერტის სკალის მიხედვით ამოწმებდა: მონაწილეები ირჩევდნენ პასუხს 5 შესაძლებელი ვარიანტიდან, როდესაც 1 ქულა, როგორც ყველაზე დაბალი ქულა, იწერებოდა „არ ვიცი“-“can’t say” პასუხისათვის. ლიკერტის პასუხების სკალა (Likert response scale) ტრადიციული კვლევის ყველაზე პოპულარული ხერხია, სადაც პასუხები განლაგებულია 1-დან 5-მდე შემდეგი სქემით: (<http://www.socialresearchmethods.net/kb/scallik.php>)

1. = საკვლევი კონცეპტისთვის ძალზე არასასურველი

2. = საკვლევი კონცეპტისთვის ნაკლებად სასურველი
3. = უპასუხოდ დარჩენილი (ცდის პირმა პასუხის ადგილას არაფერი დაწერა)
4. = საკვლევი კონცეპტისთვის სასურველი
5. = საკვლევი კონცეპტისთვის ძალიან სასურველი

ყოველი მონაწილის მიერ შესრულებული სამუშაო შევაფასეთ ინდივიდუალურად. მნიშვნელობის, რწმენის, განზრახვისა და დამოკიდებულების ამსახველი კითხვების სწორი პასუხისთვის 1 ქულა იწერებოდა. იმ შემთხვევაში, თუ პასუხი ბუნდოვანი იყო და არ შეესაბამებოდა ირონიული ნათქვამის მნიშვნელობას, პასუხი 0-ით ფასდებოდა. მონაწილეების კომენტარებით, ლინგვისტური რეაქციითა და პასუხებით დავაკვირდით და გააანალიზეთ, თუ როგორ ამოიცნეს ირონია მოცემულ მაგალითებში, როგორ შეაფასეს ეს მაგალითები ირონიის ხარისხზე 1-დან 5-მდე სკალის მიხედვით და ბოლოს, როგორ გაიგეს ირონიული ნათქვამები.

იმ თეორიებს შორის, რომლებიც ამ ნაშრომის პირველ და მეორე თავში განვიხილეთ, ექსპერიმენტულ ნაწილში გვანტერესებდა სპერბერისა და უილსონის ექოიკური (სპერბერი და უილსონი 1986, 1998) და რელევანტურობის თეორია, რადგანაც კითხვარის ერთ-ერთი შეკითხვა მთქმელის დამოკიდებულებას ამოწმებდა გამონათქვამისადმი, რომელიც ამ მკვლევრების აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტია ირონიის დეკოდირების დროს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, რელევანტურობის თეორიის მთავარი დებულების მიხედვით, ირონია აღწევს რელევანტურობას იმით, რომ მსმენელს საშუალებას აძლევს გაიგოს, რომ მთქმელს აქვს განზრახული რაიმე ობიექტის წარმოდგენა, წარმოსახვა და სურს ამ განზრახვით გამოხატოს თავისი დამოკიდებულება.

რელევანტურობის თეორიის თანახმად, იმისათვის, რომ გააანალიზო ნათქვამი, საჭიროა ზოგადი ფონისა და იმ კონტექსტის ცოდნა, რომელშიც ირონიული ნათქვამი გაკეთდა. ასევე, ექსპერიმენტის მსვლელობაში დავინტერესდით ირონიის პროცესირების გიორასა და გიბსის ორ და ერთ საფეხურიანი თეორიებით. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ერთი თეორიის თანახმად, ირონიის ინტერპრეტაციისას მსმენელი ორ საფეხურიან პროცესს გადის.

სტანდარტული პრაგმატიკული მოდელის (the Standard Pragmatic Model) მიმდევრების - გრაისისა და ატარდოს მიხედვით (გრაისი 1975, ატარდო 2000) - ერთი მხრივ, და გრადაციული ყველაზე თვალშისაცემი მნიშვნელობის ჰიპოთეზის (the Graded Salience Hypothesis) მკვლევართა - გიორასა და სხვების (გიორა 1995, 1997, 2003; დიუსი და უინერი 1999; შვებელი 2000) თეორიების თანახმად, მეორე მხრივ, ირონიის პროცესირებისას კონტექსტს ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება. მათი აზრით, მსმენელი უფრო მეტ დროს ანდომებს ირონიის პროცესირებას იმიტომ, რომ ჯერ მისი პირდაპირი მნიშვნელობის ინტერპრეტაციას აკეთებს, შემდეგ უარყოფს მას, როგორც არაშესაფერისს და ბოლოს დეკოდირების მეორე ეტაპზე გადადის, როდესაც ირიბად ნათქვამ ირონიულ მნიშვნელობას წვდება.

მეორე თეორიის მიხედვით, ირონიული გამონათქვამის დეკოდირებისას მსმენელს არ სჭირდება პირდაპირი მნიშვნელობის გააზრებისა და უარყოფის საფეხური, რადგანაც იგი ირონიას თავიდანვე ხვდება. პირდაპირი შეღწევის თეორეტიკოსების აზრით, ირონიის დეკოდირებას არ სჭირდება უფრო დიდი ხანი იმიტომ, რომ მსმენელი პირველივე წუთიდან სწორ ირონიულ ინტერპრეტაციას აკეთებს, რადგანაც ყოველი ირონიული გამონათქვამი კონტექსტშია მოცემული და სწორედ ეს კონტექსტი, თავისი მარკერებით, ახვედრებს მსმენელს, რომ ნათქვამი ნაგულისხმევ მნიშვნელობას მოიცავს (გიბსი 1986; 1994; ივანკო და პექსმანი 2003; კატცი 2005).

ჩვენი კვლევის მთავარი მიზანი არ იყო იმისი დამტკიცება, თუ ირონიის ინტერპრეტაციის რომელი თანამედროვე მიდგომაა უფრო მართებული და არც ირონიული ნათქვამის დეკოდირებისათვის საჭირო (საკმარისი) დროის გაზომვა იყო მნიშვნელოვანი. თუმცა, ექსპერიმენტულად მიღებული შედეგებიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ მონაწილეებმა ზოგიერთი მაგალითი ადვილად აღიქვეს, ზოგი კი ვერა. გვინდა აღვნიშნოთ, რომ ექსპერიმენტის დროს არ იყო შეფასებული მონაწილეების დემოგრაფიული მონაცემები: სქესი, საცხოვრებელი ადგილი, განათლებისა და შემოსავლის დონე, პროფესია.

3.4 ექსპერიმენტში გამოყენებული მასალა

სამეცნიერო ლიტერატურის გაცნობის შემდეგ (ბარბე 1995; კროიზერე 1999, 2000; დიუსი 1995; აკერმანი 1983; ფილიპოვა და ასტინგტონი 2008; უინერი და ლიკამი 1991; პექსმანი და გლენრითი 2007; კროიცი 1991), რომელიც ირონიის ექსპერიმენტალურ კვლევას ეძღვნება, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თითქმის ყველა აქამდე ჩატარებულ ექსპერიმენტში გამოყენებული მაგალითები ხელოვნურადაა შექმნილი იმ მიზნისთვის, რომელიც კვლევას აინტერესებს და ამიტომ იზოლირებულია სინამდვილისგან.

ბევრი მკვლევარი მოკლე ირონიულ კონტექსტებს ადგენდა და ირონიას ბუნებრივ პირობებში შესწავლის ნაცვლად, ლაბორატორიულ პირობებში შეისწავლიდა (ბურგერსი 2011:187).

კროიცი ამტკიცებს, რომ, სანამ დავიწყებდით იმის მტკიცებას, თუ რამდენად შეეთავსება ესა თუ ის ირონიის ინტერპრეტაციის თეორია ერთმანეთს, პირველ რიგში, უნდა შევთანხმდეთ ირონიის კვლევის პირობებზე. (კროიცი 2000:100). იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენ ვეთანხმებით კროიცისა და ბურგერსის მიდგომას და ვთვლით, რომ ექსპერიმენტალური კვლევის ადეკვატური შედეგების მისაღებად აუცილებელია მონაწილეებისათვის ბუნებრივი მაგალითების შეთავაზება, ჩვენ არ „შეგვიქმნია“ ირონიული კონტექსტები, არამედ ირონიის მაგალითები სხვადასხვა ბუნებრივი ტიპის წყაროებიდან ავიღეთ.

ამგვარად, ჩვენ მიერ ჩატარებულ ექსპერიმენტში ყველა გამოყენებული მაგალითი ბუნებრივი სიტუაციის გამონათქვამებია, რომლებიც მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურიდან ან ყოველდღიური ცხოვრებიდან იყო აღებული.

ირონიის მაგალითები გამოყენებული იყო, როგორც საშუალება, შეგვემოწმებინა ქართველი მსმენელის უნარი, გაიაზროს ინგლისურად მოლაპარაკე მთქმელის ირონიულად გადმოცემული აზრი, მისი საკომუნიკაციო ინტენცია, მოტივაცია, შინაგანი რწმენა და დამოკიდებულება პრაგმატიკის თეორიის თვალსაზრისით.

მაშასადამე, ექსპერიმენტისთვის შერჩეული მასალა ირონიული გამონათქვამების მაგალითებისგან შედგება, რომლებიც ინგლისური და ამერიკული კულტურის სამეტყველო ქცევის სტერეოტიპებს, ეტიკეტისა და საზოგადოებაში მიღებული ნორმების კონტექსტებს წარმოადგენს.

ირონიას, როგორც მეტყველების აქტს, არ აკლია მეცნიერების ყურადღება ენათა-შორის პრაგმატიკაში, ამიტომაც ჩვენს კვლევაში, რომელიც მეტყველების აქტების თეორიაზე დაფუძნებული, გამოვიყენეთ ირონიული ნათქვამები, რომლებიც წარმოადგენენ ოთხივე მეტყველების აქტს: ასერტივებს, დირექტივებს, ექსპრესივებსა და კომისივებს.

კვლევა დაფუძნებულია კლასიკური და თანამედროვე ლიტერატურიდან ამოღებულ მაგალითებზე, რომლებიც დაახლოებით 1000 გვერდსა და 230 ირონიულ კონტექსტს მოიცავდა; ონლაინ ილუსტრაციებზე; ირონიის მატარებელ სურათებზე (დაახლოებით 20 კონტექსტი); ასევე, 50-მდე ყოველდღიურ ცხოვრებისეულ სიტუაციაზე.

ენობრივი მაგალითების შერჩევას შეზღუდული არ ვიყავით არანაირი პარამეტრებით, რამაც შესაძლებლობა მოგვცა ირონიული მნიშვნელობის სხვადასხვა ტიპის გამონათქვამები ამოგვეჩია და საილუსტრაციოდ მოგვეყვანა.

მოპოვებული მაგალითები წარმოადგენენ დიალოგის ფრაგმენტებს, რომლებიც უშუალოდ ირონიულ გამონათქვამსა და მის კონტექსტუალურ გარემოს შეიცავს. ამგვარად, კვლევის მასალა შეიძლება 4 ნაწილად დავეყოთ:

1. მხატვრული და სასწავლო ლიტერატურა;
2. ონლაინ პუბლიკაციები;
3. ილუსტრაციები;
4. ცხოვრებისეული სიტუაციები - ემპირიული მასალა.

კონკრეტულად, მოცემულ ექსპერიმენტში ირონიის 40 მაგალითი გამოვიყენეთ; ვინაიდან კვლევის თავდაპირველი მიზანი ქართველების მიერ ზოგადად ირონიის გააზრება იყო, ექსპერიმენტის მასალაში შევიტანეთ ირონიული კრიტიკა; რიტორიკული კითხვა; ირონიული ნათქვამი, რომელიც ახლოს დგას სარკაზმთან; ექოიკური თეორიის კლასიკური მაგალითები და ერთი ირონიული კომპლიმენტი იმიტომ, რომ გვაინტერესებდა მონაწილეების მიერ მისი ამოცნობისა და დეკოდირების შედეგები.

რა თქმა უნდა, ირონიის დონე, ანუ ირონიულობა ყოველ ცალკე აღებულ მაგალითში განსხვავდებოდა ერთმანეთისგან, რაც აისახა ექსპერიმენტის შედეგებშიც, როდესაც რესპოდენტებმა ზოგ მაგალითს არა ირონიული უწოდეს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მონაწილეებს სხვადასხვა კომპონენტების ანალიზისთვის 40 მაგალითი შეეთავაზეთ. ყოველ მაგალითს ერთ და იმავე თანმიმდევრობით 7 კითხვა მოჰყვებოდა.

ანალიზისას კითხვები დაყვავით სამ ნაწილად: პირველ ჯგუფში შევიდა პირველი ხუთი კითხვა, რომლებიც მაგალითის ირონიულად გაგებას აფასებდა, მეექვსე და მეშვიდე კითხვები კი ცალკე გავაანალიზეთ, რადგანაც მეექვსე კითხვა მეტყველების აქტების თეორიას ეხებოდა, ხოლო მეშვიდე კი ამოწმებდა მონაწილის უნარს ირონიულობის გააზრებაში.

ექსპერიმენტში გამოყენებული ირონიული ნათქვამების 5 მაგალითი დანართ 1-შია მოცემული.

3.5 მონაცემთა შეგროვება, დამუშავება და ანალიზი

ნებისმიერი ექსპერიმენტის მონაცემთა შეგროვება ბევრ კითხვას იწვევს, რადგანაც მეცნიერები თვლიან, რომ ეს საკითხი საკმაოდ საკამათოა, მას თავისი უპირატესობა და სუსტი მხარეებიც აქვს (ალკონი და მარტინეზ-ფლორი 2008; ნურანი 2009; ტროსბორგი 2010).

იმისთვის, რომ ყოველი ცალკე აღებული ირონიის მაგალითი კონკრეტულ კონტექსტში ინდივიდუალურად ინტერპრეტირებული ყოფილიყო, ჩვენ რამდენიმე მეთოდოლოგიური და თეორიული მიდგომა კომპლექსურად გამოვიყენეთ. კერძოდ, დავეყრდენით შედარებით, აღწერით, სისტემური ანალიზისა და პრაგმატიკის მეთოდებს. ამასთან ერთად, გამოვიყენეთ გრაფიკული და სტატისტიკური ანალიზის მეთოდებიც.

კასპერისა და რევერის აზრით, ენის პრაგმატიკის სამი მეთოდოლოგიური მიდგომა არსებობს:

1. ზეპირი მეტყველების შეფასება;
2. კითხვარები;
3. თვით მოხსენების (self-report) მონაცემები (კასპერი და რევერი 2005).

პირველ ჯგუფს მიეკუთვნება ჭეშმარიტი საუბარი-დისკურსი, რომლის დროს მკვლევარი მხოლოდ აკვირდება კომუნიკაციას, მაგრამ ვერ ახდენს ვერანაირ გააღწენას. მეორე ჯგუფს წარმოადგენს კითხვარები, სადაც მრავალი სახის კითხვაა მოცემული, რომლის საშუალებით მკვლევარს შეუძლია სკალის ფორმატში გაზომოს პასუხები. მესამე ჯგუფში შედის ინტერვიუები, დღიურები და ზეპირი ოქმები.

არსებობს პრაგმატიკის კვლევის მეთოდების ვრცელი დიაპაზონი, მარტივი გამოკითხვიდან დაწყებული, წაკითხულის გააზრების სიჩქარით დამთავრებული. ამ მეთოდებს შორის არჩევანი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სახის ინფორმაცია სჭირდება მკვლევარს. პრაგმატიკის ტესტირებისათვის შეიძლება გამოვიყენოთ სამი სახის მნიშვნელოვანი მომენტი - მკვლევრის ინტუიცია, როდესაც ის თავად წყვეტს ნათქვამის დეკოდირება ხორციელდება თუ არა პრაგმატიკის თეორიის პრინციპების მიხედვით; დაკვირვება, როდესაც

მკვლევარი აღნიშნავს, თუ როგორ იყენებს მთქმელი ირონიას ყოველდღიურ ცხოვრებაში; და, ექსპერიმენტები, როდესაც მკვლევარი ექსპერიმენტის მონაწილეთა რეაქციას ენის გამოყენების ფორმით აფასებს. კლარკი და ბანგერტერი ამტკიცებენ, რომ ენის შესწავლა ამ სამი მეთოდის კომპლექსურად გამოყენების გარეშე შეუძლებელია (კლარკი და ბანგერტერი 2004:25).

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მეთოდის ინდივიდუალურად გამოყენებას თავისი უპირატესობები და ნაკლოვანებები აქვს, ამიტომ ექსპერიმენტულ პრაგმატიკაში მნიშვნელოვანია კვლევის მეთოდების ოპტიმალური კომბინაციის პოვნა ყოველმხრივი ანალიზის მისაღწევად.

ჩვენი ექსპერიმენტისთვის ავარჩიეთ კითხვარი, რომლის მეშვეობით შეიძლება ირონიის დეკოდირების პროცესში მსმენელის სოციო-პრაგმატიკული და ფსიქო-ლინგვისტური ასპექტების შესწავლა (კასპერი 2000; კასპერი და დალი 1991).

კითხვარმა ირონიის დეკოდირების ზოგად სურათზე სანდო ინფორმაცია მოგვაწოდა. მასში ჩართულია შედარებით მეტი რესპოდენტი, ვიდრე სხვა სახის მეთოდის გამოყენების დროს. მაგრამ, კითხვარს უარყოფითი მხარეც აქვს, რადგანაც ის ვერ ზომავს პროცესირების დროს და მონაწილეების ისეთ ინდივიდუალურ სპეციფიკურ თავისებურებას, როგორცაა მშობლიურ ენაზე შექმნილი პრაგმატიკული კომპეტენციის უცხო ენაზე გადატანა. (ბრომბერეკ-დიზმანი 2012). თუმცა, აღსანიშნავია, რომ ექსპერიმენტში კითხვარის გამოყენება ნაკარნახევი იყო კვლევის მიზნით და იმით, თუ რა სახის მონაცემების მიღება გვინტერესებდა მოცემულ ეტაპზე.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მკვლევართა მოსაზრებით, მსმენელის გონებრივი შესაძლებლობის თეორიის ცოდნა (ToM) ძალზე მნიშვნელოვანია ირონიის აღქმის პროცესის ანალიზის დროს, რადგანაც ის არის არა ფიზიკური, არამედ მთქმელის მენტალური მდგომარეობის განმსაზღვრელი კონცეპტი. ეს პროცესი რთულდება, როდესაც მსმენელს უხდება იმის გაგება, თუ როგორ გამოხატავს მთქმელი თავის აზრს სხვა ადამიანის მენტალურ მდგომარეობაზე.

ჰენკოკი და მისი კოლეგები ფიქრობენ (ჰენკოკი 2000), რომ აღქმის პირველ ეტაპზე ნაგულისხმევი მნიშვნელობის დეკოდირება ხდება (კითხვარში ნომერ მეოთხე მაგალითის კითხვა (Q3): Did a Frenchman think it was good to have two

Germanies?), ხოლო ინტენციის გააზრება შემდგომ ეტაპზე ხორციელდება (კითხვარში ნომერ მეოთხე მაგალითის კითხვა (Q4): Did a Frenchman want the reader to know about his thoughts?). აქედან გამომდინარე, მონაწილეებმა შეძლეს ნათქვამის მნიშვნელობის გააზრება და მასზე სწორი პასუხის გაცემა. რაც შეეხება მთქმელის ინტენციის განსაზღვრებას, ამ ასპექტთან დაკავშირებით კითხვარში დასმულ კითხვას, უმრავლეს შემთხვევაში, მონაწილეებმა (სავარაუდოდ სიძნელის გამო) შეცდომით უპასუხეს.

შედეგების განხილვისას მივედით იმ დასკვნამდე, რომ ირონიის აღქმის პირველ ეტაპზე ყველა მონაწილემ გაარჩია, მოიცავს თუ არა ნათქვამი ნაგულისხმევ მნიშვნელობას, ხოლო მეორე ეტაპზე მათ გაიაზრეს მთქმელის ინტენცია და გამონათქვამისადმი მისი დამოკიდებულება. ეს საკითხი საკმაოდ მნიშვნელოვანია, რადგანაც თავისი დამოკიდებულებით მთქმელს შეიძლება სურდეს, დაარწმუნოს მსმენელი, რომ მისი ნათქვამი ტყუილია ან ირონიულია.

გრაისის მიხედვით, (გრაისი 1975), ნებისმიერ ლინგვისტურ აქტს პროპოზიციის ორი დონე აქვს: გამოთქმულისა და ნაგულისხმევის. ჩვენი ამოცანა იყო ექსპერიმენტის ჩატარება და გარკვევა, რამდენად ადეკვატურად მოხდა ჩვენ მიერ მოპოვებული ირონიის მაგალითების ინტერპრეტაცია და რამდენად სწორად მოახერხეს მონაწილეებმა - საკუთარი პრაგმატიკული ინტუიციისა და კომპეტენციის დახმარებით - იმის დეკოდირება, თუ რა არის ნათქვამის პირდაპირი და ნაგულისხმევი მნიშვნელობა. (გიბსი და მოისე 1997:51-74).

შედეგების ანალიზისას დავასკვნით, რომ სწორი დეკოდირების აუცილებელი პირობა ინგლისური საზოგადოების სტერეოტიპული თავისებურებებისა და კულტურული თვისებების ცოდნა იყო, რაც, უმეტეს შემთხვევაში, ქართველი მონაწილისთვის გარკვეულ სირთულეს წარმოადგენდა. შესაბამისად, მონაცემების დამუშავების დროს, ყურადღებას ვაქცევდით ცდის პირის სოციო-კულტურულ და ლინგვისტურ კომპეტენციას, რომელიც ა) ნათქვამის ფორმასა და შინაარსს, ბ) მის კომუნიკაციურ ფუნქციას, გამოხატოს მადლობა, სიმართლე, ბოდიში და ა.შ., გ) კონტექსტი, რომელიც ირონიის სპეციფიკურ მარკერებს მოიცავს, დ) მთქმელისა და მსმენელის ემოციურ დამოკიდებულებას ირონიის ობიექტისადმი, ე) მთქმელისა და მსმენელის კულტურულ ცოდნასა და სოციალურ მიკუთვნილობას გულისხმობს. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს

დაიანა ბლექმორის მოსაზრებას, რომ „კომუნიკაციას სოციალური/საზოგადოებრივი და ემოციური განზომილება აქვს.“ “communication has social and emotional dimension” (ბლექმორი 1992:5). უნდა აღინიშნოს, აგრეთვე, რომ ირონიის ინტერპრეტაციის დროს მონაწილეებს სჭირდებოდათ დამატებითი ასხნა იმ სიტუაცია-კონტექსტისა, რომელშიც ნათქვამი იყო გამოყენებული.

კონტექსტუალურმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ირონიის ინტერპრეტაციის დროს ასპარეზზე სამნაირი პრესუპოზიცია გამოდის:

1. ტექსტობრივი პრესუპოზიცია, რომელიც კონკრეტულად იმ კონტექსტს წარმოადგენს, რომელშიც ირონიული ნათქვამია გამოყენებული;
2. ექსტრალინგვისტური პრესუპოზიცია, რომელიც მსმენელისგან ისეთი ექსტრალინგვისტური პარამეტრების გამოყენებას მოითხოვს, როგორცაა ისტორიული, კულტურული და სოციალური თავისებურებანი;
3. ინტერტექსტუალური პროპოზიცია, რომელიც მთქმელისა და მსმენელის საერთო ფონურ ცოდნაზეა დაფუძნებული.

ის მონაცემები, რაც ჩვენ შევაგროვეთ ექსპერიმენტის დროს, იმთავითვე გულისხმობს, რომ მონაწილეებს აქვთ ინგლისური კულტურის საკმაოდ ცოდნა და ასევე შეუძლიათ გაიგონ ინგლისური ირონიული ნათქვამები. ამასთან ერთად, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ მონაწილეებისთვის მნიშვნელოვანი იყო კონტექსტის გაფართოებული ფორმის შეთავაზება, რომელმაც გაუადვილა ირონიის დეკოდირების პროცესი. როგორც გიბსი და კოლსტონი ამტკიცებენ, სიტყვა „ირონია“ სხვადასხვა ადამიანისთვის შეიძლება სხვადასხვა რამეს ნიშნავდეს, ანუ მთქმელისათვის ნათქვამს შესაძლოა ირონიული დატვირთვა და ხასიათი ჰქონდეს, მაშინ როცა მსმენელისთვის ან მკვლევარისთვის - არა (გიბსი და კოლსტონი 2007). ამ სიტყვების ჭეშმარიტება შეგვიძლია დავინახოთ ჩვენს კვლევაში, სადაც მონაწილეთა გარკვეულმა ჯგუფმა უპასუხა, რომ მოცემული ნათქვამი ირონიულად ვერ აღიქვს. ამის მიზეზი ისაა, რომ მოცემულ მაგალითებში მონაწილეებს ირონიული მარკერების ამოცნობასა და თავად ირონიული ნათქვამის იდენტიფიცირებაში შეეჭმნათ სიძნელეები და, შემდეგ, როგორც ამის შედეგი, მათ ვერ შეძლეს მეტყველების აქტის კატეგორიზაცია.

მაშასადამე, მონაწილეების პასუხებიდან გამომდინარე, იმის დასამტკიცებლად, რომ შედგენილი კითხვარი სანდო იყო (რაც თანამედროვე კვლევაში მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს), ჩავატარეთ სტატისტიკური ანალიზი, რომლის საშუალებით გამოვეყავით მონაწილეების 3 ჯგუფი:

1. დაბალი შეფასების ჯგუფში მოხვდა 7 მონაწილე (მონაწილეებმა ვერ გაიგეს ნათქვამი);
2. საშუალო შეფასების ჯგუფში - 20 (მონაწილეებმა მაქსიმალურად ამოიცნეს ირონიული ნათქვამების მნიშვნელობა, მაგრამ ვერ შეძლეს მთქმელის რწმენისა და დამოკიდებულების იდენტიფიცირება, ამრიგად, მათ გაუჭირდათ ირონიის გაგება);
3. მაღალი შეფასების ჯგუფში - 13 (მონაწილეებმა ირონიის გაგების ამოცანას თავი წარმატებით გაართვეს).

შემდეგ განვახორციელეთ ანალიზი ANOVA-ს მეთოდით, რომლის მიხედვითაც მოცემული 7 შეკითხვა დაეყავით სამ ჯგუფად: პირველ ჯგუფში შევიყვანეთ შეკითხვები 1 - დან 5- მდე, ხოლო მეორე და მესამე ჯგუფები, შესაბამისად, მე-6 და მე-7 შეკითხვებისგან დავაკომპლექტეთ. ანალიზის შედეგები ასახულია დანართ 3-ში. ცხრილის მიხედვით, ფიშერის სტატისტიკის შედეგებით, $p=0.000$ (ანუ $p<0.0001$), რაც იმას ნიშნავს, რომ კითხვარი, და, შესაბამისად, ექსპერიმენტი, მნიშვნელობის დონით სანდო და მართებული იყო.

შედეგების შემდგომმა ანალიზმა დაადასტურა ჩვენი ჰიპოთეზა, რომ იმ მაგალითების დეკოდირება, რომლებიც სოციალურად ან კულტურულად გასაგები ან მისაღები იყო ქართველი მონაწილისთვის, უფრო ადეკვატურად იყო გააზრებული, ვიდრე ექსტრა ლინგვისტურ ელემენტებს მოკლებული მაგალითები, რომლებსაც არა ზოგადად, სოციუმისათვის მიღებული და ნორმირებული, არამედ ინდივიდუალური დამახასიათებელი თვისებები ჰქონდათ.

თუმცა, ქართულ რეალობაში ჩვენ მიერ ექსპერიმენტალურად მიღებული ირონიის აღქმის მონაცემები არ შეიძლება ჩაითვალოს, როგორც ამ პროცესის საბოლოო დასტური. რა თქმა უნდა, ამ თემას უფრო სიღრმისეული კვლევა სჭირდება. მეორე მხრივ, ის, რაც გაკეთდა, ჩვენი ექსპერიმენტის სახით, ბუნებრივია, იქნება საფუძველი ასეთი კვლევებისა.

კითხვარების დამუშავების დროს გავაერთიანეთ ირონიის ინტერპრეტაციის ფსიქო-ლინგვისტური და პრაგმატიკული მიდგომები, რამაც მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ სხვადასხვა ირონიული მეტყველების აქტის მონაწილენი განსხვავებულად იგებდნენ, რაც დამოკიდებული იყო მათ ზოგად ფონურ ცოდნაზე.

ანალიზის დროს კითხვარის 40 მაგალითი დაყვავით 5 ჯგუფად, რადგანაც გვაინტერესებდა, რამდენად ადეკვატურად უპასუხეს მონაწილეებმა მე-7 შეკითხვას, რომელიც ნათქვამის მნიშვნელობის ირონიულობას ამოწმებდა. პირველ ჯგუფს - მადლობის, მეორე ჯგუფს - ბოდიშის, მესამეს - რიტორიკული კითხვის, მეოთხეს - მილოცვის და მეხუთეს - ასერტივების გამომხატველი ირონიული ნათქვამები წარმოადგენდა (იხილეთ დანართი 2). შედეგებმა გვიჩვენა, რომ ყველაზე სრულყოფილად მონაწილეებმა შეძლეს ირონიის იდენტიფიცირება იმ მაგალითებში, რომლებიც მეხუთე ჯგუფს წარმოადგენდა: მხოლოდ (11.3%) აირჩია პასუხი c) - content is not ironic და (12.0%) აირჩია პასუხი e) cant' say. ყველაზე ძალიან მონაწილეებს გაუჭირდათ მესამე ჯგუფის მაგალითების გაანალიზება, სადაც იმავე პასუხებზე მივიღეთ შესაბამისად (14.5%) და (16.5%). დანარჩენი სამი ჯგუფის პასუხებმა შედარებით ერთნაირი შედეგები მოგვცა.

მთლიანი სურათი ცხადყოფს, რომ მონაწილეების უმრავლესობამ ადეკვატურად გაიგო წაკითხული ირონიული ნათქვამი. ჩვენი აზრით, შემდგომი კვლევისთვის მნიშვნელოვანი არის ის, რომ ექსპერიმენტულად დამტკიცდა, რომ პროსოდიას, ანუ ირონიულ ტონს, ინტონაციას ან ბგერების გაგრძელებას არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა ირონიული ნათქვამის დეკოდირებაში. თუმცა, მეორე მხრივ, უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ პროსოდიული და პარალინგვისტური მონაცემები აიოლებს ირონიის დეკოდირების პროცესს.

„კი-არა“ ტიპის შეკითხვები, რომლებიც ნათქვამის მნიშვნელობასა და მოქმედის რწმენასა და განზრახვასთან დაკავშირებით იყო დასმული, ისევე, როგორც ღია კითხვები, რომლებიც დამოკიდებულების დეკოდირებას მოითხოვდა, შეფასებული იყო როგორც 1 ქულა, რომელიც სწორ პასუხს შეესაბამებოდა ან 0 ქულა, თუ პასუხი არასწორი, არა მართებული ან არაშესაფერისი იყო. სწორ ვარიანტად ითვლებოდა ისეთი პასუხი, რომელიც მოქმედის ნეგატიურ დამოკიდებულებასა და რწმენას აღნიშნავდა. პირველ შეკითხვაზე, თუ რა თქვა

მთქმელმა (კითხვარში მეოთხე მაგალითის პირველი კითხვა (Q1): “What did a Frenchman say?”), მონაწილეების უმრავლესობამ მაგალითში მოცემული რეპლიკა სიტვა-სიტყვით გაიმეორა, მაგალითად: “He said that he loved Germany.” ქვევით მოვიყვანეთ ადეკვატური და არაადეკვატური პასუხების ნიმუშები, რომელიც მივიღეთ კითხვარის მეოთხე მაგალითის (რომელიც ზემოთ არის მოყვანილი) მონაცემებში:

სწორი პასუხი - 1 ქულა:

კითხვა ირონიის მნიშვნელობის გაგებაზე: What did the Frenchman mean?

პასუხი: He hated Germany

არა სწორი პასუხი - 0 ქულა:

კითხვა ირონიის მნიშვნელობის გაგებაზე: What did the Frenchman mean?

პასუხი: It was not a good idea to divide Germany

ზოგიერთი მკვლევრის აზრით, (გიბსი 1986; 1994; 1995; სპერბერი და უილსონი 1986, 2005; კატცი და ლი 1993) ფართო კონტექსტს ძალიან დიდი ადგილი უკავია ირონიის ინტერპრეტაციის პროცესში, რომელიც ეხმარება მსმენელს უფრო მალე და ადვილად გაიაზროს ირონია. თუმცა, ზემოთ მოყვანილ მაგალითის შემთხვევაში, ნათლად ჩანს, რომ ეს მოსაზრება არ არის ყოველთვის მართებული. ამის დასამტკიცებლად სპეციალურად მოვიყვანეთ მაგალითი, რომლის დეკოდირების დროს, წესით, მსმენელს არ უნდა ჰქონოდა არანაირი პრობლემა, იქიდან გამომდინარე, რომ 1. თვითონ მაგალითს მოჰყვება საკმაოდ დამაჯერებელი და საკმარისი კონტექსტი. 2. ჩვენ ვივარაუდეთ, რომ ექსპერიმენტში მონაწილეებს შეეძლოთ ზოგადი ფონური, კულტურული, ისტორიული და ექსტრა ლინგვისტური ასპექტების ცოდნაზე დაყრდნობით ამ ნათქვამის ადეკვატური პროცესირება.

თითოეულმა მონაწილემ ყველა მაგალითში ჩადებული შინაარსის სწორად „გაგების კითხვას“ სწორად უპასუხა (comprehension question: What did the Frenchman say?).

3.6 კვლევის შედეგები

ჩვენი ნაშრომი ჩვენ მიერ დასახული მიზნითა და ამოცანებითაა შეზღუდული, რაც გულისხმობს იმას, რომ არსებობს ირონიის როგორც კოდირების, ასევე დეკოდირების ასპექტები, რომლებიც ჩვენს კვლევაში ვერ შევიდა. ექსპერიმენტის ჩატარებამდე ჩვენ ვივარაუდეთ, რომ ქართველი მონაწილეები წარმატებით აღიქვამდნენ ირონიულ ნათქვამებს ინგლისურ ენაზე, რაც მთლიანობაში გამართლდა. თუმცა, რა თქმა უნდა, არსებობს ამ პროცესის დამახასიათებელი სიძნელებები, რომლებზეც გვინდა დეტალურად გავამახვილოთ ყურადღება.

როგორც ცნობილია, მოხარდი მოსახლეობის 96%-ს ირონიის სწორი ინტერპრეტაცია შეუძლია. (კასპერი 2000). ეს ხდება იმ შემთხვევებში, როდესაც ირონიული მაგალითები მშობლიურ ენაზეა მოცემული. ჩვენს კვლევაში კითხვარი შედგებოდა ირონიის მაგალითებისგან ინგლისურ ენაზე. აქედან გამომდინარე, შედეგებიც განსხვავებული მივიღეთ. შედეგებზე დიდი გავლენა იქონია მონაწილის მიერ ორივე ენის მაღალ დონეზე ცოდნამ და მრავალმხრივმა კომპეტენციამ, ანუ შედეგებმა გვიჩვენა, რომ ასეთი ტიპის კვლევაში უნდა გავითვალისწინოთ მშობლიური და უცხო ენების სოციო-კულტურული თავისებურებები და მონაწილის საერთო ფონური ცოდნა.

ექსპერიმენტის შედეგებმა ირონიული ნათქვამების ინტერპრეტაციის საინტერესო მასალა მოგვცა, რომლის მიხედვით, მონაწილეების 78.4%-მა შეძლო პირდაპირი და ნაგულისხმევი მნიშვნელობების გარჩევა. ეს მით უფრო მნიშვნელოვანი ხდება, თუ გავიხსენებთ გიორას (გიორა 1995, 1999; გიორა და კოტკოფი 1998) მიერ შემოთავაზებულ თეორიას, რომ ირონიის აღქმის პროცესში ორივე მნიშვნელობის იდენტიფიცირება აუცილებელია, რამეთუ მათი ურთიერთდაპირისპირების შედეგად მსმენელი მიდის ირონიული ნათქვამის ადეკვატურ ინტერპრეტაციამდე. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ექსპერიმენტის შედეგები არ შეიძლება იყოს აღქმული, როგორც უნივერსალური დასკვნა. ჯამში მივიღეთ შემდეგი სურათი:

1) რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, წინამდებარე კვლევა პირველი ცდა არის, რომლის საშუალებითაც შემოწმდა მსმენელის (ვისთვისაც ქართული მშობლიური ენაა) უცხო ენაზე (ინგლისური) ირონიის დეკოდირების უნარი. იმისთვის, რომ ირონიული მეტყველების აქტი ადეკვატურად იქნას აღქმული,

აუცილებელია მისი კომპლექსური ანალიზი, რომელიც მის სემანტიკაზე, ლექსიკაზე, მორფოლოგიაზე, სინტაქსსა და ფონოლოგიაზეა დაფუძნებული (ვან დეიკი 1977). ამას ერთვის არა მხოლოდ ლინგვისტური ასპექტების - ენის ცოდნისა და ენობრივი კომპეტენციის - გათვალისწინება, არამედ ლინგვისტური ჩარჩოს მიღმა მყოფი ისეთი ელემენტების გააზრებაც, როგორცაა სოციო-კულტურული კონტექსტის ცოდნა და მეხსიერებიდან კონკრეტული ზოგადი ფონური ინფორმაციის გამოყენების უნარი, ანუ ირონიის ინტერპრეტაცია წარმოადგენს ისეთი რთული კატეგორიის პროცესს, რომელშიც ენობრივი, კულტურული და აზრობრივი პროცესებია ჩართული. ირონიული ნათქვამები წარმოადგენდა სხვადასხვა მეტყველების აქტს: ჭეშმარიტ მტკიცებებს, შეკითხვებს, მადლობის ან ბოდიშის გამომხატველ ნათქვამებს. ჩვენი წინასწარი გათვლა დამყარებული იყო მეტყველების აქტების თეორიასთან დაკავშირებულ ვარაუდზე, რომ ასერტივების ტიპის მაგალითების პროცესირება უფრო ადვილი იქნებოდა, ვიდრე შეკითხვის, მადლობის ან თხოვნის გამომხატველი ნათქვამების გააზრება, რადგანაც ასერტივები წარმოადგენს დეკოდირებისათვის შედარებით მარტივ მეტყველების აქტს. ექსპერიმენტის შედეგების ანალიზმა გვიჩვენა, რომ ეს ვარაუდი სწორი აღმოჩნდა და მართლაც ექსპრესივების, კომისივებისა და დირექტივების დეკოდირება უფრო რთული ამოცანაა ადეკვატური აღქმის თვალსაზრისით, მათი ღრმა იმპლიციტური ხასიათის გამო (იხილეთ დანართი 2).

2) ექსპერიმენტის შედეგებმა ჩვენს სავარაუდო მოსაზრებებთან ერთად გააღრმავა ჩვენი ცოდნა ირონიის შესახებ და განავითარა იდეა, თუ როგორ აღიქვამენ და ახდენენ ქართველები ირონიული ნათქვამების უცხო ენაზე დეკოდირებას. ამ ექსპერიმენტმა ახლებურად დაგვანახა ირონიის აღქმის პროცესი ქართულად მოლაპარაკე გარემოსთვის და დაამტკიცა, რომ ისეთი პრაგმატიკული ელემენტები, როგორცაა: ინტენცია-განზრახვა და მოცემული კონტექსტი, მნიშვნელოვანი მარკერებია ირონიის პროცესირების დროს.

3) ექსპერიმენტის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჩვენი ვარაუდი იმასთან დაკავშირებით, რომ უცხო ენაზე მოცემული ირონიის დეკოდირების პროცესი ორსაფეხურიანია, ნაწილობრივ გამართლდა, ვინაიდან ინტერპრეტაცია პირდაპირი მნიშვნელობის უარყოფისა და შემდეგ ნაგულისხმევი მნიშვნელობის გააზრების ფაზებისგან შედგებოდა. თუმცა, აქვე აღსანიშნავია, რომ იმ შემთხვევებში, როდესაც ქართველი მსმენელისა და ინგლისელი მოქმელის

საერთო ფონური ცოდნა საკმარისად ემთხვეოდა და ქართველი მონაწილეების ენობრივი კომპეტენციაც მაღალი იყო, ირონიის დეკოდირება ერთ-საფეხურიან მოდელს შეესაბამებოდა. რესპოდენტებმა აღიარეს, რომ ორჯერ ან სამჯერ მოუწიათ მაგალითის წაკითხვა, სანამ კითხვარის შეკითხვებს უპასუხებდნენ. ეს დეტალი არ უარყოფს და არც ადასტურებს გიორასა და გიბსის თეორიებს ირონიის დეკოდირების ერთ - და ორ-საფეხურიანი პროცესის შესახებ. მაგრამ, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ იმ მაგალითების პროცესირების დროს, რომელზეც ზემოთ ვილაპარაკეთ, გიორას მიდგომა მუშაობდა, ხოლო მარტივი ირონიის დეკოდირების დროს - გიბსისა. ყველაფერი ეს გამომდინარეობს იქიდან, თუ რამდენად სწრაფად და სწორად აღიქვამს მსმენელი ირონიას, რომელშიც მოქმედმა რეალურ სამყაროსა და საკუთარ ხედვას შორის არსებული სხვაობა ან წინააღმდეგობა ჩააქსოვა. ირონიის აღქმის აუცილებელ პირობად ზუსტად ამ განსხვავების გამოვლინება ითვლება. შესაბამისად, მივედით იმ დასკვნამდე, რომ თანამედროვე ეტაპზე არცერთ ცალკე აღებულ მიდგომას, რომელიც იკვლევს ირონიას, არ შეუძლია ირონიული ნათქვამის მრავალფეროვნების სრული შესწავლა.

4) ექსპერიმენტალურად მიღებული მონაცემების დამუშავების დროს გათვალისწინებული იყო მონაწილეთა კულტურული განსხვავებები, ზოგადი წარმოდგენა ირონიაზე, მონაწილეების ფონური ცოდნა. შედეგებზე დაკვირვებისას შეიძლება დავასკვნათ, რომ ექსპერიმენტის მონაწილეებს, იმ შემთხვევებში როდესაც მათი ენობრივი კომპეტენცია ან საერთო სოციო-კულტურული და ისტორიული ცოდნა არასაკმარისი იყო, გაუჭირდათ ირონიის დეკოდირება; გამოთქმულ და ნაგულისხმევ მნიშვნელობებს შორის განსხვავების იდენტიფიცირება, პასუხის გაცემა კითხვაზე, რომელიც მოქმელის შინაგან რწმენას ეხებოდა (რა იგულისხმა?); და მოქმელის ინტენციის (რატომ ითქვა?) გააზრება.

5) კვლევამ დაგვანახა, რომ მონაწილეების 68.9%-მა სწორად შეაფასა მოქმელის რწმენა. ამან მიგვანიშნა, რომ მოქმელის რწმენისა და ნათქვამის მნიშვნელობის ამოცნობა ქართველებისთვის უფრო ადვილი აღმოჩნდა, ვიდრე მოქმელის განზრახვისა და დამოკიდებულების გაგება, ანუ ყველაზე ნაკლებად გასაგები ქართველი მონაწილისთვის იყო ბოლო ორი ასპექტის ანალიზი. (დანართი 4). ჩვენი აზრით, ამის მიზეზია ის, რომ ამ ელემენტის დეკოდირება

მსმენელისაგან ფართო და ღრმა გონებრივ შესაძლებლობას მოითხოვს, ხოლო ირონიის ინტერპრეტაციის პროცესში, ეს ერთ-ერთი ყველაზე რთული რგოლია, ვინაიდან ის ირიბად გამოხატავს მოქმედის პოზიციას, გააკრიტიკოს ირონიის ობიექტი.

6) მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტიც, რომ ქართველი მონაწილეებისთვის ირონიული კომპლიმენტი არ წარმოადგენდა სიძნელეს და კითხვარის მაგალითი (31), რომელიც ირონიულ ქებას ასახავდა და არაადეკვატური გაგების საფრთხეს მოიცავდა, მონაწილეთა უმრავლესობამ (80%) სწორად გაიაზრა. სიძნელე გამოიხატება იმაში, რომ კომპლიმენტის დეკოდირება მოიცავს ორმაგ უარყოფას: ერთი, როდესაც პირდაპირ მნიშვნელობას უარყოფენ და მეორე, როდესაც უარყოფენ მანამდე უარყოფილ პირდაპირ მნიშვნელობას (კითხვარის მაგალითი (31)). თუმცა, ბოლო შეკითხვაზე, რომელიც ამოწმებდა ამ მაგალითის ირონიულობას, 55% - მა შემოხაზა c) content is not ironic (*არა ირონიული*) ან e) can't say. (*არ ვიცი*). ეს იმას გულისხმობს, რომ ამ მაგალითში მიღებული შედეგები ურთიერთგამომრიცხავია (ერთი მხრივ, ადეკვატური აღქმა - 80%, მეორე მხრივ, არა ირონიულობის მაჩვენებელი - 55%) და არ არის სანდო. ამასვე ადასტურებს ასევე ფიშერის სტატისტიკა ANOVA-ს მონაცემებში, რომელიც გამოიყურება შემდეგნაირად: $F(2,37) = 3.112$, სადაც $p < .056$ (დანართი 5).

7) მონაწილეების მიერ დაშვებული შეცდომების ანალიზმა გვაჩვენა, რომ კითხვარის ზოგი მაგალითი არ იყო აღქმული, როგორც ირონიული. ამის მიზეზია მონაწილის მოლოდინის გაცრუება და სუბიექტური აზრი მონაწილის იდენტის ან ეთიკის, მისთვის მისაღები ქცევის ნორმების, პირადი რწმენის და პრინციპების შესახებ. ყველაზე არა ირონიულ, ანუ წარუმატებელ მაგალითად მონაწილეებს (57.5% აარჩიეს პასუხი - c) content is not ironic - *არა ირონიული*, ან e) can't say - *არ ვიცი*, კითხვარის 38-ე მაგალითი მიაჩნდათ. ყველაზე ირონიული მონაწილეების აზრით აღმოჩნდა მაგალითი (13):

8) შედეგებმა გამოააშკარავეს საინტერესო ფაქტი, რომ მაგალითში (11) ყველა კითხვაზე შეცდომა დაშვებული იყო მხოლოდ 5%-10%-ის ფარგლებში, რაც იმის დასტურია, რომ ირონიული ნათქვამის დამოუკიდებელი კომპონენტების ანალიზის საფუძველზე, რომელშიც ნათქვამის პირდაპირი და ნაგულისხმევი მნიშვნელობების, მათი კონტექსტში დაპირისპირებისა და

ილოკუციური ძალის ამოცნობა და მოქმედის ინტენციისა და რწმენის გააზრება შედის, მონაწილეებს არ გაუჭირდათ ირონიის ადეკვატური დეკოდირება.

9) მთლიანობაში, მონაწილეების 78.4%-მა სწორად გაიგო ირონიული მაგალითები (იხილეთ დანართი 4), ანუ ზოგადად, ქართულად მოლაპარაკე მონაწილეებს არ გაუჭირდათ ინგლისურ ენაზე მოცემული ირონიული ნათქვამების ინტერპრეტაცია. ეს ასპექტები, რომლებიც მოიცავენ გამონათქვამის ილოკუციური ძალის გამოცნობასა და ლინგვისტური კომპეტენციის გამჟღავნებას, მნიშვნელოვანია ენათაშორისი პრაგმატიკისთვის იმიტომ, რომ ამ კომპონენტების გამო, შესაძლებელია ერთისა და იმავე ირონიული ნათქვამის განსხვავებული დეკოდირება მშობლიურსა და უცხო ენაზე.

10) როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გონებრივი შესაძლებლობის თეორიის მიხედვით, მსმენელმა სწორად უნდა გაიგოს მოქმედის განზრახვა, რწმენა და დამოკიდებულება, ანუ მისი მდგომარეობის ორივე მხარე: ემოციური, რომელიც მოიცავს იმას, თუ რას გრძნობს მოქმედი და კოგნიტური - თუ რას ფიქრობს ის. ეს ყველაფერი, თავის მხრივ, მსმენელს ეხმარება ადეკვატურად აღიქვას ირონიული ნათქვამი. ასეთი გრაისისეული მიდგომა გამომდინარეობს ირონიის პროპოზიციის ორი დონიდან: ექსპლიციტურიდან და იმპლიციტურიდან. სწორედ მოქმედის მიერ ეს იმპლიციტურად გამოხატული შამფასებლობითი ხასიათის აზრი არის საკვანძო და მნიშვნელოვანი მსმენელისთვის. (ფრითი და ფრითი 2003, 2010; შამეი-ცუორი 2005). ბრომბერეკ-დიზმანმა შენიშნა: „ყოველივე ნათქვამს ზედ ერთვის ჩვენი დამოკიდებულებები, გრძნობები და განწყობები.“ (“On top of what we say, we piggyback attitudes, feelings, moods (ბრომბერეკ-დიზმანი 2012:98-99)).

11) აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ჩვენი აზრით, შეცდომით გაცემული პასუხის მიზეზი შეიძლება ყოფილიყო ნათქვამის არა მხოლოდ არასწორი გაგება, არამედ უცხო ენაზე პასუხის ფორმულირების სიძნელე. ამიტომ, შემდგომ ეტაპზე სასურველია ეს ასპექტიც გამოკვლეული იქნას. არსებობს ისეთი მაგალითები, სადაც მონაწილეს არ აქვს გაცემული პასუხი რომელიმე კითხვას ან კითხვებზე, რაც მათ უყურადღებობაზე ან ინგლისური ენის არასათანადო ცოდნაზე მიუთითებს.

12) კიდევ ერთი დასკვნა ეხება ბოლო კითხვას, რომელიც ნათქვამის ირონიულობას განსაზღვრავდა, სადაც მონაწილეებს უნდა აერჩიათ ერთი პასუხი 5 მოცემული ვარიანტიდან. შეიძლება ვამტკიცოთ, რომ იმ შემთხვევაში, თუ ექსპერიმენტის მონაწილე მაგალითის ირონიულობაზე „არ ვიცი“ – “can’t say” ან „არსი არა ირონიულია“ – “content is not ironic” პასუხობდა, მაშინ ამის ორი შესაძლო ინტერპრეტაცია არსებობს: 1. ის, რომ მონაწილემ ვერ შეძლო ირონიული კონტექსტის დანახვა და გააზრება; და 2. ის, რომ მონაწილემ ამ სიტუაციაში ვერ დაინახა ირონიის რელევანტურობა. ჰენსტი და სპერბერი აღნიშნავენ, თუ მსმენელი ვერ ხედავს რელევანტურობას, ეს არ ნიშნავს, რომ მას არ გააჩნია ლოგიკური აზროვნების შესაძლებლობა ან ირონიის გაგების პრაგმატიკული პრობლემები აქვს; ეს იმისი მაჩვენებელია, რომ მსმენელი ვერ ხედავს ასეთი დასკვნის გაკეთებაში პოტენციურ მნიშვნელობას, რაც რელევანტური თეორიის კოგნიტიური პრინციპის გამოვლინებაა. (ჰენსტი და სპერბერი 2004:141-172). „არ ვიცი“ – “can’t say” მონაწილეთა 10%-მა უპასუხა.

13) ამ ექსპერიმენტიდან გამომდინარე, კიდევ ერთი დასკვნა არის ის, რომ არასწორი პასუხების უმრავლესობა დაფიქსირდა ისეთი მაგალითების დეკოდირების დროს, როდესაც მოსამზადებელი წინაპირობა (preparatory condition) არ ფიგურირებდა. დამტკიცდა, რომ მოსამზადებელი წინაპირობა სწორედ ის მინიშნებაა, რომელსაც მსმენელი, მისი ასაკის მიუხედავად, ეყრდნობა ირონიის გააზრებისას. მოსამზადებელი ეტაპის არარსებობის შემთხვევაში სწორი პასუხების პროცენტული მაჩვენებელი ყოველთვის დაბალია, რაც მიუთითებს იმაზე, რომ რაც უფრო ფართოა მოცემული კონტექსტი, მით უფრო იოლია მსმენელისთვის ირონიის ინტერპრეტაცია. ეს ადასტურებს ლინდა ჰაჩეონის აზრს, რომ ირონიის აღქმისთვის აუცილებელია არა მხოლოდ ლინგვისტური კონტექსტი, არამედ ისეთი სხვადასხვა ასპექტის ერთობლიობა, როგორცაა „საერთო ცოდნის, რწმენის, ფასეულობებისა და კომუნიკაციური სტრატეგიების კომპლექსური კონფიგურაცია, რომელიც მიღებულია კონკრეტულ საზოგადოებაში.“ “The kind of context required for irony understanding seems to be a wider context conceived as a “complex configuration of shared knowledge, beliefs, values, and communicative strategies adopted by social communities.” (ხატჩეონი 1994:91).

14) ანალიზის შემდეგ მივიღეთ საერთო სურათი, რომელიც ასახავს ირონიის აღქმის ოთხივე კომპონენტს - მნიშვნელობას, რწმენას, განზრახვასა და

დამოკიდებულებას. დაბალი შეფასების ჯგუფის მონაწილეებმა შეაფასეს ნათქვამები, როგორც ყველაზე ირონიული ($M=0.58$, $SD=0.01$), ხოლო მაღალი შეფასების ჯგუფის მონაწილეებმა მიაღწიეს ($M=0.70$, $SD=0.02$), სადაც M = საშუალო არითმეტიკულია, რომელიც დაანგარიშებული იყო ყოველი ცალკე აღებული მონაწილის 40-ვე მაგალითის პასუხების საშუალო მონაცემებზე დაყრდნობით, ხოლო SD = სტანდარტული გადახრების ჯამს აღნიშნავდა. დანართ 4-ში მოცემულია პროცენტული მონაცემები, თუ რამდენად სწორად შეძლეს მონაწილეებმა ნათქვამის გაგება (78.4%), მნიშვნელობა (68.8%), მთქმელის რწმენის (68.9%), ინტენციის (59.6%), და დამოკიდებულების (62.8%) სწორად გაგება.

15) ირონიის დეკოდირება იწყებოდა ნათქვამის ორ მნიშვნელობას შორის შეუსაბამობის დანახვით, რაც ადასტურებდა პირდაპირი მნიშვნელობისა და კონტექსტის შეუთავსებლობას; შემდეგ გადადიოდა მთქმელის რწმენისა და განზრახვის იდენტიფიცირებაზე; და ბოლოს მთავრებოდა მთქმელის დამოკიდებულების გააზრებით. ეს პროცესი, თავის მხრივ, უინერისა და ლიკამის მიდგომას ამტკიცებს, რომლის თანახმად, მთქმელის დამოკიდებულების გააზრება აუცილებელი პირობაა ირონიის ინტერპრეტაციის პროცესში იმიტომ, რომ ამ დამოკიდებულების უკან იმალება მთქმელის მიერ გაკეთებული არჩევანი, გამოიყენოს თავისი აზრის გამოხატვისთვის არაპირდაპირი - ირონიული გზა (უინერი და ლიკამი 1991).

16) წინამდებარე ნაშრომი ირონიის ინტერპრეტაციის პროსოდიული ელემენტების კვლევის პირველ ცდას წრმოადგენს, რომელიც მხოლოდ სემანტიკურ დონეზეა დაფუძნებული. მისი მთავარი მიზანი ირონიული ინტონაციის როლის ექსპერიმენტალური განხილვა-გააზრება იყო. ჩვენი კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ ირონიული ინტონაცია და ტონი ირონიის ინტერპრეტაციის პროცესში არ თამაშობს წამყვან როლს, ვინაიდან მონაწილეებმა მხოლოდ კონტექსტში მოცემულ მარკერებზე დაყრდნობით შეძლეს ინგლისურ ენაზე ირონიული მაგალითების უმრავლესობის სწორი და ადეკვატური გაანალიზება. ეს ადასტურებს იმას, რომ პროსოდიის ელემენტები არ არის აუცილებელი პირობა (ისინი შეიძლება სასურველი და ხელსაყრელი იყოს, მაგრამ არა სავალდებულო) ირონიის დეკოდირებისათვის. თუმცა, ზოგ შემთხვევაში „ჩვეულებრივი“ ირონიული გამონათქვამი იყო შეფასებული,

როგორც „ძალიან ირონიული“ ან „ნაკლებად ირონიული“. (როქველი 2000, 2007; ანოლი 2000). ჩვენ მიერ დაგეგმილ ექსპერიმენტში კითხვარი წერილობითი ფორმით იყო შეთავაზებული, ამიტომ მონაწილეებს მხოლოდ ინგლისური ლექსიკის კარგ დონეზე ცოდნა და საკმარისი თანმხლები კონტექსტის მოცულობა ეხმარებოდა ირონიის ამოცნობაში. აქედან გამომდინარე, ინტონაციისა და ეგრეთ წოდებული ირონიული ტონის გარეშე შესაძლებელი გახდა ირონიული ნათქვამის წარმატებული დეკოდირება.

17) ექსპერიმენტის შედეგები მნიშვნელოვანია ირონიის კვლევის სფეროში ენათა-შორისი პრაგმატიკისა და სოციო-კულტუროლოგიის ფარგლებში, განსაკუთრებით ქართული ენათმეცნიერებისათვის. მაგრამ, იქიდან გამომდინარე, რომ კვლევა იწარმოებოდა მხოლოდ ერთ საცდელ ჯგუფში და როგორც ირონიის მაგალითები, ასევე ექსპერიმენტში მონაწილეების რიცხვი რაოდენობრივად შეზღუდული იყო, გასაგებია, რომ ამ კვლევას ლიმიტირებული მიღწევები აქვს. შედეგებმა დაამტკიცა გიბსის იდეა იმის თაობაზე, რომ ირონიის კვლევის სრული სურათის მიღება მხოლოდ მრავალმხრივი მეთოდების კომპლექსის გამოყენებითაა შესაძლებელი. (გიბსი 2000).

18) ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ შედეგების მიხედვით, ქართველ მონაწილეებს ირონიის იდენტიფიცირებისა და მის დეკოდირების კარგი უნარი აქვთ. გეჯერა, ექსპერიმენტი ზეპირი ფორმით რომ ჩატარებულიყო, მონაწილეთა პროცენტული მაჩვენებელი, ვინც მოსმენილი მაგალითების ადეკვატურ ინტერპრეტაციას გააკეთებდა, უფრო მაღალი იქნებოდა, რადგან ამ შემთხვევაში მათ ირონიული ტონი, სახის მიმიკა, უხსტები ან მოქმელის არტიკულაციის მანერის იმიტაცია დაეხმარებოდა. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ირონიის დეკოდირების საქმეში პროსოდიული და პარალინგვისტური ელემენტები გადამწყვეტ როლს არ ასრულებს, მათ გარკვეული წვლილი მიუძღვით ირონიის დეკოდირების პროცესის დროს.

3.7 განხილვა

ირონია მეტყველების ისეთ ქცევას წარმოადგენს, რომელიც ემოციურ დამოკიდებულებას, ლოგიკურ დასკვნას, თანხმობა/დაუთანხმებლობას, სურვილს, პირობის ან ფიცის დადებას, დამშვიდობებას, კონტაქტის დამყარებას, დაცინვას, გაღიზიანებას, იმედის გაცრუებას, საყვედურსა და დაგმობას გამოხატავს. ჩამოთვლილი სტრატეგიები მოქმედს საშუალებას აძლევს, მსმენელზე ან მსმენელთა ჯგუფზე სხვადასხვანაირი ზეგავლენა მოახდინოს, და, იმავე დროს, თვითონ მომგებიან მდგომარეობაში დარჩეს, როგორც სოციალური, ისევე ფსიქოლოგიური და ინტელექტუალური თვალსაზრისით.

ირონიის სრული გაგება მსოფლიო კაცობრიობის სოციო-კოგნიტიური განვითარების ძალზე მნიშვნელოვანი ასპექტია, რომელიც ბავშვობაში იწყება და მსმენელის მხრივ ფართო მიღწევებს მოიცავს: გონებრივ მომწიფებას, მენტალურ უნარებს, სოციალურ-საზოგადოებრივ განვითარებას, ენობრივსა და კომუნიკაციურ კომპეტენციას და ა.შ. თუ რომელიმე მათგანი არასრულყოფილადაა განვითარებული, მაშინ მსმენელი ირონიის დეკოდირებას ვერ შეძლებს. როგორც ირონიის განმარტების, ასევე მისი დეკოდირების კვლევები ამტკიცებს, რომ თანამედროვე ლინგვისტიკაში ამ ფენომენის შესწავლის ერთიანი და საყოველთაოდ მიღებული მიდგომა დღემდე არ არსებობს. ირონიის პრაგმატიკულ კვლევასთან დაკავშირებული ზოგიერთი პრობლემა დამატებით შესწავლასა და განმარტებას საჭიროებს. თანამედროვე პრაგმატიკული თეორიები არ გვაძლევენ ირონიული ნათქვამების სიღრმისეულად სრულ ანალიზს. ზოგი მკვლევარი ამტკიცებს, რომ ირონიული ნათქვამის ინტერპრეტაციისთვის აუცილებელი პირობა პირდაპირი მნიშვნელობის უარყოფა და შემდგომ ირონიულ მნიშვნელობაზე გადასვლაა; სხვანი ფიქრობენ, რომ მსმენელი ირონიას პირდაპირ წვდება და მას არანაირი პირდაპირი მნიშვნელობის უარყოფა არ სჭირდება.

ყველა მკვლევარი მეტ-ნაკლებად თანხმდება, რომ ირონიის დეკოდირებისას აუცილებელ პირობად უნდა ჩაითვალოს სოციალური, ემოციური და კოგნიტიური ასპექტების კომპლექსური გათვალისწინება და მათი სწრაფი კოორდინაცია (პექსმანი 2007, 2002). სავარაუდოდ, ასეთი კომპლექსური მიდგომა ირონიის აღქმის სირთულეს ქმნის. ამას ემატება ყველაზე მნიშვნელოვანი რამ:

ირონია მთქმელს საშუალებას აძლევს თავისი განზრახული უარყოფითი დამოკიდებულება ირიბად, ანუ იმპლიციტურად, გამოხატოს.

მომავლისთვის საინტერესო იქნება:

ა) კვლევის წარმართვა მსმენელის პოზიციიდან. ირონიის დეკოდირების შემდგომი კვლევისთვის აქტუალურია ჩვენი დასკვნა მსმენელის ქცევის შესახებ. მსმენელის რეაქცია გამოიხატება იმაში, რომ ა) ის ირონიულ ნათქვამზე თვითონაც ირონიულად პასუხობს; ბ) ის საერთოდ არ რეაგირებს ირონიაზე, მიუხედავად იმისა, თუ რამდენად ადეკვატურად გაიგო ირონიული ნათქვამი; გ) ის ირონიულ ნათქვამზე სერიოზულად პასუხობს; დ) ის ნეგატიურად რეაგირებს (ღიზიანდება და ნერვიულობს).

ბ) კვლევის წარმართვა მთქმელის პოზიციიდან, რაც ირონიის ფენომენის კვლევისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანია, ვინაიდან ინტერკომუნიკაციის დროს მთქმელს, სანამ მიიღებს გადაწყვეტილებას, გამოიყენოს ირონია თავის ნათქვამში, მსმენელის ირონიის აღქმის უნარისა და ირონიის ობიექტზე ზოგადი ცოდნის შეფასება უწევს. იმ შემთხვევაში, თუ მთქმელი გრძნობს, რომ მსმენელი ირონიას სათანადოდ ვერ შეაფასებს, მაშინ ის სხვა ისეთ დამატებით ირონიულ მარკერებს იყენებს, როგორცაა: ირონიული ტონი, სახის გამომეტყველება ან სხვადასხვა ჟესტები.

გ) ირონიული კრიტიკისა და კომპლიმენტის მკაფიო განსხვავება და ექსპერიმენტში მეტი ირონიული კომპლიმენტის მაგალითის გამოყენება, ანუ ენანტიოსემიის კვლევა;

დ) ირონიულ ნათქვამში ჩაქსოვილი იუმორის კვლევა;

ე) ნაკლები ყურადღება ეთმობა ირონიის წარუმატებლად დეკოდირების ფაქტებს, კერძოდ, იმ შემთხვევებს, როცა მსმენელი განზრახ იღებს გამონათქვამს, როგორც არა ირონიულს და ამით ამტკიცებს მთქმელის წარუმატებლობას.

ვ) არსებობს მოსაზრება (პექსმანი და გლენრაიტი 2007) რომ ბავშვები ირონიის იდენტიფიკაციას 5 წლის ასაკიდან იწყებენ, ამიტომაც მნიშვნელოვან საკითხად მიგვაჩნია ქართულ რეალობაში ბავშვების მიერ ირონიის კომპონენტების (მთქმელის ემოციის, განზრახვის, რწმენის, მოტივაციის, დამოკიდებულების, ირონიის ფუნქციის) აღქმის ანალიზი.

ზ) შემდგომი კვლევისთვის საინტერესო იქნებოდა: ა) სქესის გავლენის გამოკვლევა ირონიის დეკოდირების პროცესზე, რადგან არსებობს აზრი, რომ მამაკაცები უფრო ხშირად იყენებენ ირონიას, ვიდრე ქალები (კოლსტონი და ლი 2004); ბ) პროფესიისა და ხელობის გავლენის დადგენა იმიტომ, რომ ზოგი საქმიანობის წარმომადგენლებს, თავისი სოციალური სტატუსის გამო, ირონიის გამოყენება უფრო ახასიათებთ, მაგალითად კომედიური უნარის მსახიობებს, რომლებიც უფრო მიდრეკილები არიან კრიტიკისა და დაცინვისადმი (პექსმანი და ოლინეკი 2002; პექსმანი 2000:203).

თ) ირონიის დეკოდირების შესწავლის დიდი ნაწილი კონცენტრირებას ან კონტექსტუალურ (ინტონაციის გარეშე) ან პროსოდიულ (კონტექსტის გარეშე) ინსტრუქციებზე აკეთებს, ანუ აქამდე ერთი ექსპერიმენტის ფარგლებში არ ყოფილა პროსოდიისა და კონტექსტის ერთობლივი როლის შესწავლა-გამოკვლევის არცერთი მცდელობა. ამიტომ ირონიის კვლევაში რჩება ერთი ღია შეკითხვა - რა სახისაა ერთი კვლევის ფარგლებში გამოყენებული ამ ორ ფაქტორს შორის ურთიერთობა?

ი) მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს „გონების შესაძლებლობის თეორიას“ ირონიის ინტერპრეტაციისას, რადგანაც ბოლოდროინდელი კვლევები ადასტურებს, რომ ამ თეორიის პოზიციიდან, რომელიც იკვლევს მსმენელის უნარს, გაიგოს მთქმელის მენტალური მდგომარეობა და გაიაზროს მისი განზრახვა და რწმენა, მკვლევარს შეუძლია უფრო სიღრმისეულად ჩაწვდეს ირონიის გააზრების პროცესს.

კ) საინტერესო სფეროდ მიგვაჩნია არა მხოლოდ ირონიული ნათქვამის დეკოდირების, არამედ მასზე რეაქციის კვლევა. ამჟამინდელ კვლევაში ჩვენ შევეცადეთ ირონიის აღქმის გაანალიზებას ფსიქო-ლინგვისტური ექსპერიმენტის (გიორას მსგავსად) ჩატარებით, ხოლო მომავალში ვაპირებთ კოგნიტიური ფსიქოლოგიის (გიბსის მიხედვით) ფარგლებში მსმენელის მიერ ირონიაზე საპასუხო ქცევის განხილვას.

ლ) ასევე დასადგენია, თუ რამდენად უნივერსალური ან ეროვნულია ესა თუ ის ირონიული ნათქვამი.

მაშასადამე, ირონიას იყენებენ, როდესაც მოქმელი თავის მოსაზრებასა და ემოციურად ნეგატიურ დამოკიდებულებას პირდაპირ ვერ ან არ გამოხატავს საზოგადოებაში მიღებული ქცევის ნორმებისა და ეთიკის გამო. სწორედ აქ იბადება ირონია. რაც უფრო დიდია განსხვავება ნაგულისხმევსა და გამოთქმულს შორის, მით უფრო აშკარაა ირონია (ივანკო და პექსმანი 2003). კიდევ ერთი რამ ცხადია. თუ უცხო ენაზე მოცემული ირონია და მისი გამოყენების კონტექსტი ნაცნობია მსმენელისთვის, იმიტომ რომ კოდირებულია მისი მეხსიერების მენტალურ ლექსიკონში, როგორც მშობლიურ ენაზე მიღებული ირონიული გამოცდილება, მაშინ ასეთი ირონიის ინტერპრეტაცია არ წარმოადგენს მსმენელისთვის დიდ სირთულეს. სხვა შემთხვევაში, ინგლისურ ენაზე ირონიის დეკოდირება ქართველი მონაწილისთვის რთული აღმოჩნდა.

შედეგების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ ირონიის დეკოდირების ჩატარებულ ექსპერიმენტში დასმულ კითხვებზე მრავალფეროვანი პასუხები მივიღეთ, როგორც პირდაპირი, ასევე ნაგულისხმევი მნიშვნელობის პროცესირების შესახებ. ამას განაპირობებს ლინგვო-პრაგმატიკის ასპექტები, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ თანამედროვე ცხოვრებაში ინტერკომუნიკაციის პროცესში მოქმელისა და მსმენელის პირადი გამოცდილება, მათი ზოგადი უნარები, საერთო ფონური ცოდნა, ენობრივი და კომუნიკაციური კომპეტენცია კომპლექსურ ერთიანობაში ვლინდება, რაც მათ საშუალებას აძლევს შექმნან და აღიქვან იმპლიციტური ირონიული მნიშვნელობა.

ასეთი მიდგომა, რომელიც „სტრიქონებს შორის“ ირონიის წაკითხვასა და გამოცნობას, შემდგომ მის აღქმას მოითხოვს, თანამედროვე პრაგმა-ლინგვისტურ პარადიგმაში შედარებით ახალ პრინციპს წარმოადგენს. ამის ერთ-ერთი მიზეზი არის ის, რომ ირონიული გამონათქვამები ყოველთვის ინდივიდუალურ ხასიათს ატარებს და ძალიან იშვიათადაა შეტანილი ლექსიკონებში. იმიტომ, უმეტეს წილად, ისინი მოქმელისა და მსმენელის ენობრივ მეხსიერებაში არსებობენ.

„ირონია, რა თქმა უნდა, მრავალსახოვანი ფენომენია, რომელიც თავისი რთულად აღსაქმელი ბუნებითაა ცნობილი“. “Irony is, of course, a capricious term, notoriously difficult to pin down.” (ფერნანდეზი და ჰიუბერი 2001:2).

დასკვნა

წინამდებარე ნაშრომის ერთ–ერთი ღირებულება მდგომარეობს იმაში, რომ ეს არის ქართულ ლინგვისტურ რეალობაში ირონიის დეკოდირების თეორიული და პრაქტიკული ექსპერიმენტის აღწერის პირველი მცდელობა, რომელიც საყურადღებოა ამ ფენომენის მომავალი კვლევისთვის.

ირონიის თეორიული კვლევისას ლინგვო-პრაგმატიკის ცნებებზე, კერძოდ მეტყველების აქტების საფუძველზე დაყრდნობით, შევისწავლეთ ირონიის, როგორც ენობრივი და მეტყველების ფენომენის თვისებები, მარკერები და გამოყენების თავისებურებები.

კვლევის ექსპერიმენტულ ნაწილში შევეცადეთ ქართულენოვან ცდის პირებზე აგვეხსნა ინგლისურ ენაზე მოცემული მაგალითების დეკოდირების პროცესის, მსმენელსა და მთქმელს შორის ურთიერთობისა და ირონიული მნიშვნელობის ინტერპრეტაციის მექანიზმები. აღსანიშნავია, რომ ყველა მაგალითი, რომელიც გამოყენებული იყო კვლევის, როგორც თეორიულ, ასევე ექსპერიმენტალურ ნაწილში, ჩვენ მიერ არის მოპოვებული.

კვლევის არჩეული თემატიკა შედგება ირონიის კომპლექსური ფენომენისგან, რომელიც ლინგვისტიკას, ფსიქოლოგიას, ფსიქოლინგვისტიკას, ფილოსოფიას, პრაგმატიკას, სტილისტიკას მოიცავს. მთქმელი საზოგადოების ნაწილია და იმისთვის, რომ ამ საზოგადოების სხვა წარმომადგენლებთან ინტერკომუნიკაციისას სრულყოფილი მონაწილეობა მიიღოს, მან უნდა ამოარჩიოს ისეთი ქცევის სტრატეგია, რომელიც დაეხმარება მას მაქსიმალურად წარმატებულად განახორციელოს ინტენცია საკუთარი კომუნიკაციური მიზნის მისაღწევად.

ექსპერიმენტის ანალიზისას დამტკიცდა ჩვენი ვარაუდი, რომ ენობრივი და კომუნიკაციური კომპეტენცია, სოციო-პრაგმატიკული ელემენტები, მონაწილეების ფსიქოლინგვისტური შესაძლებლობები ის ფაქტორებია, რომელთა ერთობლიობა ირონიის ადეკვატურ დეკოდირებას განაპირობებს.

არასწორი პასუხების ანალიზის შედეგად, მივედით კლარკის მოსაზრებამდე, რომ ირონიის არასწორი აღქმის ძირითადი ასპექტები ყოველი ცალკე აღებული

მსმენელის ინდივიდუალურ წარმოდგენაზეა დამოკიდებული, რეალობას შეესაბამება (კლარკი 1996). კერძოდ: მონაწილის უუნარობა მოცემულ კონტექსტზე დაყრდნობით ექსპლიციტურის მიღმა იმპლიციტური მნიშვნელობის დანახვა; მონაწილის მიდრეკილება ყველა მოვლენა სერიოზულად შეაფასოს; მონაწილის მიერ აშკარა გაგება, რომ ნათქვამი არ შეესაბამება კონტექსტს, მაგრამ საკუთარი მოსაზრებების გამო ამ შეუთავსებლობის უარყოფა; ინგლისურ კულტურაში ისეთი რეაქციების არსებობა, რომლებიც ინგლისურ ან/და ამერიკულ ყოველდღიურ რეალობას ასახავს და არ არის დამახასიათებელი ქართული საზოგადოებისთვის.

იქიდან გამომდინარე, რომ პრაგმატიკის ჭრილში ენობრივი ერთეულების განხილვა მე-20 საუკუნეში იწყება, და პირველ პლანზე გრაისის მაქსიმების თეორია და იმპლიკაციის ცნება გამოდის, ენათმეცნიერები მიიჩნევენ, რომ ენის რაციონალური გამოყენება თანამედროვე ლინგვისტური აზროვნების მთავარ თეორიად რჩება. რა თქმა უნდა, პრაგმატიკის ცნებებმა დროთა განმავლობაში გარკვეული ტრანსფორმაცია განიცადა და ექსპერიმენტალური პრაგმატიკის სახით განვითარდა, სადაც ირონიული ნათქვამების კოდირება-დეკოდირებისა და ადეკვატური აღქმის ასპექტები და თავისებურებები ექსპერიმენტალურად დასტურდება. ამიტომაც ჩვენს ნაშრომში ირონიული გამონათქვამის ინტერპრეტაცია ლინგვო-პრაგმატიკული პოზიციიდან განვიხილეთ, მეტყველების აქტების თეორიისა და ფსიქოლინგვისტიკის დებულებების გათვალისწინებით.

კვლევისას დასმული ამოცანების შედეგად შევქმელით:

1. ირონიის ცნების განმარტების დაზუსტება
2. ირონიის მეტყველების აქტების თეორიის პრიზმაში განხილვა და მათი პრობლემატიკის განსაზღვრა
3. ირონიის კონტექსტზე დამოკიდებულების ხასიათის ახსნა
4. ირონიის აღქმის სხვადასხვა თეორიებისა და მიდგომების განსაზღვრა
5. ირონიის წარმატების (წარმატებული დეკოდირების) პირობების აღწერა
6. ირონიის, როგორც სამეტყველო ქცევის მნიშვნელოვანი ატრიბუტის (რომელიც სპეციფიკურ საზოგადოებრივ ნორმების დაცვაზე ან დარღვევაზე,

ექსტრალინგვისტურ კონტექსტზე, მოქმედისა და მსმენელის ურთიერთობაზეა დამოკიდებული) განსაზღვრა.

7. ირონიის დეკოდირების ფსიქოლინგვისტური ექსპერიმენტის ჩატარება ენათა შორისი პრაგმატიკის კანონების გათვალისწინებით,

8. ექსპერიმენტის შედეგების გაანალიზება იმის გათვალისწინებით, რომ მონაწილეებს, რომლის მშობლიური ენა ქართული იყო, ირონიის დეკოდირებისთვის მაგალითები უცხო, კერძოდ ინგლისურ ენაზე ჰქონდათ მიცემული.

დისერტაციის მთავარი დებულებები:

1) ირონია ენის ფენომენია, რომლის არსებობა კონტექსტის გარეშე შეუძლებელია: გამონათქვამი ირონიულ ხასიათს მხოლოდ გარკვეულ სიტუაციაში იძენს.

2) ირონიის წარმატებისა და მისი ადეკვატური ინტერპრეტაციისთვის აუცილებელი პირობაა მსმენელის მხრიდან სხვადასხვაგვარი კომპეტენციის ფლობა.

3) ირონიის დეკოდირების ინტერაქტიული კომპონენტი მნიშვნელოვან როლს თამაშობს და ორიენტირებულია მსმენელის მიერ ირონიის გაგებასა და მასზე რეაგირების კონკრეტულ კონტექსტზე. კომუნიკაციის დროს, ორივე, მსმენელი და მოქმედი, საჭიროებენ გარკვეული „გონებრივი სამუშაოს“ ჩატარებას და ერთმანეთის ყურადღებას. მსმენელი გზავნილს არ გაიაზრებს, თუ მას სჯერა, რომ ის მისთვის რაიმე მნიშვნელობას არ წარმოადგენს. ამგვარად, ინტერკომუნიკაცია ისეთი აქტია, რომელიც მსმენელის ყურადღებისთვის ღირებულ ინფორმაციას წარმოადგენს და რელევანტურობის პრინციპს ემყარება.

4) ირონიის მეშვეობით მოქმედი ცდილობს გამოხატოს არა მხოლოდ ის, რისი თქმაც საზოგადოებაში პირდაპირ არ შეიძლება არსებული კულტურული და ეთიკური ნორმების გამო, არამედ, ისიც, რისი თქმაც ექსპლიციტურად საერთოდ შეუძლებელია.

5) ირონიის დეკოდირების ლინგვო-პრაგმატიკული მეთოდის გამოყენება გამომდინარეობს იქიდან, რომ ირონია პირდაპირ დამოკიდებულია მოქმედის

ინტენციას, რწმენასა და დამოკიდებულებაზე, მსმენელის უნარზე, გამოიცნოს და გაიაზროს ისინი.

6) ექსპერიმენტის შედეგებმა გვიჩვენა, რომ ჩვენი ჰიპოთეზა, ირონიის დეკოდირების შესახებ, ქმელითია.

7) ირონიის პროცესირება, გრაისისა და სერლის სტანდარტული პრაგმატიკული მოდელისა და გიორას ყველაზე ხშირად გამოყენებადი მნიშვნელობის თეორიის მიხედვით, 2-საფეხურიან აქტივობას წარმოადგენს: მსმენელი იგებს ირონიული ნათქვამის პირდაპირ მნიშვნელობას, ანალიზებს, რომ იგი კონტექსტს არ შეესაბამება და ირონიული მნიშვნელობის აღქმის მეორე ეტაპზე გადადის. მკვლევრების სხვა ჯგუფი ამტკიცებს, რომ ირონიის ინტერპრეტაციისას მსმენელს არ სჭირდება შემოვლითი გზები. ის თავიდანვე აცნობიერებს ირონიულ მნიშვნელობას, თუ კონტექსტი შესაბამის ირონიულ მარკერებს ატარებს.

8) ექსპერიმენტის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ ქართველის მიერ ინგლისურ ენაზე მოცემული ირონიის მაგალითების დეკოდირების დროს ნათქვამის ორივე მნიშვნელობის პროცესირება ხდებოდა. მარტივი ირონიის ან ისეთი კონტექსტის შემთხვევაში, რომელიც ადვილად გასაგები იყო ან შეესაბამებოდა ინტერნაციონალურად მიღებულ ეთიკურ და სოციო-კულტურულ ნორმებს, ინტერპრეტაციის პროცესი, სავარაუდოდ, უფრო ადვილად მიმდინარეობდა, თუმცა ცალსახად ამის მტკიცება ამ ეტაპზე შეუძლებელია, რადგან ჩვენ არ შეგვიმოწმებია აღქმის დრო. და ბოლოს, ანალიზმა გვიჩვენა, მიუხედავად იმისა, რომ ქართველ მონაწილეებს არ გაუჭირდათ ინგლისურ ენაზე ირონიული მაგალითების დეკოდირება, ირონიის გამოყენების გარკვეულმა სოციო-კულტურულმა განსხვავებებმა, პრაგმატიკული და ენობრივი კომპეტენციის სისუსტემ ირონიის 100%-იანი გაგება შეაფერხა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, დისერტაცია საფუძველს უყრის ირონიის პროცესირების განსხვავებების ანალიზს სხვადასხვა კულტურებს შორის მსოფლიოს თანამედროვე სტანდარტიზაციისა და გლობალიზაციის პირობებში.

9) ირონიის ფენომენის დეფინიციისა და ტაქსონომიის განსაზღვრა რთულია, მაგრამ მკვლევრების გაბედული ნაბიჯები, გააანალიზონ იგი და იპოვონ პასუხი კითხვებზე - რა არის ირონია? რა ფუნქციები აქვს მას? რატომ იყენებს მას

მოქმედი? არსებობს თუ არა ირონია ყველა კულტურაში? - ძალზე დასაფასებელია, ამტკიცებდა მუეკე (მუეკე 1969).

